ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8 / 92

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს აფხაზეთის ბრძოლისათვის [illegible] სულნი.

„[illegible]"

საქართველოსათვის თავდადებულნი, ლოცვითა თქვენითა შეეწიეთ საქართველოს.

+ ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

---

ხოლო ესე აფხაზეთი შემკულ არს ყოველთა ნაყოფიერებითა და ჰაეითა... ხოლო კაცნი... მპარავნი, ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი ოლეჭკანდარ, ბითა, რომელთა შინა შთასხდებიან... დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ — გურიასა არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ-მიმდრეკნი... სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიან, ვითარცა კერპნი, ვინაითგან არა დაჰფლვენ მკვდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმნენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად მერმესა მას.

**ბატონიშვილი ვახუშტი**

---



სოხუმი, 1992 წლის აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

აგვისტო № 8

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბადათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
თედო ბექიშვილი
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მხატვარი
ვახტანგ რურუა

მორიგე რედაქტორი
ნანა ჯაფარიძე

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები
12. გიორგი ჭანტურია — მოსე. რომანი. დასაწყისი
39. ზაზა სიგუა — ლექსები
43. დალილა ბედიანიძე — ყვავი. მოთხრობა
57. ალექსანდრე ბაბური — ლექსები
62. ნანა დავითაშვილი — ლექსები
64. ირაკლი კაკაბაძე — ტაიმს სკვერი — დროთა მოედანი. მოთხრობა
70. თამრიკო ბოლქვაძე — ლექსები
72. შოთა იათაშვილი — მოთხრობები

## ახალი თარგმანები

82. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. თარგმნა თამარ ლომიძემ

## მოგონებები

103. თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ნახტომი ცისკენ

## წერილები

111. გიორგი ნადირაძე — ლევ ტროცკი სტალინის და საქართველოს შესახებ
128. კორნელი დანელია — უსაჩინოესი ძეგლი — ქართული ისტორიოგრაფიისა
133. ლანა კალანდია — ბესიკ ხარანაულის პოეტური სამყარო
141. მერაბ კალანდაძე — წიგნი-მანიფესტი

## ისტორიის თეთრი ფურცლები

145. რემონ დიუგე — მოსკოვი და წამებული საქართველო. დასასრული. თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა

## გამოსათხოვარი

152. თედო ბექიშვილი
154. ბადათერ არაბული — თედო ბექიშვილს. ირაკლი ბაზაძე — მოკრძალებული ამაყი. ომარ თურმანაული — თუ... გიორგი ლორთქიფანიძე — გამოსათხოვარი. დავით მჭედლური — მისი სული კელაპტარს ჰგავდა. ჯარჯი ფხოველი — მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ემზარ კვიტაიშვილი

## დილა შოვში

მახსოვს, არც მავიწყდება
ის ლოდინი, ამო ცდა,
მზის ამოსვლის წამები,
ბაგეებს რომ წამოცდა:

ციდან დაქანებულო,
დაგრაგნილო ფაზისო,
ნეტა ფასი თუ იცი
შენი სილამაზისო.

კი ამბობდნენ, არ მეგონა,
შენ თუ ასე ელავდი...
ყვავილები, ყვავილები,
ყვავილები წელამდი.

რა კლდეებში გრიალებ,
რა ლოდებზე გორდები;
შოვთან რო ხარ, ისეთი
არსად განმეორდები.

ძალა მომეც, ღვთიურო,
შენს თევზებთან გავცურო,
ქვიშა, შენი ნათრევი,
წმინდა ოქროდ დავწურო.

თითქო ღრუბელს, ქათქათას,
ანგელოზი აზისო...
ისე ვკვდები, არ მითქვამს
შენი ქება, ფაზისო.

## ხსოვნა

საცაა დამცემს ცის ბარბაცი,
ვიცი, ვიქცევი მე ნამტვრევად;
მართლა რაინდი და მართლა კაცი —
ჯემალ ტვილდიანი მენატრება.

თითქოსდა ღვთიურს ვისმენ მესას,
დამყვება მისი მადლი, ხათრი...
თქვენც გახსოვთ, ხმას და სიცილს მისას
მე ვერავისას ვერ შევადრი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეზობლის ბიჭები

მეზობლის, ქურთის ბიჭები
ავსებენ ქართულ მხედრიონს, —
ეს მიწა უნდა დავიცვათ,
ეგ არი ჩვენი ხვედრიო.

ფიცს სდებენ ქუდმოხდილები:
„შენთან ვართ დედა-თბილისო.
იცოდნენ, ეგრე იოლად
ვერავინ გადაგივლისო.

კბილებს ილესავს მომხდური,
ავისხათ თოფ-იარაღი,
ჩვენი აკვნების დამრწევო,
უშენოდ ყოფნა არა ღირს...“

ქართულ სკოლაში იარეს,
„ლურჯ მონასტერში“ დადიან,
სანთელს უნთებენ ქართულ ცას,
რამდენი წელიწადია.

იციან ფასი კაცობის,
სიკეთის, სილამაზისა;
მეც მახსოვს, ღმერთმა აცხონოს,
მამა იმათი, აზიზა.

## დაგვიანებული მაისი

გაზაფხულმა ჩვენი ცაცხვის,
ზნეკეთილის ყოვლად,
აყვავება ერთი კვირით
მაინც შეაყოვნა.

წვიმამ, წვრილად გამოცრილმა,
სიცივემ და ქარმა,
ის ქნა — ტოტებს ვერ მოევლო
დღემდე თხელი ნარმა.

შარშან ამ დროს, ხის აივანს
უგზავნიდა სურნელს —
ტკბილს, დამბანგველს, საოცარი
იყო მისი ტურნე.

მზე შეკაზმა, კარი ზამთრის
ისევ შეამტვრია;
ასე იცის, უთავბოლოს
არ მოიშლის ტრიალს.

## ბაზრის კარებთან

გაფატრული, გრძლად, გოგრები —
უცნაური საკრავები,
ყვითლად აქათქათებული,
სიტკბო, მათგან ნაგროვები.

მოზრიალე, წითლად, ხურმა,
მოზიმზიმე, რუხად, ზღმარტლი;
დააკვირდი, ფერზე, ხორცზე —
იცან კახეთი და ქართლი.

წამახული შოთები და
გაპოხილი ნაზუქები...
ფეხგაკრული ვარიები,
საამდღეოდ ნასუქები.

წმინდა ვალო, ულეველო,
მე ვისი ვარ თუ არ შენი,
ვერ გაზომავს მადლს მიწისას —
ვერც ადლი და ვერც არშინი.

ამბავია ძველი, მწვავე —
ცის წყალობას გართმევს ცავე;
ზღაპარსა გავს, აქამდე რო
დამინდე, არ ჩამაქვავე

## ᲓᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲐᲛᲓᲔ

ხან თაფლის ქარვა მაბრმავებს,
ხან ელვარება ბლის;
ყველა ტკივილი, სიამე —
გაქრება, გადივლის.

დაღლილა ცა უღიმღამო,
ღამე მევლება გარს,
ჟამი — მპარავი — წარხოცავს
ხორცს, ტანზე შემომდნარს.

ის დღეც დადგება, ქვით ნაცემს,
ვეღარ გიჩვენებ პირს,
შხამიან თასის გამოცლა,
ვიცი, რის გამოც ღირს.

გახევებული, გახრილი,
გავხედავ გარდასულს...
თქმაც ვეღარ შევძლო, ტყვეობა
როგორ უჭირდა სულს.

## ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

იცის, იცის ზაფხულმა —
თავი როგორ შეიმკოს,
როგორ უნდა დახვედრა —
ყურძნის კრეფას, პურის მკას.

ბევრჯერ ნახა ბუნება
ჩაკიდული, ჩამკვდარი,
იცის კაცმა, რომ მნელად
გაეთრევა ზამთარი.

იცის (კიდეც თავს იქცევს
ათას სატყუარათი),
რომ ყოველი იცვლება,
რომ თესლია მარადი.

ვის რა უნდა დავაბრალო,
ვიცი, რამაც გამსრისა;
გვცვითავს ორი ლახტის ცემა —
ზაფხულის და ზამთრისა.

## ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ

ქართველი ქართველს ესხმი,
ესვრი, ძაღლივით კლავ,
გაგწყალებოდეს თესლი,
კაენ, ბოროტო ძმავ.

სატანას ღამეს უთევ,
თავს სიგიჟეში ნთქავ,

დაიწვას შენი ბუდე,
ბნელო, უგრძნობო ქვავ.

ნეტა რა ცოდვა გათრევს,
როცა იქნება, ზღავ...
ქართველი ახრჩობს ქართველს,
შენ რა მოგთხოვო, სხვავ.

## ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐ

შვილმა მამას სისხამზე
ძარღვი გადაუჭრა;
გადატბორა, შეავსო
სისხლმა ბოლო უჯრა.

შეურგებელ წლებს მისას,
გულ-ყელიდან ნარწყევს,
წყევლა დაჰყვა. ცივი ციდან
ქვაზე დამინარცხე.

რად მომასწარ მე მისი
სასიკვდილო გრეზა...
(ქვესკნელს გამოკეტილიც
ჩემი სიმდიდრე ხარ).

ღამე გაუთენარი,
ჭერი მიეც ბნელი,
წაიყვანე, წამართვი
შიშის უქონელი.

დაჩეჩქვილი სიცოცხლე
ვისთან შეატყუპოს...
მის ოთახში, მითხარით,
რა უნდოდა კუბოს.

ვინ გამთიშა საპყარი,
დაძენძილი, ამ ძეს,
ან აქვე ჩამაქვაოს,
ან პასუხი გამცეს.

## სულერთია...

რამ შეგახვედრა, სავსე შხამით,
შენ სატანჯველი ესოდენი.
ეკლებზე როცა წვები ღამით,
ნეტა თუ ვინმეს ეცოდები...

წყვეტებას, წრიალს სული დახსენ —
სანთელი, ბნელში აღსანთები...

ვისი ვარსკვლავი ბრუნავს თაღზე,
ნეტა თუ ვინმეს ახსენდები.

მყუდრო კუთხე რომ დაიგულო,
ვაითუ აღარც სულეთია;
(დამჭკნარხარ, ჭრელო თაიგულო)
ასეც რომ იყოს, სულერთია.

## გამეტება

გაჩნდი, ბევრი დამიდგა შავი, სადაგი დღეო,
ვინ თქვა, რაც კი ცოდვაა, ყველა მას მოკითხეო.

არვის უთქვამს, ეს ბიჭი გამჩენს შეავედრეო,
არც ის, აურაცხელი ჭირი შეახვედრეო.

ვეჭვობ, ებრძანებინოს იმ დალოცვილ უფალსო —
ტანჯვა ყოველდღიური, უბოლოო, უფასო.

არც შენ დაგაკისრებდა, ბედის მზერავ ელამო,
ვისაც არ დაეზაროს, სისხლი სწოვოს ყველამო.

ვისთან დაუჩივლია — სიბნელე, უტაძრობა,
ვის დაედო მალამოდ მისი ტყავის გაძრობა...

ნგრევამ, საშინელებამ — გული ჩემი მოცვითა,
წყევლით არ ვიწყევლები, თავს არ ვიღლი ლოცვითაც.

## რამდენს უძლებს...

თავდაყირა მოარული,
მე ვედები ღობე-ყორეს,
ამ საზარელ ხორცის ბაზარს
ნეტა რით ვერ გამაშორეს.

ორთავ ყბაში, ალესილი,
გაყრილი მაქვს კაუჭები.
სასაკლაოს შემხედვარე,
ნეტა რას ვებლაუჭები...

ავკაცობა ბოროტს ვკითხე,
მეშვებიო, ვუთხარ, რით ვერ,
გიხრიალებს ყელში, ნუთუ
ჩემი სისხლით ვერ დაითვერ?!..

ცეცხლი, წყალი, ბნელში დანთქმა,
საწამლავი, დანა, თოფი...
რამდენს უძლებს — კაცი მართლა
არ ყოფილა დასანდობი.

## ბზობამ ჩაიარა

სუფთა მდინარე უყვართ თევზებს...
შენ გახსოვს ავდრის გადარება.
აპრილის თვეში, საფლავებზე,
ბალახმა იცის გადარევა.

მისთვის ერთია — ბრიყვი, ბრძენი..
იწვი, გალეწილს გავხარ კალოს.
მიწა გვახსენებს — ხსოვნა ჩვენი
უნდა დაინთქას, წაიშალოს.

## ერთი უძილო ღამე

დამხურეს ტყვიის სარქველი — ლუკი.
ჩაკეტილია სიზმრების რაბი.
სადღაა ან ცა, ან მისი შუქი...
სად მიმაქანებს დინება სწრაფი.

მოსრილმა, ვის რა უნდა უსურვო...
აღარ მაშინებს კუპრი, ჯანდაბა...

არც სულიერი და არც უსულო
ამ ღამეს აქ არ გაჭაჭანდება.

მიკვირს — ცოცხალი რით ვარ, რატო
ვარ...
გინებას ვიწყებ და ვწყევლი გვარტომს.
სირცხვილი იმას, ვინც შემატოვა
ამდენ სატანჯველს პირისპირ, მარტო.

## შეუძლებელი

რას მასევ ამდენ სიავეს,
რამ გაგაცოფა მასე;
წაიღე შენი წყალობა,
ეგ შენი სილამაზე.

ერთიც არ ამომასუნთქე,
გულს მობჯენილო ლოდო,

ის ჩიტი არ ხარ, შეგბრალდე,
ან თავი შეგაცოდო.

ის მკლავს — რას ისმენს, რას ხედავს
ჩემი თვალი და ყური...
სოველ ქვიშაზე, ფეხშიშველს,
ვის დარჩეს ნაფეხური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეჯამება

(ადრევე ნაფიქრი)

თავი, ქვაზე სახალი...
რისი სახელ-დიდება...
გისმენ, თუნუქს ეცემი,
წვიმის წკაპა-წკუპო,

მელანდება, თაროზე
მალე შემოიდება
სისხლიანი რჩეული —
ჩემი მცირე კუბო.

## ლოგინში მოკუნტულის ფიქრი

მლაშე ტალღებს მოაგორებს ძილი,
გლუვ კენჭებში ცრის, აშრიალებს.
ნეტავი რას მიმზადებს ამაღამ —
დაკუთხულ კეფაში ურონარტყამი,
ჩემი გახრეკილი თავი —

ეს გამხმარი ძვლის კოლოფი,
ვის სისხლიან სახეს მომალანდებს...
როდის ჩაცხრება ზღვა მბორგავი,
როდისღა ელირსება სიმშვიდე
ეკლიან მავთულებზე დაფლეთილ სულს...

## რა გვჭირს...

ცოცავს ჭინჭველა. მიჰყვება
კიდეს საფლავის ქვისა.
არ წუხს გაქრობას, არც ფიქრობს —
ვაითუ გაისრისა.

რა დარჩენია ლოდებში,
ამდენის გამგებს, მცოდნეს,

არ უფრთხის საშინელებას,
ყოველ წამს მოსალოდნელს.

ტყვიების სროლა ქუჩებში,
სრიალი, დაცლა მასრის...
ან გადარჩენის ან ყოფნის
სადღა ვეძებო აზრი.

## შორეული პარალელი

პირლია ქაშაყმა, შავზურგა თევზმა,
რომელიც ლურჯი ოკეანის ტალღებს
უტყლაშუნებდა გალიპულ კუდს,
რა იცოდა — ბადეს მოჰყვებოდა
და მერე — თუნუქის კოლოფში
მოკეცავდნენ და თვალებდაჭყეტილს,
დამარილებულს, შავწვენგადენილს,
დაფნის ფოთოლსა და შავი წიწაკის

მთლიან, დანაოჭებულ მარცვლებს
ჩაატანდნენ
კონსერვის დისკის პრიალა, წრიულ,
სიმეტრიულად ამოღარულ ფსკერზე..
რა დასამალია და დანამდვილებით
არც კაცმა იცის — რა მოელის.
წუთისოფელსაც ალბათ იმიტომ
დაარქვეს უთავბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განწირული

წლეულს, მაისის მიწურულს, მუხათგვერდის სასაფლაოზე მყოფი წავაწყდი უცნობი გოგონას საფლავს. წარწერა ლაკონიური იყო, არც დაბადების თარიღი ეწერა, არც გარდაცვალების; უბრალოდ წაიკითხავდი: იამზე თოხაძე — 17 წლისა; იქვე ლექსად იყო მიწერილი: შენი საფლავი ჩვენი გულია. ქვაზე დალუპულის ლამაზი სახე ამოეკვეთა ხელოსანს. საშინლად დამიმძიმდა ბოლო ხანებში ისედაც მოშხამული გუნება. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი სიცოცხლე დაკარგა უბედურმა საქართველომ. ეს რამდენიმე სტრიქონი იმ დღეს, მცხუნვარე მზეს გარიდებულმა, კვიპაროსის ჩრდილში დავწერე:

თმა ჩამოგშლოდა შავ ელვად
ლურჯი სოსნების ნიავზე,
ასეთი გაცინებული
რად გნახე, გოგოვ იამზე.

სად შეგეყარე, გიმზერდი,
შეფარებული გრილოში,
სვეტი ზედ გულზე გებჯინა
იმ შავი მარმარილოსი,

ცრემლში გორავდა თვალები,
რა ვარდი გაისრისაო;
ეს რა სიმწარე მანახე,
დამლევო მაისისაო.

დაგვცხრილა, დაუცხრომელი
როდის გაგვივლის ცხელება.
საქართველოში ამდენი
ყვავილი რად იცელება...

## მოკლული პოეტები

ეზო ყვინთავს მწვანეში,
საამო ბინდბუნდია,
მოდის მარიამობა,
ნიგოზს ცეცხლი უნთია.

გული გასხლტომაზეა,
ტყავში ველარ ვეტევი,
მაგონდება საწყალი,
მოკლული პოეტები.

თავი სისხლში ჩაკიდეს,
ხელი უშვეს სადავეს,
მზე, ვენახი ხის ტანზე
დახვეული დატოვეს.

ზოგს მკერდი შეუნგრიეს,
შეულეწეს ჯავშანი,
რამდენი ივედრება
ნაჩეხი, ყელგამშრალი:

ჩაქრა ჩვენი თვალები,
ჩახეული მეხითო,
გლოცავთ, ამ საოცრებით
ახლა თქვენ დაძეხითო.

გრძელ ფოთლებში მძირავს ეზო,
გადაშლილი ედემად...
შემახსენეს უცებ თავი
მოკლულმა პოეტებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲛᲘᲯᲜᲐ

საზრდოს იწოვს თავისას
მსხალი ხეზე მწიფს;
შემოდგომა დადგება,
დავაძახებს „იფს“.

ამოჩრილი მეჩეჩი
მორევს შუა ყოფს,
ბადეს ისვრი ჩქერებში,
დაიძახებ „ოფს“.

მოიშორებ შუბლიდან
აბლაბუდას ძაფს,
ჩემი მტერი მიენდო
დროს გაქცეულს, სწრაფს;

ხედავ გვერდით, მეზობლისას
გადაპარულ ხაპს...
ასე ხდება, ზამთარში
ჩიტს უგებენ სხაპს,

გველეშაპი უძლომელი
შენაც გიზამს ყლაპს,
დაედრები რიყის ქვაზე
შემორჩენილ ქაფს.

ნებით გასცდი — ცას, მიწას,
ყინვასა და ბუღს;
მუხლი დადგა, არ გერჩის,
სისხლიც აღარ დუღს.

## ᲐᲥ ᲓᲐ ᲘᲥ

როგორ გიყვარს, სოფელო,
კაცის გადაკარგვა,
აღარ ვიცი, საქციელს
შენსას, რა დავარქვა,
ცოცხალი ვარ, ვიტანჯები,
მოვკვდები და ვარ ქვა.

## ᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲔ

ჯოჯოხეთშია. რა დააძინებს.
არ უნდა, მზეს რომ უჩვენოს პირი.
ალმოდებული, ხის აივანზე,
წრიალებს ერთი თმათეთრი კაცი.
ამ დაუნდობელ, სასტიკ მიწაზე
ვერ პოულობდა მანამდეც ადგილს.
გადაკეტილი, დაეწვა ხორხი,
თრთის, ეფლითება ნერვები საწყალს,
უშრება ნერწყვი. რა მოასვენებს —
მეორე თვეა, შვილი დამარხა.
ეშლება ტვინი და ებურღება...
ვეღარსად ნახავს მას, ჯინც დასცილდა.
არც წუხს, რომელი უფროა მნელი.
უკვე არ იცის — რა არ დასცალდეს —
ამ უძრავ ბინდის გათენება თუ
გათენებული დღის დაღამება —
რომელ სართულზე ამოსძვრეს სული.
ტანჯვას თავისას არას ადარებს,
უბედურია იმდენად იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამეტებული

ვაჰ, სოფელო, შენ ხომ იცი,
მოსული ვარ იძულებით...
შვებას არ გთხოვ, არ მეგონა,
ასე თუ მომიძულებდი.

არც არაფრის ვიცი ყადრი,
შავი დამდგომია მე დრო;
შენთან შეყრა არ მიკითხავს,
გაყრა როგორ დაგაყვედრო.

## მონახულება,

მალე, მალე გამოჩნდება
გალავანი კარლია,
მთელი ქვეყნის ფასი იყო,
იქ რო ქალი მარხია.

წაეფარა თვალებს დახრილს
ბნელი და ყიამეთი,
იმ უღელში, სიმწრისაში,
წელი გასძლო ცამეტი.

შენ რომ შუქი მიგაცილებს —
მოციალე, მიმქრალი —
თავდალმართში, ღმერთს უმადლე,
შუქი არი იმ ქალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ჭანტურია

# მოსე

რომანი

„სწორედ საპყრობილეა, რომელშიაც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული. დანია ერთი უარესი ჯურღმულთაგანია“.

ჰამლეტ

მოქმედება II, სურათი II.

## ნაწილი პირველი

### I.

მას უყვარდა — ლამაზი, მშვენიერი, ძალით გათხოვილი — ქონების გულისთვის, შავთვალწარბა... ის უყვარდა, რამდენადაც ის უყვარდა, იმდენად მისი ქმარი ეზიზღებოდა — ძლიერი, გაბერილი, ლაბაბდადებული, თვითკმაყოფილი... ის მოკლავდა მას, ესოდენ სუსტი და გაუბედავი რომ არ ყოფილიყო. ბოლოს, როცა სიყვარულმა ძალზედ შეაწუხა, გაბედა რაღაც, იმდენი არაფერი, მაგრამ ყოვლისშემძლე ქმარმა ისე, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც გამოკეტა აქ ის — სუსტი, გაუბედავი...

აქ მისნაირნი ბევრნი იყვნენ. ზოგი სიყვარულს { მოეყვანა, უმრავლესობა კი სიძულვილს. აქ ხორცი არ იყო. პატიმრებს ხორცი არ ჭირდებათ. წვნიანი. შიგ რაღაც დაცურავს, გაურკვეველი ფერის, ზომის, გამომეტყველების და, რაც მთავარია, გემოსი. შავი თეთრმოკიდებული პური — ზოგჯერ ეგემრიელებათ კიდეც. პური ჩვენი არსობისა!

„აქ“ დიდი შენობაა. რუხი. საზარელი. რკინის გისოსებით. ხანდახან ხელებსაც გამოატევ. სეირნობა თვეში ერთხელ. რამდენიმე წუთით. მცველები ფრთხილად არიან: არ გაფრინდეს ვინმე (აკი, დაფრინავს ადამიანი კიდეც).

ზოგ პატიმარს აწინაურებენ. თუ კარგად გამოჰგვის საკანს, უთუოდ აწინაურებენ, უთუოდ. იმ საწყალსაც უხარია. ძალიან უხარია. ერთის ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად უკვე ორი დაცურავს იმ წვნიანში — დაიმსახურა!

მათ აქ ამუშავებენ. ზოგი ფაჩუჩებს ქსოვს, ზოგიც ქალის ნიფხვებს კერავს. ყველაზე ურჩები აგურების სათრევად მიჰყავთ. ისიც ჰყავდათ ერთი-ორჯერ. პირველად გაუხარდა, ჰაერს გადავყლაპავო. შემდეგ მაინც უჰაერობა არჩია.

საკანში ქაღალდის თამაშიც შეიძლება. პატიმრები ძირითადად „ოთახის" დასუფთავებაზე თამაშობენ (წკიპურტებზე თამაში აკრძალულია, ადამიანის ორგანიზმს აზიანებს).

ის მიმჯდარა კუთხეში და ფიქრობს. ფიქრობს სხვაც. ზოგი კი თამაშობს. ზოგიც ჰგვის. დედ-მამა, არ იცის, ცოცხლები თუ ჰყავს. მას უყვარს ისინი. უფრო მაინც ის უყვარს — მშვენიერი, ლამაზი...

ტირის — ბრილიანტები სცვივა თვალთაგან, იცინის — ბაგეთაგან ვარდთა კონა სწყდება, ნაბიჯს ადგამს — კეთილი ვაშლის ხე ამოდის, ცას აჰხედავს და თავზედ ნათელი ადგას... ამიტომაც ჰქვია, ალბათ, ნათელა. სხვა კი? ღამით მაძღრები, დილით კი მშივრები. რჯულში სხვანაირადაა.

მაინც სიბინძურეა საშინელი. ყოველდღე ასუფთავებენ საკანს. მაინც სიბინძურეა (კიდევ კარგი — აცრილია!).

სისულელეა ღორს ჩოხა-ახალუხი ჩააცვა, ფრანგთა ენა ასწავლო და იოანე პეტრიწი წაუკითხო — უახლოეს ტყლაპოს მაინც ვერ ასცდება. უნდა ასწავლო სხვას, უფრო სხვას...

არ მძულხართ, ბინძურო ღორებო, არა — უფრო მეცოდებით. სამობაოდ უნდა დაიკლათ და თქვენი ჭყვიტინი წალეკავს იქაურობას — ფიქრობს, ვერა და ვერ დაიძინა. მათი ჭყვიტინა წალეკავს აქაურობას.

პირველად. იყო პირველად. ცას აჰხედა. ცა. საკანს მაინც ბინძური იატაკი აქვს. საოცრად ბინძური იატაკი მიწა. მიწაც ბინძურია. სიბნელე სუფევს. ეს იატაკის ბრალია, კეთილი სული ლივლივებს მასზედ. როგორც კრუხი შეიფარებს თავის წიწილებს ფრთებს ქვეშ. კეთილი სული რომ არ ლივლივებდეს, ყველაფერი დაიქცეოდა.

გისოსს და გისოსს შუა სინათლე მოიპარება. საკანი განათდა. დღეა უკვე. როცა სულმთლად ბნელა, მაშინ ღამეა. დამღამობით უჭირს ძილი.

გისოსიან ფანჯარას მიადგა. მყარია ცა. მტკიცე. ლამაზი ცა. ოდესღაც ღმერთმა გამოჰყო ცა ამ სიბინძურიდან (ნეტარ არს ჩიტი!).

ოდესღაც ეს წყეული შენობაც წყლის ქვეშ იყო. წყალმა დაიწია. ახლა კი ეს — საპყრობილე.

ოჰო, აი, მზეც გამოჩნდა! თვალს ვერ უსწორებს, მაგრამ მისი აქ ყოფნა მაინც უხარია. ღამითაც ანათებს რაღაც. მას მთვარე ჰქვია სახელად. ამობრწყინდება გარყვნილი დედოფალი თავის მოკაშკაშე ამალასთან ერთად. დედოფლის მთელი მხედრიონი.

ჰმ, ეს რა არის? როგორ გაჩნდა აქ? ის ფოთოლს იღებს იატაკიდან. საოცარია...

დღეს სადილად თევზი გვექნება, ძმებო, — ყვირის „მოწინავე" პატიმარი. მას კი ეცინება, ცას შეჰყურებს. ჩიტები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ჩიტებს ფრთები აქვთ. მათ ფრენა შეუძლიათ (არ იღლებიან ნეტავი?). მუუ! გარეთ, სადღაც ძროხა ებაასება მზეს. ძროხას ცხოველთაგან ყველაზე ჭკვიანი თვალები აქვს. ზოგი ამბობს ცხენსო, მაგრამ არ არის სწორი. ძაღლს! ჰო, ჰო, მარტო ძაღლსა აქვს ძროხაზე ჭკვიანი თვალები.

ძაღლი მეგობარია. ვისიიფ? ის ახლა გაჩნდება, სულ მოკლე ხანში.

ადამიანებო, გძულდეთ ერთმანეთი! (სატანის მოწოდება) აქ ისეთებიც არიან, ვისაც ძულთ, მაგრამ მაინც არიან (ზოგი ნამეტანს შვრება).

ნეკნები ასტკივდა. ამათ რაღა მოუვიდათ. ის ნეკნებს ადრე არასდროს შეუწუხებია. ექიმბაში გოგონა შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდის და წამალს აძლევს. ტკივილი გაუყუჩდა. ფეხებს თვალებს აყოლებს. გავიდა.

წყალს ასხამს ვარცლში და იხედება. ასეთი მას, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა. ნაღველი შემოაწვება. თმას ივარცხნის ხელით, ხელით ივარცხნის თმას და გაზინტლულ ტანსაცმელს ისწორებს. ახლა არა უშავს. ადამ, ადამ, სადა ხარ?

გუშინ საკანი უნდა გამოეგავა, მაგრამ უარი განაცხადა. დღეს, ალბათ, დასჯიან. აგურებზე გააგზავნიან. სულ მალე, სულ მალე შემოდის და გაჰყავს. აგურები. ექვს ნახვრეტიანი აგურები. მოწითალო ფერისა. სახედარი შეჰყურებს საჭმელს და სულ წინ-წინ მიდის. სახედრები! ის არასდროს არ წავა „წინ".

როცა უკან ბრუნდება, უკვე მთვარეა ამოსული. ბებერი როსკიპი კვლავ გაუბერავთ. არა, არ მოიყვანს ცოლს.

შენობაში კვლავ ითვლის სართულებს. რამდენიც ზევითაა, ორი იმდენი ქვევითაა. ჯურღმულები.

წელში მოხრილი. დაღლას გრძნობს. მიწვება ახლა და დაიძინებს. გამუშავეს? ჰო, რა! წვება. ყაყანი ჩაესმის — ვერ იძინებს. კვლავ ქაღალდის თამაში. ერთი კიდევ ბარაქიანად იგინება, რამეთუ მდიდარ არს ენა ქართული და ამის საშუალებასაც იძლევა. არც ერთ ენაზე არ შეიძლება ისე აგინო ადამიანს, როგორც ქართულად. ერთი სიამოვნებაა. — გულს მოიფხანს კაცი. ფიქრობს — არ ეძინება. სამაგიეროდ, მოფერება და კაცის შექებაც საუკეთესოდ გამოდის ქართულად; სადღეგრძელო? უუჰ, კაცი შეიძლება გაგიჟდეს. დაიჯეროს კიდეც. იმზეგრძელე, იდღეგრძელე, ილალე და გაიხარე. შე ბარაქიანო, დოვლათიანო, ფუძემტკიცე და ჭერმაღალო, სიტყვაკეთილო და გულკეთილო, ტანად საამოვ და მუშტით მაგარო, ულვაშდაწნულო და თმაშევერცხლილო, წვერდაწყობილო და სახესანდომიანო, ცოლპატიოსანო და შვილებით გახარებულო, ყოველივე სიკეთით სავსევ და ავკარგიანო, სტუმართმოყვარევ და თავად პურადო, კარგო მსმელო და მჭამელო... დაიღალა, უფრო დაიღალა. ძილი კი არა და არ მოდის.

საზარელი თხა, რომელიც დაფრინავს. ფრთები არა აქვს, სამაგიეროდ — კბილები. ვარდისფერი წამოსასხამი ჰაერში უფრიალებს. შემდეგ დაეშვება. სალამური აქვს პირში გაჩრილი და რაღაც უსიამო ბგერებს გამოაცემინებს.

ჰი-ჰი-ჰი, ჩაიქირქილებს და თვალს უკრავს.

დაიქცა ბაბილონი, დაიქცა!

ისე უყურებს, თითქოს უნიჭო მოწაფე იყოს და აი, უკვე მერამდენედ უხსნის გაკვეთილს. მაინც მოწყალეა, უღიმის, ცოტა ზევიდან დაჰყურებს, თან თვალს უკრავს.

რომიც დაეცა, მაშ! არ უშვება.

ალარიხმა დააჩოქა, ჰენზერიხმა გააუპატიურა, ოდოაკრმა კი დაითავისა...

ოჰ, დაიქცეს და დაინგრეს ეს ქვეყანა! დედამიწა ორად განიპოს და შიგ ჩაიტანოს ყველა ცოდვისშვილი, მათ შორის მეც. წვიმის ნაცვლად სისხლი წამოვიდეს ციდან, კაცმა დათესოს და გველი ამოვიდეს. ცოლს მიეკაროს და დრაკონი აშობინოს, შვილმა მშობელი შეჭამოს, დედამ შვილი თვისი. მამამ ქალიშვილი გახრწნას, ვაჟს კი დედის თეძოებზე ეჭიროს თვალი. ცეცხლი აგიზგიზდეს და ცაც კი დასწვას მისმა ალმა. წინ, ვაჟკაცებო, წინ — ჩვენს უკან სიცარიელეა!

მზე გადაიწვას და ჩამოვარდეს, მთვარე სისხლისფრად შეიღებოს. სამყარო კეთროვანის სხეულივით გაიხრწნას და დაიშალოს. სუნი დატრიალდეს სიკვდილის, საშინელი და აუტანელი სუნი. შმორის, ნაგვის, ლეშის.

მოარული ლეშნი ერთმანეთს ემშვიდობებიან!

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით, მშვიდობით — მე თქვენ არასდროს დაგივიწყებთ, გამოთხოვების კოცნა, ლოყა ლოყას ეხება, ტუჩი — ტუჩს. დამპალია ხორცი, ერთის ლოყა მეორისას ეწებება. ჩირქოვანი ტუჩების ერთმანეთისაგან დაცილებაც ჭირს.

მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ... და ა. შ. დამპალი ხორცი კი ვერ აადგლიზეს მეორის ლოყას. უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრება, დიდი თავგანწირვა და ჰა... როგორც იქნა, ეშველათ.

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო!

კვლავ გემშვიდობებით, ძვირფასო!

ნარწყევით არის მიწა სავსე. არწყევს ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბრძენი და შლეგი..., მოხუცი, ოთხად მოკეცილი ჯოხიანი ქალი კი ჩამოივლის და თუ ნახავს რაიმე სასარგებლოს თავისთვის ამ ნარწყევში, აიღებს და ჩანთაში ჩადებს. ლიმონის ნაჭერი, თევზის ფხაზე შემორჩენილი ცოტაოდენი ხორცი, მჟავე კიტრი, რომელიც რომელიღაც უბედურს ნაბახუსევზე მიურთმევია და აწ აქ დაცურავს სხვა და სხვა „პროდუქტებთან" ერთად. მოხუცი ქალი კი ეძებს და ეძებს.

მაიმუნები სარკეში იპრანჭებიან! ჩვენა ვართ, რაცა ვართ! ყველაფერი ჩვენი შექმნილია, ყველაფერი. ეს სახლებიც, ციხეებიც, საავადმყოფოებიც, წიგნებიც, გაზეთებიც, ნახატებიც... ყველაფერი, ყველაფერი ჩვენი შექმნილია. გჯეროდეთ ყველას. აი, როგორები ვართ ჩვენ! — ბებერი მაიმუნი სარკეში „პეპელას" ისწორებს პერანგზე.

გონებამ კი ოპიუმის დიდი დოზა მიიღო და ჩაეძინა.

ვეებერთელა ღამურები დასტრიალებენ თავს და, რა ავნონ, იმას ფიქრობენ. საბრალო მონებო! ესპანელო მონებო!

თქვენივე მამის მკვლელებს ფეხქვეშ გაეგეთ, ცოლების გამბახებელთ ხელები დაუკოცნეთ, ბავშვებით მოვაჭრეებს ხოტბა შეასხით... გეშინოდეთ მაიმუნების! ძრწოდეთ მათ დანახვაზე!

სიბინძურე. ენით აუწერელი სიბინძურე. ავგიას თავლა. ჰერაკლე არ ჩანს.

სამურაებო, მოგიწოდებთ ხარაკირისკენ!

ბრბოს ოციოდ ტანმორჩილი ვაჟკაცი გამოეყოფა. იქვე წააქრობენ სამართებლებს და ყველას თვალწინ გულმუცელს იჭრიან. აღსრულდა!

მათ საფლავებზე იები არ ამოვა.

პატარა ბიჭი და პატარა გოგო გაქცეულან. გაქცეულან ამ სიბინძურიდან. თავი გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ. წინ ზღვაა. გამოვლენ გარეთ, ბანაობენ. შემდეგ გამოქვაბულში შედიან, ცეცხლს აჩაღებენ და სიყვარულს ეძლევიან. ზღვა ნელ-ნელა ღებულობს ბინძურ ფერს. სულ ცოტა ხანი და ნარწყევი აქამდეც მოაღწევს. ეს მათ იციან. ამიტომაც არის, რომ რაც შეიძლება ბევრს ეფერებიან და კოცნიან ერთურთს. სიკვდილმა ისინი კი არ უნდა წაიყვანოს, არამედ ის — ერთი, ერთიანი, შერწყმული და სიყვარულის ძალით შედუღაბებული ერთმანეთთან. ვნებით გაგიჟებულნი და გახელებულნი, სიკვდილზე რომ არ ფიქრობენ და მისთვის რომ არ სცალიათ... მაშინ, სწორედ მაშინ! ის!

ყველაფერი კი დაიქცევა. დაიქცევა და დაინგრევა ძალიან მალე, ძალიან სწრაფად. მონებო. საბრალო მონებო.

თხა, როგორც იქნა, მონოლოგს ამთავრებს. ჰი, ჰი, უცინის და თვალს უკრავს. უცინის თან თვალს უკრავს. მე კიდევ გნახავ, ეუბნება და მიფრინავს. მისი მოსასხამი ლამაზ მოძრაობებს აკეთებს ცაში. ის კიდევ მოვა. უთუოდ მოვა.

რას შვრებით, ჯელებო?

გოდოლს ვაშენებთ!

რისთვის?

ზევით რა არის, უნდა ვნახოთ!

მერე და ფურთხით და ძვლებით აგებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მასალა არა გვაქვს!

უთავო მხედარი. მოდის. კბილებამდე შეიარაღებული. წითურ ცხენს მოაჭენებს. კარგად არის ჩაცმული. თავი არა აქვს მხოლოდ. რათა დახოცონ ჰერთმანეთი.

„ახალ ტყეში" განგმირეს ვილჰელმ წითური. ჰენრი გახდა მეფე. ჭადრაკის დაფის პალატა. ე-2, ე-4. პირველად ყველა ამ სვლას აკეთებს.

თენდება. ნელა თენდება. წყეულიმც იყოს ღამე. კოშმარებით და მოჩვენებებით აღსავსე ღამე. უძილო ღამე.

როდემდე უნდა ისხდნენ სახედრები ადამიანთა კისრებზე?

ორი ტლანქი ფიგურა, ყურებპანტურა. ორნი კიდევ მოკუნჭულან და ძლივსღა უძლებენ სიმძიმეს.

მოთმინება გმართებს, ძმაო ჩემო, რამეთუ მოთმინებითა ხარ ძლიერი. ნეტარ არიან მშვიდნი. ცოტაც, სულ ცოტაც ათრიე ეს ტვირთი და შემდეგ თავისით, უსაქმურობით დაღლილი დაენარცხება ძირს.

სიმახინჯე კი კვლავ სარკეში იცქირება. გონებას სძინავს, სიკეთემ დაგვტოვა, პატიოსნება ჩამოახრჩვეს, სიყვარული მთაში მოკლული ჯიხვის მწვადისა არსებობს მხოლოდ. ცეცხლზე აშიშხინებული. გემრიელი. რქით კი ღვინო ჩავისხათ. დაუსხით გარგანტუას!

სიმახინჯე, ამალით გარშემორტყმული, სარკეში ტკბება თავისი გამოსახულებით. მისი ამალა: მლიქვნელობა, ცბიერება, უიმედობა, სიძულვილი, ბედს შერიგებული ექს-სილამაზე, ლალატი, სიძვა და და-ძმანი მათნი.

ოჰ, უჰ, აღტაცების შეძახილები, ქების სიტყვები: რა კარგად გამოიყურებით, თქვენო ბრწყინვალებავ, რა ლამაზი ხართ...

სიმახინჯე კი იფერებს ყოველივე ამას და კმაყოფილი იღიმება. სიმახინჯე იფერებს და იღიმება. თხელი, ყურებამდე ახლეჩილი ტუჩები იღიმებიან. სიღრმეში მოციმციმე ორი მოძრავი და სწრაფი ბურთი აქეთ-იქით გარბი-გამორბის.

ოთხი ეშმა ქალის სამოსით. დიდი აღმოსავლური ხალიჩა — თემურის გამოსახულებით. ააგდებენ კაცს — დაიჭერენ, ააგდებენ — დაიჭერენ. კაცი უკვე ბედს შერიგებულია. რატომღაც ჰგონია, რომ ხალიჩას არ ასცდება. ააგდებენ — დაიჭერენ.

ვითამაშოთ! ვითამაშოთ! ვითამაშოთ!

თამარ-ქალი მოჰყავთ. მოჰყავთ თვალახვეული. სიმახინჯე ხალხში შერეულა და შორიდან ტკბება საცოლის სილამაზით. მაშხალები. ქუჩებში ღვინო იღვრება. ვირთხები მთვრალები დადიან. ტარაკნები დაიხრჩვნენ.

ავხადოთ თვალსაფარი? არა, ჯერ არ გინდათ! მე ავხდი, თავად მე, იქ, სარეცელში!

ლამაზი გოგონა კი მიდის წინ. არ კი იცის, რა არის „წინ". საზეიმო პროცესია უკან მიჰყვება. ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს! გაუ...

მზე კი უკვე ციხის სახურავზე დადგა და იქიდან ანათებს ქვეყნიერებას. სახურავი საშინლად ცხელია. პატიმრებსაც დასცხათ.

სატურნი ჭამს თავის შვილებს! ჭამს საოცარი გატაცებით. მას უყვარს საერთოდ ხორცი. ძალიან უყვარს. უფრო საკუთარი ხორცი უყვარს და, აჰა, ჭამს კიდეც. დედის თავგანწირული კივილი სადღაც შორს, ქალალდის მიღმა იმალება. ის კი ჭამს შვილებს. ზოგს თავი მოაწყვიტა, ზოგის ჭამაც ხელ-ფეხიდან დაიწყო. მას სიამოვნებს ეს. თან სტკივა საკუთარი შვილი, თან სიამოვნებს. ძვლების ტკაცანი გრძნეულთა მელოდიად ჩაესმის ყურში. ის საერთოდ მუსიკალურია.

სისხლში ცურავს მთელი ქვეყანა. არ გვინდა ასეთი მშვიდობა. გეშინოდეთ მშვიდობის, რომს ომი უნდა. რომი ხელს არ მოაწერს სამარცხვინო მშვიდობაზე, შესწირეთ მარსს მსხვერპლი. მარსს სისხლიანი მსხვერპლი ესაჭიროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოჰკრა საათმა!

დადგა დრო, ჟამი არს... არ გვინდა პური და სანახაობა. პური და სანახაობა. მოგვბეზრდა გლადიატორთა უტვინოდ და უგულოდ დანთხეული სისხლი. ნინო შენობაშია.

თავადებმა გუიღალატეს, მეფეო!

ვინ გვიღალატა?

ჯანდიერმა, ამილახვარმა, ამირეჯიბმა, ერისთავმა, დადეშქელიანმა, ჯაყელმა, ფალავანდიშვილმა, დადიანმა, გურიელმა, ლორთქიფანიძემ, ჩხეიძემ...

ვინღა დარჩა?

მე, მეფეო, და მეც გღალატობ!

დამშვიდდი, მეც ვღალატობ, თავადო, მეფე შენი!..

ჩამოჰკრა საათმა!

გლეხებისთვის ყველაფერი სულერთია. მთავარია, მიწა ჰქონდეთ. მიწა ყველას ჭირდება. საბოლოო ნავთსაყუდელი. დამარხვა გვინდა. ყველას გვინდა. მიწა. შავი მიწა. მიწა ხარ და მიწად იქეც.

ჩამოჰკრა საათმა!

ყველა ქუჩაში. გერმანული რეფორმაცია. ზოგს ფიწალი უჭირავს ხელში, ზოგს — ხანჯალი. არა კაც ჰკლა. ქუჩის სანტიმენტალური მოჩხუბარი: მას ურტყამენ, თვითონ არ ურტყამს. ბავშვობიდან არ უყვარს, როცა ვინმეს ცემს. ბოლოს, დაღლილი მოწინააღმდეგე ძირს ეცემა და ისევ, ამას, ნაცემს და ნაბეგვს, უწევენ ხელს. იმ ხელს, რომელი ხელიც მეტოქის წინააღმდეგ არ გაუნძრევია. ვიქტორია!

იწყება სამუშაო დღე. დღეს ფაჩუჩები უნდა ქსოვოს. კოხტა და ლამაზი ფაჩუჩები. შემდეგ პატარა მაიმუნები ატარებენ ამ ფაჩუჩებს. მათი დედიკოებისთვის კი ნიფხვებს კერავენ. აქვე, მის გვერდით.

არა, ამ მზის გაძლება უკვე შეუძლებელია. ასეთ აუტანელ პირობებში, ალბათ, საქონელიც არა ჰყავთ. ბოლოს და ბოლოს, მათ საქმეს აკეთებს. ცხელა, ძალიან ცხელა. მოთმინება და სიმშვიდე. მხოლოდ და მხოლოდ მოთმინება. ნათელა! ეეეჰ!

არა, მაინც უნდა მოითმინოს. სხვა გამოსავალი არა აქვს. მაშინ დაიღუპება. ასე შეიძლება გადარჩეს. მთავარი ახლა გადარჩენაა. ახლა მთავარია, გადარჩეს.

მშვიდობა თქვენდა, ძმანო და დანო ჩემნო. გძულდეთ ომი და გეშინოდეთ მშვიდობის. მაინც მშვიდობა თქვენდა...

საფრანგეთი იღუპება, ორლეანელო ქალწულო!

დიდი კოცონი. აუტოდაფე. დავწვათ წიგნები. დავწვათ ყველა წიგნი. მონას წიგნი არ სჭირდება. მონას კუნთები უნდა ჰქონდეს ძლიერი. მის ნაცვლად სხვა იაზროვნებს და იფიქრებს.

ფაჩუჩები ვქსოვოთ!

ერთი მაღალი და გამხდარი ფიგურა გასაცოდავებულ ცხენზე. ერთიც მსუქანი, პუნტულა და ჩაგოდრებული. სახედრის ზურგს მისი ღიპი ისე შეზრდია, რომ ერთი სხეულის ერთი ნაწილი გეგონება. ვებრძოლოთ ქარის წისქვილებს! უაზრობაა! ჭკვიანი, დინჯი და უიმედო ადამიანი.

არ არის უაზრობა! საფრანგეთს შველა სჭირდება და ამას ვიქმ მე, ღვთით მოვლენილი უმანკო გლეხის გოგო. სიძულვილი ცივსისხლიანებს!

მთვრალი მუსიკა მის გონებაში საოცრად ტკბილად გაისმის. მას ესმის მხოლოდ. თან ესმის, თან ქსოვს. ფაჩუჩებს ქსოვს მამაკაცი.

სხვას არ ესმის. ეს მუსიკა მხოლოდ მისია, მას ვერავინ ვერ წაართმევს (გაუმარჯოს მილიარდობით კეთილ უჯრედს!).

საშინელი გრიგალი გადაიქროლებს. ციხის გისოსებს შეასკდება, უკან დაიხევს და დამარცხებული გვერდს აუვლის. შიგნიდან, პატიმრებო! ქლიბი არა გვაქვს! თავის მართლება ყველას შეუძლია.

მის გონებაში მწიფდება აზრი. სულ მალე ვიღაც უნდა დაიბადოს. დაახლოებით იცის, როგორი უნდა დაიბადოს. მასავით კეთილი, მაგრამ მისგან განს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვავებით ძლიერი. გონებაში ამოტივტივდა სიტყვა ეგვიპტე! ეგვიპტეში უნდა დაიბადოს ის ვიღაც. არადა, აქაურია, ამ ქვეყნის მოყვარული. ჟამთა სიავეს (თუ სიკარგეს?) გადაუსროლია მისი წინაპრები იმ ქვეყანაში. ის კი, ვინც ახლა უნდა დაიბადოს, დაბრუნდება აქ, წამოიყვანს იმ ბოროტი ქვეყნიდან ყველა მისიანს და დასახლდება აქ.

...და ვაი მას, ვინც ხელს შეუშლის ამ საქმეში!

სულ ცოტა ხანი და ეგვიპტის მიყრუებულ სოფელში, სადაც მამაკაცის ხმა იშვიათად თუ გაისმის, სადაც ქალებიც კი დამწუხრებულან და სამშობლოზე ფიქრობენ, ერთ ღარიბ ებრაულ ქოხში დაიბადება ბიჭი, ბუთხუზა, ცისფერთვალება ლამაზი ბიჭი...

მის გონებაში უკვე სახელიც გამოჩნდა იმ რჩეულისა, რომელიც ეს-ეს არის შემოდგამს ფეხს ამ ცხოვრებაში. შემოდგამს ფეხს ღნავილით, ტირილით. ფეხებგადაფლაშული დედის საშოდან ჯერ თავს გამოჰყოფს, ჯერ კიდევ ბრმა თვალებს მოავლებს ღატაკ ქოხს, სადაც ყოველი უბრალო ნივთი სამშობლოს სიყვარულით არის გაჟღენთილი. თავს შემდეგ ტანს გადმოაყოლებს და ვიღაცის მოყვარულ ხელებში ნებივრად გაწვება. ერთს გაიზმორებს, გემრიელად დაამთქნარებს და პაწუა ხელებს გაშლის.

ბიჭია, ბიჭი. შიშნარევი სიხარული ახლავს ამ სიტყვებს. ულოცავენ, თან ჩუმად. რაღაცის ეშინიათ. სიხარულის დამალვას მაინც ვერ ახერხებენ (აბა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!).

მან კი ყველაფერი იცის უკვე. ისიც იცის თუ ამის შემდეგ რაღა იქნება. ზის საპყრობილეში, ოთხკედელშუა გამომწყვდეული, მაგრამ ბევრ გარეთ მყოფზე მეტი გაეგება და მეტსაც ხედავს. იმ პატარის მშობლებმაც კი არ იციან, ჯერ რას დაარქმევენ ბავშვს და, საერთოდ, გოგო იქნება თუ ბიჭი? მათ არც ის იციან, ცოცხალი დაიბადება თუ არა ბავშვი..

მან კი იცის. ის, რაც ღმერთმა იცის მხოლოდ. მან იცის და იცის თვად ღვთისგან. იცის ის, რომ დაიბადება ბიჭი. დაიბადება ჯანსაღი, ჯანმრთელი და ლამაზი ბიჭი.

ბიჭი, რომლის მომავალი და საქციელიც ადრევეა განსაზღვრული. მისი სახელიც კი წინ უსწრებს მის დაბადებას.

აი, ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, საბრალო პატიმარი კი უკვე იმედით იმეორებს გულში მის სახელს:

მოსე! მოსე! მოსე!

II.

**„აჰა, ნათესავი ძეთა ისრაელისა მრავალ არს უფროის ჩვენსა. ბოროტი ვუყოთ მათ, რათა არა განმრავლდნენ და შეერთდნენ მტერთა ჩვენთა ბრძოლასა შინა და ეგრეთ განვიდენ ქვეყნით ჩვენით“.**

მონებო, საწყალო მონებო, — გეყოთ განცხრომა! თქვენ თიხა უნდა ზილოთ და აგურები გამოწვათ, ჭამა არა, სმა არა, მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ არ ჩაძაღლდეთ.

წკეპლები მათ! ვინმე ზარმაცობს? არ მუშაობს? სიკვდილი მას! დილიდან ღამემდე, ყოველდღე, შეუსვენებლივ — მუშაობა! მონა ამისთვის არის გაჩენილი.

საბრალონიც მუშაობენ, პირუტყვებივით ცხოვრობენ, მოთმინებით იტანენ ცემას, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, რჯულისა და ენის შეგინებას.

მშივრები დაეგდებიან ღამით თივაზე, რომელიც მათ საწოლის მაგივრობას უწევს. დილით ამდგარნი შიშით შესცქერიან ახალი დღის დაწყებას. უიმედობა, გაურკვევლობა, ბურუსი.

მაინც მრავლდებიან. მონები ეთქმით, მაგრამ მაინც ცხოვრობენსავით. ჯერ არ გადაშენებულან, არ გადაჯიშებულან, მტრის ენაზე არ დაუწყიათ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბარი. უცხო ტომის ქალს გაურბიან, თავიანთი მოყავთ ცოლად, ებრაელი. თავისდაუნებურად იბრძვიან, იბრძვიან ყველასთან, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან. ებრძვიან შიშს, იმ თანდაყოლილ საზიზღარ შიშს, რომელიც გაჩენისთანავე გაუჯდათ სულსა და ხორცში. ებრძვიან, მაგრამ მარცხდებიან — მაინც ეშინიათ, მაინც ვერ იღებენ ხმას, ვერ იმაღლებენ. ეშინიათ, რომ ესეც არ დაკარგონ — რაცა აქვთ. მონები ჰქვიათ, მაგრამ სიცოცხლე ხომ გააჩნიათ, ხანდახან კუჭის ამოვსებასაც ახერხებენ. საშინლად დაღლილნი ღამღამობით, გათენებამდე, საკუთარი ძილის ხარჯზე მაინც ახერხებენ ცოლთან მოსიყვარულებას, დილით კი ნახევრად მშიერი, მაგრამ მაინც შვილების მზერას აწყდებიან — ამასაც არა უშავს, ნეტამც ეს მაინც არ დაკარგონ და, ჯანდაბას; დე, ერქვათ მონები! დე, იცხოვრონ პირუტყვებივით — სულ არაფერს ეს მაინც სჯობია.

იცდიან. იცდიან დიდხანს, მოთმინებით. რისთვის იცდიან ან ვის ელოდებიან, არ კი იციან, მაგრამ მაინც იცდიან. იცდიან მთელი სიცოცხლე, მთელი მონური ცხოვრება, ხოლო სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობენ, ამ მოლოდინს შვილებს გადასცემენ... და ისინიც იცდიან მანამ, სანამ მათ მიერ დავიწყებული მაღალი ღმერთი მათაც არ მოუხმობს სულთა საუფლოში. მხოლოდ მაშინ ახსენდებათ ღმერთი, აბრაამის სახეც მაშინ ამოტივტივდება მათ მეხსიერებაში და ბოლოს, სიცოცხლის ბოლოს, როდესაც უზენაესი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგნენ — ინანიებენ ყველაფერს.

ინანიებენ, რომ ღმერთმა ხელები მისცა, მაგრამ ეს ხელები სხვისთვის აქნიეს; ინანიებენ, რომ ღვთისგან ბოძებული ენით მხოლოდ ღვთის მაგინებელი სიტყვები გადმოანთხიეს; ინანიებენ, რომ ფეხები, ძლიერი და დაკუნთული ფეხები მხოლოდ გასაქცევ ან დასაჩოქ საშუალებად ჰქონდათ წარმოდგენილი... და ყურები, რომელიც ღმერთმა ბუნებისა და სამყაროს სულის მოსასმენად მისცა, გამოიყენეს იმისთვის, რომ ესმინათ სატანის ნაშიერი ეგვიპტელი მბრძანებლის შეურაცხმყოფელი სიტყვები.

მაგრამ გვიანღაა, უკვე სიკვდილიც მოახლოვდა. შვილს კი ანდერძად კვლავ მოლოდინს უტოვებს და არა იმ ჭეშმარიტებას, რომელიც სულ ახლახან აღმოაჩინა... და არის ასე, ისტორია გრძელდება და მეორდება, ებრაელები კი ცხოვრობენ ეგვიპტის დაწყევლილ მიწაზე. ებრაელი მონის სინონიმად იქცა, ისინი კი ყურებსაც არ იპარტყუნებენ, — ეშინიათ, ძალზე ეშინიათ, მტერი ძლიერია, ებრაელობა კი ჭკვიანი და ფხიზელი, ლოგიკურად მსჯელობს — აბა, ასეთ მტერთან ბრძოლა როგორ შეიძლება. სჯობს მონობა. გაცილებით სჯობს.

ისიც ასეთია — პატიმარი. გრძნობს ამას და სცხვენია. მასაც მონობა ურჩევნია და ისიც ელოდება, ელოდება ოღონდ მას, ვის სახელსაც იმეორებდა გულში ცოტა ხნის წინათ. დანარჩენნი ფაჩუჩებს ქსოვენ, ზოგიც ნიფხვებს კერავს. მას კი თვალები დაუხუჭავს და ეგვიპტის ამბებს უცქერს.

აი, ფარაონმა უკვე ბებიაქალები დაიბარა და უბრძანა, ყველა ახალშობილი ებრაელი მამრი მოაკვდინონ. პატიმარმა უკვე იცის, რომ ქალები არ შეასრულებენ ფარაონის ბრძანებას და მშვიდადაა. ებრაელთა პირმშოთა ჯერჯერობით განსაცდელი არ ემუქრებათ. ფარაონმა კი ეს არ იცის და როდესაც გაიგებს, სიმშვიდის ნაცვლად სიშმაგე დაეუფლება. გიჟსა ჰგავს, იმუქრება. პირზე დუჟი ადგას. თვალები გადმოუკარკლავს და მუშტებს იქნევს.

შემდეგ ჯალათებს უხმობს და უბრძანებს, ის გააკეთონ, რისი გაკეთებაც ვერ ან არ შესძლეს ბებიაქალებმა. მონები არიან, მაგრამ სწრაფად მრავლდებიან. ერთხელაც რომ მათ-

ეროვნული

შიც გაილვიძოს მიძინებულმა გრძნობამ, მერე რაღა ქნას ფარაონმა? არა, უმჯობესია გაწყდნენ. დაუხოცეთ ახალშობილი ვაჟები!

ებრაელობა გმინავს. ღმერთი არ ეხმარება მათ, რადგან ხშირად უგმიათ და ახლაც აგინებენ მას ებრაელნი. აწ განსაკუთრებით, რამეთუ ხედავენ ყრმა ვაჟს, ოჯახის იმედს — მახვილით განგმირულს. ღმერთს უმადურები არ უყვარს, ემსგავსეთ იობს და ათკეც აგინაზღაურდებათ. ებრაელობას კი არ სურს, იობს ემსგავსოს. ფარაონის მოხელეთ და ჯალათთ ვერ უბედავენ გინებას და ისევ და ისევ შემოქმედს თათხავენ და კიცხავენ. არ უწყიან კია საბრალოებმა, რომ მათი თათხვა, აი, იმ ღობეს ვერ გასცდება, რამეთუ ჭიანჭველა მზეს ვერ შესწვდება, ხოლო პატარა შვილის შენაფურთხს მამა ხუმრობად ან უზრდელობად მიიღებს და დატუქსავს მხოლოდ. არც ის იციან ებრაელებმა ან არ უნდათ, იცოდნენ, რომ, რაც უნდა უძლები იყვნენ, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოინანიონ გულწრფელად და ზეციური მამა მათ გულში ჩაიკრავს და დაუდევრობასა თუ უზრდელობასაც მიუტევებს, რამეთუ კეთილი არს და გულმოწყალე.

მაგრამ, არა! ებრაელები ცოდვას ცოდვას უმატებენ და ემატება სისხლს სისხლი. ტირილს ტირილი, პროტესტს კი კვლავ მხოლოდ ღმერთს უბედავენ, რამეთუ ძალზე შორს ჰგონიათ ის.

იმ პატარა ქოხში კი უკვე იშვა პატარა ბიჭი — ლამაზი, ჯანსაღი, ღონიერი. ის არის მოსე, სწორედ მას დააკისრა უფალმა დიდი მისია... მაგრამ რა ხდება? რა არის ეს? ხმაური ისმის. ეტყობა, ბავშვის ღნავილი მოხელეთაც გაიგეს და აწ სახლში შემოსვლას ლამობენ. გამწარებული და ახალი ნალოგინები დედა კი შვილს იხუტებს და სახლის ერთ ბნელ კუნჭულში მალავს.

გადარჩნენ. მგონი გადარჩნენ...

როდემდე შეიძლება დამალვა? როდემდე შეიძლება ბავშვს ქურდულად აწოვო ძუძუ?! როდემდე უნდა აფარო ატირებულს პირზე ხელი, რომ ვინმემ არ გაიგოს? თან ბავშვი სწრაფად იზრდება, ქართული ზღაპრის არ იყოს, სამი თვის უკვე სამი წლისას ჰგავს.

... და ბოლოს სარისკო გადაწყვეტილება! დედა კვლავ უარზეა, მაგრამ ბოლოს მასაც ითანხმებენ და არწმუნებენ თავიანთ სიმართლეში.

შე ძაღლიშვილო შენა, — ხმაური ისმის. ჩოჩქოლი. პატიმარი თვალებს ახელს. ვიღაცა ვიღაცას ურტყამს. ვიღაცებიც აშველებენ. არა, შეეშალა, კი არ აშველებენ, არამედ წაქცეულს უმატებენ. წაქცეულს ცემა სჭირდება. „ძაღლიშვილი" კი სისხლში წევს და ხმის ამოღების თავი არ აქვს. მხოლოდ თვალებით, გაწითლებული და ჩალურჯებული თვალებით შესთხოვს, ემუდარება...

შემოდის მედილეგე. ყველა უცებ დაწყნარდა. ვითომ არაფერია, ნაცემი გარეთ გაყავთ. დიდი რკინის კარები იხურება, შემდეგ გასაღების გადატრიალების ხმა ისმის. ჯერჯერობით არავინ დაუსჯიათ.

ნილოსის ტალღებზე მოციმციმე კალათა კი ფარაონის ასულმა უკვე დალანდა. მსახურთ უბრძანა. უბრძანა, წყლიდან გამოეტანათ.

კალათა ფისით არის ამოლესილი. ინტერესით აცლიან ფისის საფარველს. ბავშვი. დიახ, ბავშვი. ფარაონის ასული სიყვარულით დასცქერის ლამაზ პატარას, რომელიც ტუჩებს სასაცილოდ აცმაცუნებს. ებრაელია, ფიქრობს ფარაონის ასული და ბავშვი ხელში აჰყავს. წამით ყოყმანობს, შემდეგ კვლავ ბავშვს დახედავს. ბავშვმა გაუცინა და ყოყმანსაც ბოლო მოეღო. თმაზე უსვამს ხელს და ეალერსება. ბავშვს ეალერსება. ამას ძიძა სჭირდება, ფიქრობს. შორიახლო ვიღაც უცნობი ქალი დგას. ფარაონის ასულს მიეახლება და სამსახურს შესთავაზებს— მე გაგიზრდით ამ ბავშვს. უცნობ ქალს აკვირდება და გულში იცინის, გამოიცნო. მიხვდა, ყველაფერს მიხვდა. ამიერიდან ეს ბავშვი სასახლეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცხოვრებს, მისი ძიძა კი, აი, ეს იქნება. უცნობი ქალი მადლობის ნიშნად თავს ხრის. ის მარიამია, მოსეს უფროსი და. ისიც მიხვდა, რომ დიდებულმა ქალბატონმა გამოიცნო მათი ჩანაფიქრი და გუნებაში აქებს და ადიდებს დიდსულოვან ასულს ზეიადი ფარაონისას.

პატარა მოსეს მდიდრულად მოსავენ და „ძიძასთან" ერთად სასახლეში მიჰყავთ, აი, ბედის ირონია: ბავშვს, რომელსაც ფარაონისგან სიკვდილი ელოდა, იმავე ფარაონის სასახლეში ბრწყინვალე მომავალი და დიდებული აღზრდა ელის. გონება კვლავ არ მუშაობს. დროა, მორჩეს ფიქრს და ორიოდ ფაჩუჩი მაინც მოქსოვოს, თორემ აგურებზე წაათრევენ, მოელის. ხვალინდელ დღეს და-ძმა მშვიდად და ბედნიერად შეხვდება.

თურმე რაც უნდა დააშავონ, აგურებზე მაინც არ წაიყვანენ (იმიტომ არ დასაჯეს არავინ იმ საწყლის ცემის შემდეგ). დღეს კიდევ ერთი გაფრენილა და ციხის უფროსს მთლად დაუკარგავს წონასწორობა. იგინებოდა, ყველას დასჯით ემუქრებოდა. მედილეგეებმაც მათზე იყარეს ჯავრი და სასეირნოდ აღარ გაიყვანეს. არც არასდროს წაგიყვანთო. აგურების დანახვა და მათი თრევაც მოენატრებათ.

მერე გაიგეს. ციხის უფროსი მიწასთან გაუსწორებიათ. მასაც დაემუქრნენ. სამი შვილის მამა, მწელია ულუკმაპუროდ დარჩენა. ქვეშევრდომებზე იყარა ჯავრი.

არავის აღარა აქვს სურვილი, დაასუფთაონ საკანი. სიბინძურეში იხრჩობიან. ახლა, ალბათ, საჭმლის ულუფას შეუმცირებენ და ასე ამძულებენ. ფაჩუჩებს მაინც ქსოვენ. ნაფხვენსაც ძველებურად.

გაფუჭებულები. შვილიშვილმა ბებია გააუპატიურა. მამამ კი შვილი ფეხებით ჩამოკიდა. ასო-ასო აჭრა და მარილი დააყარა. როგორ გაბედეო, დედაჩემზეო, ასეთი რამეო, შე ასეთო და ა. შ. არადა, ასეთი მამა ბევრმა გაა-მართლა (შვილის გამართლებამდე ჯერ არ მისულან). ორთავე ჭირს წაუღია. დამპალი საზოგადოების დამპალი შვილები. ნუ ემონებით კერპთ! ბაალის მსახურნი. ყველა ჭირს წაუღია. თხა ჯერ არ მოფრენილა. არადა, ძალზედ მოენატრა. მართალია, სასაცილოა, ცოტათი ეშინია კიდეც, მაგრამ მაინც სურს მისი ნახვა — საინტერესოდ ლაპარაკობს. ოღონდ ცოტა ბოღმით. სიმართლეს. ბოროტებაგარეულ სიმართლეს.

გადის წლები. მოსე იზრდება და ვაჟკაცდება. სასახლე ეგვიპტელად ზრდის. ეგვიპტურად მოსავენ, ეგვიპტურად ასწავლიან საუბარს. ქურუმებთან დაჰყავთ განსასწავლად. ის ყურადღებით უსმენს ქურუმებს, მათ ხომ ნაოჭები აქვთ შუბლზე, ნაოჭი კი დიდი ჭკუის ნიშანია. გარყვნილებასაც ყრმობიდან შეეჩვია. აი, ჯერ თექვსმეტი წლისაა, მაგრამ ქალის სხეულს მშვენივრად იცნობს. სასახლეში, ალბათ, დიაცი არ დადის, მოსესთან რომ არ გაეთიოს ღამე. ლამაზი ბიჭია, მაღალი, ძლიერი — ყველას უყვარს.

როგორც წესი, ღამღამობით მოდიან: კი არ მოდიან, მოიპარებიან, ხშირად უკანაც იხედებიან — ეშინიათ უცხო თვალის. ქმარს გრძელი ხელი აქვს — არ აპატიებს. არც მზისდარი ფარაონი დარჩება კმაყოფილი სასახლის უბრწყინვალესი ქალბატონის გარყვნილების ამბავი რომ გაიგოს.

მოსვლამდე სასახლის აბანოში განიბანება, მკერდს მცენარეული ზეთით დაიზელს, ბაგეს თხლად იღებავს, ლოყებსაც იწითლებს და შემდეგ მოიპარება. მოიპარება, როგორც ქურდი.

სამჯერ დაკაკუნებს კარზედ. ეს ნიშანია. ეთიოპელი მონა კარს აღებს და ჩუმად შეუძღვება ქალბატონს საძილე ოთახში. იქ მოსეა, რომელიც მკერდში იკრავს საყვარელს, შემდეგ საწოლზე აგორებს და დილამდე ეძლევიან გარყვნილებას.

დილით მონას ტკბილი სასმელი შემოაქვს, რომელიც გონებას აბრუებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე ცაში დაფრინავს, ხედავს მოჩვენებებს. ყველაფერი ადვილი ეჩვენება — ის ხომ ყოვლისშემძლეა!

შემდეგ სიფხიზლე. ახალგამოღვიძებულის უსიამო გრძნობა. მიწაზე დაბრუნება. ყველა ადვილად გადასაწყვეტი საკითხი ათმაგად რთული აღმოჩნდა.

ასე გარბიან დღეები. მოსეს აღარც კი უნდა, რომ ახსოვდეს ებრაელობა, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. მისი და პატარაობიდანვე ებრაელად ზრდიდა, აწ დედა მოდის და ახსენებს, რომ მონათა ერის შვილია. დედა სტირის და მწუხარებს — მის შვილს არა აქვს უფლება, იყოს ბედნიერი, როდესაც მისი მშობელი ხალხი უბედურია.

მოსეს კი არ სურს, იყოს უბედური. არ სჭირდება მონათა მოდგმა. ის ეგვიპტელია, სასახლეში გაზრდილი ბრწყინვალე არისტოკრატი. ის ვერ გაცვლის პირმშვენიერი ეგვიპტელი ბანოვანის რბილ მკერდს ებრაელის მძიმე ტვირთში — მას არ სურს ეს.

ეს სიმდიდრე ხომ მისია. ეს უამრავი აბანო თუ საზაფხულო სასახლე ხომ მას ეკუთვნის, ძლევამოსილი ფარაონის ასულის უსაყვარლეს შვილობილს. განა ფარაონი არ უწოდებს მას „შვილოს“ და არ ეფერება? განა კარისკაცნი და დიდმოხელენი არ თრთიან მის დანახვაზე და არ აკანკალებთ? ამ „ღლაპს“ განა არ შეუძლია ყოველი მათგანი უდაბნოში გადაკარგოს და სიცოცხლე წაართვას?

არა, მოსე ამ ცხოვრებას არ გაცვლის სხვა ცხოვრებაში, არ გარდაიქმნება. ტყუილად ირჯება დედამისი, სულ ტყუილად უხსენებს აბრაამისა თუ იაკობის სახელებს... ებრაელთა ღმერთიც უცხოა მისთვის და მიუღებელი. არ სჯერა მას ამ ღმერთის, არ უხილავს თვალით და, ალბათ, ვერც იხილავს, რადგან... არ არსებობს. დიახ, არ არსებობს და რაც არ არსებობს, როგორ შეიძლება იხილო...

არა, ხანდახან კი შემოაწვება ნაღველი. რატომ? თავად არ უწყის. რატომ. თავისდაუნებურად ებრაელობა ახსენდება, წამოსახვით მათ ყოველდღიურ ცხოვრებასაც თვალს ადევნებს, მაგრამ სულ მალე აიძულებს თავს და სხვა რამეზე ფიქრობს... და მაშინ, როდესაც ფარაონის ქოშს კოცნის, საბოლოოდ ავიწყდება მონური წარმომავლობა და უფრო მტკიცედ არწმუნებს თავს და სჯერა, რომ მართლაც ეგვიპტელია და არაფერი საერთო არა აქვს სუნიან ებრაელობასთან.

ოცდაშვიდი წლისა უკვე ფარაონის სასახლის განმგებლად ინიშნება და მის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. თავმომწონედ დადის, სალამს წყალობასავით იშვიათად იმეტებს, საყვარლებისა და მეშურნეების რიცხვსაც თავისდაუნებურად ამრავლებს.

ხანდახან, ქუჩაში ტახტრევანით მოსეირნეს, ერთი და იგივე სახე ხვდება. სახე დაღარული, მცხუნვარე მზისგან გაშავებული, სიცოცხლეჩამქრალი გამოხედვა. მონობას შეჩვეული სიკვდილის გამოხედვა.

მოსეს დანახვაზე ის ჩერდება და დიდხანს, დაშტერებით უყურებს მას... და ასე ყოველთვის. მონა ებრაელია, იცის ეს მოსემ, მაგრამ მისგან რა უნდა, ნუთუ მას არა აქვს უფლება იყოს ბედნიერი, იცხოვროს ტკბილად? ნუთუ ის მონა გაიხარებს, რომ მოსეც მის ბედში ჩავარდეს, ნუთუ შეიცვლება ამით რამე?

სახე კი შეჰყურებს. შეჰყურებს დანანებით, მორჩილად, ოდნავი ზიზღით. თითქოსდა მოსე იყოს მონა და იმსახურებდეს ზიზღიან გამოხედვას. ერთხელ მოწყალება გაიღო და მისცა ორიოდ მონეტა.

გმადლობთ, მონამ თავი ჩაღუნა, ერთხანს იყო ასე, შემდეგ კვლავ მოსეს ახედა, ცრემლიანი თვალები შეანათა, თხელი ტუჩები ბრაზით აუცახცახდა, ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ კი გაბედა და მონეტები ცხვირწინ მიუყარა... მოსემ ხმლიანი მცველები შეაჩერა და არ მოაკვლევინა უმადური

მოსე

ესეც ასე. აი, როგორ იციან სიკეთის დანახვა, აი, რანი არიან. სწორი იყო ფარაონი, მათ რომ მუსრს ავლებდა და ახლაც სწორია, ვირებივით რომ ამუშავებს. არ უნდა სცე ასეთ ადამიანებს პატივი.

ოჰო, ძველი ნაცნობი მოსულა — თხა!

ისე შეუმჩნევლად და ჩუმად მოფრენილა, რომ ფიქრებში წასულ პატიმარს ვერაფერი გაუგია. თხა სალამურზე უკრავს. უკრავს ძალზედ ტკბილად, შემდეგ ამბობს — არკადიელმა მწყემსებმა მასწავლეს, ხომ კარგია? პატიმარი თავს უქნევს, მართლაც კარგია.

მოემზადეთ! ყველანი მოემზადეთ! ჩაირთო თხა. აღსასრული მოახლოვდა. წამოიკიდეთ კუბოები, გათხარეთ ორი მეტრის სიღრმის საფლავები და ელოდეთ, ელოდეთ სიკვდილს. თავადვე დაიხუჭეთ თვალები, დაიკრიფეთ გულზე ხელი, ეცადეთ, არ ისუნთქოთ — ასე უფრო მალე მოკვდებით.

ცოდვილნო, ძრწოდეთ! მოახლოებული არს... ცალფეხა და ცალტვინა დემონი აღარ მიდის წინ. ვერ მიდის, თორემ კი წავიდოდა, მაგრამ მეტი წინ წასვლა აღარ შეუძლია. დაიღალა, დაიქანცა, გაიოფლა... თან დიდი წინაალმდეგობა უდევს — ვერ გადალახავს.

ემზადეთ სიკვდილისათვის!

...შემდეგ კი ის და მისი თხა პატიმრის საწყალ ულუფას ძმურად იყოფენ და მხოლოდ ნაშუაღამევს ემშვიდობებიან ერთმანეთს.

## III

მედილეგეები. სამი მეოთხედი უცხოთესლნი. მცირე ნაწილი თანამოძმეთა. მათი გამხდარი, წელში მოხრილი ფიგურები. პატიმრებივით ისინიც შეეჩვივნენ სიბნელეს და გარეთ გასვლა არ სურთ — უჭირთ. მედილეგეები პატიმრებისთვის არიან გაჩენილნი, პატიმრები კი მედილეგეებისთვის — ორთავე მხარემ იცის ეს.

უცხოთესლნი ბობოქრობენ. ხშირად იგინებიან. ზოგჯერ ურჩებს წიხლებსაც ჩააზელენ ხოლმე. ჰგონიათ, რომ საქმეს აკეთებენ და საღამოობით კმაყოფილნი წრუპავენ „ცეცხლოვან წყალს". ერთმანეთს ადღეგრძელებენ, ჭიქებს მიუჭახუნებენ და სულმოუთქმელად ჩაიცლიან (რჯული კი უკრძალავთ!).

თანამოძმენი უფრო ნაღვლიანნი არიან. გრძნობენ, რომ კარგ საქმეს არ აკეთებენ, მაგრამ სარფიანი სამუშაო რომ არის, ესეც კარგად უწყიან გაბოროტებულნი. ყველასაგან გარიყულნი. საძულველი მედილეგეები. ზოგჯერ უცხოთესლთ აჭარბებენ სიმკაცრეში. სიძულვილს სიძულვილით უნდა უპასუხო. შესტრფიან მოღალატე როსტომ მეფეს და შიშით შესცქერიან მომავალს. ეს ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, მათაც არ დაადგებათ კარგი დღე. სააკაძე ჯერაც არ დავიწყნია ხალხს. ამიტომაც არის, რომ როსტომს მაგათზე ერთგული ხალხი არ ეგულება.

ღორთმოძულე ოკუპანტები კი ბოლომდე არც როსტომს ენდობიან და არც ქართველ მედილეგეებს, მაინც წყეული სისხლი უჩქეფთ — გიაური სანდო არ არის! აკი, გიორგი სააკაძეც მართლმორწმუნე შიიტისა და შაჰის სარდლის როლს თამაშობდა წლების განმავლობაში, ბოლოს კი... ბოლოს კი მისი „შიიტობა" სპარსეთს ნახევარი არმიის ფასად დაუჯდა.

მოღალატეებმა დაღუპეს საქართველო! დაასკვნა ბოლოს პატიმარმა. მოღალატეებმა და ქალებმა. გაეცინა. მწარედ გაეცინა. არც ქალია და არც მოღალატე, მაგრამ ცუდი თუ არა, არც კარგი გაუკეთებია ერისთვის.

როსტომისნაირებს მაინც სჯობია. დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი. ბაგრატოვანი. მესიის მახვილი... ისემც... იუდა ისკარიოტელი. მოღალატე. გამაჰმადიანებული (ღორს არ

გეახლებათ — ღვიძლზედ ვნებს, ამიტომ გამოიცვალა რჯული).

ზოგიერთი ბედავს და აქებს როსტომს. ქვეყანა დამშვიდდაო, ომიანობა შეწყდაო, სპარსელნი აღარ გვაწიოკებენო... რის საზღაურად? რა ფასად? ეკლესია-მონასტრებს ხურავენ. ქართველი ერის სულიერი მამა კლდიდან გადაჩეხეს. სამღვდელოებას ავიწროებენ და სდევნიან. სამაგიეროდ, მოლები მომრავლდნენ. სასახლის კარი ქართულად ლაპარაკს თაკილობს, სპარსულად ლაპარაკობს.

ქრისტიანი მეფის ნაცვლად გამაჰმადიანებული როსტომ ხანი, სულით ცვედანი მართავს ქვეყანას. ყოველწლიურად ეზიდებიან საქართველოდან სიმდიდრეს, რჩეულ ქალ-ვაჟთაც ზედ აყოლებენ და თურმე ეს ყოფილა მშვიდობა, ეს ყოფილა ჭეშმარიტი ბედნიერება და ნეტარება.

ბულბულს ვინ კეტავს გალიაში ქორმა არ შეჭამოსო?

მონებო, გეყოთ ძილი, დროა გამოფხიზლდეთ! გაახილეთ ეს დასაფსები თვალები და შეხედეთ ქვეყნიერებას, შეიცანით იგი და შემდეგ გააკეთეთ დასკვნები... მაგრამ შეჩვეული ჭირი თურმე მაინც ყველაფერს სჯობია.

იყავით ეგრე. იძინეთ მშვიდად. თქვენი მყუდროება არავინ დაარღვიოს. თქვენ ისე გაგიტკბათ მონობა, რომ მასში უკვე სიამოვნებას ჰპოულობთ. საკუთარ ხორცს იძიძგნიან, გულს იკორტნიან, თვალებს იფსებენ, ყურებში ფისს ისხამენ, ენაზე მუგუზალს იდებენ და არიან ასე, — ლამაზად, ტკბილად, კოხტად.

კურდღლები, მშიშარა კურდღლები.

თვითონაც კურდღელია. ბუნების კანონით კი ორ ერთნაირს სძულს ერთმანეთი... და თავის ცოდვებსაც სხვებს ჰკიდებს პატიმარი. ბრბოში საკუთარ სახეს ხედავს და ეზიზღება ეს ბრბო, კურდღლები. მშიშარა კურდღლები.

იოსები. ოჰ, რა ბედნიერი იყო ხალხი იოსების დროს. ჰიქსოსებს უყვარდათ ებრაელები, იოსებს ხომ უდიდეს პატივს სცემდნენ. აი, მაშინ ჰქონდათ ცხოვრება, თორემ ახლა რა, მონები არიან. ორმოცი წლის მოსე ვარსკვლავებით შეჭედილ ცას შეჰყურებს და ოქროს ხანაზე ფიქრობს. საწყალი, ნატანჯი ერი ჩემი, იკვნეტავს ტუჩებს... დილით კი კვლავ ეგვიპტელი დიდებული თხოულობს აუდიენციას მზეთასწორ ფარაონთან. ღამით ნაფიქრი არ ახსოვს. აწ ეგვიპტელია და არაფერი ესაქმება ქედმოდრეკილ ერთან. ღამით, სინდისის გამაღვიძებელ ღამით, ფიქრობს მოსე მშობლიურ ხალხზე და თავს ებრძვის, გათენებამდე ებრძვის საკუთარ თავს. დილით კი გამარჯვებული ეგვიპტელი აგრძელებს მდიდრულ ცხოვრებას.

დღეს დანტონი დასაჯეს სიკვდილით!

პატიმარი შეცბა, ისე მოულოდნელი იყო მისთვის ეს სიტყვები. თხა, კვლავ წყეული თხა. ხომ არ მიბრაზდები — შეგეშინდა, არა? პატიმარი თხის მიმართ კვლავ სიყვარულით იმსჭვალება და ყურს უგდებს.

აი, რევოლუცია ერთად მოახდინეს, ახლა კი... სად არის ადამიანის სისხლს მოწყურებული მარატი? კორდემ მოკლა. სად არიან ბრისო და ჟირონდისტები? — გალმა. მარატთან. ცოფიანები და ის საცოდავი ჟაკრუ? — ისინიც იქ. ალბათ, ბანქოს ეთამაშებიან სატანას. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთმანეთი გადახოცეს, ამოწყვიტეს, გადაჭამეს — ასეა, ძალადობის ძალადობით აღმოფხვრა არ შეიძლება, აღმოფხვრი და ახალი ძალადობა წარმოიშვება.

იმ გადარეულმა რობესპიერმა ბავშვობის მეგობარი არ დაინდო, კამილ დემულენი და თავი მოჰკვეთა — რისთვის? რატომ? ნუთუ ადამიანთა ბედნიერება მოითხოვს ვისამე სიკვდილს. არ ერჩიათ ფრანგებს ის მოსულელო ლუი ამ შიზოიდს? ერჩიათ, მაგრამ ახლა გვიანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ნახავ, თუ რობესპიერსაც თავი არ მოკვეთონ — ვის შერჩენია წუთისოფელი, მაგას რომ შერჩეს.

ყოველდღიურად ათასი ადამიანი აჰყავთ გილიოტინაზე, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს, რომელთაც ხვალ იგივე ბედი მოელით, ეუბნებიან, რომ ეს კეთდება ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ, სასაცილოა, არა?

კოლო დ' ებრუამ და ფუშემ მთელი ლიონი გაწყვიტეს — ალბათ, ესეც ლიონის და ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ... დაიქცა ბაბილონი! ვუბრუნდებით ბაბილონს! ისტორია მეორდება. ცალფეხა და ცალტვინა დემონი კუს ნაბიჯებით მიდის წინ. შესაძლოა, სულაც არ მიდის და ჩვენ ვინუგეშებთ მხოლოდ თავს, არა, არ მიდის. უფრო სწორად, ვერ მიდის, თორემ რატომ არ წავიდოდა.

ჭრელო პეპელა... ჭრელო პეპელა... ჭრელო პეპელა... გვიყვარს პეპლები. ვაკეთოთ ჰერბარიუმები. გაუმარჯოს ჰერბარიუმს! ძირს ბუნებისა და სილამაზის მტერი! გაუმარჯოს ჰერბარიუმს და მთელი მსოფლიოს ფლორა-ფაუნას!

მოსემ ქვითინი ბალიშს მიაკლა. მთელი ტანი უძაგძაგებდა. დედა, აი, თურმე როგორ ყვარებია ის. როდესაც მის ცხედარს დახედა და გაყინულ შუბლზე ბაგე მიადო, მაშინ მიხვდა ამას. დაპატარავებულიყო კუბოში ქალი. სახეც დაპრანჭოდა. ნაოჭებიანი სახე. თვალები ჩაშავებული, სიღრმეში შევარდნილი. ოდესღაც სხარტი და მოძრავი, აწ უსიცოცხლო თხელი ტუჩები, მიწისფერი რომ ადევს.

დედა. ერთადერთი დედა. ყველაფრის პატიება რომ შეუძლია — ღალატისაც კი! გულზედ სიმძიმე იგრძნო — ღალატისაც კი? ნუთუ მოღალატეა? ხალხს გახედა. ბევრნი შეჰყურებდნენ სასახლიდან ქურდულად გამოპარულს. მხდალი. მკვდარი დედის სანახავად ღამით მოვიდა. ეშინია.

რატომ უყურებენ? ნეტავ რა უნდათ? რა, თვითონ არ არიან მშიშრები? რომ არ იყვნენ, არც მონები იქნებოდნენ.

ის კაცი კი მისი ძმაა. აარონი. ძალიან გვანან ძმები ერთმანეთს, მაგრამ აარონს ენა არ ებმება.

მარიამი კედელთან ატუზულა და ზლუქუნებს. რამდენიმე დიაცი შემოხვევია გარს — აწყნარებენ. ებრაელობა შეჰყურებს მოსეს, მოსეს კი წამოსვლა უნდა.

იხსენებს. ყველაფერს იხსენებს. და თან ტირის მოსე. სასახლეში. სასახლეში ტირის ამხელა კაცი. თურმე ყვარებია დედა. იმ ხალხს და მათ მზერას გამოექცა, აქ მოსულს კი კვლავ იქ ყოფნა უნდა. რატომღაც სითბო იგრძნო იქ. სითბო. სასახლეში კი ცივა.

ეს საოცარი სახეები, მოსეს რომ შეჰყურებენ... არა, რა უნდათ, რას გამოელიან მისგან? რით შეუძლია მათ უშველოს, რით?

ლევის ტომიდანაც იყვნენ. მისნი. ღვიძლნი და სისხლ-ხორცნი. პირქუში, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სახეები. სხვა ტომებიდანაც. მთელი ებრაელობა. ბენიამინის ტომის ქალმა პატარა ბარათიც ჩაუდო ხელში.

„შენ დღეს დაკარგე დედა, დედა კი ერთადერთია ქვეყნიერებაზედ. მას ვერც ფარაონი და მისი ასული, ვერც სიმდიდრე და ძალაუფლება შეგიცვლის. ეცადე, არ დაკარგო სამშობლოც. ისიც დედასავით ერთადერთია, მასაც ვერ შეცვლი, შენ კი გაგტანჯავს... იყავ შვილი ჭეშმარიტი და დაგიცავს ღმერთი აბრაამისა!“

მას ყვარებია დედა, ყვარებია ძალიან.

სამშობლო კი, არ იცის, თუ უყვარს. ნუთუ სამშობლოც უნდა მოკვდეს, გაიჟუჟოს ებრაელობა, რომ მოსემ იგრძნოს სამშობლოს სიყვარული? არა, არა და არა! რაღა ფასი აქვს ასეთ სიყვარულს. ხანამ ცოცხალია ერი მისი, მანამ უნდა შველა, თორემ მკვდარს ყველა დაიტირებს.

დილა. ეგვიპტის მზე აქეთ-იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგზავნის სხივებს ელჩებად. მოსე საზეიმოდ ირთვება. ყველაფერი დაავიწყდა. ღამით ნაფიქრი არ ახსოვს. მართალია, სევდა კვლავ აქვს გულზედ შემოხვეული, მაგრამ ეს დედის სიკვდილის ბრალია. სამშობლო კი... მისი სამშობლო ეგვიპტეა. ბენიამინის ტომის ქალის ბარათს ცეცხლში მოისვრის — ესეც ასე. ნუთუ ვერ გაიგეს ამდენ ხანს, რომ მოსე ეგვიპტელია.

რა ვუყოთ საყურეს, რომელიც ყურზე დიდია? გაეცინა. პატიმარს გაეცინა, სხვებმა გაკვირვებით შეხედეს. ნეტავ მარტო რატომ იცინის, ხომ არ გაგიჟდა? ჩამოვიკიდოთ? დიახ, საყურე მაინც უნდა ჩამოვიკიდოთ. შემოვიკრავთ შემდეგ ყურზე თითს, საყურე გაიბძრევა და ძინ-ძინ, ძინ-ძინ, გამოსცემს, ალბათ, მუსიკალურ ხმებს. უსაქმობის ჟამს შეიძლება კაცი ამით გაერთო, მაგრამ საყურე არა აქვს და...

ორ მათგანს საკუთარი დედების გაუპატიურება განუზრახავთ. ერთზე ამბობენ კიდეც განიზრახა და კიდეც შეასრულაო. ორივე თავკაცობს საკანში. პატიმარი ნაღვლიანად უცქერს მათ.

ერთია კიდევ, — ახლა ნიფხავს კერავს, — ნიძლავზე ბებია მოკლა. რომ, არ მომეკლა, მე თავად მომკლავდნენო — იმართლებს თავს. რა ექნა, აბა, იმ საწყალს, შემდეგ თავად გამოტყდა, ნიძლავზე კი არ მოუკლავს, ქალალდში ჰქონია წაგებული.

ის ჭაღარა კაცი კი ჰაშიშს ავრცელებდა. ყველა აკეთებს ახლა ამას, მაგრამ მას ნამეტანი მოსვლია. ზის ახლა და ოცნებობს.

ერთია კიდევ, დამთხვეული, არაფერი დამიშავებიაო, იძახის. ან გიჟია, ან მატყუარა. კაცი რადგან ზის, ესე იგი, დამნაშავეა.

როსტომ მეფის საჭურისიც ზის აქ. რისთვის ზის, არავინ იცის. თავად ხმას ვერ იღებს, როსტომმა ამოაგლეჯინა ენა. ჩასუქებული. თეძოსქელი. მკერდიც ქალივით აქვს. ელამი, მთვრალი თვალები და ბოროტი გამოხედვა.

რატომღაც ხელი ყურისკენ გაექცა. ეს ორი-სამი დღეა ხშირ-ხშირად გაურბის ხელი ყურისკენ. შემდეგ თითებით ისრესს ყურს. მარჯვენა. ყური. ის კი ისრესს. რატომ დასჩემდა. რაშია ნეტავ საქმე— თავად არ იცის.

თხაც მოვიდა. მეჩქარება. რაღაც უნდა გითხრა და უკანვე გავფრინდებიო. რობესპიერსაც თავი მოჰკვეთეს! „მოუსყიდავი" მოკვდა. გაუმარჯოს ბარასს! გაუმარჯოს დირექტორიას! აკი, რას ვამბობდიო, უთხრა და გაფრინდა.

საღამო. მზემ უკანასკნელადღა გაიბრძოლა და აწ ბედს შერიგებული სადღაც იკარგება. მუქი ღრუბლები ზანტად დასრიალებენ ცაზედ. დიდხანს უნდა უყურო, რომ შეამჩნიო მოძრაობა. მდედრი ფრინველი თავისი შვილებით სავსე კალათას ფრთებით გადაეფარება. ძილის დროა. მამრ ცხოველს ნანადირევი მოაქვს „ოჯახობისთვის" და მხიარული წკმუტუნით იყოფენ ნადავლს.

ჭიანჭველებსაც მოუმთავრებიათ მიწური ქალაქის მშენებლობა და აწ დაწყვილებულნი ბნელ კუნჭულს ეძებენ, რათა ავ თვალს გაქცეულნი სიყვარულს მიეცნენ.

ხეებმა შეწყვიტეს ძაგძაგი. ქარი ჩადგა. მხოლოდ ნაზი სიო უბერავს საამოდ. ცაზე ნელ-ნელა იკვეთება ყვითელი მთვარის კონტურები. მუცელი მოსწყვეტია. თურქეთის დროშა. ქალაქიც დაწყნარდა. ძინავთ, ზოგიც მრუშობს. ისვენებს ხალხი. ახალ დღეს ახალი ენერგია სჭირდება. ებრაელობა კი მუშაობს. სამუშაო დღე მათთვის ჯერ არ დამთავრებულა.

მოსე. რამ მოიყვანა იგი აქ, რა დარჩენია?

თვითონ არ იცის. დაბნეული. გაოგნებული.

ფეხებმა დამოუკიდებლად, გონების უკითხავად მოიყვანეს აქ. ოფლში იწურება. ნერვიულობს. რცხვენია კიდეც. რისი რცხვენია, არ იცის.

მონები ცოტა ხანს შეჰყურებენ, შემდეგ კი ისევ აგრძელებენ საქმეს.

მოსე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ჯანდაბამ მოიყვანა მოსე აქ? ნუთუ ვერ გაიგო, რომ ეგვიპტელია და ამ საცოდავ, აქოთებულ და დამონებულ ხალხთან არაფერი ესაქმება. ნუთუ ასე ძნელია წარსულთან კავშირის გაწყვეტა? თან რა წარსულთან? მისი არსებობის პირველი სამი თვე — აი, ებრაული წარსული; აი, მისი ებრაელობის ხანა. ნუთუ ამ სამი თვის გულისთვის უნდა იტანჯოს და გაწამდეს, ნუთუ ამ სამმა თვემ უნდა მოუშხამოს მთელი ცხოვრება?

არ ახსოვს მას ეს წარსული ან კი როგორ ეხსომება. განა ვის ახსოვს თავისი თავი ერთ წლამდე, მას რომ ახსოვდეს.

რისთვის მოვიდა აქ, რისთვის?

ნუთუ სასახლეს ეს უბადრუკი სანახაობა სჯობია?

ნუთუ ზრდილ და ნატიფ ეგვიპტელ კარისკაცთ ეს უვიცი და ბინძური მონები აღემატებიან რითიმე?

ნუთუ მკერდსავსე და ჯანსაღ ეგვიპტელ ქალებს მკერდჩამომხმარი და მუშაობისგან ქალობადაკარგული ურიის დიაცნი სჯობიან?

...და ბოლოს! ფარაონის შვილობილობა არ ურჩევნია ამ უმადური ხალხის თუგინდ შვილობას?

მაინც მოვიდა!

გონება ამდენს ეომა, არწმუნა, უმტკიცა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიდა. მოვიდა, რათა კიდევ ერთხელ შეეხედა თანამოძმეთა ტანჯული სახეებისთვის. მოვიდა, რათა ეხილა მათი არაადამიანური შრომა და საბოლოოდ დარწმუნებულიყო თუ რაოდენ უღირსი ძე იყო ის თავისი ერისა. მოსე ბრაზით უმტკიცებს თავს ამ ჭეშმარიტებას.

კიდევ რისთვის მოვიდა?

არა, არ იცის! არაფერი არ იცის. ამდენი კი იაზროვნა და იფიქრა, მაგრამ რისთვის მოვიდა, მაინც არ იცის. ალბათ, არაფრისთვის. განა არ შეიძლება, სადმე წახვიდე ყოველგვარი მიზნის გარეშე? განა ადამიანის ყოველ მოქმედებას საფუძვლად გონებისგან შეკერილი სარჩული უდევს? არამც და არამც! რა უჭირდა მაშინ ადამიანს.

შემდეგ შოლტი. ჩვეულებრივი შოლტი. ამ შოლტით საქონელს სცემენ, უფრო ხშირად კი მონად წოდებულ ადამიანს.

ახლაც სცემენ მონას. ზედამხედველს შოლტიანი ხელი მაღლა აღუმართავს და ებრაელ მონას ურტყამს. მონა კი ჩაჩოქილა. სახეზე ხელები აუფარებია. ყრუდ გმინავს.

სადამდე უნდა მიხვიდე, ადამიანო, შენ გირტყამენ, შენ კი ჩუმად იყო. ჩუმად იყო არა კაცთმოყვარეობის, არამედ შიშის გამო. ეს ადამიანი არის ებრაელი? ნუთუ მოსე ამ ხალხის შვილია? ნუთუ ასე დაჩიავდნენ და დაპატარავდნენ, რომ ხმის ამოღების თავიც არა აქვთ?

...და აღილო მახვილი თვისი და ჩასჭრა ორად ზედამხედველი. დე, იცოდნენ, რომ ებრაელობას ქედი არასდროს მოუხრია და არც აწ მოიხრის. მოსე ებრაელია. ამ წამს დარწმუნდა ის. სისხლიანი მახვილი კაბაზე შეიწმინდა, თვალზე მომდგარი ცრემლი თითით მიიჭყლიტა...

ოოჰ, რარიგ ბედნიერია ის. თავისუფალი და ბედნიერი. ბოლო მოეღო ბრძოლას, ჭიდილს, გაორებას — ის ებრაელია, მის ძარღვებშიც ებრაული სისხლი ჩქეფს. თურმე რარიგ სდომებია მას მონობა... დიახ, მონობა საკუთარ ერის. მონად დაუდგება ებრაელ ხალხს — ოღონდ მიიღონ, შეიყვარონ, აპატიონ ცოდვანი სიჭაბუკისანი...

დიდება შენდა, ღმერთო! ვინ სთქვა, რომ შენ არ არსებობ? ვინ გაბედა და თავზედ გადისხა ლაფი შენის გინებით?

შენ რომ არა, როგორ, რანაირად დაუბრუნდებოდა მშობლიურ სახლს ორმოცი წლის წინ წასული შვილი უძღები.

გაქებთ და გადიდებთ, გამჩენო ყოვლისავსი — ეს რა ჰქმენ, რა ჩაიდინე, რა სასწაული, ფერისცვალება ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არნახული და არგაგონილი. დიდება შენდა!

მოსე ტირის. ტირის ორმოცი წლის კაცი და შვებას გრძნობს. შვებასთან ერთად ებრაელობას. ამ სიხარულს ვერ ანელებს მეორე დღეს ერთი უმადური ებრაელის მიერ ნათქვამი სიტყვები — მით უფრო საჭიროებს ეს ხალხი მოსეს, თავისი ხალხი.

ორი დღის შემდეგ კი, გამთენიისას, მგზავრი ვინმე სტოვებს ეგვიპტის მიწას, მისი აქ დარჩენა უკვე არ შეიძლება — სახიფათოა.

წავა მადიამს და იქაურ ურიებს, თავისუფალ ხალხს გადასცემს ცრემლნარევ მოკითხვას ეგვიპტეში მცხოვრებ უბედურ ძმათაგან.

ტილოში შეხვეულ მახვილს ეალერსება დილის შუქზე მიმავალი და ასეთი ბედნიერი ხვედრისთვის მადლობას სწირავს შემოქმედს.

პატიმარი კი კვლავ ყურს ისრესს. ნეტავ ის თუ გაბედავდა მოსეს ადგილზე იგივეს გაკეთებას? არ იცის. მგონი მაინც ვერ. ვერ გაბედავდა.

არა, ეს ყურის სრესვა რაღა დასჩემდა...

## ნაწილი მეორე

### IV

მადიამის მიწაზე ეს პირველი ჭაა, რომელიც შეხვდა, პირველი, გაგრილდება. ყელს ჩაიწმენდს. პირველი, არა, მოცდა მაინც მოუწევს — ჯერ ქალიშვილებმა აავსონ ჭურჭელი, შვიდნი არიან, დაითვალა. ერთი-ორი ლამაზიცაა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი. მეორე. მეორე და მეშვიდე მთლად ბოლოში რომ დგას.

თავხედი მწყემსები, ქალიშვილები აქეთ-იქით მიყარეს და თავად დაეწაფნენ წყალს. მოსე თავხედებს ვერ იტანს, ებრაელ თავხედებსაც. წამოიჭრება და დაიფრენს. დამფრთხალნი გარბიან. ესეც ასე. მიდით, მიდით, აავსეთ თქვენი ჭურჭელი, ქალიშვილებო.

გმადლობთ. შვიდი „გმადლობთ", შვიდი მორცხვი, თავდახრილი, ოდნავ გასაგონი და ნდომით აღსავსე „გმადლობთ". შემდეგ სახლში მიპატიჟება. მოსე უარს არ ამბობს: კურთხეულ იყოს მადიამის მიწა და შვიდი სტუმართმოყვარე ქალიშვილი.

ოდნავ წელში მოხრილი კაცი, ქვემოდან რომ ეჭვიან თვალებს შეავლებს მოსეს, იოთორია. მათი მამა, მთელი თავისი ცხოვრება აბრაამის ღმერთს ემსახურება. ახლაც მასზე დაუწყებს საუბარს ჯერჯერობით ღვთის ვერმსმენელ და ვერმჭვრეტელ მოსეს.

შემდეგ რძეს სვამენ.

ხშირად კეფას ელაქუცება შვიდი წყვილი არცთუ უბოროტო. წყალი უდაბნოში. დიდი ნდომით. ნდომაჩამდგარი სავსე თვალი.

იშვიათად: უკან მოხედვა. სწრაფად უკან მოხედვა.

სწრაფადვე თვალების ერთმანეთზე გადატანა. მაგრამ ეს თვალები უკვე სიძულვილით არის სავსე. მხოლოდ სიძულვილით. შემდეგ კვლავ კეფა...

თხა-ო.

საყვარელო თხაო, რატომ დაიგვიანე?

მე თხა აღარა ვარ!

მაშ, რა (თუ — ვინ?) ხარ?

მომავალში ნახავ. სხვა ვიქნები, უკეთესი.

სისულელე, მხოლოდ სისულელე. ფერი იცვალა, ის აღარ არის, რაც უწინ იყო. განახლებისა და თვითგანადგურების დაუოკებელი მაზოხისტური სურვილი. სანთლის შუქისკენ მიმავალ ფარვანას არ გავიხსენებ.

მაინც რა მოგდის, თხა-ო?

ჯერ ვერ გაიგებ, ნაადრევია, თან ცოტა ჯერ კიდევ მაკლია.

შენ კი რა მოგდის ყურზე? შეამჩნია, მაინც შეამჩნია, აქეთ გადმოვიდა „შეტევაზე".

არაფერი. გამანებე თავი, გამანებე თავი, აღელდა, პატიმარი აღელდა, პატიმარი რატომღაც აღელდა.

ძნელია, ხომ?

რა არის ძნელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვებზე პასუხის გაცემა!

მეფისტოფელია ეს თხა. მაინც ელიმება. ნამდვილად ჩაეთვალა. ჰო, ძნელია, იმასაც მივხვდი. რისი თქმაც გინდოდა. მე კი ყურს მხოლოდ იმიტომ ვისრისავ, რომ რატომღაც დამჩემდა.

არ გინდა, საბრალო პატიმარო, თბილისს გადაგახედო?

რომელ თბილისს, ნარიყალაში რომ სპარსელები უზის?

ჰო, თუნდაც ეგეთს, მაინც თბილისს, დედას სრულიად საქართველოსი.

სად არის მერე საქართველო?

იქნება! შენ რა, ჩემს როლში გამოდიხარ?

არა! რატომ? უბრალოდ... თუ შეგიძლია, მართლა მანახე თბილისი, მაგრამ როგორ? თბილისი მომენატრა.

თუ ჰაერი და ცა მოგენატრა უფრო?

არც უმაგისობაა.

**წავედით!**

თხა და პატიმარი კედელში გადიან. პატიმარს რატომღაც არ უკვირს. სხეულს ვერ გრძნობს. ალბათ, იმიტომაც გაძვრა კედელში. კი მაგრამ, ტანს რა მოუვიდა? არ იცის, არაფერი არ იცის. თხას ხომ არ კითხოს? არა. არ არის საჭირო — მაინც არაფერს უპასუხებს. კარგი ვაჟკაცი. ეს სიტყვა მაინც საიდან გამოტყვრა. თან რა უაზრობაა. კარგი ვაჟკაცი. ცუდი ვაჟკაცი ხომ არ არსებობს. რადგან ვაჟკაცია, ესე იგი, კარგიცაა. ჰმ, კარგი ვაჟკაცი. სისულელეა.

გიჟი. გაახსენდა გიჟი, ქალაქში ჰყავდა ასეთი მეზობელი. გვერდით. გვერდით ცხოვრობდა. **ლა ვუყოთ მელე,** იტყოდა და განსვენებულ მართას წინსაფარს აიფარებდა. **ლოსტომ მეფემ სული შატანას მიკიდა.** ნუ გამაგიჟე, აბესალომ, ეტყოდა მეორე მეზობელი და ტუჩებს ყურებამდე აიხლეჩავდა.

ერთი ქალი შეუყვარდა აბესალომს. მდიდარი ქალი. ქმარი განჯელი ვაჭარი ჰყავდა. თვითონ ჰაიდარბირელი იყო. ლამაზი ქალი — ასეთი და ისეთი ლამაზი, ასეთი და ისეთი თვალებით, ასეთი და ისეთი გულმკერდითა და ფეხებით...

ქმარს კი ღალატობდა, მაგრამ აბესალომთან, რა თქმა უნდა, არა. შემდეგ აბესალომმა თავი მოიკლა. მართას ვარეშე ვერ გაძლოო ამბობდნენ. ჰაიდარბირელი ქალის კმაყოფილი სახე. ცელქი თვალები და მოზომილი ღიმილი.

მართლა თავის მოკვლას კი არ აპირებდა. როლებში შევიდა. წარმოიდგინა, რომ ოთახში ქალიც იყო. ქალმა სიყვარულზე, რა თქმა უნდა უარი, უთხრა. კაცმა თოკი ჩამოკიდა და ქალის შესაშინებლად გაჰყო თავი. ქალს ყვირილი არ დაუწყია. ქალი მშვიდი იყო. მშვიდად იყო ქალი. ცელქი თვალები და მოზომილი ღიმილი. და კიდევ სქელი, მუსულმანური გავა. ცელქი თვალები დამცინავად შეჰყურებენ საბრალო გიჟს (მე ქალი მინდა, ყვირის ხეზე ასული გიჟი, რომელიც შემდეგ პატარა ქალს ხიდან ჩამოჰყავს).

არ სჯერა. არ სჯერა, რომ გააკეთებს. სკამს ფეხის წვერს ჰკრავს. სამფეხა სკამს. **ასე ჩამოეხრჩო** თავი.

ქალი შორს არის. შორს იყო ქალი.

რა ვქნათ, ყველანი სიკვდილის შვილები ხართ (თუ ვართ?).

გაუმარჯოს მელოტ თავზე დარჩენილ ერთადერთ ღერს თმისას! ვაშა, მის ერთგულებას, ვაშა!

არ მოვწყვიტოთ, მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ და ხანდახან გადავივარცხნოთ კიდეც.

ჭლექიანთა სიმღერა:

ტირიპ-ტიპ-ტირიპ. ტიპ-ტირიპ-ტიპტიპ. თან ახველებენ. ფილტვებით ახველებენ. ერთმანეთს გადახვევიან და მთვრალებივით დადიან. საოცრად უყვართ ერთმანეთი. ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. სასწაული: ერთი გამოკეთდა. ის უკვე ყველას სძულს. მოღალატე. მათ მაინც ძალიან უყვართ ერთმანეთი.

მაღალი, წელში მოხრილი, ძვლებამოვარდნილი, გამხდარი ტიუსოს ფიგურები, საოცარ ბგერებს გამოსცემენ, მღე-

ბიბლიოთეკა

რიან. უკანასკნელად მღერიან. ჩვენს ადგილს ჩვენი შვილები დაიკავებენ!

— ამინ!

კარგია თბილისი. მოჩანს ვიწრო და ჩახლართული ქუჩები. შუაზე გადამკვეთი მტკვარი, საძულველ ქვეყანაში რომ იღებს სათავეს.

მრავალეროვანი და მრავალენოვანი მოსახლეობა. დილაობით ქართველი გლეხები მოედებიან თბილისის წელში გამოყვანილ ქუჩებს და მწვანილისა თუ მაწონის ყვირილით იკლებენ იქაურობას. იკლებენ იქაურობას. იკლებენ იქაურობას. დილა არც კია, ფეხზე რომ დგებიან და სოფლიდან ქალაქს ჩამოაქვთ გასაყიდი საქონელი. ძირითადად ახლომახლო სოფლებიდან. ზოგჯერ უფრო შორიდანაც. ქალაქში.

თბილისის დამოუკიდებლობისდროიდან შემორჩენილ არაბებს ნაშუადღევს უყვართ ჰაშიშით დამძიმებული თავების წამოწევა. ნელ-ნელა გამოდიან ქუჩებში. საღამომდე დროს ჩაის სმაში კლავენ. ყბედობენ. თან უნიჭო ლექსებს ეუბნებიან ერთმანეთს.

სომხები და სირიელნი ერთმანეთში ირევიან. ვერ იტანენ ერთმანეთს. სომხის საქონელი უფრო კარგია და გაწბილებული სირიელიც ბურტყუნით ტოვებს ბაზარს.

ქართველი აზნაურობა და თავადობა კი საღამოობით ცხენზედ ამხედრებული ჩაუვლის მედიდურად ამ „ჭრელს ხალხს". ოდნავი ზიზღით მოპრუწული ტუჩები. კახურითა და ქალით გაუმაძღარი მოპრუწული ტუჩები.

ნარიყალაში კი სპარსთა გარნიზონია. ისინი დილითაც არიან ქალაქში, საღამოთიც და ღამითაც. მათი აქ ყოფნა იგრძნობა ყოველთვის. ყველაფერში. დაწითლებული თვალებით და გრძელი შუბებით დაივლიან მთელს ქალაქს და, ვაი მას, ვინც თვალში არ მოუვათ.

პატარა მემწვანილე ბიჭმა კი უკანასკნელი კონაც გაჰყიდა და განჯელი ვაჭრის სახლისკენ გაეშურა. იცის, დააზლობით ამ დროისთვის ვაჭრის ლამაზი ცოლი ზეთით იზელს ტანს.

მაღალი და დიდი ხე. მეგობარივით ჰყავს. როგორც ყოველთვის, ჯერ თეთრი და გედივით წვრილი ყელი გამოჩნდა. შემდგომ პატარა ხალი, დარაჯივით რომ იდგა მკერდჯვარედინზე. ფაფუკი და ლამაზი მკერდი, ქალის თითოეული მოძრაობის ჟამს რომ ტოკავდა და მაჭარივით თუხთუხებდა.

...ვერ გაძლო. თვალი აარიდა. შემდეგ კვლავ შეხედა კვლავ აარიდა, კვლავ შეხედა აარიდა. ბიჭი თხუთმეტი წლისაა. ჯერ არ იცის, რა არის ქალი, მაგრამ, კარგი რომ არის, ამას ტანით გრძნობს. ტანით და ღამის საგულედან ამოვარდნილი გულით. იმ სიზმრებითაც, დილით რომ აწითლებს.

ეს ქალი კი ყველა სხვა ქალზე კარგია. კარგი, ლამაზი და კეთილი. მეწაღე შიომ კი თქვა, ამ ქალის გულისთვის ერთმა კაცმა თავი მოიკლაო, მაგრამ ეს რა ქალის ბრალია. ნუ მოიკლავდა მერე თავს. აძალებდნენ?

თხასთან ერთად თბილისში უჩინრად მოარულს ამასწინდელი საუბარი გაახსენდა. შენ რომ ამბები მომიყევი, ახლა ხდება თუ ძველად მოხდა უკვე? რომელი? — იმანჭება თხა. აი, ფრანგებმა საკუთარი მეფე რომ მოკლეს, შემდეგ კი ერთმანეთს დაერივნენ...

აა, გამახსენდა! ფრანგთა რევოლუცია, რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის. ისტორია მეორდება. რაც გუშინ იყო, დღესაც არის, დღევანდელი კი მომავალში იქნება. დავითი და მისი შთამომავლობა. ფიესტა. ასე გაგრძელდება მეორედ მოსვლამდე. უაზროდ სიარული და უაზროდ სიყვარული იმპოტენტისა. ებრაელი ხვადაგი. წუწუ, კივის ეპოქა. ირლანდიელის მოძულე მეძავი კი სწორია — თქვენ დაკარგული თაობა ხართ!

მეორედ მოსვლა როდისღა იქნება?

ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ერთმა, ახლა კი დაწყნარდი. გახსოვდეს, ფორმები იხვეწება, შინაარსი იგივეა. ასე რომ, რაც იყო, არის და იქნება. თხამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილი სახე მიიღო სიტყვის დასრულების შემდეგ.

არა, ეს სულ სხვა ჯიშის ადამიანები არიან. მათ არც მონობა იცოდნენ და არც სიღატაკე. მოსე ხარობდა: ალბათ, მეც ამათი ჯიშისა ვარო.

მერე კი, სეფორამ შვილი გაუჩინა, სულ მთლად გადაავიწყდა მოსეს ეგვიპტელი ებრაელობა. აი, კაცი! იტყოდა იოთორი და შვილიშვილს ვარდისფერ ყვერებში კოცნიდა. მოსეც მხარს უბამდა სიმამრს და ამ კოცნა-კოცნაში „შემოეჭმებოდათ" პატარა. შემდეგ სეფორა გამოუწიწინდებოდა და აზარტში შესულ სიძე-სიმამრს ხელებიდან გამოღლეტდა ბავშვს.

მოსე მეოჯახე კაცი დადგა. სხვა ქალებისკენ არ გაურბოდა თვალი. სულ გადაავიწყდა ეგვიპტე და მდიდრული ცხოვრება. სამწუხაროდ, ეგვიპტესთან ერთად — ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელობაც (ყოველ შემთხვევაში, თავს არწმუნებდა — ასეაო). მას მხოლოდ ეს ადამიანები უყვარდა, ასეთი ხალხი სურდა — თავისუფალი, ლაღი, ამაყი, წელში გამართული, მაძღარი...

სიმაძღრისგან სქელი ლიპი ედო განჯელ ვაჭარს. ლიპზე ხანდახან სკამსაც დაიდგამდა და ამით აკვირვებდა მტერმოყვარეს. მხიარული კაცი იყო, ოდნავ მოსულელოც, მაგრამ როდესაც საქმე ვაჭრობას შეეხებოდა, ეს სულელი და გულუბრყვილო კაცი უცებ გარდაიქმნებოდა დაუნდობელ მტაცებლად.

ახლაც ვიღაც გლეხს უკანასკნელი კაპიკები დალლიტა და უვარგისი საქონელი შეაჩეჩა. მორჩა — დღეს კარგ ხასიათზე იქნებოდა. ხასიათს, ალბათ, ისიც არ გაუფუჭებდა, რომ გაეგო, აი, ამ წუთას მისი ცოლი რით იყო დაკავებული. მისი უმშვენიერესი (აზიურად უმშვენიერესი) ცოლი კი ქართველ აზნაურ ვაჩე ბარძიმისძესთან ალერსში იყო გართული. ქართველი აზნაური კიდევ უფრო ზრდიდა იმ რქების სიგრძეს, რომელიც რეგვენ (თუ გულგრილ?) ქმარს ისევე უხდება, როგორც მარტორქას ეშვი ეული.

ქალს სიამოვნებდა კაცის ალერსი (რატომღაც!), მშვიდადაც იყო — ქმარს დილამდე არ ელოდა.

დაღლის შემდგომ ეხვეწა საყვარელს მთელი ღამე დარჩიო, მაგრამ ვაჩეს ცოლი ჰყავს, ორი შვილიც. არ უნდა ოჯახის დანგრევა კახპის გამო. ხვალ დილით მოვა, ახლა კი „პაჩი".

არ მინდა. დამახინჯებული ქართულით ამბობს ქალი და ტახტის კიდისკენ იწევა.

მორჩი, მორჩი — და აზნაური ოთახიდან გადის.

სახლიდან გამოსული ჯერ ქუჩას აკვირდება. უკვე ბნელა. მას არ სურს, რომ რამეს წამოჰკრას ფეხი და წაიქცეს. წაქცეულს სცემენ. არა, ის არ დაეცემა. ეყო, რაც ბავშვობაში აჩაგრინებდა გლეხის ბიჭბუჭებს თავს.

ქუჩა ვიწროა. ძალზე ვიწრო. ორი კაცი ვერ აუქცევს ერთმანეთს გვერდს. პატარა მემწვანილის ხე კიდევ უფრო ავიწროებს ქუჩას. ფრთხილად მიდის წინ. ლიპი. ლიპს ხედავს. შემდეგ თვალებს ზევით აპარებს. განჯელი ვაჭარი. ბნელა, მაგრამ ძნელია, რომ ის ვერ იცნო.

აკი, დილამდე არ უნდა მოთრეულიყო. მწარედ. მწარედ ფიქრობს. შემნიშნა, ალბათ, **სახლიდან გამოსული.**

ვაჭარიც შედგა. მას არ დაუნახავს, თუ როგორ გამოვიდა ეს ახალგაზრდა კაცი (თუ მხედველობა არ ღალატობს, თან დღე აღარაა უკვე) მისი სახლიდან. ერთს კი მიხვდა — ქრისტიანი იყო და კეთილი აზრებიც არ უნდა ჰქონოდა, ისე იქცეოდა. ვაჭარმა ქისას ხელი მოუჭირა.

ვაჩემ ერთი ნაბიჯი წინ წადგა. ნელა. დინჯადო. შიშითაც.

დამინახა. დამინახა. სასოწარკვეთილია. აი, ხანჯალზეც წაივლო ხელი — ვერ ასხვავებს სიბნელეში ქისას ხანჯლის ტარისაგან. ალბათ, მომკლავს. მომკლავს. ბოთე კია, მაგრამ მაინც კაცია. თუ არ დავასწარი, მახაც მოკლავს. ჯერ მე მომკლავს, იმ კახპას, შეიძლება, აპატიოს.

თვალებში შეჰყურებს. რა მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გვერდი აუქციოს-და ვაჭარი კედელს ეკრობა. შემდეგ ერთ გაუბედავ ნაბიჯს დგამს.

არა, ყველაფერი გათავდა. მომკლავს ეს შობელძაღლი თავისი ბოზი ცოლის გულისთვის. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, თავის ხანჯალს ამოასისინებს ქარქაშიდან.

განჯელ ვაჭარს ყურს ჭრის ხანჯლის გველივით ხმა. ყოველივე ამას ხედავს. ხედავს უყურებს და უნდა იყვიროს უნდა მთელი ძალით იღრიალოს, რომ კლავენ საკუთარ სახლთან, თითქმის ზედ კიბესთან. ართმევენ მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფარს. ფულს, რომელიც საკუთარი შრომით მოიპოვა.

რატომ გადაიფიქრა სოფელში წასვლა სომეხ დიდვაჭართან. კარგ პურ-მარილსაც გამოჰკრავდა ხელს და, რაც მთავარია, ამ ხიფათს ხომ გადარჩებოდა. მაგრამ ცოლი, ცოლის გულისთვის ცოლს დაუძახებს უნდა ცოლს დაუძახოს, მაგრამ ყელიდან არ ამოდის ხმა. იმასაც ვერ ახერხებს, რომ ქისა შეაჩეჩოს მძარცველს და სიცოცხლე შეინარჩუნოს. ვერაფერს აკეთებს, ვერაფერს ვერ აბამს თავს. დაბნეულია. გარინდული.

ვაჩე კი მას შეჰყურებს. თვალებით აშეშებს და აქვავებს, როგორც უხსენებელი თავის მსხვერპლს. თან კარგად გამოდის — თვითონაც ეშინია, თავადაც გაქვავებულა და გაშეშებულა. ნელნელა უახლოვდება განჯელს, მთელი ტანი უძაგძაგებს. კანკალმა აიტანა.

არა, მაინც რა ვიწროა ეს ქუჩა, ცოტა ფართო ვერ გააკეთეს? ჩააგებდა ხანჯალს ქარქაშში და ისე მოკურცხლავდა, რომ ეს ზონზროხა ვაჭარი მზერასაც კი ვერ დააწევდა.

როდესაც ვაჭარმა ხანჯლის წვერი მუცლის გულში იგრძნო (ჭიპთან რა, ამ ჭიპით არ იყო, რომ გამოათრიეს ორმოცდაექვსი წლის წინათ. არა, ჭიპით არა, თავით, უბრალოდ ჭიპით გამობმული იყო... რა სისულელეებზე ფიქრობს, გაგიჟდა), პირი დააღო, უნდოდა ეყვირა, მაგრამ დაგვიანდა: ხანჯალი უკვე არღვევდა და ანგრევდა შიგნეულობას, გადარეულივით ტრიალებდა, ცელავდა და სერავდა იქაურობას. რაღაც სიცხე შემოაწვა ქვევიდან ვაჭარს. გონება არა და არ ეკარგებოდა, ყველაფერს გრძნობდა, ღმერთო ჩემო, ტვინი, ტვინი რა ძალუმად მუშაობდა, ნაცვლად იმისა, რომ გამოთიშულიყო და საბრალო ვაჭარი მოესვენებინა. კი, კი, მხოლოდ სწრაფად სიკვდილს ნატრობდა ახლა ვაჭარი. არც ცოლზე ფიქრობდა და, საერთოდ, არაფერზე, მხოლოდ სიკვდილზე — სანატრელ და სანუკვარ სიკვდილზე.

...დაჭრილ-დაფლეთილი ნაწლავები ნაწილ-ნაწილ იყრებოდა მუცლიდან. ვაჩე კი აგრძელებდა ხანჯლის ტრიალს. შემდეგ გამოერკვა, ხანჯალი გადააგდო. სპარსელები, მუსულმანის მოკვლის გამო, სიკვდილით დასჯიდნენ. გაიქცა. კიდევ უფრო შეშინებული გაიქცა მან არ იცოდა სად გარბოდა, მთავარი იყო, რომ გაქცეულიყო. ქუსლებს თავში ირტყამდა. წყვდიადს მიაპობდა. უაზრო. უფიქრო. შეშინებული და დამფრთხალი. ნახევრად შეშლილი. უხილავი გრაფი დრაკულა მოსდევდა ვაჟკაცობის ნარჩენების სისხლის უკანასკნელი წვეთივით გამოსაწოვად.

მთავარი იყო, მკვლელობის ადგილს გასცილებოდა. ერთ-ერთ მოსახვევში ვიღაც კაცი დალანდა. იმანაც დაინახა. მტრული მზერა შეავლეს ერთურთს.

არა! არა! ამოიხრიალა ვაჩემ. მივარდა უცნობს და ხანჯლის დარტყმა დაუწყო. შემდეგ მიხვდა, რომ ხანჯალი ხელთ არ ჰქონდა, იქ დაეტოვებინა და ცემა გამოდიოდა.

ვერ დამიჭერთ, ვერა! გააგრძელა სირბილი.

გაოცებულმა, ვიღაც უსინდისო ვაჭრისგან მოტყუებულმა გლეხმა კი, რომელიც გვიან მიხვდა, რომ მოატყუეს, პირჯვრის წერა დაიწყო, თან გახეთქილ ტუჩს იწმენდდა მკლავით პირჯვარსა და პირჯვარს შუა:

ღმერთო, შენ დამიფარე ამ მატყუარა და ნაგიჟარი ქალაქელებისგან!

რა მოგივიდა, თხაო არც ახლა მეტყვი?

მოსე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოევლოთ უკვე მთელი თბილისი და უკან ბრუნდებოდნენ.

რა ამბავი გაინტერესებს, აბეზარო? სიყვარულით ჰკითხა მოღიმარმა (თხას ღიმილი უხდება!).

რა და, თხა აღარა ვარო, ცოტაც და სხვა ვიქნებიო, ფერს ვიცვლი და ათასი ჯანდაბა და ოხრობა...

ჯანდაბა და ოხრობა რაღა შუაშია?

?!

კარგი, რადგან გაინტერესებს, გეტყვი, ოღონდ ჯერ გაიხსენე, ადრე როგორი ვიყავი?

საყვარელი!

არა, მე მაგას არ გეკითხები.

აბა, რას?

რას და, გახსოვს, როგორი ღვარძლიანი იყო ჩემი საუბარი, თვით სიმართლესაც კი (არადა, სულ სიმართლეს ვამბობდი!) როგორი სიბოროტე ახლდა. გახსოვს, როგორ დავცინოდი ყველას და ყველაფერს, საკუთარი თავიც კი მძულდა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა. როგორ ვეძიებდი ყველაფერში ცუდს...

მაგრამ შენ ამბობდი სიმართლეს! შეაწყვეტინა პატიმარმა.

...და არ არის მხოლოდ სიმართლე საკმარისი. ჭეშმარიტება ერთია, ჩემო საწყალო პატიმარო, სიმართლე კი იმდენი, რამდენიც ადამიანი ამ ცოდვილ მიწაზე... თუმც რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება, მოგიყვები ერთ ისტორიას, რომელიც მე გარდამხდა და, თუ განწირული არა ხარ; გაიგებ და მიხვდები.

პატიმარს გაკვირვებისგან პირი დაეღო და ისე უსმენდა ამ საოცარ მეგობარს (?). მეგობარი კი საოცარზე საოცარ ამბავს უყვებოდა:

მე ყველას და ყველაფერს მასხრად ვიგდებდი. განსაკუთრებით ეკლესიასა და წმინდანებს. გაბრაზებით, გამწარებით ვებრძოდი ეკლესიას. დავცინოდი მას. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ძალას მმატებდა. ღამით კი მქონდა შიშები, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.

ერთხელ გადავწყვიტე, მასხრად ამეგდო ერთი ღრმადმორწმუნე მოხუცი ქალი, რომელიც სარეცელს იყო მიჯაჭვული, მხედველობა ეკარგებოდა, დღითიდღე დნებოდა და კვდებოდა. როცა დედაბერი დარწმუნდა, საქაო პირი აღარ ჰქონდა, თოთხმეტი წლის შვილიშვილს თხოვა მღვდლის მოყვანა საზიარებლად.

და შევუჩნდი ეშმაკად იმ ბიჭს და ვაფიქრებინე ბოროტი. ბიჭს ეკლესიაში ნანახი ჰქონდა თუ როგორ ეზიარებოდნენ მორწმუნენი, აიღო კოვზი, დაასხა ღვინო, ჩააგდო პატარა ნაწილი პურისა და თან მეზობლის ბიჭსაც დაუძახა, მოდი, ერთად ვიცინოთო გამოფრჩტუნებულ დედაბერზე.

ქალი უკვე გონებასაც კარგავდა. სულის ხორცისგან გაყრის ორთაბრძოლა დაწყებოდა. ხორცი კვდებოდა, სული იხმორებოდა და სხეულის არტახებისგან თავს ითავისუფლებდა. კვდებოდა გონი, აზრი ჩერდებოდა. ცოცხალი იყო რწმენა, მხოლოდ რწმენა ჯვარცმული და ერთადერთი პანტოკრატორისადმი.

პურის ნატეხი დედაბერმა მაცხოვრის ხორცად მიიღო, ხოლო კოვზზე დასხმული უბრალო, თან თეთრი ღვინო (შვილიშვილმა წითელი ღვინო ვერ იშოვა. თან ფერებს დედაბერი მაინც ველარ არჩევდა) კი მაცხოვრის წმინდა სისხლად. მიიღო და... ეზიარა!

ზეციდან გალობა გაისმა. პატარა ბიჭებმა პირები დააღეს, მიწაზე დაემხნენ და დედაბერს ხელზე დაუწყეს კოცნა. გალობდა ანგელოზთა მთელი დასი, გალობდა არახორციელად, არაამქვეყნიურად — ეს იყო ზეციური გალობა, ეს იყო საოცარი ხმები და, თითქოს ცა გადაიხსნაო, გამოჩნდა ჯვრიანი ხელი, რომელმაც დალოცა სულთმობრძავი...

და მე მივხვდი **შემშურდა იმ სულთმობრძავი ქალის.** მივხვდი ძალიან ბევრს მივხვდი იმას, რაც სიტყვით არ გამოითქმის, რამეთუ უძლურია ენა კაცის. მივხვდი იმასაც, რასაც შენ ადრე თუ გვიან გაიგებ და შეიყვარებ.

მგონი, გესმის ჩემი, არა?

ისე, რა!

უნდა მივბაძოთ!

ვის?

იმ მოხუც, ბრმა, უგონო და ავადმყოფ ქალს!

რატომ? რას ამბობ?

რომ ჩვენც გვესმოდეს და ჩვენთვისაც იყოს ეს გალობა!..

V

დიდი ხანია მოსეზე არ უფიქრია. საინტერესო ჯერჯერობით არაფერია. მოსე ცხოვრობს მადიამში და ცხოვრობს მხოლოდ ოჯახისთვის. მეტი არაფერი აინტერესებს.

დილით ცოლის ფეხებშუა გაჩხერილ საკუთარ ფეხს გამოაპარებს, წამოდგება. ყინულივით ცივ რძეს პირთან მიიტანს და სულმოუთქმელად გამოცლის. მიიტანს პირთან და გამოცლის. სულმოუთქმელად გამოცლის.

შემდგომ ფარას გალალავს. ხის ძირში წამოწვება. ჯერ ფიქრობს. მასაც დიდი შუბლი აქვს. ფიქრში ნელ-ნელა ძილი წამოეპარება.

გამოღვიძებული დასათვლელს დაითვლის და ჰაიდა, სახლისკენ. ჰაიდას შეძახილს ჯოხის ტკაცუნიც მოჰყვება. ცხვარი ფეხს უჩქარებს.

ძილის წინ ცოლს საშუალებას აძლევს, ამქვეყნად კიდევ ერთი ებრაელი მოავლინოს და შემდეგ ძილი. ახლა უკვე ძილიც შეიძლება.

ხანდახან. არა, ყოველთვის ან ხშირად კი არა, მაგრამ ხანდახან რაღაცას ელის. ტანით გრძნობს, რომ რაღაც უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში. მას არ უნდა, ეშინია კიდეც, მაგრამ ხანდახან ამ რაღაცის მოლოდინი მთელს ტანს ეპატრონება ხოლმე და მოსეს აძაგძაგებს. რა თქმა უნდა, არავის არაფერს ეუბნება. მაგრამ ეშინია, რაღაც კარგი არ უნდა იყოს ის, რასაც ელის. არ იცის. არაფერი არ იცის.

შეიძლება კარგია, მაგრამ რატომ? მაინცდამაინც ის? რა ის? ვერ აცნობიერებს ბოლომდე. უბრალოდ, რაღაცის მოლოდინი აქვს. არა, არა, მას კი არა აქვს ეს მოლოდინი. ვიღაცამ ძალით მოახვია ეს მოლოდინი თავს. ძალით. თვითონ არა. თვითონ არაფერ შუაშია. ცივ რძეს სვამს და მსოფლიო ებრაელობის გამრავლებაზე მუშაობს. თვითონ არაფერი...

არა, საინტერესო არაფერია და პატიმარი თვალს საკანს მოავლებს. თხა უკვე დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილა. შეიძლება არც ისე დიდი ხანია, მაგრამ საკანში ხომ ნელა გადის დრო. არა, მაინც დიდი ხანია. თხა კვლავ დაიკარგა, თხა არ ჩანს. ვის უშრობს ახლა სისხლს? თუმცა, აკი შეიცვალა!

მუნჯი საჭურისის არსებობაც კი, ეტყობა, ძალზე აწუხებდა როსტომ მეფეს, აქაოდა, ახალი ენა არ ამოუვიდესო. ციხის ეზოში მოუკვეთიათ თავი.

ახალი სანიმუშო (მისაბაძი!) პატიმარი გამოჩნდა. ბებია გააუპატიურა. აქეთ იყურა, იქით და დაასკვნა — ისევ იმათ ჯობია ვემსახუროო. იმათაც გაუდიდეს საჭმლის ულუფა. ბრალდებაც მოხსნეს — ბებია კი არა, სიდედრი შემოეუპატიურაო. თან — სიდედრი, თან — შემოეუპატიურა.

ერთ პატიმარს ჩუმად ჰაშიში შემოუგზავნეს. თვითონაც მოწია. საზიზღრობა, მთელი დღე გულისრევის გრძნობა ჰქონდა. მეტს არ გაეკარება. წყეული მოდგმის წყეული შვილები. ხარჭის ნაშიერნი. რას პოულობენ ნეტავ... სხვებმა კი დასცინეს. აზიზი ხარო.

აზიზი და არაბი შენ ხარ, მიუტრიალდა ერთ მათგანს. არაბი პატიმარი. აზიზი არ ჰქვია სახელად, მაგრამ არაბია. მისგან არავინ ელოდა. თვითონაც გაუკვირდა, ყოჩაღ!

როდემდე შეიძლება გაჩუმება. ჰაშიშს რომ არ ეწევა, რით არის მათზე ნაკლები, გაკვირვებული და გახარებული თხას ელოდება, რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა ეს ბოლო დღეები. გაუგებრად მსჯელობდა. მოხუცი ქალიო, გალობაო, ანგელოზთა დასი და, ეშმაკმა იცის, კიდევ რა... ნეტავ, რამე ხომ არ მოუვიდა? არა, რა უნდა მოსვლოდა.

სადღაც შორს, ძლივს აღწევს, ხმები ისმის. სადღაც შორს ძაღლები ჩხუბობენ. ერთი ძვლის გულისთვის სულ გადა-

ჭამენ ერთმანეთს. გადაჭამენ ერთმანეთს. ყელებს ამოჭამენ. ერთმანეთი სძულთ, მაგრამ ერთმანეთის გარეშეც არ შეუძლიათ. ასეა, ერთნაირებს სძულთ ერთმანეთი, სხვებთან კი არ შეუძლიათ თანაარსებობა.

შემდეგ რომელიღაც ბომბორა ძაღლი მიყრი-მოყრის ამ ფინიებს და გემრიელ ძვალს თავად დაისაკუთრებს. ნაწილი კუდამოძუებული და დასისხლიანებული დატოვებს ბრძოლის ველს, ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შეგუებია მარცხს და გამოსავალს ეძებს. ნაწილიც კი მიუცუცქდება ბომბორას, აულოკავს ტანს (თუ აალოკინეს!) და საბრალო თვალებით შეხედავს — ეგებ, რამე არგუნონ.

...ერთი-ორი გამბედავი კი შეიძლება თავზეც დაეცეს და ძვლის წართმევა მოუნდომოს. უკვე ისე, უბრალოდ, ყოველგვარი მუცლისგვრემის გარეშე. მათ აღარც კი სურთ ეს უბადრუკი ძვალი. ვერ აუტანიათ, რომ ისინი შეურაცხყვეს. ვაჟკაცური ამბიციებს იკმაყოფილებენ.

მუეძინი გადმომდგარა და შემზარავი ხმით აბამს მუჰამედს. ქართველი მაინც ქართველია. ვერ მოითმენს და სიკვდილს აუგზავნის წყეულ აგარიანს...

როსტომის მეუღლე სათნო და ღმრთის მოშიში ქალია. ქმრის გაფუჭებულს, რამდენადაც შეუძლია, ასწორებს. ქმარი ეკლესიებს ანგრევს — ცოლი აშენებს, ქმარი აშავებს — ცოლი ბოდიშს იხდის, ერთი ეშლება — შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ბოროტება კი უნდა ამოშანთო, ამოძირკვო, ამოაგდო თავისი ბუდიდან... ბოროტებას შეცდომასავით ვერ გამოასწორებ. უყვართ დედოფალი. მაინც უყვართ. ასეა თუ ისე, სიკეთეს აკეთებს. ხალხმა იცის თეთრისა და შავის გარჩევა, თან ცოტა ჰყოფნის... სეზამ! სეზამ!

დილით ყურის ქავილმა გაალვიძა. გამწარებით დაუწყო სრესა და ბოლოს დაიამა. პატიმრები უკვე ამდგარიყვნენ. ზოგი ხელ-პირს იბანდა, ზოგიც ქაღალდით იქცევდა თავს. უცბად არაბი წამოდგა და გაღიმებული მისკენ გამოემართა:

— მაპატიე, ძმაო, არ მეგონა თუ გეწყინებოდა. ჩვენ ხომ შეხუმრებულები ვართ, პატიმრები, ძმები...

ზიარება. ანგელოზთა დასი. სად არის თხა? არაბის კეთილი ღიმილი. ცა იხსნება. ადამიანს შეუძლია ასე მშვენივრად გაღიმება. რწმენის გამო ჩვეულებრივი პურითაც ეზიარა.

პატიმარიც იღიმება. კმაყოფილი, თავისუფალი. თავისუფალი პატიმარი. იღიმება და ყურს ისრესს. ამ ბოლო დროს უკვე ყურის სრესაშიც პოულობს სიამოვნებას.

## VI

... და კვლავ ღამე. წყეული ღამე. მოჩვენებით და კოშმარებით აღსავსე ღამე. მგლების ყმუილი. ღამით მგლების ყმუილი. სავსე მთვარის რაინდები. წითელი გიგანტი აღმართულა და სისხლს სვამს. რაც უფრო მეტ სისხლს სვამს, მით უფრო წითლდება. სისხლი წითელია. წითლდება და იბერება. ნაკბენი არ ხორცდება. და შენ იცხოვრებ საუკუნეების განმავლობაში კუბოში იცხოვრებ და ღამღამობით გამოხვალ მხოლოდ კუბოდან, გამოხვალ მამლის ყივილამდე.

მორიგი აპოკალიპსური ბეჭედიც გაიხსნა. ეს აღსასრულია. კუბოების სიმფონიის დასასრული.

დაიქცა ბაბილონი!

ვუბრუნდებით ბაბილონს!

... და დადგა ეკლესიის პირისპირ წითელი დრაკონი.

არ გეშინიათ მოახლოებული კატასტროფის?

არა!

რატომ?

ღმერთს ადამიანისთვის არ უკითხავს სამყაროს შექმნა და არც მის დაქცევას ჰკითხავს. ბრძენი ქართველი გლეხი. ქართველი გლეხი ევანგელისტის სახელით.

... და დადგა წითელი დრაკონი ეკლესიის პირისპირ, რათა, როდესაც შობს იგი პირმშოს, შეჭამოს, და მიეცა დრა-

კონს დროებით ძალაუფლება და მოსრა მან მრავალი. მრავალი მორწმუნეთაგანი, უნდა კიდევ ბევრი მოასწროს, უნდა კიდევ ბევრი მოასწროს. რადგან სიმხურვალით გრძნობს უკვე — აღსასრული მოახლოვდა და მისი მეუფების დღეები დათვლილია, მანე, თეკელ, ფარეს.

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ მოთმინებას!

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ ძალას!

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ თავდადებისა და ბრძოლის უნარს!

დიახ, მოთმინებასთან ერთად ბრძოლის უნარსაც. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. შეიცავს. ავსებს ერთმანეთს. მოთმინებაა — პიროვნული დათმო ღვთისთვის, ერისთვის და იბრძოლო; ბრძოლაა — მოითმინო ის, რასაც ამის გამო შენ გიკეთებენ. მოითმინო, ჯერ საკუთარ თავს სძლიო, შემდეგ ისიც დაამარცხო. ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის!

თავისუფლების სუსტი ხმა მაინც აღწევს, მიუხედავად იმისა, რომ მას სასტიკად ახშობენ... დახუთულ ოთახში პატარა ღრიჭოდან შემოდის ჰაერი. ხარბად ეწაფებიან.

ბებერ კახპას ჭიპამდე აუწევია კაბა, მაგრამ ამაოდ, არავინ არ უყურებს მას!

გაღვიძებულმა რაღაც მოინდომა. ეს „რაღაც" ძილიდან იყო წამოყოლილი, მაგრამ ისე რეალურად გრძნობდა, რომ სულიც კი შეეხუთა. ალბათ, დღეს თხა ესტუმრება. უკვე აღარ შეუძლია მის გარეშე ცხოვრება. ნეტავ რა მოხდა ფრანგთა ქვეყანაში კიდევ ახალი?

დებილის წვინტლი პირისკენ იკაფავს გზას. ბაგე ბაგეს შორდება. ჩამპალი და ჩაყვითლებული კბილები ხატაელის სახესავით. გაიციმციმებს და... მორჩა, დებილმა წვინტლი ჩაყლაპა.

ქხრრრ. ცხვირში ქშუტუნებს. დედა წყეულის — თითქოსდა იმ საცოდავის ბრალი იყოს რამე. მაგის გადამკიდე უფროსი ქალიშვილი გაუთხოვარი დაურჩათ. საროსავით გოგოა, უბნის თვალი. იმ დებილის გამო ვერ თხოვდება. ღმერთო, რად დასაჯე...? და სიძულვილით შეჰყურებს და ტირილი უნდება. ძალიან უნდება ტირილი. ნეტავ ძაღლებმა დაგლიჯონ ან ცხენს ჩაუვარდეს ფეხებში... ოოჰ, ღმერთო, რას ვფიქრობ. და შეშინებული პირჯვარს იწერს. ღმერთო აპატიე! მისი ძმა კი მეორე ნაკადს ჩაედინება პირში.

სიზმრებშიც კი ეგვიპტეს ხედავდა (თურმე ხედავდა). რა უცნაური ამბები ხდებოდა მის თავს. იმედი ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ეგვიპტე და იქაურები დაავიწყდა. კვლავ ბრძოლა, ბრძოლა საკუთარ თავთან.

ეგვიპტეში საკუთარ თავს ეგვიპტელობას ჩააგონებდა, მაგრამ მაინც ებრაელმა გაიმარჯვა.

მადიამს მოსეში სიყვარული ებრძოდა გულგრილობასა და სიმხდალეს და მოსემ წინდაწინ იცოდა, ვაგლახ, სიყვარული გაიმარჯვებდა.

...და როგორც მაშინ, ეგვიპტეში, მოსე აქაც საწინააღმდეგოში არწმუნებდა საკუთარ თავს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი მოსვენება არ იქნებოდა. თან მოლოდინი, რაღაცის ან ვიღაცის მოლოდინი. რომ არავინ არ შეეკითხა, ისე— მოლოდინი, არა, შინაგანი ბრძოლა არ შეწყდებოდა, სანამ მოსე საკუთარ ბუნაგს არ დატოვებდა და ებრაელობის დასახსნელად არ წავიდოდა იქ, იმ წყეულ წყეულ წყეულ ქვეყანაში.

ებრაელობაც ელოდა. ელოდა ვიღაცას. ღვთის წყალობასავით ელოდა, წყალობა კი კუს ნაბიჯებით მოდიოდა. თური კი მოდიოდა საერთოდ.

პატიმრის შორეული წინაპარი, რომელსაც გუნებაში „დიდ პაპას" ეძახდა, დავით აღმაშენებლის პირადი მცველი ყოფილა. მათ გვარსაც მაშინ დაუწყია არსებობა. მაღალი კაცი ყოფილა, სახელად ჯუანშერი ერქვა და თბილისისთვის ბრძოლაში დაცემულა.

ფრთები. ფრთები მოფრინავენ. ფრთები ყოველთვის დაფრინავენ ცაში და დაათრევენ ამა თუ იმ სხეულს. თუ რას, ამას ფრთებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

რა დროს ფრთებია, მოცლია ერთი. იქცევა ქვეყანა და ეს ისევ ფრთებზე ფიქრობს. ყველა პატიმარია, ყველა. კი მაგრამ, თვითონ არის პატიმარი? თუ ყველა პატიმარია და ისიც შედის ამ „ყველაში“, მაშასადამე, პატიმარი ყოფილა.

ღმერთო, რად დასაჯე ასე ქართველები... მარტო ქართველები?

მხოლოდ როსტომი არ არის დამნაშავე. მართალია, დიდი გათახსირებული კაცია და, რით არგოს სპარსელებს, სულ იმაზე ფიქრობს, მაგრამ რა, სხვა რომ იყოს ქვეყნის სათავეში, ეშველება რამე ქვეყანას? გველეშაპი სათავეში ზის. აიმ გველეშაპს უნდა მოევლოს. ერთი ცომისგან არიან მოზელილნი, კაენის ცომისგან. ღალატის შვილები ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?

ირანს — შაჰი,
ქართვლს — როსტომი,
როსტომი — შაჰს,
ქართვლი — ირანს,
ირანი კი სატანას!

ე. ი. ქართვლი და ქართველიც სატანას! უშველეთ ქრისტიანობის კუნძულს, SOS! რამდენი წმინდანის სისხლი დაღვრილა აქ. სად ხართ, გმირებო!

პატიმარს დუჟი მოადგა პირზე. ნერვულმა ცახცახმა აიტანა. ძალიან უყვარს თავის ერი. ცახცახმა აიტანა და ერიც უყვარს. თავისი ერი. არა, არ დაანებებენ. როსტომისნაირ ნაძირალებს რაინდები მოუგრეხენ კისერს. გრაალის მცველნი გველეშაპამდეც მივლენ.. სერ ლანსელოტი მაინც ყველაზე კარგია. უფრო ადამიანური, უფრო ახლობელი. გრაალს ვერ იხილავს, ადამიანია.

შემდეგ კვლავ სასოწარკვეთა. ვერა, ვერ მოერევიან. ირანის თურქეთსაც ეშინია. ვერაფერს ვერ დააკლებენ მტერს. ხელის ჩაქნევა, რომელიც მტრის მახვილზე საშიშია. და ყოველივე შარშანდელი თოვლივით დნება. იუნგფრაუზე რჩება, კავკასიონზე დნება. ირანის თურქეთსაც ეშინია.

იწილო-ბიწილო, იწილო-ბიწილო, ვიცინოთ, ვიცინოთ. თუ ვიტიროთ. ახლა ვიტიროთ, ვიტიროთ. სიყვარული. სარწმუნოება. სასოება. არა რა არის ამის გარეშე.

მთელი მცდელობა და კეთილი საქმე, მთელი საერთო ქართული საზრუნავი საბურთაო მოედანზე ეტევა. თუ გაიმარჯვეს სპარსელზედ ქართველებმა ბურთის წინ გაგდებაში, ეგ არის ყველაფერი. დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა. გულიც მოფხანილია და ეროვნული ჭიაც გამძღარ-გალაღებული,, დუშმანიც „დაქცეული“.

ონანას საბრალო ნაშიერნი! ღმერთი არ აპატიებს მათ მსგავს „სიყვარულს“ ერისას.

თბილისს ქვრივი ქალი გოდებდა. ქმარს არა, ქვეყანას გლოვობდა და მიწას აშავებინებდა ჭაღარა თმებს:

— ვო, სამშობლო ფარნავაზისა, დაცემულო და დაღუპულო!

— ვო, საქართველო, წალკოტო უფლისა, პარტახქმნილო და გასწორებულო მიწასთან!

— ვო, ძეო ქართლოსისაო, მოთხრილო და ამოგდებულო ფუძე-მიწიდან!

— ვო, დედაკაცო კოლხო და იბერიელო, გაბაზებულო, ლეჩაქახდილო... ვო, სისხლო ქალის, სპარსის სისხლით ბინძურქმნილო!

— ვო, რწმენავ, ჩვენო, იესო ქრისტე, დარჩენილო მცხეთას უსაყდროდ!

— ვო, ვაზო ძლიერო, გაკაფულო და გაოხრებულო მტრისა მიერ!

... და ქმარო ჩემო, ბედნიერო, რამეთუ ვერ ჰხედავ ჟამსა უბედურებისასა!

ვერა, ვერ გრძნობს თავის თავში ძალას, რომ იგრძნოს, რას იზამს? სად აქვს იმის ნიჭი, რომ სწორად გამოიყენოს, რაღაც უპირობას ჩაიდენს, ემოციურია. ძალიან ემოციური.

მოსე ყურს თითებით აწვალებს. უფალო, უფალო. კიდევ უფრო დაება ენა და მთლად ლუღლუღზე გადავიდა. ორი დღეა გონს ვერ მოსულა. ცეცხლმოკიდებული ბუჩქი. მისი ნათელი იხილა. მხოლოდ ის გამოარჩია, ის გახადა ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსი, მას დაავალა... კი, მაგრამ შეძლებს? შეძლებით შეძლებს, რადგან **ის** დაეხმარება, მაგრამ მოსეს მაინც ეშინია. ძალაც რამხელა მისცა. კვერთხი გველად და კეთრი... ხალხი ირწმუნებს ამ სასწაულებს. **ის** იშვიათად მიმართავს სასწაულებს, მაგრამ როცა მიმართავს, აუცილებელია.

მაინც რომ არ დაუჯერონ? თან ენა ებმება, არა აქვს ლაპარაკის ნიჭი. ხალხი ბლუს არ გაჰყვება. მოსემ ლამის მოიგლიჯა ყური. ვითომ აჰრონი შეძლებს, რომ მოსეს ენა იყოს? მაინც შიშსა და ყოყმანშია. მცირედმორწმუნე. ეს მხოლოდ მის ერს მოსდგამს თუ მთელ კაცობრიობას.

უნდა წავიდეს. რომ არ წავიდეს, **ის** მაინც წაიყვანს. თუ ძალიან გაუჯიქდა, შესაძლოა, საერთოდ დასაჯოს. მაგრამ არა, რადგან გამოარჩია, დაარჩენს კიდევაც და წაიყვანს. თვითონ წავა. თვითონ წავა **მასთან** ერთად და **მისით**.

...ტოვებს მოსე მადიამს და უკანვე მიეშურება. ორმოცი წელია ეგვიპტე არ უნახავს, მაგრამ **მან** უბრძანა და **მის** ბრძანებას ხომ ვერ გადავიდოდა. მიდის ნელა, მძიმედ, თავის **ენასთან ერთად,** ოჯახთან ერთად, აბრაჰამის, ისააკისა და იაკობის ღმერთთან ერთად. მიდის მძიმედ, მაგრამ უკვე დარწმუნებული, დაჯერებული და განმტკიცებული. მან უკვე იცის ის, რაც პატიმარმა დღეს გაიგო — მოსე იყო, არის და იქნება ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც საკუთარი თვალებით იხილა ღმერთი. და კვლავ იხილავს. მიდის ღმრთისმხილველი ნელა, მძიმედ, საკუთარ და, რაც მთავარია, მის ძალაში საბოლოოდ დარწმუნებული.

პატიმარი კედელს ურტყამდა თავს. მობეზრდა ყველაფერი. და თავს კედელს ურტყამს. არა, თავის მოკვლა კი არ სურს, უბრალოდ, პროტესტს აცხადებს. თან, ალბათ, იმის იმედიც აქვს, რომ თავით კედელს გაანგრევს. თავით კედელს გაანგრევს. ეყო ამდენი მოთმენა, ადამიანია და არა მონა. მონად არ დაბადებულა, გვირგვინია ღვთის შემოქმედების. ეყო სიჩუმე, პირში წყლის ჩაგუბება — მორჩილება ღმერთს და არა სატანას.

რაც კი ძალა ჰქონდა სულიერი, ერთად მოიკრიბა და ურტყამს ახლა თავს... მთლად გასისხლიანებული აალიტეს კედელს. კედელი, რა თქმა უნდა, არ განგრეულა. მაინცდამაინც არც ციხის უფროსობა შეუშინებია პატიმრის უკმაყოფილების გამოხატვის ასეთ ფორმას.

საკანში მყოფთ უფრო პატივისცემით დაუწყეს ყურება — ენა მასაც ჰქონიაო. არავის არ იკარებდა პატიმარი, მომშორდით, არავინ არ მინდიხართო. ვერ იტანდა, რომ ამშვიდებდნენ. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც თხა მოფრინდა. ჩუმად დაიწყეს საუბარი. გათენებამდე საუბრობდნენ, მხოლოდ დილით გაფრინდა. როდესაც პატიმარმა ჩაიძინა.

პატიმარი კი სიზმარშიც თხას ხედავდა. რატომღაც არა წვერცანცარა თხას. წვერი გასცვენოდა, თვალები გაფართოებოდა და რაღაც უცნაური იერი ჰქონდა. ფერიც სხვა ედო. პატიმარმა ძილში მხრები აიჩეჩა და კვნესა განაგრძო — შუბლი ძალიან ტკიოდა.

კიდევ ერთი სიზმარი ნახა. ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ ქაჯეთის ციხეს შემოწყობოდნენ. ტარიელს დავით აღმაშენებლის სახე ჰქონდა, ავთანდილს — გიორგი ბრწყინვალისა. ფრიდონის სახე თავისას მიამსგავსა.

ამ ყურს კი მოიგლეჯს!..

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ზაზა სიგუა

### გარდასახვა

ძრწის სულდასისხლვა ოცნებათ კრახის,
მწველი ფიქრები... თუმც, ისევ ის სხვა...
ო, კომედიად — თვალდავსილ ტრალიზმს...
და გშხამავს ზიზლი! და გახრჩობს რისხვა!

იქ, შეუძლებლით აბორგდა ოდეს,
ქვეყნად წამება ამაზე მეტი...
დე, მხოლოდ გრძნებათ რწმენისთვის კრთოდეს,
შმაგ თესევსისგან ძლეული კრეტი.

ან, უსახობას რა ზრახვაც სწამე...
თავდავიწყების მწყურვალებს შოლტი...
ასე უეცრად იქუხებს ღამე,
და მკერდში — ტყვია... და ხელში — „კოლტი..."

კვლავ მუქ ვუალებს გაენდო წყენა,
როგორც ბურუსი იმღვრევა ტვინი...
მჭკნობარ ცრემლებად ფოთოლთა ცვენა,
და დემიურგობს შეშლილი ქინი.

ხსნას აქანებდა სიკვდილთან ლპობა...
მზერა-შეკითხვა: სიფითრით რა სთქვა....
და მის ქაოსში ინთქმება გრძნობა,
ვინც მიწამ დაჰგმო... ვინც ზეცამ გასთქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროსტრაცია

და ალრევისთვის შეშლილ ფიქრთა გაკრთა ბაცობა,
მოგონებებით რახანია გალუშდა სპლინი...
რას შეეწირა დაწყევლილი ყმაწვილკაცობა,
ვის მკერივ ძუძუებს ტფილ ლოგინში ლოშნიდა ჟინი...

როს, მწყურვალებად აბორგდება იგი ნალველი...
ლხინი... ბინდ-ბუნდი... ბაგეთაგან სისხლი და Ave...
კვლავ სუქცესია, რამ ფრაგმენტთა შემომნახველი,
უსახოებამ ფერმიხდილი მორკალა გრავე.

ვით უაზრობა: ახლა, ალბათ, ქვეყნად დარჩენა...
სდევდა განწირვას ვუალთ შორის განცდა და გმინვა...
ოჰ, ვისაც არ სწამს არც ნუგეში, არც გადარჩენა,
და ვატერლოო... — პეგასისებრ: მარენგოს ბდღვინვა...

დაიშრიტება სხვა ქაოსი თუ ცდომილება...
მაშინაც ლტოლვა სარეცელზე კვდებოდა ერთი...
და ილვენთება ზმანებათა განდგომილება,
მზერაწაშლილი ძველებურად მქუხარებს ღმერთი.

დრო ვერ შეიცნობს ანათემას ვერც ერთ ნებისას,
მხოლოდ დალუპვით მიუწვდომელს იგემებს გზნება,
და პანაცეად ათრთოლდება შელამებისას,
ქართან მოარულ, მთვარისეულ სტრიქონთა წყება.

## ცისფერ სარკიდან...

ცისფერ სარკიდან სპლინნასვამ თვალთა,
უდაბურდება ოდეს წამება,
შორ შემოდგომის ხუნდება კალთა,
და ფერთ უსახო თრთის შეხამება.

იქ სიფერმკრთალეს გაენდო ლველფი,
ხსნისთვის დალუპვა იყო მხლებელი...
როგორც სატანა ქირქილებს გველფი,
სჩანს დასისხლული სამართებელი.

რა სარკაზმითაც გაბრიყვდა ხურო...
ო, პასეიზმად გვახსოვს ნერვალი...
კუბოს სახურავს ეხვევა სურო,
ქარში ბალდახინს სდევს თებერვალი.

და ბუდუარი: გაშიშვლდა მეფა...
არა, სიცოცხლე ახლა იწყება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აისს ვარსკვლავთა აბორგებს კრეფა,
ვით ანათემა სწუხს დავიწყება,

დაე, შარებზეც ალმუვლდეს ქუფრი...
თუ რა დილემას დასცემს ეპოსი...
სტიქსის ტალღებად მშფოთვარებს კუპრი,
თხის რქის ქაოსში შედის ფებოსი.

სული კოშმარულ ოცნებამ ჰფიტა,
ფიქრს უმიზნობის სწვავდა ფილერი...
და ბრმა სარკმელთან მტირალებს ტიტა,
ის და გოტიე... ის და შილერი...

## სულის ჯურღმულები

ჩვენს სიახლოვეს ახლა, მხოლოდ წამება რჩება,
გარდუვალია გაორებულ კოშმართ მხლებლობა...
და გარინდებით ქაოსებში გეენად კრთება,
მღვრიე კონტრასტი: სურვილი და შესაძლებლობა.

ქედს, დავიწყებავ, ალბათ, მაინც ექსტაზს თუ უხრი...
გაფერმკრთალდება მონატრება — ნუღარ გეშინის...
და ვით დაჭრილ მზის მგზნებარებას შეხლილი მწუხრი,
ცას გადასისხლავს თრთოლვა გრძნეულ ფაიდეშინის.

ო, მწყურვალება თითქო, ისევ ტანჯვისთვის ტოკავს...
თუ რა გრძნობებსაც, პალიმფსესტზე ჰფევდა კალამი...
სხვა აფექტია მოდერნიზმი... და სარკმელს ლოკავს,
შეშლილ იანვრის ცივ გლორიად ქმნილი ყალამი.

და გარდასული... მძულვარებამ აღავსო მძორი...
გვახსოვს ობლობა, ზღვარდაფლეთვით სწუხდნენ ქარები...
რარიგ ჭკნებიან სახეწაშლილ ბურუსებს შორის,
ჭვირვალ შეცდომის იდუმალი ქანდაქარები...

განშორებისას, როს ღმუოდა სიკვდილთან ძმობა,
ხსნას ურწმუნობა დასჩხაოდა, როგორც ყურანი...
აირეკლება ნირწაბილწულ დროების გმობა,
მიუწვდომლისკენ გაგვაქროლებს ზრახვათ ქურანი...

სუსხი, მოწყენა... უნუგეშოდ აცრემლდა რკალი,
იმ სიძველიდან, კვლავაც ისე ბერობს ქედანი...
მიუსაფრობას მოუხდელი ატყვევებს ვალი,
და ძრწის უფსკრული ამბოხების ბნელ ფაგედანის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კადრები

გარდუვალობას განთიადით ალანთებს გვემა,
ქამელეონობს უსასტიკეს დროის ფინია...
სულს ახლაც ახსოვს, სად ქალწულის გაშიშვლდა კდემა,
მწყურვალ ნუგეშად დარწეული: ნუ გეშინია...

მხოლოდ გლოვაა გარეშემო... დასისხლეს ჩანგი...
არა ზმანება, ოცნებისთვის ლმუის მკვლელობა...
და მაინც სხვაა წარსულიდან დევნილი ჰანგი,
რარიგ იშლება მწველ სტრიქონთა წარუშლელობა...

თავდავიწყებას ზღვარდაძლევად გაჰყვება გრძნობა...
კმარა მოწყენა, რომ განცდით მთვრალ ქსელში გავება...
არის ექსოდი: დახავსებულ კედლებთან ლპობა,
მარყუჟმოდებულ ცხედრის მკრთალი შექანავება.

ფეტიშს დაკარგვა მაშინ, მართლაც, არაფერს სთხოვდა,
აგონიიდან განწირვისთვის გალღვა ხრიალი,
და მთელი ღამე შეუწყვეტლივ თოვდა და თოვდა...
კვლავ იმ განდობას მინებებულ გულის ფრთხიალი...

ვინაც მერმისი გადასცვალა ო, რაღაც სხვაში...
ავბედითობად ირკალება მღვრიე კამარა...
და ხსნა ბორგავდა გარინდების კოშმარულ ჭაში,
ოდეს განწირვამ უსიკვდილოდ დაგასამარა.

რა წამებასაც დაიბრუნებს აფექტი, გზნება...
გარდასახვაა მიუსაფარ ზრახვათ კრებული,
და წყვდიადებშუა ტირიფივით კვნესის და ჭკნება,
ყოფნა ძველ ტრფობის სიმსუბუქით დამძიმებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## დალილა ბედიანიძე

# ყვავი

### მოთხრობა

**ნანამ** თავისი ბარგი-ბარხანა ერთ ადგილას მოაგროვა და ტახტზე მიწოლილ ქმარს თავს წამოადგა.

— აბრძანდი ახლა და მეცი უკანასკნელი პატივი, ესენი მიმატანინე ტაქსამდე!

— ტაქსის ფული გაქვს? — ჩვეულებისამებრ ჰკითხა ლევანმა.

— გამვლელ-გამომვლელ გოგოებს ტაქსით რომ აცილებ და ფეხქვეშ ეგები, კაი ბიჭად რომ მოგაქვს თავი, ეგ იმათ ჰკითხე! იქნებ მეც მინდა, ვინმემ ქალად მაგრძნობინოს თავი! „ტაქსის ფული გაქვს!" — გამოაჯავრა — არა, ბიჭო, შენს იმედზე ვარ! ადექი, თუ დგები, თუ არა და, — წაველი!.

ლევანი ძლივს წამოიზლაზნა, თავი უბრუოდა, სახსრები სტეხდა, ეძინებოდა და ცხელი ჩაი უნდოდა. აგერ უკვე მესამე წელია, ნანა ყოველდღე გარბის მისგან, ყოველი ჩხუბისა და დალევის შემდეგ აგროვებს თავის ტანსაცმელს წასაღებად, მაგრამ ასეთი მონდომებული და შეუდრეკელი არასოდეს ყოფილა. ბოლო წამს მაინც მოულბებოდა ხოლმე გული. ეს რაღაც უფრო სერიოზულ გადაწყვეტილებას ჰგავდა, ჩანდა, ხვეწნა-ვედრება აღარ გაჭრიდა და თვითონაც ისეთი სახე მიიღო, ვითომც ძალიან ხელს აძლევდა ამ თავატკივებულზე, ცოლთან სამუდამო განშორება· ან კი რა ექნა!

— აღარ შემიძლია შენი გაძლება, წუხელ საბოლოოდ დავრწმუნდი, მხოლოდ ორი გზა მაქვს: ან თავს უნდა ვუშველო, ან — თავი შევეწირო. გახსოვს, რა ამბავში იყავი წუხელ? რამეს მაინც აკეთებდე; რამეს მაინც წარმოადგენდე, შენ რატომ შეგეწირო, შენ? — და დამამცირებლად მიაშვირა თითი: —მომბეზრდა ამდენი უძილობა, ტირილით ღამის გათევა. რამდენი სუფრას მიუახლოვდები, იმდენი შიშით მაკანკალებს· ბოლოს და ბოლოს, შვილი მყავს გასაზრდელი. მამა ხომ არა ჰყავს და არა,

შენ რა მამა ხარ! ახლა დედაც გინდა წაართვა?

— აბა, რატომ უნდა მინდოდეს, რომ საკუთარ შვილს დედა წავართვა? — მხრები აიჩეჩა ლევანმა. — უარყოფითი ემოციები მაწუხებს და ამიტომ მემართება ასე, აგრესიული ვხდები დროდადრო. სულ ეგაა! ისე, რომ იცოდე, თითის გაშვერა უზრდელობაა! — შეახსენა ცოლს, რომელიც ჯერ კიდევ მრისხანედ თითგაბზეკილი იდგა და ისე უყურებდა, მასთან დარჩენის სურვილის ნატამალიც არ ეტყობოდა. ბარგის სიმცირიდან ჩანდა, ნანას თადარიგი წინასწარ ჰქონდა დაჭერილი და ბოლო წვეთს ელოდებოდა მოთმინების ფიალაში. ბავშვიც რომ გაუხიზნავს თავის „დედიკოსთან". აუჰ, ახლა ის დაუწყებს ჭკუის სწავლებას, თუ საერთოდ აღირსებს და აჩვენებს ბავშვი, — თუ საერთოდ შეუშვებს სახლში ოდესმე.

— ჰო, თითის გაშვერა უზრდელობაა, ფანჯრების ლეწვა-მტვრევა და გინება ზრდილობაა ხომ? ვინც გაწყენინა, იმას ვერაფერს აკლებ და აქ ჩემზე იყრი ჯავრს, ხომ? თუმცა, ვის ველაპარაკები, რამდენჯერ გავიმეორო ერთი და იგივე! რაღას ავიშალო ნერვები. წავალ და მოვისვენებ, მორჩეს ერთხელ და სამუდამოდ! აღარ შემიძლია ყოველდღე ჩხუბი, აყალმაყალი, მშიერი ჯდომა შენს ლოდინში! მოიყვანე, ვინც აგიტანს და გყავდეს. რამდენ ვინმეს ჰყავს ცოლი, ერთი ქალი შენთვისაც გამოინახება სადმე. მომბეზრდა ასე ცხოვრება, აღარ შემიძლია.

— მეც მომბეზრდა, ნანა! — გულწრფელად უთხრა ლევანმა. — იცი, რა ძნელია, როცა გინდა, რაღაცა გაპატიონ, რაღაცა დაგითმონ, მოგეფერონ, ამის მაგიერ კი გეჩხუბებიან.

— აღარ უნდა შეგრიგებოდი, არა! ბავშვის გულისთვის შეგირიგდი, ბავშვს მამა სჭირდება-მეთქი. რად უნდა შენისთანა მამა! განქორწინება მაინც გაკეთებული გვაქვს, წავალ და — მორჩა, შენი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლში არ შემოგიშვებ.

— რა ვქნა, ნანა, ასეთი ვარ! არ ვკარგივარ! — მოუბოდიშა ცოლს ლევანმა და ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი. — ასეთი ვარ! ვცდილობ და ვერ ვიცვლები. მე უკვე ვეღარ შევიცვლი ხასიათს, მერე ცემაზეც გადავალ და უარესად დავცილდებით!

— ცემაზე გადავალო? რა მჭირს მე შენი საცემი და საჩხუბარი! — სულ გაგიჟდა ნანა.

— არაფერი, გენაცვალე, არაფერი! შენ გგონია, არ მინდა, უკეთესი ვიყო? შენ გგონია, მე არ მინდა, გასახელო, რომ შენც დაიტრაბახო, ასეთი და ასეთი მაგარი კაცის ცოლი ვარო? მეც მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ!

— აი, ნაპომაც კი დაიცვა დისერტაცია, ნაპომ! შენ რა ხარ ასეთი უძრავი!

— მე სხვანაირი ბიჭი ვარ, მე მგრძნობიარე ადამიანი ვარ, საქმოსანი არა ვარ, ნანა! ყველაფერს სხვანაირად განვიცდი! — ლევანს თვალები ცრემლით აევსო.

— ახლა რომ ვინმემ შემოგხედოს, ანგელოზი ეგონები! ასე იცი თავის მომკვდარუნება მელასავით, ასე! მორჩა, ვეღარ მომატყუებ, ვეღარ! — ხმა შეეცვალა ნანასაც, იმასაც ცრემლით აევსო თვალები. — შენ ხარ საგარეო კაცი, — გარეთ მტერს უყენებ თვალს და შინ — შენიანს. ასეთები ხართ შენც და დედაშენიც, გარედან და შორიდან ხართ ორივენი კარგები, საგარეოები ხართ ორივე.

ლევანი მიუახლოვდა და ატირებულ ნანას ხელი გადახვია.

— ნუ ტირი, ნანა, ნუ! გახსოვდეს, მე შენ მიყვარდი, ახლაც ძალიან მიყვარხარ.

— მეც მიყვარხარ, მაგრამ აღარ შემიძლია შენი გაძლება, ვერ დავრჩები, გესმის? — სლუკუნებდა ნანა.

— სწორი ხარ, ნანა, სწორი! კარგად იქცევი, რომ მიდიხარ. მერე უარესად დავცილდებით.

ერთხანს ასე იდგნენ, არც ერთს არ ეგონა, თუ ასე გაუჭირდებოდათ განშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. მერე ნანა მოეგო გონს, აფუსფუსდა, ბარგს წაეტანა.

— დაგეცადა, კარგად გათენებულიყო, ამ დილაუთენია სად მიდიხარ? — შეწუხდა ლევანი.

— არა, დიდი მადლობა, ისიც მეყო, რაც აქამდე ვიცადე! — სანტიმენტალური მომენტი უკვე ჩავლილი იყო, ნანა უხეში, ნერვიული ხმით ლაპარაკობდა, ცდილობდა, თავისი განცდები მწარე მოგონებებით ჩაეხშო. — წავალ, გამოძინებას ჯერ კიდევ მოვასწრებ. ცხოვრება უნდა გავაგრძელო, უნდა ვიმუშაო, შვილი გავზარდო. შენს ხელში დღე და ღამე, ძილი და ღვიძილი არეული მქონდა, ადამიანს აღარ ვგავარ, ყველაფერი ხელიდან მიცვივა, ამ სახლში შემთხვევით შემოსული სტუმარივით ვგრძნობ თავს, ასე მგონია, ყველაფერი ჭუჭყიანი და წაბილწულია, ასე მგონია კიდევ ერთი საათიც რომ დავრჩე, ვეღარასოდეს კარგს ვერაფერს ვნახავ.

— რაკი ასეა, რა გაეწყობა, ყველას თავისი გზა აქვს! ისე კი, ძლიან მწყდება გული. ნუთუ არც ერთი ბედნიერი წუთი არ გახსოვს?

— არა! — მკვახედ მოუჭრა ნანამ, პატარა ჩანთა აიღო და წინ გაუძღვა, ლევანმა დიდი ჩანთები აითრია და ნანას დაედევნა.

— აჰა, როგორ მოათრევ! — დაცინვით მოუხედა იმან უკან. — შენხელა კაცი მაგ ჩანთებს ნეკით უნდა ერეოდეს, შენ კი... ეეჰ! წავიდე, თავს ვუშველო!

— დედაჩემს მაინც დამშვიდობებოდი, ხომ იცი, როგორ უყვარხარ, იმას რაღას ერჩი!

— კი ვუყვარდი, სანამ მის შვილს ვუვლიდი, ახლა ნახე, რაებს იტყვის ჩემზე! არა, ერთი დღეც რომ არ გაუტარებია ჩვენთან, რატომ? მოსულიყო, თავისი თვალით ენახა, რა დღეში ვიყავი. თუმცა, რა გაგაჩინა, რა გაგზარდა, არ იცის?

— რა გინდა დედაჩემისგან, რამე გაწყენინა?

— აი, შენ რომ მასეთი ხარ, დედაშენის ბრალია. ამაზე მეტი რაღა უნდა მაწყენინოს. ტკბილი ხმით რომ გვარიგებს და თვალებს ლამაზად ათამაშებს, შენ ეგ გაზრდა გგონია? რასაც ბავშვობიდან გაყურებინებდა, იმასვე აკეთებ შენც. არც ერთი არ ვარგიხართ ოჯახისთვის, არც ერთი! იმიტომ არ შეგრჩათ ოჯახი. აღარ უნდა შეგრიგებოდი, ერთხელ ხომ დავდექი გზაზე, აღარ უნდა მომეხედა შენკენ.

— შენ ხომ ვარგიხარ ოჯახისთვის და ვნახოთ, რას იზამ ახლა! — გამწარდა ლევანი. თითოეული სიტყვა გულში ხვდებოდა, იცოდა, ნანა მართალი იყო, ამიტომ უფრო მწარედ განიცდიდა მის ლაპარაკს. ამასობაში ტაქსიც გამოჩნდა, ჩასვა და გაისტუმრა. მერე ეზოში შებრუნდა, ჭადრების ძირას ხის გრძელ სკამზე დაჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

— ყვაა! — მოესმა ზემოდან. — ყვაა!

— ქვაა! — წაიბურტყუნა უბოროტოდ. ეს ერთი თვე იყო, ამ ჭადრებს ყვავები შემოეჩვივნენ. რამდენი აქ ჩამოჯდებოდა, დილა იყო თუ — საღამო, მიუსალმებლად არ გადაუფრენდნენ თავზე, აუცილებლად დასჩხავლებდნენ. რამდენჯერ უფიქრია, ერთი თოფი მქონდეს, ხმა ჩავაწყვეტინო და აქედან გადავაშენოო.

— ყვაა! ყვაა! როგორა ხარ, ლევან, როგორ? — მოიკითხეს ახლაც. — დილა მშვიდობისა.

— ისე რა, — გმადლობთ! — თავი ასწია და მაღლა აიხედა. ყვავები წასვლას არ აპირებდნენ, შეშფოთებით დასტრიალებდნენ თავზე.

„თქვენღა მაკლდით! — გაიფიქრა და წამოდგა. — წავიდე, გაგეცალოთ!" უცბად შემოდგომის ძირნაყარ ფოთლებში პატარა შავი ბახალა შენიშნა. დაიხარა და აიყვანა. ალბათ, ფრენას ასწავლიდნენ და ჩამოუვარდათ. ბახალა ოდნავ აფართხალებდა ფრთებს და უმწეოდ აღებდა ნისკარტს. დაათვალიერა. მოეწონა.

— შენს მშობლებს კიდევ ეყოლებათ სხვა, შენ ჩემთან წამოდი! წამოხვალ? — ჰკითხა ბახალას. იმან ფრთები დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგეთია ცხოვრება, ხედავ? ერთი ყვავი მიდის, მეორე — მოდის. აბა, ვნახოთ, რა ბედს მწევ! — ქურთუკის გულის ჯიბეში ჩაისვა, არ გაიგუდოსო, თავი ამოაყოფინა და რძის მოსატანად გასწია. გულთან ოდნავ იგრძნო ნაზი სითბო. გაეღიმა. ესიამოვნა.

გასტრონომი იქვე ახლოს იყო. გულიკომ, რძის გამყიდველმა, თვალებს არ დაუჯერა, რძე მინდაო, რომ უთხრა.

— რაა? — ჩაეკითხა გაოცებული. აქამდე მხოლოდ ფულის სასესხებლად თუ მისდგომია. ვალს მერე დედამისი უსტუმრებდა ხოლმე. ახლა კი მიადგა და — რძე სთხოვა.

— რძე რად გინდა, ლევან? — ისე შეიცხადა, თითქოს ადამიანი კი არა, ტრაქტორი ყოფილიყოს და რძე თავის დღეში არ დაელიოს.

— აი, ამისთვის! — ლევანმა ბახალა დაანახვა. გულიკოს ამდენი აღარ ეცალა. დაბნეული მზერა სტყორცნა ბახალას და ორი ბოთლი რძე გადააწოდა ურიგოდ. ლევანმა ერთი ბოთლი უკან დაუბრუნა — არ მინდა, ამდენს ვერ დალევსო.

— მაწონიც ხომ არ გინდა, — ან ხაჭო? არ მოგერიდოს! — ჰკითხა გულიკომ.

— არა, ამაზედაც დიდი მადლობა. დედაჩემი გადაგიხდის!

წინ მდგომი ქალები აყაყანდნენ, რიგში არ მდგარაო, რატომ გაატანეო. გულიკომ ხელი ჩაიქნია.

— ჩემთვის შენახული რძე მივეცი, რა გინდათ, თქვენ არაფერს გაკლებთ! — მერე თავის საქმეს მიუბრუნდა. ლევანმა ხალისიანად მოიმარჯვა რძის ბოთლი და შინისკენ წავიდა.

— რა გიყო ახლა შენ? — ელაპარაკებოდა ბახალას გზადაგზა. — ან სახელი ვიცოდე შენი, ან — გვარი, ან — მამის. სახელი! იცი, რომ ყვავებთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არა მაქვს? მით უმეტეს — ბახალასთან! თავის დღეში შინ ასეთი არაფერი მიმიყვანია. რაღა მე დამეცი ამ დილაადრიან თავზე. ჰა, კაცო? რა გაჭამო, როგორ მოგიარო, სად დაგაძინო, ჰა?

შინ შევიდა, კარი მაგრად ჩაკეტა და თვითონვე გაეცინა თავის საქციელზე: არც მოსაპარი ჰქონდა რამე, არც არავინ აწუხებდა ვიზიტებით, იყო თავისთვის მარტო, დღეიდან უკვე, სულ მარტო. ვის უკეტავდა კარს, უცნაური სიცივე და სიცარიელე სუფევდა მთელ ბინაში, კინაღამ ისევ უკან წავიდა. საწოლ ოთახში ლოგინი ასალაგებელი იყო, ძირს ნანას ღამის პერანგი ეგდო. გულში იმედმა იელვა, იქნებ კიდევ ვნახო ნანაო. მიიხედ-მოიხედა. არა, სხვა არაფერი დარჩენოდა, ამ ღამის პერანგის გულისთვის კი არაფრით მობრუნდებოდა. კიდევ — ორი ცალი თმის სარჭი ეგდო დიდი სარკის წინ. ეგ იყო და ეგ.

— აჰა, ხომ გაჩვენე ჩვენი ბინა! — უთხრა ბახალას. — ახლა წამო, რძე ავადუღოთ და დავლიოთ!

ვაი-ვაგლახით აანთო გაზი, ხელები უკანკალებდა, ძლივს აადუღა რძე — ნახევარი გადმოუვიდა. რაც დარჩა, ლამაზ ფინჯანში ჩაასხა და გააცივა, მერე ბახალას მიართვა. ასე ეგონა, მუძუთა ბავშვს უვლიდა. თვითონ სიგარეტს მოუკიდა. ბახალამ გარჯა დაუფასა და ცოტა რძე დალია. სამზარეულოს მაგიდაზე რაღაც ნამცეცებიც მოიძია და შეკენკა, მერე ლევანს მიაჩერდა.

— რა იყო, მოგეწონა აქაურობა? — ლევანი დასწვდა და ხელი სტაცა, მისდა გასაოცრად, ბახალა არ ვასძალიანებია. — აი, დღეიდან აქ უნდა იცხოვრო, ჩემთან ერთად. წამო, ახლა დავიძინოთ, ცოტა აზრზე მოვიდეთ, მერე საქმეებს მივხედოთ. გაიყვანა საწოლ ოთახში, დაასკუპა ბალიშზე, თვითონ გაუხდელად წამოწვა ლოგინზე, ფეხსაცმელები იატაკზე დაათხლიშა და თვალები დახუჭა. ეძინებოდა, მაგრამ უცნაური, მტანჯველი დარდისა და სირცხვილის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. თითქოს მაყურებლით სავსე თეატრის სცენაზე უცბად შიშველი გამოეგდოთ. ასე ეგონა, ხალხი მისკენ თითს იშვერდა და იცინოდა: —„აი ამ ბიჭს... აი, ამ კაცს..." ბალიშზე ნანას თმის ღერი ეგდო. თავი ბალიშში ჩარგო, თმის ნაცნობი სურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება შეიყნოსა. მორჩა. წავიდა. აღარ განმეორდება ის ბედნიერი წუთები... ბახალა წყნარად იჯდა ბალიშზე და გვერდიდან არ სცილდებოდა. როცა თავი ბალიშში ჩარგო, მიუსკუპდა და ყურის ბიბილოზე ჩაუნისკარტა. გაეცინა და გადმობრუნდა.

— რა მალე შემეჩვიე, ეე! გამიძლებ? დარჩები ჩემთან? თუ შენც მიმატოვებ? აი, ხედავ, ნანა კი წავიდა. სულ წავიდა, აღარც დაბრუნდება. შენ გგონია, განვიცდი: არა. რა უნდოდა ამ ქალს ჩემგან? ერთი უბრალო ლაბორანტი ვარ, ჩემგან დიდი მეცნიერი არ გამოვა. არ შეიძლება, ლაბორანტად მოვკვდე? მაინცდამაინც პროფესორობას უნდა ვეპოტინებოდე და ვეწირებოდე?

— წკლუ! — უპასუხა ბახალამ ნისკარტის ნაზი წკლაპუნით და თავი გააქნია.

— არა, შენ თუ იცი, რა არის ღირსების გრძნობა? — ბახალას თავი გვერდით გადაეხარა და ცალი თვალის პარპალით წყნარად უსმენდა. — ჯერ პატარა ხარ. ჯერ არ გეცოდინება, უნდა აგიხსნა. ყვავებში არ ვიცი, როგორ არის და — კაცებში თუ შენი ღირსების გრძნობას ერთი რამე შეეხო და ეს გადაყლაპე, დროზე არ ამოიყარე ჯავრი, გულიდან ბოღმა არ ამოანთხიე, მერე— მორჩა! დადიხარ ასე მოწამლული, წაღმა უკუღმად გეჩვენება, უკუღმა — წაღმად და სულ ტკივილგამაყუჩებელი გჭირდება, რომ კარგად იყო. გაიგე რამე?

— წკლუ! — თანაგრძნობით მიუგო ბახალამ, ცოტა გაფაფხურდა, მერე თავი მეორე მხარეს გადახარა და მეორე ყური მიაპყრო ენად გაკრეფილ ლევანს, რომელიც შეუპოვრად განაგრძობდა თავის მონოლოგს.

— აი, შეიძლება, მთელი ცხოვრება გაკრიტიკონ და გლანძღონ? ადამიანს თანაგრძნობა სჭირდება, ძმაო, მხარში ამოდგომა სჭირდება, დაცინვა და ლანძღვა კი არა. ისედაც ვიცი, რომ კაცი ვარ და არა ანგელოზი, ან ეს შემეშლება, ან — ის. მომდექი ახლა და ჩამკალი! შეიძლება ასე ცხოვრება?

— წკლუ! წკლუ! — აფაფხურდა ბახალა, სახესთან ახლოს მიუჩოჩდა და სევდიანად ჩააჩერდა პირში.

— გესმის ჩემი, ხომ? — გაეხარდა ლევანს. — ერთი-ორი შენისთანა რომ მომცა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ხმის გამცემი მაინც მეყოლებოდა. კაცო, რა ძნელია, იცი? მოხვალ შინ გამწარებული, ან რაღაცა გაგახსენდა, ან რაღაცა მოგიხდა, იმისთანა, თვითონაც რომ ნანობ. აქ კიდევ იმის მაგიერ, რომ მოგისმინონ, დაგამშვიდონ, თანაგრძნობა გამოიჩინონ, სულ ჯამ-ჭურჭელს გახლიან თავში. აი, შენ ხომ ყვავი ხარ, არა? მართალია, პატარა ხარ, მაგრამ ყვავი ხარ. შენც კი გჭირდება სითბო და ალერსი. აბა, არ მოგფერებოდი! შენც გჭირდება, ჩემო ბახალა, სითბო და ალერსი და მე, ამ ლომივით კაცს ხომ — მით უმეტეს!

ბახალა ერთხანს გატრუნული უსმენდა ლევანის შეგონებებს, მერე, რატომღაც, აფხუვდა, ერთი-ორჯერ ჩაჰკრა ნისკარტი ბალიშს, მიიხედ-მოიხედა და საწოლიდან ისკუპა, ქვემოთ ბნელ კუთხეში მიიყუჟა.

— ყვავი ყვავად დარჩება! — შესძახა საწოლის ქვეშ თავგადაყოფილმა ლევანმა. — მე მინდოდა, აქ, ლოგინში დამეძინებინე, როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი იძინებს. ბრძანდებოდე მანდ, მე კი წავალ, იქნებ რამე სახეირო ვნახო! — ადგა, ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. სადარბაზოსთან ახლად სადოქტოროდაცული, ზედა სართულის მეზობელი ნაპო იდგა და მანქანის საქარე მინას აპრიალებდა. ცხრა თვე ამერიკაში იყო სტაჟირებაზე, რაც მის მანერებს და ტანისამოსს მნიშვნელოვნად დასტყობოდა. ლევანს ღიმილით მიესალმა.

— ვა, ნაპო, როგორა ხარ? — გაეხარდა ლევანს მისი ღიმილი. — კაცო, ეს ამერიკა რომ მოიარე, ერთი არ უნდა დავსხდეთ ერთად და არ უნდა მოგვიყვე, რა ნახე?

— რა ვიცი, ჩემო ლევან. ისეთი მოუც-

ლელი ვარ! — ტუჩები გამობუშტა ნაპომ.

— როდის მოიცლი, რომ ამოვიდე? — გულუბრყვილოდ შეეკითხა ლევანი.

— რა ვიცი, აბა! — ისე უპასუხა ნაპომ, რომ ლევანი მიხვდა, თავისდღეში ვერ მოიცლიდა.

— იცი, მე ყვავის ბარტყი მყავს, ბახალა, რა! — გამოუცხადა უცბად ნაპოს.

— რა გყავს?

— ბახალა! აი, შენ ხომ ტერიერის ლეკვი გყავს, არა? მე ბახალა მყავს.

— რას მეუბნები! — ჩაიცინა ნაპომ.— მართლა? — მანქანის კარი გამოაღო და ჩაჯდა. — კარგად იყავი! — ღიმილით დაუბარა ლევანს. არც უკითხავს, სად მიდიხარო.

— წადი შენიც! — ჩუმად დაადევნა აღმუვლებულ მანქანას ლევანმა. შენ რომ არ დამავალო, თვითონ ვერ ვიქნები კარგად? უჰ, შენი ტერიერის ლეკვი!

მეშვიდე კლასში იყო, პირველად რომ იჩხუბა გოგოს გულისთვის.

— წადი შენი კახპა დედაც! — შეაგინა მეზობლის ბიჭმა. — კარგი გოგო რა შენი საქმეა, შენ დედაშენისნაირი მონახე!

— რა გინდა დედაჩემისგან? — ეცა ბიჭს და ორივენი მიწაზე გაგორდნენ, — დედაჩემი კახპა არ არის. დედაჩემი ლამაზია და კარგია, გაიგე? — ურტყამდა, კბენდა, კაწრავდა.

— არა, ბიჭო, ანგელოზია! — ხელიდან გაუსხლტა მეზობლის ბიჭი. წიხლი ჩააზილა და გაექცა. — მთელმა ეზომ იცის, რომ საყვარელი ჰყავს, დიახ! — მიაძახა შორიდან. ლევანი დაედევნა, ვერ დაეწია.

— დედაჩემი შეყვარებულია, გაიგე? შენ რა გესმის, ქაჯი ხარ და ოხერი! — თან ხიმწრისგან ცრემლები აზრჩობდა, — მისდევდა და ტიროდა.

ასე ეუბნებოდნენ დედა და ბებია, ასე შთააგონეს — რომ სირცხვილი არ იყო მაღალი, შავგვრემანი კაცის მათ ოჯახში სიარული. დედა ახალგაზრდაა და ასეა საჭიროო. ლევანს კარგად ახსოვდა, შემთვრალი კაცი ხმამაღლა როგორ გაიძახოდა, ცოლი და ქალი ერთი და იგივეა, მხოლოდ სახელი აქვია სხვადასხვაო, დედა კი სიამოვნებით იღიმებოდა. როცა ცოტა წამოიზარდა, ბებიამ უთხრა, ასეთია, შვილო ცხოვრება, ყველა ოჯახში დუღს თითო ქოთანი, ყველა ოჯახში ხდება რაღაცა, დედაშენი კიდევაც უნდა გათხოვილიყო, რასაც აკეთებს, კარგად აკეთებსო — უთხრა ბებომ.

— გათხოვილიყო, სჯობდა! — წაიბურტყუნა ლევანმა. მისი მეხსიერებიდან არა და არ იშლება მეზობლის სიტყვები, წადი შენი კახპა დედაცაო, რომ წამოაძახა. ძალიანაც რომ სდომებოდა, თვითონ იგივეს ვერ ეტყოდა, იმ ბიჭის დედა ქვრივი იყო, მარტოხელა ზრდიდა სამ შვილს, მაგრამ უკადრებელს ვერავინ ჰკადრებდა, პირიქით — ძალიან პატივს სცემდნენ და მისი შვილიც ამაყად გამოდიოდა ეზოში.

— ნეტავ რას უსმენ მაგ უზრდელს, მაგ ბოროტს, მაგას! — ეფერებოდა დედა. — ყველას თავისი ცხოვრება აქვს, შვილო, მაგათ თავიანთი თავს მიხედონ.

— თავს ნუ მჭრი, დედა! — ბღაოდა დედის კალთაში თავჩარგული ლევანი. — თავს ნუ მჭრი, დედა! სირცხვილია, დედა! მრცხვენია, დედა! — იგი მართლაც გრძნობდა ტკივილამდე მისულ სირცხვილს, თან სძულდა საკუთარი დედა, რომელმაც ამხელა ტანჯვა მიაყენა, თან — უნდოდა, რაც შეიძლებოდა, მაგრად ჩაჰკროდა გულში, მის კალთაში ეტირა და ექვითინა, რადგან მასზე უფრო ახლობელი და უფრო გულშემატკივარი, მასზე საიმედო დამამშვიდებელი, სხვა არვინ გააჩნდა ბღაოდა და გრძნობდა, რომ ამის შემდეგ სულ ასე იქნებოდა — ეს მტანჯველი სირცხვილის გრძნობა უნდა ჩამდგარიყო მასსა და ადამიანებს შორის, საკუთარ დედაზე უარის თქმაც კი ვერ მოსპობდა ამას. და განა შეეძლო დედაზე უარის თქმა? სწორედ იმ მწარე წუთებში მიხვდა, რომ დედამისის სისხლი და ხორცი იყო, მისი სხეულიდან და მისი სულიდან გამოსული, ვერც ვერასოდეს მოსცილდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მას. ამ შემთხვევის შემდეგ იყო, სირცხვილის განცდა რომ აეკვიატა. მისი თანდასწრებით დედამისზე ხმას ვერავინ ამოიღებდა, მაგრამ გულის სიღრმეში თვითონვე ლანძღავდა დედასაც, ბებიასაც, ასე რომ ცდილობდა მისთვის თვალი აეხვია, იმ შავგვრემან მაღალ კაცსაც, ცოლი და ქალი ერთია, მხოლოდ სახელი ჰქვიათ სხვადასხვაო, რომ ასწავლა. ეს გულის სიღრმეში მოტრიალე ბოლმა აიძულებდა, მეფიქრა, რომ თვითონ ისეთივე არ იყო, როგორიც ყველა მისი თანატოლი ბიჭი, რომ თვითონ რაღაცა აკლდა, რაღაცა, ადამიანის ღირსებისთვის აუცილებელი, რასაც ემყარები, როცა ქუჩაში ამაყად და ლაღად დადიხარ. მის ურთიერთობას ადამიანებთან ყოველთვის ახლდა ამის შემდეგ ტკივილის შიში. როგორც ძაღლი გახტება განზე, ხელს რომ მოიქნევ მოულოდნელად, მე არ მომხვდესო, ასე კრთოდა ამხანაგების ყოველ სიტყვაზე, ასე შიშით და მუდარით შეჰყურებდა მათ — ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ გულს ნუ მატკენთო. ამ ტკივილის შიშმა აიძულა სწორედ, მარტო გამოკეტილიყო. ერთადერთი მომენტი, როდესაც ღირსების გრძნობა, ასე თუ ისე, უბრუნდებოდა და თავს კაცად გრძნობდა, ეს ქალებთან გატარებული წუთები იყო. ასე ეგონა, რაც უფრო მეტ ქალთან გააბამდა ურთიერთობას, მით უფრო მეტად ამაღლდებოდა საკუთარ თვალში და დაუოკებელი ლტოლვა დაეწყო ქალების მიმართ. მაგრამ — რა! დარჩებოდა მარტო თუ არა, ისევ თავიდან ეწყებოდა უსუსურობის, სირცხვილის შეგრძნება. მამამისმა მისი აღზრდა ვერ მოასწრო და ლევანმა გვიან გაიგო, რომ სიყვარული სხვა იყო, ქალებთან სიარული — სხვა. ყოველ შემთხვევით შეხვედრილ ქალთან რომანს აბამდა და ლამის თავი მოეკლა, როცა გაიგებდა, ამ ქალს ჩემამდე სხვებიც ჰყოლიაო. დედა და ბებია ცდილობდნენ, ყოველგვარი სიძნელისა და ხიფათისთვის აერიდებინათ ლევანი, ის კი აღარ უფიქრიათ, რომ ამით სამუდამოდ დაუკარგეს იმუნიტეტი, უმწეო და უსუსური გაზარდეს. მამასთან ურთიერთობა როცა დაიწყო, უკვე გვიან იყო, უკვე შეძენილი ჰქონდა ის ძირითადი თვისებები, კაცს რომ ბავშვობიდან მოსდევს და მერე ვეღარ ჩაუნერგავ, ვერ მიაწებებ.

მამას მეორე ცოლი ჰყავდა. კარგი ქალი იყო, თბილი, ალერსიანი, ყურადღებიანი. ლევანს უყვარდა მათთან სიარული, მამის სიკვდილის შემდეგაც არ დაუკარგავს ეს ქალი, საფლავზე ერთად დადიოდნენ ხოლმე. მათ შვილი არ ჰყოლიათ, მაგრამ ტკბილად, შეთანხმებულად ცხოვრობდნენ, კარგი ოჯახი ჰონდათ.

— არა, შვილო, მე შენ არ მიმიტოვებიხარ! — უთხრა მამამ. — აი, როცა წამოიზრდები, უფრო უკეთესად გაიგებ ყველაფერს, აბა, ახლა რა გითხრა. დედაშენს არ უნდოდა, გყვარებოდი. დედაშენს უნდოდა, მარტო თვითონ გყვარებოდა. მიშლიდა შენს ნახვას, ბავშვი ძალიან ნერვიულობსო და ამიტომ აღარ გნახულობდი, ისე, შორიდან კი რაც შემეძლო, შენთვის მზრუნველობა არ დამიკლია. მე შენს მეტი შვილი არა მყავს, თუ რამე გამაჩნია, შენთვის მინდა.

ნაახალწლევი იყო, დიდ ოჯახში ნაძვისხე ციმციმებდა, ლევანი და მამამისი დასაძინებლად ემზადებოდნენ, საწოლზე ჩამომსხდრები გულახდილ საუბარს შერჩნენ. კედლის მიღმა, მეზობელი ბინიდან ბავშვის ტირილი მოისმა. ტიროდა მწარედ, საცოდავად, გულნატკენი, კარგა ხანს იტირა. მერე ქალის კისკისმა და ალერსიანმა ხმამ გამოაღწია, ბავშვს აწყნარებდა. დროდადრო კაცის, ხმადაბალი ლაპარაკიც ისმოდა. გვერდით ბინაში ქმარგანაშვები გოგო ცხოვრობდა, ლოთი იყო და გავეყარეო, მოუყვა მერე ლევანს. ბინა მისი დის და სიძის იყო, ერთი წლით სხვა ქალაქში სამუშაოდ რომ წავიდნენ. აქ რომ გადმოვიდა, შეკრული ფუთებით და ჩანთებით, ბავშვით ხელში, ლევანი მიეხმარა, შინ შებარგებულიყო. გოგოს თან ორი კავალერიც ახლდა. თან თავის ნივთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაგებდა, თან საკუთარ დედას ლანძღავდა, არაფერში არ მეხმარება და შინ ამხანაგი ვერ შემომიყვანია, სტუმრები სძულს, არც მე მიშვებს არსად, ბავშვს არ იტოვებსო. დედამისი ლევანის მასწავლებელი იყო. ბიჭს ხმა კი არ ამოუღია, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, ასეთი კარგი ქალი შვილს რატომ უნდა ჩაგრავდეს, რაშია საქმეო. მერე კი მიხვდა, საქმე რაშიც იყო. იმ ხანებში ხშირად რჩებოდა ხოლმე მამამისთან დასაძინებლად, უკვე სახეზე სცნობდა გოგოს კავალერს, დილაობით ქურდივით რომ მიიპარებოდა, უსალმოდ, უსიტყვოდ, შეხვედრილ მეზობლებს თვალს არიდებდა. ამ ამბავმა კიდევ უფრო გაუღრმავა ძველი იარა. შვილი სიხარული და სანატრელი არსება კი არ იყო გოგოსთვის, არამედ ბორკილი, ტვირთი, კარგად გათხოვებაში და საკუთარი ცხოვრების კარგად მოწყობაში ხელს რომ უშლიდა. უყვარდა, როგორ არ უყვარდა, მაგრამ მაინც სინანულით იტყოდა ხოლმე — აიო, ჩემხელები ჯერ კიდევ დისკოთეკებზე დარბიან, მე კი შემრჩა ლოთი მამის ნევროზიანი ბავშვიო.

ლევანი რატომღაც, საკუთარ თავს ხედავდა პატარა, ნიადაგ მტირალ ბიჭში. მერეც, როცა ცოლს გასცილდა, რამდენჯერ გახსენებია ეს ბავშვი და უფიქრია, ალბათ, ნანაც ასე ამბობსო, თუმცა იცოდა, რომ მისი ყოფილი ცოლი სხვა ყაიდის ქალი იყო. სწორედ პატარა ბიჭის მიმართ სულიერმა ნათესაობამ და თანაგრძნობამ მიიყვანა ლევანი ამ გოგოსთან. რა ერქვა ამ გრძნობას — სიყვარული? სიბრალული? ქალით გატაცება? თვითონაც არ იცოდა. მამამისი რომ ავარიაში მოჰყვა და უცბად გარდაიცვალა, ბინა მას დარჩა.

— შენია და შენ გეკუთვნის! — უთხრა მამამისის ცოლმა. — ჩვენ თავიდანვე ასე ვიყავით მოლაპარაკებული — შვილი რომ გვყოლოდა, ალბათ, იმას თავის წილს ვარგუნებდით, შენ კი — შენსას. ახლა, რადგან მეტი არავინ დარჩა, შენ გეკუთვნის ყველაფერი. მე მხოლოდ ჩემს ნივთებს წავიღებ. რა ვქნათ, ასეთია ცხოვრება, შვილო, ასეთი. მხოლოდ შენ ნუ დამკარგავ და ნუ დამივიწყებ, იცოდე, შენთვის კარგის მეტი არაფერი მინდა!

ლევანი გაოცებული, თვალზე ცრემლმომდგარი შეჰყურებდა ამ კეთილშობილ, უანგარო ქალს, რომელსაც თურმე მხოლოდ დიდი და განუმეორებელი სიყვარული აკავშირებდა მამამისთან. ო, როგორ უნდოდა, თვითონაც განეცადა ასეთი რამ ცხოვრებაში! როგორ არ ჰგავდა ეს ქალი დედამისს.

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარ! — კიოდა დედამისი. — გინდა გაგიფრინო? გინდა, თავი მოგჭრა ქვეყანაზე? თან ბავშვიანი, თან შენზე უფროსი, თან განათხოვარი, თან — ვისთან დადიოდა, რა იცი!

— ვიცი, დედა, ყველაფერი ვიცი! — მუდარით უყურებდა ლევანი.

— შენ ჭკუა გაქვს? არა, შენ ჭკუა გაქვს? რით უნდა იცხოვრო? რატომ არ ფიქრობ, ისეთი გოგო მოიყვანო, გამოგადგეს, ვინმე ჰყავდეს, რამე შეეძლოს. მაგისი ფეხი აღარ ვნახო აქ! რა იყო, ქალი გაგიჭირდა?

— ბოლოს და ბოლოს, განათხოვარი შენც კი ხარ! — გამწარდა ლევანი. — შენ შენს სახლში რას აკეთებ, მე გეკითხები? რა გინდა, რა არის აქ შენი?

— შენ ხარ ჩემი, შენ! — შეჰკივლა ქალმა და აქვითინდა. — იცოდე, რომ დედას შენთვის ცუდი არასოდეს არ უნდა.

— კარგი ქალივით რომ ლაპარაკობ, შენი გულისთვის არ გამომყვა ცოლად ბაია. ეგ ვისი ბრალი იყო? ბაია ლევანის თანაკლასელი იყო. სკოლაში ერთმანეთს ვერ ამჩნევდნენ. სკოლის დამთავრების ხუთი წლისთავზე რომ შეიკრიბნენ, აი, მაშინ აღმოჩნდა, რომ თურმე ამდენი დრო სულ ტყუილად დაუკარგავთ. კარგა ხანს იარეს, მერე ბაია უკან მოუხედავად გაექცა.

— პირწავარდნილი დედაშენი ხარ! — მიახალა. — შეგიძლია, ვიღაც ორკაპიკიანი ქალის გულისთვის შუა ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომაყენო შეურაცხყოფა და უყურადღებოდ მიმატოვო, რატომ უნდა გითმინო, რა მჭირს საამისო?

რას ჰქვია ორკაპიკიანი ქალი? — გაწყრა ლევანი. — ასეთი ქალები გვაქცევენ ჩვენ კაცებად. არ იცი, რომ ცოლი და ქალი ერთი და იგივეა და მხოლოდ სახელი ჰქვიათ სხვადასხვა? ასეთ ქალებს ჩვენ პატივი უნდა ვცეთ, გაიგე?

— არც მამაჩემი და არც ჩემი ძმა ასეთ ქალებს არ უქცევიათ კაცად და სჯობდა, შენც შენს მშობლებს ექციე კაცად, მაგათ იმედზე არ ყოფილიყავი! — დაცინვით გადმოხედა გოგომ. — როგორ გეტყობა, რომ კარგი გოგოს ფასი არ იცი. რაც ხარ, იმისკენ მიგიწევს გული.

შეტრიალდა და წავიდა. არც გარბოდა, არც უკან იყურებოდა. ვითომც — არაფერი, წავიდა. ლევანი იდგა და თვალს ვერ აცილებდა.

— აჰა, ბაიას ამბავიც მე დამაბრალე! — ტიროდა დედა. — შენ თვითონ რომ არ ვარგიხარ, ჩემი ბრალია?

— შენი ბრალია, შენი! — ტიროდა ლევანიც. — შენ გამაჩინე, შენ გამზარდე! თუ რამე კარგი მაქვს, ისიც მამაჩემის ოჯახში ვისწავლე. რა გინდა ჩემგან, აბა, ცოლი არ მოვიყვანო?

— რაღა ეგ უნდა მოიყვანო, შვილო, რაღა ეგ? მე ვიცი ერთი კარგი გოგო, აი, ზუსტად ის გამოგადგება ცოლად. ერთი-ორი დღე და მოგიყვან ცოლსაც.

— მიყვარს, დედა, მიყვარს!

— გააჩუმე ენა! — უყვირა დედამ. — კარგად ვიცი, რაღაცა სიყვარული აგტეხია. ასეთი ხარ ბავშვობიდან — ყოველდღე ვიღაცა გიყვარს. ვიცი მე შენი სიყვარული!

მერე ნანა გააცნო, ერთი შორებელი ნათესავის მეზობელი იყო, საგანგებოდ გამოიკითხა და გამოძებნა. ჯერ თვითონ შეამოწმა, თითქოს ზამთრის პალტო ან ტყავის ძვირფასი ქურთუკი ყოფილიყოს, ანგარიშში არ მოვტყუვდეო, ჯერ თვითონ დაათვალიერა. „სწორედ ასეთი ყოჩაღი და ჭკვიანი გოგო გჭირდება შენ! — დაასკვნა ბოლოს. — აი, ყავაზე და ნამცხვარზე დავპატიჟებ ამხანაგთან ერთად და ნახავ. მხოლოდ ეცადე, ნაკლები ილაპარაკო, ეცადე, კარგად გამოჩნდე, თავს ნუ გამოამჟღავნებ პირველივე დღეებში!“

— მერე, გამომყვება ცოლად? — შეეკითხა ნანას ქების შემდეგ საკუთარ ღირსებებში დაეჭვებული ლევანი.

— გამოგყვება, აბა, რას იზამს. შენ გათხოვება უხსენე და — აბა, რას იზამს!

ასე მოიყვანა ნანა ცოლად. თვითონაც არ ეგონა, თუ შეუყვარდებოდა. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა სახლში უცხო ადამიანის ატანა, აღიზიანებდა მისი ლაპარაკი, ქცევა, ყოველდღე სახლის ლაგება და სადილზე ზრუნვა. აღიზიანებდა ისიც, რომ შინ თავის დროზე უნდა დაბრუნებულიყო, აღარ შეეძლებოდა ახლადგაცნობილი ლამაზი გოგონების სახლში მიყვანა და ამხანაგებისთვის ერთი ღამით ბინის დათმობა. გამწარებული ბურდღუნებდა და თუ ნანა წყნარი ხმით ახსნა-განმარტებას დაუწყებდა, ამაში და ამაში მართალი არა ხარ და სწორად არ იქცევიო, მაშინვე შეჰყვირებდა ხოლმე, თავი დამანებე, თორემ უარესს ვიზამო. მერე და მერე უკვე მოდვა, ოჯახისკენ ჰქნა პირი; მაგრამ პირველ ხანებში თავისდა უნებლიედ იმდენი ტკივილი მიაყენა ნანას, რომ ახლა იმას აღარ მოუბრუნდა გული ქმარზე. აერიათ ურთიერთობა, ბავშვის დაბადებამ ბევრი ვერაფერი შეცვალა, პირიქით. ახალმა მოვალეობამ — მამის მოვალეობამ, კიდევ უფრო დააბნია და გადარია ლევანი. ნანას ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია, მაგრამ ხანდახან ეჭვიანობის სცენებსაც უწყობდა, ნატრობდა — ერთი რამე ჩაიდინოს, ისე გავუშვა ჩემგან, მე მართალი გამოვიდეო. მისი გულის გასახეთქად, ნანა მხოლოდ თანაგრძნობას და სიყვარულს იწვევდა ახლობლებში, ყველა ლევანს მისდგებოდა ხოლმე. დედამისმაც კარგად იცოდა, რომ რძალი მართალი იყო, მაგრამ შვილზე არამცთუ ცუდის თქმა, გაფიქრებაც კი უჭირდა. ეს მთელი მისი ცხოვრებისთვის ხაზის გა-

დასმას ნიშნავდა, ამიტომ მეტი გზა არ ჰქონდა — ისევ რძლისთვის უნდა დაეწამებინა ცილი, რომ თავი ემართლებინა.

— ქმარს როგორსაც გამოზრდი, ისეთი გეყოლება. უნდა მოუარო, უპატრონო, ფეხზე დააყენო, ცხოვრებაში გამოიყვანო! არ ვარგა, რა, ქოთანია? გაგონილა, ასე მიაგდო კაცი? — იძახდა გაცხარებული, იმას კი აღარ კითხულობდა, უნდოდა თუ არა ნანას გამოსაზრდელი, სარჩენ-საპატრონებელი ქმარი.

— თქვენ უნდა გაგეზარდათ კაცად, ბატონო, თქვენ! ქალმა ქმრის ჭკუით უნდა იცხოვროს. თუ ჩემი დასარიგებელი შეიქნა, რა ჭკუა მოვთხოვო, როგორ დავუჯერო? აგერ, გასაზრდელი შვილი მყავს და ამას გავზრდი. წავალ და მოიყვანოს უკეთესი, იქნებ ის შეეგუოს. ბოლოს და ბოლოს — განათხოვარი ვარ, გადასაგდები ხომ არა!

— ჭკვიანი ხარ, საშენოდ ჭკვიანი! ყველა კაცი კი ვერ ეგუება ჭკვიან ქალს, არ ტყუის ლევანი! — შეუტია დედამთილმა.

— ჰოდა, ეგ თქვით, ნანა ჭკვიანი და შრომისმოყვარე გოგო იყო, ამიტომ ვერ შეეგუა ჩემი შვილი! ლაფში ნუ მსვრით. ისე, სათქვენოდ თქვენც კაი ჭკვიანი ბრძანდებით, სახხვისოდ არც თქვენ იკლავთ თავს. ერთი თქვენი ქმარი ყოფილიყო ლევანი, მერე ენახავდი, როგორ იმღერებდით! — ეს უთხრა ნანამ და მეტად აღარც დალაპარაკებია. განქორწინების მერე რომ შერიგდნენ, მხოლოდ თავის დაკვრით ესალმებოდა ხოლმე ლევანის დედას.

ნანას წასვლის შემდეგ, ლევანმა სმას უმატა. დედამისმა ასე ასწავლა ბავშვობიდან — თუ არავინ გიყურებს, ყველაფრის ჩადენა შეიძლება. მთავარია, სხვამ არ გაიგოს და სხვის თვალში გამოჩნდე კარგი. ლევანიც ასე იქცეოდა, კვირაში ერთხელ დედამისი რომ სახლის დასალაგებლად და საჭმლის მისატანად მიაკითხავდა, მშვენივრად ეჭირა თავი, მისი ნამდვილი ცხოვრება კი სულ სხვა მხარეს მიემართებოდა. რაც უფრო ცუდად მისდიოდა ურთიერთობა ქალებთან, რაც უფრო ცუდად მისდიოდა საქ-მეები, მით უფრო მჭიდროდ უახლოვდებოდა ფრინველთა სამყაროს, კონკრეტულად — ყვავებს. „რამდენი ქალიც წავა ჩემგან, იმდენი ყვავი მოვა!“ იძახდა სიცილით და მართლაც, ყოველი ქალის გამოცვლის შემდეგ ახალი ყვავი მოჰყავდა შინ. არადა — ეს ყვავებიც რომ ეტანებოდნენ, ფეხმსუბუქი ქალებისა არ იყოს. მხოლოდ — იმათგან განსხვავებით, არავინ მიაბრძანებდა ხოლმე დილაობით. „რა ამბავია ლევან, ამდენი ყვავები?“ — შეიცხადა ერთ-ერთმა „სტუმარმა“ ლამაზმანმა.

— რა გაგიკვირდა, ჩვენ, ადამიანებს, ხომ გვინდა ჩვენიანი გვყავდეს გვერდით. ყვავიც ასეა — ყვავსაც აქვს ახლობლის მოთხოვნილება, ოჯახური ინსტინქტები. მე ამხელა დანაშაულს ვერ ჩავიდენ, ყვავს მარტოობისთვის ვერ გავწირავ, კარგად ვიცი, მარტოობა რა ძნელიც არის. დაე, ჰყავდეს ყვავს ყვავი გვერდით! საოცარი ის იყო, რომ ლევანის ყვავებს ადამიანებისა არ ეშინოდათ და როცა ლევანი სასეირნოდ გარეთ უშვებდა, მის ფანჯარასაც კარგად აგნებდნენ. ისხდნენ ხოლმე ღამღამობით და უსმენდნენ ლევანის გულამოსკვნილ მონოლოგებს, ხანდახან კი საკუთარ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ „წკლუწკლუს“ ძახილით. „ყვას“, რატომღაც, შინ არ იძახოდნენ, ეს შეძახილი მხოლოდ ბუნების წიაღში აგონდებოდათ ხოლმე. მიეთრეოდა შინ მთვრალი ლევანი და მისდგებოდა ყვავებს:

— ვერ ხედავ, სადამდე მიხვედით? მეგობარი თქვენ არ შეგრჩათ და ნათესავი! არა, ასე როგორ დაეშვით, ჰა? ერთი კაცი არ უნდა გყავდეთ გვერდით?

ყვავები ნისკარტჩამოშვებულები ისხდნენ, ნაღვლიანად იჩეჩავდნენ მხრებს. იბობოქრებდა, იჯაჯღანებდა ასე, ამოანთხევდა დაგროვილ შხამს და წყენას. დაიღლებოდა ლაპარაკით, დაწვებოდა და გაუხდელი დაიძინებდა. ასე იყო თითქმის ყოველდღე.

— არა, თქვენ გგონიათ, ჩემი ცოლი მართალი იყო? — ახლა სხვა თემაზე

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიწყებდა ნერვიულობას· — იცით, იმას ჩემგან რა უნდოდა? როგორ შევცდი!

მალე თვითნაც ყვავს დაემსგავსა, ცხვირი ჩამოუგრძელდა· ტანსაცმელი ფრთებივით ჩამოეკიდა ტანზე, სულ შავებს იცვამდა, ჭუჭყს კარგად იტანსო. ხმაც ჩაეხლიჩა, ისე იცინოდა ხოლმე, თითქოს ყვავი ყრანტალებსო. დედამისმა ყვავებთან მისი სახიფათო მსგავსება რომ აღმოაჩინა, უკვე გვიან იყო — ცამეტი მოზრდილი ყვავი არხეინად ბუდარაობდა ლევანის ბინაში და თავს იქაურობის ბატონ-პატრონად თვლიდა. თავდაპირველად ხმას არ იღებდა, ცოლის წასვლას დარდობს და ჰყავდეს ეს რაღაცა ერთი-ორი ყვავი მოუყვანია, გულს გადააყოლებს და გაუშვებსო, მერე კი ძალიან შეფუცხუნდა. სხვები ფეხბურთზე დადიოდნენ, კუს ტბაზე დარბოდნენ, ჩოგბურთს თამაშობდნენ, გოგოებს დასდევდნენ, ზოგს მესამე ცოლიც კი მოჰყავდა, ეზოში ისხდნენ — დომინოს თამაშობდნენ, მისი შვილი შინიდან გარეთ აღარ გადიოდა, ხალხში გარევა აღარ უნდოდა, ლოთობდა და ყვავებს ამრავლებდა· ფულის მიცემა რომ შეუწყვიტა, ლევანმა ტელეფონის ნომერი გაყიდა, არავისი დარეკვა მე აღარ მიხარიაო და ამ ფულით ირჩენდა თავს, ძლივს დაუბრუნა ტელეფონის მყიდველს თავისი ფული ქალმა — მთვრალი იქნებოდა, თორემ ტელეფონს როგორ მოგყიდდა, ა, ბატონო, შენი ფულიო.

— რაღა ყვავები, შვილო, რაღა ყვავები! — ტიროდა გულამოსკვნილი. — რამე სხვა მაინც მოგემრავლებინა — ან თუთიყუშები, ან კანარის ჩიტები.

— რა ვიცი, რაც ის ბახალა ვიპოვე, კარგად მძინავს· ადრე სულ უძილობა მაწუხებდა, ახლა ყვავებს რომ ველაპარაკები, მერე კარგად მეძინება. ეტყობა ყვავი ჩემთვის ბედნიერი ფრინველია! — — უთხრა ლევანმა, თან ყვავებს აჭმევდა და ეფერებოდა. — შენ ნუ შეწუხდები, მე თვითონ მოვუვლი. აი, სისუფთავეს ვიცავთ, არც არაფერი გაუტეხიათ, არიან თავისთვის! შენ რას გიშლიან...

— მაგათ ჩხავილს როგორ იტან, შვილო, გული არ გისკდება?

— სულ არ ჩხავიან ჩემთან, რა აქვთ საჩხავლი? შენ რა, ყვავი ცუდი გგონია? ჩვეულებრივი ფრინველია· ჩვეულებრივი ხმა აქვს. ერთი კარგი ყვავი რამდენ ცუდ ადამიანს სჯობია, იცი? ადამიანები ერთმანეთს ჭამენ, ცხოვრებას უფუჭებენ, ყვავი ასეთს რას გიფუჭებს, აბა?

რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობდა ლევანი, ყვავთა მოდგმის სიკეთეში დაერწმუნებინა დედამისი, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა ქალი, რომ მისი შვილი მთლად კარგად არ იყო და მისი ამ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლებოდა·, არა, ყვავების ბინიდან გარეკვა მისთვის ლევანთან შემოსახლებული ქალების გარეკვაზე უფრო ძნელი გამოდგა.

— სამსახურში რას იტყვიან, თავი მოგეჭრება! — სცადა, ეს გზაც ესინჯა.

— ვის რაში აინტერესებს, მე ჩემს სახლში რას მოვაშენებ, ყვავებს თუ — მტრედებს? მე ვკითხულობ ჩემს სამსახურში ვინ რას აკეთებს? ეს ერთი სულიერიღა შემრჩა ახლობლებიდან, გინდა, ესეც მომისპო? — გაწყრა ლევანი.

არა, საკუთარი ნებით ყვავებს იგი არ მოეშვებოდა, ვერც მის უნებართვოდ გარეკავდა, იცოდა, შვილი ამას არ აპატიებდა. იფიქრა· იფიქრა და ერთი შორებელი ნათესავი გაახსენდა, მილიციაში რომ მუშაობდა. იმავე დღეს მიადგა — ცრემლებით, ხვეწნა-მუდარით. იქნებ მილიციიდან ვინმე გამოაგზავნო და იმათ წაიყვანონ ყვავები, ვითომ შეწუხებულმა მეზობლებმა იჩივლეს. თუ საჭიროა, საჩივარს თვითონ დავწერ, შვილი მეღუპებაო, ნათესავმა ჯერ იუარა, მაგრამ ქალმა ისე გულსაკლავად აუწერა შვილის მდგომარეობა, ბოლოს დაეთანხმა.

ლევანს იჭვიც არ ჰქონია, ყვავების ოპერაცია მისი მშობელი დედის ნებასურვილით და მონაწილეობით თუ მომზადდა. ტახტზე იჯდა და ყვავებს საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა კარზე დარეკეს· არც მილიციელების დანახვა გაჰკვირვებია, რისთვისო, არ უფიქრია. რომლისთვისო, ეს კი ჰკითხა თავს. „რაები აღარ გიკეთებია, რაები აღარ ჩაგიდენია, ნეტავ, ამათ რა გაიგეს"? — შემობრძანდით! — სულით და გულით შეიპატიჟა სტუმრები დერეფანში, ოთახის კარი კი გამოიხურა, რომ ყვავთა პიროვნებით არ დაინტერესებულიყვნენ. მილიციელები ვიწრო დერეფანში ძლივს დაეტივნენ. ლევანი კარს მიეყრდნო და მათ კითხვით მიაჩერდა.

— ჩვენ გავიგეთ, რომ აქ რაღაც უცხო ცხოველი გაგიჩენიათ, ღამღამობით აჩხავლებთ, მეზობლებს ძილს უფრთხობთ და ხმაურით აწუხებთ! — დაიწყო დაბალმა, ჩასკვნილმა მილიციელმა და რაც შეეძლო, მკაცრი სახე მიიღო, ასე იყო დარიგებული.

— საიდან გაიგეთ? შეწუხებული, მაგრამ უმანკო გამომეტყველებით გაიოცა ლევანმა და ხელები გაშალა. — მე არავის ვაჩხავლებ ღამღამობით!

— სიგნალია შემოსული, ძმაო — აუხსნა მაღალმა, გრძელულვაშიანმა, — ჩვენ მოვედით, რათა ეს სიგნალი შევამოწმოთ·

— აჰა, მეზობლებმა მიჩივლეს? — მწარედ ჩაიცინა ლევანმა, — მაგას დოქტორი ნაპო იზამდა, მერე მეც ვუჩივლო, ტერიერს რომ ზრდის?

— რა შუაშია დოქტორი ნაპოლეონი, სიგნალი სხვა მხრიდან არის! — ამოიხვნეშა მაღალმა·

— არ დაიჯეროთ. ცხოველები არამცთუ სახლში არ მომიშენებია, ბავშვობისას პატრონი რომ მყავდა და ზოოპარკში რომ მაჩვენა, იმის შემდეგ თვალითაც აღარ დამინახავს. ბაზარშიც კი აღარ მინახავს. არ დაიჯეროთ...

— დავიჯერებთ თუ არ დავიჯერებთ, სიგნალი უნდა შევამოწმოთ. შეიძლება, ბინა დავათვალიეროთ? — ოთახისაკენ გაიქნია თავი მაღალმა.

ჰოი საოცრებავ! მაინცდამაინც ახლა მოუნდათ ყვავებს ყრანტალი და ჩხავილი, აკი ვთქვით, შინ სულ ზრდილობიანად იქცეოდნენ, შემოსძახეს და შემოსძახეს·

— თუ ცხოველები არა გყავთ· აბა, რას აჩხავლებთ და აზმაურებთ? — მკაცრად ჩაეკითხა ჩასკვნილი და ხელით ანიშნა, ოთახში შეგვიშვიო· მეტი გზა არ იყო, ლევანი კარს მოსცილდა. მისი ყვავები თუ ვინმეს აწუხებდნენ, აქამდე არ უფიქრია. გადაკვრითაც არავის მიუნიშნებია, შენი ბინიდან ხმაური მესმისო, სანამ მოიფიქრებდა, როგორ ეშველა მეგობრებისთვის, მილიცია ოთახში შეიჭრა. სამხილი — თოთხმეტივე ყვავი იქვე იყო, ჟურნალების მაგიდის ირგვლივ ტრიალებდნენ და თავიანთ ყვავურ ენაზე მუსაიფობდნენ, ძარღვი არ შესტოკებიათ სტუმრების გამოჩენაზე. ცოტათი კი მოუკლეს ხმაურს·

— აი ცხოველებიც! — გამოაცხადა დაბალმა და ჩასკვნილმა· — სიგნალი დადასტურდა.

— ეს ცხოველები კი არა, ფრინველებია! — შეეპასუხა ლევანი·

— რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ჩხავის და ხმაურობს? — გაეცინა მაღალს. მათ ერთხანს ათვალიერეს ყვავები, რომელთაც გულმა საფრთხე უგრძნო და საწყლად გაიტრუნნენ.

— შევუდგეთ საქმეს! — თქვა ჩასკვნილმა, ქუდი მოიხადა და მაგიდაზე დადო.— სჯობს თქვენი ხელით დაიჭიროთ თქვენი ფრინველები და ჩაგვაბაროთ· წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, ჩვენ დავიჭიროთ.

— ფანჯარას გავუღებ და გავუშვებ!— შესთავაზა ლევანმა, იმ იმედით, ისევ მალე დამიბრუნდებიან უკანო.

— არა, ბატონო, არა! — თავი გააქნია გრძელულვაშიანმა. — განყოფილებაში უნდა წავიყვანოთ. გაშვება არ შეიძლება·

— განყოფილებაში რა უნდათ! — გაოცდა ლევანი. — აპატიმრებთ?

ასეა საჭირო, ძმაო· რა ვქნათ! — ხელები გაუშალა ჩასკვნილმა. — წესია ასეთი.

— ეს უბრალო ყვავები არ გეგონოთ! — მუდარით მიმართა ლევანმა: — ნას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლი და გაწვრთნილი ყვავებია! ადამიანის ლაპარაკი ესმით. გინდათ, გაჩვენოთ?

— თუ გაწვრთნილები არიან, მთლად უკეთესი, — წავიყვანთ და ცირკს ჩავაბარებთ! — იმედი გადაუწურა ჩასკვნილმა. — აბა, შეკრიბეთ და ჩაგვაბარეთ ყველა!

— ოღონდ ესენი დამიტოვეთ, მე წამოვალ განყოფილებაში, გინდათ? ჯარიმას გადავიხდი. რა გნებავთ, რა გავაკეთო, რომ არ წაიყვანოთ? — ლამის ატირდა ლევანი.

— სჯობს, თვითონ ჩასვათ ტომარაში და ჩაგვაბაროთ, თქვენთვის უფრო იოლი იქნება. სულ ერთია, მაინც უნდა წავიყვანოთ! — შემრიგებლურად უთხრა ჩასკვნილმა, გაზეთში გახვეული ტომარა იღლიის ქვემოდან გამოაძრო, დაფერთხა და ლევანს გაუწოდა: — თქვენ თვითონ! ასე სჯობია, ასე!

რა იცოდნენ საბრალო ყვავებმა, რომ უკანასკნელად ხედავდნენ ერთგულ მეგობარს, უკანასკნელად გრძნობდნენ მისი მზრუნველი ხელების სითბოს. სათითაოდ ჩაბრძანდნენ ტომარაში, ერთხელ არ გაუპროტესტებიათ. ჩასკვნილმა ტომარას თავი მოუკრა და სახლიდან გავიდა, ულვაშიანმა ლევანს ხელწერილის დაწერა მოსთხოვა. მეტი რა გზა ჰქონდა — დაწერა:

„მე, ლევან ლაბაძე, ხელწერილს ვდებ, რომ არასოდეს არავითარი საერთო აღარ მექნება ყვავებთან. აღარც მოვაშენებ და აღარც წვრთნას დავუწყებ მათ. არასოდეს შინ აღარ შემოვუშვებ არც ერთ ყვავს და მათი ხმაურით აღარ შევაწუხებ მეზობლებს. პირობას ვიძლევი, ამის შემდეგ საზოგადოებრივ წესრიგს აღარ დავარღვევ. წრტ."

მაღალი თავზე ადგა და კარნახობდა. ხელი მოაწერინა, თარიღი დაასმევინა, გაკეცა და უბის ჯიბეში ჩაიდო.

— კაცო, ერთი ეს მითხარი, რამ შეგაყვარა ასე ყვავები? — მეგობრულად ჰკითხა გასვლისას. — სხვა ვერაფერი მონახე?

— აბა, ახლა როგორ გითხრათ! — ამოიოხრა ლევანმა, გული ბოლმით ევსებოდა. — თუ დარჩებით, მოგიყვებით. ვილაპარაკოთ, თუ გნებავთ. გრძელი ამბავია. მილიციელმა საათზე დაიხედა.

— არა, ახლა მელოდებიან, სამსახურში უნდა ავიდე. სხვა დროს გამოგივლი და ერთი კარგად ვილაპარაკოთ. მართლა გამოგივლი, არ ჩანხარ შენ ცუდი ბიჭი! — და გამამხნევებლად დაჰკრა მხარზე ხელი ცხვირჩამოშვებულ ლევანს. ლევანი ოთახში შებრუნდა. ტახტის წინ ფართო სინზე, ყვავების საჭმელი ეყარა, იქვე ორიოდე ბუმბული და შავი სკლინტი დაინახა. სულ ეს იყო, რაც მათგან დარჩა. ბუმბული აიღო და დასუნა, მერე სული შეუბერა, მოეფერა.

— ეჭამათ მაინც საწყლებს, სად წაიყვანეს, იქ აჭმევენ? მოუვლიან? — გული აუდუღდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. მივიდა, ლოჯიის ფანჯარა გამოაღო და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. — არა, თურმე ყვავის ყოლაც არ შეიძლება სახლში! რატომ მერე, რატომ? ვისაც როგორ უნდა, ისე ცხოვრობს, ჩემგან ვის რა უნდა?

საღამოს შინ, ჩვეულებისამებრ, მთვრალი დაბრუნდა. ლიფტის კართან ნაპო დახვდა და თავისი ტკბილი ღიმილით მოიკითხა, როგორა ხარო. ფეხზე ვერ დგებოდა, თავბრუ ეხვეოდა, ძლივს იცნო განათლებული მეზობელი.

— შენა, ნაპო ხარ? — დააცქერდა მოჭუტული თვალებით.

— ნაპო ვარ, ლევან, ნაპო! — გაუღიმა ნაპომ.

— ჰოდა, თუ ნაპო ხარ, წადი შენი ტერიერიანად... — კაი გრძელი გინება მიაყოლა. — რას გიშლიდნენ ჩემი ყვავები, რატო მიჩივლე? გეთქვა, თუ გაწუხებდნენ.

ნაპოს პასუხი არ გაუცია, მაგრამ შეატყო, ლევანს ლიფტი არ სჭირდებოდა, ღილაკს თითი დააჭირა და წავიდა თავის ზემო სართულისკენ.

ლევანმა, როგორც იქნა, გააღო სახლის კარი. პირდაპირ აბაზანაში სტუცა თავი და იმდენი აღებინა, ლამის სული ამოხდა. ცოტათი მოისვენა, ცივი წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დალია, პირი დაიბანა. ონკანის ზემოთ დაკიდულ სარკეში საკუთარი სიფათი შეათვალიერა. ო, როგორ სძულდა ეს სახე, როგორ სძულდა საკუთარი თავი, ასეთი უმწეო, უგერგილო, მარტოობისთვის განწირული — ორი კინკილა ყვავიც კი ვერ შეინარჩუნა გვერდით! ახლა ვის ელაპარაკოს? ვინ მოუსმენს? გაუქანა მუშტი და სთხლიშა სარკეს. ერთი თუ-ორი! ერთი თუ-ორი! სარკე წკრიალით და ჭახანით ჩამოიმსხვრა, ხელი გადაეხერა, სისხლი წამოუვიდა. სისხლის დანახვაზე შვება იგრძნო.

— გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს! — ბურტყუნებდა თავისთვის. — გამოსაშვები. სისხლი უნდა გამოუშვა, თორემ არ მოგასვენებს.

გამობარბაცდა სააბაზანოდან, სათითაოდ ჩამოუარა კარებში ჩასმულ მინებს და ახლა ისინი ჩამოილო მუშტით. სისხლი იატაკზე ეწვეთებოდა, ღია წითელი, ლამაზი სისხლი. ხან ხელებზე იყურებოდა, ხან სისხლით მოწინწკლულ იატაკს აშტერდებოდა. „რა ლამაზი სისხლი მქონია! რა ლამაზი სისხლი მქონია“! — ბურტყუნებდა. ისევ დაეხვა თავბრუ. ტახტზე მიეგდო და თვალები დახუჭა, სრულებით არ ადარდებდა, მოკვდებოდა თუ — დარჩებოდა.

„რატომ ვარ ასეთი აუტანელი კაცი? ცუდი მამა, ცუდი ქმარი, ცუდი შვილი... ვერავინ მიძლებს. მე კი ყველა მიყვარს და მენატრება. როგორ მენატრება — ნანაც, ბავშვიც... ნუთუ მართლა ვერასოდეს ველარ ვნახავ, ვერასოდეს?“

ცივი, წვიმიანი დილა გათენდა. სიცივემ და შიმშილმა გაალვიძა. ძლივს მიბობლდა ფანჯარასთან, ერთი გარეთ რა ხდება, გავიგოო. მოპირდაპირე სახლის სადარბაზოდან ნინიკო გამობაკუნდა, მისი ფანჯრისკენ ამოიხედა და ხელი დაუქნია, ნინიკო პატარა იყო, მთელი ათი წლით უმცროსი. მის თვალწინ გაიზარდა. სკოლა წელს დაამთავრა და წელსვე მოეწყო. ახლა გაახსენდა, ეს გოგო სულ ცდილობდა, მისი ყურადღება მიექცია. ხან კასეტას სთხოვდა, ხან — წიგნს, ხან — ვითომ რამე საქმე ჰქონდა, დაურეკავდა და საათობით ელაპარაკებოდა. ტელეფონი რომ გაყიდა, პირველად ნინიკომ ჰკითხა, შენთან რატომ აღარ ირეკება, ნომერი ხომ არ შეიცვალეო. ადრე მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ნინიკოს საქციელისთვის, მხოლოდ ახლა, ამ დილით მიხვდა, რომ გოგო მის მიმართ გულგრილი არ იყო. თვითონაც დაუქნია ხელი და გაუღიმა.

„როგორა ხარ?“ — ხელებით ჰკითხა ნინიკომ.

„კარგად. შენ? — ხელებით ანიშნა ლევანმაც.

ნინიკომ, დამშვიდობების ნიშნად, ხელი დაუქნია, ბოდიში, მეჩქარებაო. ლევანს გაახსენდა, ლექციებზე გარბოდა, სამ საათამდე ლექციები ჰქონდა. უცნაური, დიდი ხნის მივიწყებული სითბო შემოაწვა გულზე, თვალი გააყოლა მიმავალ ნინიკოს. მერე ოთახში შებრუნდა, ტახტზე დაეშვა, სიცივით აბუზულმა, საბანი შემოიხვია და თავის დარბეულ ბინას მოავლო თვალი. შერცხვა.

„კაცი კი არა, პირუტყვი ვარ! — გაიფიქრა ნაღვლიანად. — რა დაალაგებს აქაურობას! მომბეზრდა რა, სულ მინების ჩასასმელად სირბილი, სულ სარკეების შოვნა! ვერ გადავეჩვიე ამ ლეწვა-მტვრევას! ცოტა აზრზე მოვალ და მერე დავალაგებ, დედაჩემმა არ მომისწროს, არ ნახოს, ცოდვაა“!

იჯდა ასე, იჯდა, დაღლილი კაცი რომ ჩამოჯდება ქარის ამოსაღებად და წელს ველარ აითრევს. შერჩა ერთ ადგილს. გრძნობდა, დაღლილი და ნაჯაფარი იყო მართლაც — დარდით, განცდებით, გადატანილი ცხოვრებით. მერე დამტვერილი მაგნიტოფონი ჩართო — ნეტავ, კიდევ მუშაობს თუ მოიშალაო. მუსიკამ ცოტა გამოუკეთა გუნება. სისხლშემხმარ ხელებზე დაიხედა, ცერიდან კიდევ მოჟონავდა სისხლი. „ახია ჩემზე! — გაიღიმა ნიშნის მოგებით, — ახია ჩემზე! ღირსი ვარ! აღარ არის დრო, ადამიანად ვიქცე?“

ერთხანს მუსიკას უსმენდა. ლამაზი, მივიწყებული განცდები აეშალა.

„ცოლი უნდა მოვიყვანო და მეშველება!“ — გადაწყვიტა უცებ და თვითონვე გაუკვირდა, ეს რა მოვიფიქრეო, — „ნინიკო უნდა მოვიყვანო!“ — დააზუსტა მერე და გადაწყვეტილების სიმტკიცის გასამლიერებლად საკუთარ თავს გაუმეორა: — „ნინიკო უნდა მოვიყვანო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ალექსანდრე გაბური

ყალბია, რასაც მპირდები,
მაინც ტყუილის წილად:
ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვმშვიდდებით,
გადახსნილ მიწის პირად.

ცალკე საწუთროს მუქარა —
აღარ წყნარდება დღემდე.
ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვუყვარვართ,
ისიც — განწირვის შემდეგ.

იმედს ვაფარებ უბერებს,
სიმწრით გამოხსნილ წამებს:
ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვუჯერებთ,
ერთხელ გათეულ ღამეს.

სურვილის უნდა მჯეროდეს,
თუ მაცდუნებლად ჩქამობს.
ჩვენ მხოლოდ ერთხელ შევცოდეთ,
ისიც — აქ მოსვლის გამო!

ის დამსჯის, რაც შენ გითხარი,
რაც გავიხმარე წლები.
ჩვენ მხოლოდ ერთხელ გვიხარის,
ერთი ტკივილის ნებით.

სავალს ვაგრძელებ ისევე,
რწმენა ნაკლული მხოლოდ.
ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვისვენებთ —
ისიც ერთხელ და ბოლოს.

### ტარგამე – ღალღების ნასოფლარი

მწყრალად დგანან აულები ტარგამის,
„ბალახობენ“ მთებზე „ღრუბლის ვერძები“..
თუკი თქვენი გქონდათ/ დასაკარგავი —
საძებარსაც ისევ თქვენსას ეძებდით.

სავალალო დაგენათლათ სამყოფად
და უმტერო გული ვერ დაიზავეთ.
ბედისწერით გაემიჯნეთ არყოფნას,
ბედისწერით მებრძოლებად იზარდეთ...

გავცქერ ველებს, ცხენთა ფლოქვით|
გადაღლილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგზევარზე წაკიდებულ სიმწვანეს...
თქვენს ძმობაში სიძულვილზე ავმაღლდით,
თქვენს მტრობაში სიყვარული ვისწავლეთ.

## 4 სექტემბერი

ამ ჭალებს ახსოვს სიზმარი ცხადის
და მომლოდინე წუთების სხივი.
მე ვუჯერებდი თქვენს ღვთიურ წადილს,
იის ფოთლებით მოგროვილ ღიმილს.

და მწამდა უფრო მაღალდ ზეცის
თქვენი ფრთების და თვალების გამო.
მე დაგიჯერეთ, როდესაც შეცდით,
როცა წყურვილი დაუშრეთ წყაროს.

დღე კეკლუცობდა ცდუნების წილად
და აუხდენი გულის თქმას ვენდე,
მე თქვენ გეძახდით დიდი ხნის წინათ
და გაგაგონეთ დიდი ხნის შემდეგ.

ახლა მოვსულვარ ცრემლით და რიდით,
საშემოდგომო გულით და ქარით...
მთელი თვე ჩემივ ტკივილებს ვლლიდი
და ნაჭრილობევს ვაყრიდი მარილს.

## ცრემლი

კი, დაგიმადლის ჩემი თვალები
სიცოცხლისა და სიკვდილის ხათრით:
ბედნიერების და მწუხარების
თუ შუამავლად მომწყდები თვალთით.

ტანჯვისას ამბობს ზამთარი თეთრი,
სიხარულისას — ზაფხული — ილბლად...
შენ იმას იტყვი, რაც სიტყვით ვერ
ვთქვი,
რაც უტყვად დარჩა გონების მიღმა.

მზერას ვაცილებ მირიად დილის,
რომ მოვაგროვო შენი სამყოფი.
სამყაროს ხსნაში შენც გიდევს წილი
ნაღდ ჭირისუფალს — ყოფნა-არყოფნის.

არ დაგამადლი შენამდე მოსვლას,
ვიკმარებ ღვთისგან ტკბილად და მწარედ:
შენს სიგრძე-განში ჩატეულ ხსოვნას,
შენი თავდებით გათეულ ღამეს...

●

აქ თუ საძმოდ კაცი ჭირდა,
ვინ გიზღავდა ცრემლებს ნადენს:
შენი აკვნის ნაბიჯიდან,
შენი კუბოს ნაბიჯამდე.

თუკი ვაი ძლებით მიძლებს
გულისა და სახლის ჭერზო:
ქარო, შენ ხომ გიმასპინძლე,
მიმეგობრე თოვლო შენ ხომ...

შენი ღრუბლის ჩემს ცას მართებს,
ჩემი — შენთა ხეთა ჩრდილებს,
ბედო, შენ ხომ დამიმადლე,
მაკვნესე და მატკივილე.

თუ ხმა მოტყდა სამახვილე,
თუკი რწმენა გამითავდა:
ღამევ, შენ ხომ გამამხილე
დუშმანთან და თავის თავთან!..

●

ცხელი სისხლის გემით მომდევს
და თითო დღეს, თითო ლუკმას
ვუგდებ... ხახას ავცდე ოდენ,
ბილიკ-ბილიკ, შუკა-შუკა.

მოვალ, ზოგჯერ ხატრით ცრემლის,
ამ ცისა და მიწის მაცნე.
ჩემი კითხვა პასუხს ელის,
მისეულსაც უნდა გავცე.

ხან ვამაღლი გამთბარ წუთებს,
ხანაც ღია კარებს ვამტვრევ...

ქვებზე რწმენად სანთლებს ვუნთებ,
თმებში ხსოვნად — ვერცხლს და
ფანტელს.

და მისეულ წუთს და ნიშანს
დაატარებს ჩემი მრევლი.
უფრო ნაკლებ — არა მიშავს.
უფრო მეტად — გამჩენს ვწყევლი.

ის კი მომდევს, დღეს და სტრიქონს
ყელზე მიდებს, როგორც ბაწარს.
ჯერ კი სიკვდილს, როგორც იყო —
სიბერეში შემოვასწარ...

●

ვერ გამოსტაცებ სიშორეს დროჟამს,
თუმც მთელი ყოფა მის მოშლას ლამობს...
მამართლებს სული — ცისფერი დროშა,
მამტყუნებს ხორცი — ხამლი და ჯვალო.

ჩემს სახმლისპირე გზაზე რომ გკითხო —
უმადურია ბედი და წერა...
თუ არწივისგან შეჩვევას ითხოვ,
მაშინ ნურც მოსთხოვ არწივის მზერას.

მე ვარ რომ უფრო შეგერგოს ხედვა,
რომ გაადვილდეს საფრენი უფრთოდ...
აქ უწარსულოდ მთავრდები, ბედად
ღვთიურად შენ იქ იწყები უფრო...

თუ სიახლოვის წყურვილი დამყვა,
სიშორის მადლით ვუძლებ და ვცხოვრობ.
ერთიც(ი)ცოდე: მორჩილს და საჰყარს
მე სიძულვილი თუ ძალმიძს მხოლოდ.

●

ქარისა ქარით მითხარი,
თოვლისა მითხარ თოვლითვე!
მე ცოტა კიდევ მიხარის,
მე ცოტას კიდევ მოვითმენ.

უწინარესად დრომ იცის —
სიცოცხლეს რითი იმართლებ!..
მე ცოტას კიდევ მოვიცდი,
მე ცოტას კიდევ ვინატრებ.

ერთიანს, ნაწილ-ნაწილად
ვიდრე დღეს დაგიგვიანებ:
მე ცოტას კიდევ გავწირავ,
მე ცოტას კიდევ ვინანებ.

წუთი — ამ ცოდვილ მიწაზე
თუმც ქარს და სურვილს აკივლებს, —
მე ცოტას კიდევ ვიწამებ,
მე ცოტა კიდევ მაკვირვებს.

გაცუდდა ფიქრი სამილმე,
ჟამი განკითხვის ჩამოდგა.
მე ცოტას კიდევ გაგიმხელ,
მე ცოტას კიდევ ამოვთქვამ.

გიფხიზლებ, ვიდრე არ დამთმობ,
ვიდრე გული ძგერს სარითმე...
მე ცოტას კიდევ გაგართობ,
შენ ცოტა კიდევ დამითმე...

●

აქამდე მიჭირს, ამ კარის ბჭემდე
მზის დაშვება და ღამეთა თევა.
აქამდე გასტანს ცდუნება ედემს,
აქამდე უნდა მოვასწრო მდევარს.
დანამავს ალაგ თვალების შხეფი
დამსკდარ ბაგეს და დღეების ორღანს...
ამ კარებამდე მომყვება ყეფით
ზვავად დამრული შური და ბოღმა.
გზა-გზა კი ყალბი წუთები მირწევს
თავშესაქცევად, მზესა და მთვარეს,
თუ წყევლა მიწევს, აქამდე მიწევს,
მტერიც თვალს და ხელს აქამდე დამრევს.

მიუსაფრობაც აქამდე დამსჯის
და მწირ გზასავალს წვალებით ვიკვლევ...
მიზეზი მინდა ფიქრის და ხარჯვის,
საყრდენი მინდა საფრენად მზისკენ.
მჯერა? ვიღაცის ლოდინით მჯერა,
მიჭირს?.. ვიღაცით ვწვალობ და მიჭირს.
აქამდე უნდა ვაკმარო რწმენას
მოთმენისა და გაძლების ნიჭი.
ასე დახნილი ზესკნელს და ქვესკნელს,
ქვეყნად სუყველა ღამის ჯინაზე —
კარებს შევხსნი და დაიძვრის ჩემკენ
წყვილი თვალების ოთხი სინათლე...

●

უნდა მომისწრო, დრო არც თუ უხვად
ჩვენთვის იმეტებს სურვილებს ხვალის.
მე ბოლო წუთებს ვითვლი და ვწუხვარ
და კარისაკენ მიჭირავს თვალი.

ეს ერთი წყალიც ჩაივლის მალე,
მიდი, შეასწარ მზერას დატბორილს,
ვიდრე ჩემი მზე გადააქვთ ქარებს,
ვიდრე გულს მისდევს შენი პატრონი.

მაინც ყველა დღე სიცოცხლეს ითხოვს,
ოცნება ზეცის ხარკია ისევ.

მისმინე, ვიდრე გვედრი და გიხმობ,
მითხარი, ვიდრე გელი და გისმენ.

აკივლებს ღამე ბუკებს და დაფებს,
შენთვის სასმენი ხმით და ძახილით.
მომისწარ, ვიდრე ჩამოცლის საფრენს
ცა — შენს თვალებზე ლურჯად დახრილი.

ვიდრე ბოლო დღით ვფიქრობ და
ვცხოვრობ,
გასაწირავად ვნატრობ და მიყვარს...
ჩვენდა სასჯელად იქცევა ბოლოს
ყველა დღე, ყველა უთქმელი სიტყვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ყველა დღე ტკივილს მიახლებს მიწყივ
და მარილს მაყრის ჭრილობას ღიას...
მე მოსიხლე ვარ იმ ხევის, იმ წყლის —
რითაც გაღმა და გამოღმა ჰქვია.

საერთმანეთო წამი ვაგროვე
მაგრამ ვერ გამწვდა საგზალი სიბრძნის:
იმასთან, რითაც ბედი გვაშორებს,
მთელი ცხოვრება ვდაობ და ვიბრძვი.

იმედს — ვითაარ მოჭრილ მარჯვენას,
ვკიდებ და ლექსის სისხლით ვიცლები.
მთელი სიცოცხლე მექცა სასჯელად,
შენ რითაც სხვა ხარ, ჩემი იმ ქცევით...

ვამზადებ ლოდინს, ოცნებას, რითმას,
რომ მოვარღვიო სამანი რისხვის:
რითაც შენ შენ ხარ, მე მე ვარ რითაც,
რაც ერთ არსებად გაზდომას გვიშლის.

მე ასე მწამდა — ჩემივე თავი
არ წამყოლოდა გამოუცნობად...
მას ვერასოდეს შევეკვრი ზავით
ერთმანეთისთვის რითაც უცხო ვართ...

●

ჯერ შენ არ იყავ განწირვის ღირსი,
ისევ უშრობდი სათავეს წყურვილს,
ისევ შეგეძლო გაღება სისხლის,
გაღება გულის, მიღება სტუმრის.

შეგეძლო ჩუმი მრწამსით და ფიქრით
ბედნაკლულ თვალთან ჩაქცევა ღამის,
ისევ შეგეძლო წაქცეულ ჭიქის
გამოტირება ჩავლილი წამით.

ისევ შეგეძლო ნატვრის და ხსოვნის
შუა ჩადგომა იით და ტიტით

შეგეძლო გულზე დადება თოვლის,
შეგეძლო გულზე დადება სიტყვის.

ისევ შეგეძლო ხეობის დარად
მოყვასისათვის გადახსნა მკერდის.
შეგეძლო გეთქვა ხმამაღლა — „არა",
რადგან სულერთი არ იყო შენთვის.

ისევ შეგეძლო ავსება ნისლის,
აშრიალება ზამთარში კორდის...
ჯერ შენ არ იყავ განწირვის ღირსი,
ისევ შველოდი ნატვრას და ლოდინს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ნანა დავითაშვილი

### აღარაფერი მახსოვს...

აღარ მახსოვს,
როგორ ვწერდი
ლექსებს ყვავილებზე...
აღარც ის მახსოვს,
ვით ვუმღეროდი
მზის სხივებსა და
მთვარის ნათებას...
...გადამავიწყდა ყოველივე! —
არც განთიადის სილაჟვარდე
მიხარებს გულს და,
არც ვარსკვლავებით მოოჭვილი
ზეცის ხავერდი...
სულ დამავიწყდა,
სიხარული როგორი იყო, —
უკვე დავხიე ვარდისფერი ლამაზი კაბა!
...
აღარაფერი აღარ მახსოვს,
სულ არაფერი, —
იმ სისხლიანი დღეების გარდა!

### ღმერთო, დამილოცე!

ახალი წელია,
ქრისტეშობის სწორი,
კვლავ ტაძრად მივდივარ
ჯოჯოხეთში მწოლი...
ღმერთო!
დამილოცე,
ჩემი საქართველო —
ჩემი დარდის ტბა და
ჩემი ცრემლის ტბორი...
ღმერთო!
დამილოცე,
ცრემლებშეუშრალი,
ჩემი საქართველო,
ხელისგულის ტოლი.

### გოდება

ვაიმე, დიდო დავით!
ვაიმე, დედა თამარ!
ცეცხლის წვიმები მაწვიმს,
სისხლის გუბეში ვდგავარ!
სირცხვილის ალით ვიწვი,
ალმოდებული დავალ, —
გვიშველე, მეფე დავით!
გვიშველე, მეფე თამარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ღმერთთან მისასვლელი
პირი აღარ გვაქვს ახლა, —
თაფლის სანთლები ჩაქრა,
ავი სიზმრები ახდა!

ვაიმე, წმინდა დავით!
ვაიმე, წმინდა თამარ!
თქვენ შეევედრეთ უფალს, —
ცოდვის გუბეში ვდგავარ!!!

## საყურე

წელს მეკვლემ
ძღვნად მომიტანა
მსხვილი ცრემლების საყურე, —
ცრემლები მიძღვნეს...
მე მაინც
მერმისს
იმედით
გავყურებ...

## დილა

...კახეთმა
კახური სიმშვიდით მიგვიღო.
გათენდა
მამლების ყივილით,
ძაღლების ყეფით...
ბავშვები ჟრიამულობენ, —
ტყვიები კოკისპირულად
არ ცვივა გზებზე,
არც ქვემეხები დგანდგარებენ
და არც ტანკების ბახ-ბუხი ისმის.
გათენდა ჩვეულებრივი დილა,
მაგრამ გული მაინც შენსკენ იწევს, —
ნეტავ შენი თავი დამანახა,
ჩემო გულდამწვარო მთაწმინდა!

## გადამწვარი რუსთაველის ხილვისას

ისე ძალიან
მინდა ვიკივლო,
რომ...
სულ ჩამიწყდა
იოგები
ს ი ჩ უ მ ი ს ა გ ა ნ!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი კაკაბაძე

# ტაიმს სკვერი—დროთა მოედანი

## (უცნობი ემიგრანტის განსჯანი და მონაყოლი)

### მოთხრობა

... უკვე თერთმეტი საათია, მგონი. არ დამაგვიანდეს...

„მარიოტ მარკიზში" მივდივარ. ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა მთელს ნიუ-იორკში. არ ვიცი, შეიძლება სამუშაოს წამოვკრა ხელი. თუ ვიშოვი — ალბათ, კეშზე — ასე ეძახიან ნაღდ ფულს. მოკლედ, როცა გადასახადებს არ იხდი. ეს მაშინ, თუკი თავისუფალი ადგილი აღმოაჩნდათ — ოფიციანტის ან ბასბოის.

თუ სამუშაო ვიშოვე, ესე იგი, ბედი მქონია.

ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუს გადაკვეთაზე რამდენიმე სასტუმროა. ერთ-ერთი მათგანია „ჰოლიდეი ინი", სადაც ოდესღაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გაჩერებულა. ასე ამბობდნენ ბიჭები. მე თვითონ არ მინახავს, კაცმა რომ თქვას, ვინ მანახებდა...

აგერ გამოჩნდა იმ შიშველი ქალის სურათი, „პეპსიკოს" რეკლამას რომ უკეთებს. როგორც მითხრეს, ორ ბლოკში უნდა იყოს ის ყავისფერი კარი, სადაც მენეჯერი ზის ადამიანთა რესურსების განყოფილებიდან. ისე, იცოცხლე, რესურსები კი აქვთ. ხანდახან თავი ინკუბატორში მგონია, სადაც კარგად ჩაცმული მამაკაცები და ლამაზი ქალები გამოჰყავთ. ხუმრობის გარეშე, მანჰეტენზე სიარულის დროს შეიძლება იმპრესიონისტობა მოგინდეს უცებ. ყველანაირად უნდა ეცადო, რომ არ გაგიჟდე.

რამდენი მანქანაა, ეს ოხერი. ამდენიც არ შეიძლება. საქართველოში რომ ვიყავი, ვფიქრობდი ამერიკას არაფერი აკლია-მეთქი. ახლა მეჩვენება, რომ ყველაფერი ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, ამდენი მანქანა ნერვებს მიშლის.

ხანდახან იდიოტური აზრები ამეკვიატება ხოლმე. ამ ბოლო ხანებში, მაგალითად, ხშირად ვფიქრობ, რატომ მოვედით ჩვენ, ყველანი, ამ ქვეყანაზე?! ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა რომ თქვას, მე ვინ მეკითხება ამას. მაგრამ ეს კითხვა იმდენად არ მასვენებს, რომ ვცდილობ, რამენაირად ვუპასუხო. ალბათ, რამდენიმე ვარიანტის პასუხი შეიძლება გასცე კაცმა...

პირველი ვარიანტის მიხედვით, იმიტომ მოვედით ქვეყანაზე, რომ ფლორიდაზე სახლი ვიყიდოთ, როგორც ამას ნიუ-იორკელი მილიონერები აკეთებენ. ეს სახლი უნდა იყოს ოკეანის ნაპირზე, უნდა ღირდეს არანაკლებ სამასი ათასისა, და იმის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს, რომ ყოველდღე მზის ამოსვლასა და ჩასვლას უყურო. გქონდეს დრო და ფული ერთად. კარგია, არა?!

მეორე ვარიანტია, რომ ჟაკლინ ბისე ჩავიწვინოთ ლოგინში და ეს სიამოვნება რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს. ქალებმა შეიძლება, ალენ დელონი ან პოლ ნიუმენი ჩაიწვინონ. უფლება ყველას თანაბარი აქვს. ესეც არ არის ცუდი, არა?!

კიდევ რა? სახელი უნდა გვქონდეს. კარგი სახელი. რომ მდიდრები ვართ, კარგად ვართ და ხალხს ჩვენი შურს. ეს იმიტომ, რომ მართლა შეშურდეთ. გინდ არაფერი გვქონდეს, მარტო ის სიამოვნება რად ღირს, როცა იცი, რომ შენს ირგვლივ ხალხი შურისაგან ჭკუას კარგავს. ამის მიზეზი კი შენ ხარ, შენი ბრწყინვალებით.

მერე მანქანა, აუზი, ჩოგბურთის კორტები, დიდი გოლოგრაფიული ეკრანი სახლში და მთელი მომსახურე პერსონალი. აი ისე, როგორც პარკ ავენიუზე აქვთ, ძველი ისტაბლიშმენტის მილიონერებს.

არ ვიცი, შეიძლება რამე გამომრჩა, მაგრამ მთავარი, მგონი, არ დამვიწყებია.

ვფიქრობ, უბრალო პასუხია, არა? ყველაზე ცუდი ის არის, რომ მაინც ვერაფრით ვწუნარდები. რა ვუყო, შეიძლება ჩემში ნაპოლეონ ბონაპარტე ზის, რომელსაც უნდა, რომ ათასი მოკვეთილი თავი წინ დაუდონ და ამ დროს სისხლის ტბორის ყურებით მიიღოს ტკბობა. ანდა, არისტოტელე ონასისი, რომელიც ჟაკლინ კენედის მუხლებზე აყენებდა და, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ მთელს ქვეყანას საკუთარი ასოს წვერზე მოათავსებდა.

არ ვიცი ზუსტად, რას ფიქრობდა ონასისი, მაგრამ მე თავს საშინლად ვგრძნობ...

ნიუ-იორკი ფუფუნების ქალაქი მეგონა და ეხლა მგონია, დიდ ბოსელში ვარ, სადაც სოციალური დაზღვევის ქაღალდი მაქვს გამოწერილი. ამ ქაღალდით თუ შეუძლია განმასხვავოს ვინმემ სხვისაგან. წარმოგიდგენიათ, დიდი ამერიკა და პატარა ვირები?! და ყველა ვირს გამოსარჩევად საკუთარი ნომერი აწერია შუბლზე.

ერთმა რეჟისორმა ქალმა მითხრა, ადამიანმა სიწყნარე და სიმდიდრე საკუთარ სულში უნდა იპოვოსო. იმ წუთას მომეჩვენა, რომ სიგიჟეს ლაპარაკობდა. ძალიან ძნელია სულში ეძებო სიმდიდრე, როცა ტაიმს სკვერის მაღაზიები სავსეა დოვლათით.

რა ლამაზი სასტუმროა ეს „მარიოტი". მარტო ელევატორი რად ღირს...

იმ ბიჭის ამბავია საინტერესო, გრინვიჩ ვილეჯში რომ ცხოვრობდა. ნეტავ, ცოცხალია თუ არა?.. ოთხი წლის წინ ჩამოვიდა. დიდი ოცნებები ჰქონდა. აპირებდა მილიონერობას. თავიდან კარგ რესტორანში ოფიციანტად მოეწყო. მგონი, იტალიელების უბანში. ასე, ორას ორმოცდაათ დოლარამდე ჰქონდა კვირაში. ერთოთახიანი ბინისთვის ეყო ზემო მანჰეტენში. ისე, სიმპათიური ბიჭი იყო გარეგნულად. ეგონა, ვარსკვლავებს მოსწყვეტდა ციდან. ნამდვილი ქართული პატრიმოყვარეობა ჰქონდა. როცა ჩამოვიდა, მთელი თვეების განმავლობაში ფოტოაპარატით დადიოდა ქუჩებში — იღებდა სურათებს ლიმუზინებთან და ფუფუნების სხვა საგნებთან ერთად. თან ერთიორ ლამაზ გოგოს გააჩერებდა. ამ ფოტოებს მერე თბილისში აგზავნიდა. მე მგონი, იქ მართლა ეგონათ, რომ როკფელერ ცენტრში ან ტრამპ-ტაუერში ჰქონდა ოფისები.

კარგა ხანს მუშაობდა რესტორანში. მერე მგონი გაგიჟდა. ვიღაც მილიონერ კლიენტს ტორტი სახეში შეათხლიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამსახური დაკარგა. ის კი არა, ცოტა ხანს ციხეშიც იჯდა. მას მერე აღარ შემხვედრია. ამბობენ, რომ ეხლა მეტროში ცხოვრობსო. წვერი მოუშვია და ძალიან ძნელია ცნობა. ერთ ბიჭს შეხვედრია მთვრალი და ჭუჭყიანი. ზურგზე ფოტოაპარატი ჰქონდა გადაკიდებული.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ფოტოაპარატით სიარული არ არის ცუდი. მიდი და იღე რამდენიც გინდა, ვინ გაიგებს თბილისში, რომ შენი ცხოვრების სტილი ძალიან შორსაა როკფელერისაგან...

ასეთი რომანტიზმი არ არის ცუდი. თუკი კაცს აქვს ნამდვილი ამერიკული ოცნება, ეს მშვენიერია, არა?..

დაახლოებით ათი წლის წინათ ერთი ქართველი ცოლ-ქმარი გამოიქცა გემიდან. პირდაპირ ნავსადგურიდან აიყვანა ერთმა ღვთისნიერმა. წაიყვანა თავის სახლში და ნახევარ წელიწადს აცხოვრა, სანამ ორივე სამუშაოს იშოვიდა. რამდენიმე წელიწადს უჭირდათ. მერე ფეხზე დადგნენ, მაგრამ თავის გადამრჩენელთან ურთიერთობა ძალიან გაუფუჭდათ. არ ვიცი ზუსტად, როგორ იყო, მასპინძელს საქართველოში ვიღაცისათვის უთქვამს, ეს უბედურები წელიწადზე მეტხანს ჩემს კმაყოფაზე იყვნენ, საჭმელი არ ჰქონდათ და მე ვაჭმევდიო.

ამის მერე დაიწყო მათი მტრობა. უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს. მერე ეს ცოლ-ქმარი იმდენად გამწარდა, რომ ღამით იმ კაცის სახლს ცეცხლი წაუკიდა. არ ვიცი, ნიღბებით მივიდნენ, მარტო ქმარი იყო თუ ორივე. ის კი ვიცი, რომ ორი წელიწადი სასამართლო ჰქონდათ. მოკლედ, არ დამტკიცდა ცეცხლის წაკიდების ამბავი. ცოლქმარმა ალიბი აიღო, ვიღაც მოწმე მოინახა, ვინც დაადასტურა იმ საღამოს ესენი ჩემთან იყვნენო. შეიძლება არც არის იმათი დამწვარი ის სახლი ან შეიძლება მარტო ქმრის სინდისზეა ეს ყველაფერი. კაცმა არ იცის. ის კია, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი ერთმანეთს. ერთი ამბობს, უმადურები არიანო, მეორენი ამბობენ, მადლს იმიტომ შვრება, რომ ხალხმა ილაპარაკოს, რა კარგი კაციაო. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანები ყველგან ერთმანეთს სჭამენ და ამას უნდა შეეგუო კაცი.

სხვათა შორის ამ ცოლ-ქმარმა მთხოვა საქართველოში წამსვლელებს ყველას უთხარი, რომ ძალიან კარგად ვართო. მე კი ბრიყვი ვარ, ფული უნდა გამომერთმია ამისთვის. ახლა ვხვდები, რომ ყველაფერი ფულად უნდა დააფასო ამ ქვეყანაში.

სამუშაო, რა თქმა უნდა, ვერ ვიშოვე. ყველა ამბობს, ასეთი უმუშევრობა რუზველტის მერე არ გვინახავსო. რეცესიის ბრალია ყველაფერი. ბევრს ჰგონია, რომ კლინტონი ან ბიუკენენი თუ აირჩიეს, ისინი უშველიან საქმეს. მე ვფიქრობ, რომ ეს სისულელეა. ყველაფერი, რაც პოლიტიკასთანაა კავშირში დიდი სისულელეა. არაფერი გამოასწორებს ცხოვრებას.

„მარიოტის" ხალხმა უარი მითხრა. ორ თვეში გამოიარეო. ხომ ვიცი, რომ ორ თვეში საერთოდ არ იქნება ადგილი. ამ დროს სტუდენტები თავისუფლდებიან და დამშეული ყვავ-ყორნებივით ეძგერებიან დიდი ქალაქების რესტორნებს. რას იზამ, უნდა შეეგუო ვირთხის ყოფიერებას. დასაწყისში ყველას რაღაც სასწაულის იმედი აქვს და ამ იმედით ცხოვრობს მთელი წლები. კაცმა არ იცის, რა მოხდება მომავალში...

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ხანდახან ცუდად ვარ. ისე, არაფერი მაკლია, საჭმელ-სასმელი მაქვს, მაცვია, მახურავს და ქალებიც არიან, მაგრამ ხანდახან ისე ცუდად ვხდები, ფანჯარაში გადახტომა მინდება.

ეხლა ვდგავარ „ემპაირ სტეიტ ბილდინგის" ქვეშ და თავი ძაღლად მეჩვენება. ისე, ალბათ, ძაღლზე უარესიც ვარ. ძაღლმა ის მაინც იცის, რა უნდა ამ ცხოვრებაში, თანამედროვე ადამიანი კი კარგავს ამ შეგრძნებას.

სულ ვერიდები ფილოსოფიაზე მსჯელობას, მაგრამ როგორც კი ვიწყებ კონკრეტულ საგნებზე ფიქრს, მაშინვე მიწყებს კბენას ეს ოხერი ჭია. მკბენს და თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუბნება: რა გინდა, შე უბედურო აქ?! რას აკეთებ? შენი ცხოვრება ხომ ქვეწარმავლის ცხოვრებაა. იცოდე, სიკვდილს მაინც ვერ გაექცევი. იჩქარე, იჩქარე!!!

არ ვიცი, ვინ ეძახის ამას ფილოსოფიას ან ფსიქოლოგიას. ის კი ვიცი, რომ ასეთ რამეზე ფიქრის დროს, სულში ჭიანჭველები მეხვევიან...

მესამე ავენიუზე უნდა გავიდე. იქ, მეტროსთან, ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ჩემი ძველი მეგობრები. ის ბიჭი ბავშვობიდან ჩემს უბანში ტრიალებდა . რაღაც იდეები ჰქონდა, ცოტა უცნაური, მაგრამ სწამდა საოცრად. ეს დიდ ძალას მატებდა. სულ თავდაჯერებული გამომეტყველებით დადიოდა ქუჩაში. ეს ბევრს აკვირვებდა. ბიჭებს აინტერესებდათ, რა იპოვა წიგნებში ისეთი, რომ ცხოვრებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. კიდევ ქალები უყვარდა. ალბათ, ესეც უხალისებდა ცხოვრებას. ყველა ქალთან ძალიან ზრდილობიანი გახლდათ. იდეალური საყვარლის ტიპი იყო. ისე, ხალხში სულ ირწმუნებოდა, ცოლის გარდა, ცხოვრებაში ქალს არ გავკარებივარო. ცოლი მშვენიერი და ღვთისნიერი გოგო იყო. სულ ეჩხუბებოდა, გაანებე ამ ძრომიალს თავიო. ერთხელ ცენტრალ პარკში წავასწარი წელზემოთ გახდილს, ვიღაც ქალბატონთან ერთად. დაბნეულმა მითხრა, ქუჩაში ცუდად გავხდი და ამ ქალმა მომასულიერაო. მე კი არ ჩავეკითხე, თვითონ მითხრა. თორემ, ისე ღმერთმა დამიფაროს ასეთ ინტრიგებში გახვევისაგან. არავისთვის არაფერი მითქვამს ამის შესახებ. იტყვი და, მერე ყველაფერი შენ დაგბრალდება. ანდა, რა ჩემი საქმეა, ვინ ვის კოცნის და ეხვევა.

„იუნიონ სკვერზე“, მეთექვსმეტე ქუჩის კუთხესთან, კარგი ბარია. იქაც მინდოდა მოწყობა სამუშაოდ. მაგრამ ვინ მიგიღებდა. თურმე მოდელიერების ბარია, ერთმანეთზე უკეთესი გარეგნობის ხალხი დადის იქ. სხვათა შორის ერთი საინტერესო პიროვნებაც შემხვდა. თხუთმეტი წლის წინათ ჩამოსული თბილისელი ქალი. ძალიან კარგად იყო ჩაცმული. მერე გავარკვიე, რომ ბანკის მოხელე ყოფილა, „ჩეიზ მანჰეტენში“ მუშაობდა მეხუთე ავენიუს და ორმოცდამეოთხე ქუჩის კუთხეში. წელიწადში დაახლოებით ორმოცდაათ ათასს აკეთებდა. ბინა ჰქონდა ზემო ისტ საიდში. მშვენივრად გამოიყურება. ასე, 35 წლის გაუთხოვარი ქალია. ბავშვები არ ჰყავს და ცხოვრობს თავის გემოზე. ამას წინათ ძალიან საინტერესო ლაპარაკი მქონდა ამ ქალთან. ვკითხე, რატომ გადაწყვიტა აქ ჩამოსვლა.

„მე ძალიან კონსერვატიულ ოჯახში ვიზრდებოდი, — მითხრა მან, — მამაჩემი სალამოს რვა საათის მერე სახლიდან არ მიშვებდა. ვინმე ბიჭთან ერთად თუ დამინახავდა, ჩემს მტერს, ისეთ დღეს მაწევდა. სინამდვილეში პატიმარი ვიყავი. ასე მეგონა, ყოველ შემთხვევაში. ამიტომაც გამოვიქეცი...

ამერიკა ჩემთვის ულამაზესი სექსის ქვეყანა გახლდათ. ჩემს წარმოდგენაში, ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანებს ჰქონდათ უმშვენიერესი, დაუცხრომელი და თავისუფალი სექსი. ჩემი ოცნება იყო, ყოველთვის ასეთი სექსით მეცხოვრა.

ჩამოვედი აქ და ვნახე უამრავი ადამიანი, უამრავი სანაპირო და უამრავი სახლი. ვნახე თავისუფალი ალებ-მიცემობა, მაგრამ სექსი ვერსად ვიპოვე. აქ ადამიანები უსქესოები არიან. სულ მქონდა იმედი, რომ სრულყოფილი სექსით გავიხსნებოდი სამყაროში. ყველაფერი ხომ აქედან იწყება. აქ ეს ამბავი ვარჯიშივითაა. ეხლა ვხვდები, რომ ნამდვილი სექსი საქართველოში უნდა მეძებნა. იქ იციან ყველაფერი, აკრძალული ხილი ტკბილია, ხომ იცი!..“

უცნაურია, არა?! ეს ქალი ჩამოვიდა ოცნების ქვეყანაში და მიდის ვირების ქვეყნიდან. იმასაც ვერ იტყვის კაცი, რომ ყველას ასეთი რამე ემართება. ვერ გაიგებ ვერაფერს...

შესაძლოა, ადამიანმა ოცნების სექსიც, ოცნების სიყვარულიც და ოცნების ქვეყანაც მართლა საკუთარ თავში უნდა იპოვოს. ისე ვერავინ დაგაწყნარებს და ყოველთვის იფიქრებ ცხოვრების უკუღმართობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა თვალებში მიყურებს გაფაციცებული, იმის იმედით, რომ რაიმე აზრს მომპარავს. სულ იმის შიშში ვარ, ვინმესთან ზედმეტი ინფორმაცია არ წამოვაყრანტალო. ყველა ხომ ჩემი მტერია, ყველა მარტო საკუთარ ტყავზე ფიქრობს. მე ვარ ჭანჭიკი ისეთი დაზეთილი მანქანისა, რომელიც არასდროს არ გაჩერდება.

ბროდვეიზე უამრავი პლაკატი და განცხადებაა გამოკრული. სამუშაოზე მოწყობის, ბინების, უძრავი და მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

„კოლუმბიის უნივერსიტეტთან ქირავდება სამოთახიანი ბინა. ცხელი წყლისა და გათბობის ფულს ბინის პატრონი იხდის. ტელევიზიის კაბელი უკვე გაყვანილია. კარგი რაიონი. კრიმინალების მინიმალური რაოდენობით. ფასი — 1200 დოლარი თვეში".

ადგილი ძალიან მომწონს, მაგრამ ჩემთვის ეს ზედმეტად ძვირია.

აქვეა დიდი პლაკატი, რამდენიმე ნიღბიანი კაცის ჯგუფური პორტრეტით. გვერდზე მიწებებულია ჰარი ტრუმენისა და დუაიტ ეიზენჰაუერის ფოტოსურათები. მერე მოდის ნაბეჭდი ტექსტი:

„...ჯეიმზ ანდერსონის პრეზიდენტობისას მასონთა ლოჟამ მიიღო „თავისუფალი მასონების ორგანიზაციის" სახელწოდება. თვით ჯეიმზ ანდერსონი იყო ებრაული წარმოშობის ქრისტიანი. 1710 წლიდან იგი სასულიერო პირი გახდა და ინგლისის საეკლესიო იერარქიაში საკმაოდ მაღალი ადგილი ეკავა.

იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ მასონობა ებრაული ფენომენია, უნდა ვთქვათ, რომ მასონობა ჩაისახა ანგლოსაქსურ, ფრანგულ და გერმანულ ქრისტიანულ სამყაროში. ამერიკის პრეზიდენტების ნახევარი მასონთა ლოჟის წევრი იყო: ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, ზაქარია ტეილორი და კიდევ ბევრი სხვა.

მასონს აქვს საკუთარი მორალური კანონები. თუ მას სწორად ესმის ხელოვნება, ის არასოდეს იქნება სულელი ათეისტი ან ღვთისმგმობელი. ყველა რასისა თუ აღმსარებლობის მასონი ერთმანეთს ეთანხმება ძირითად პრინციპში. ეს არის მისტიკა უხილავი სიყვარულისა და სიკეთისა. ეს მისტიკა აბრუნებს დედამიწას.

კაპიტანი მორგანის მოტაცებამ გაუტეხა სახელი მასონობას..."

ვერ გაიგებ, რა არის მართალი და რა — ტყუილი. ამ მასონებზე იმდენი ცუდი მაქვს გაგონილი ოთარისგან, რომ აღარაფრის დაჯერება არ მინდა, — არც კარგის და არც ცუდის. რა იცის კაცმა.

ღირს კი, რამის დაჯერება?!

მზე მაგრად აჭერს „მარიოტ მარკიზს". ხალხი ეძებს ყველაფერს, გარდა საკუთარი თავისა.

აგერ კიდევ ერთი წარწერა მოჩანს. ეტყობა, ხელითაა დაწერილი და მერე გადამრავლებული. ამასაც წავიკითხავ და ამით დასრულდება ჩემი დღევანდელი ცნობისმოყვარეობით აღსავსე დღე.

„რა გინდა, ყველა ჯურის ადამიანო?! ყველაფერი ის, რაზეც შენ ოცნებობ, არის ზედმეტი და გამოუსადეგარი. მთელი უოლ-სტრიტიც რომ შენი გახდეს, მაინც უსაზღვროდ უბედური იქნები. არ მოგეწონება პლაზა-ოტელიც, არ მოგეწონება ბევერლი ჰილზის მდიდრული სახლებიც, არც მაქსველის „მფრინავი ჰოლანდიელი" დაგიმშვიდებს გულს. არ გეგონოს, რომ ბრწყინვალება ავსებს სიცარიელეს.

შენ მოგეჩვენება, რომ დედამიწა ზედმეტად ვიწროა შენთვის და ორივე ფეხით დადგომას ვერ ახერხებ მასზე. მოგეჩვენება, რომ უთვალავი მტერია შენს გარშემო და შენც შიშის მონა იქნები...

შენ თვითონ არ იცი, რომ გაქვს ის, რაზეც უნდა იოცნებო.

ყოველდღე, იღვიძებ დილით და ხარბად შეისუნთქავ სუფთა ჰაერს. შენ გიხარია, რომ ცოცხალი ხარ. თქვი მადლობა ამაზე.

ჩიტი ჩაიფრენს შენს გვერდით და დაიჭერ მშვენიერ წამს მისი ფრთაგაშლილი არსებობისა. შენ ეზიარე თავისუფლებას. რატომ არა ხარ მადლიერი?!

გაზაფხულზე შენ შეიგრძნობ ფოთლების შრიალს და ცის ელვარება გიბრმავებს თვალებს. შენ გრძნობ ნეტარებას სილამაზისას. რატომ არ გინდა, დაინახო ეს?!

შენს გვერდზე ადამიანები დადიან და ერთ-ერთი მათ შორის ნაზად გიღიმის. შენ გრძნობ, რომ იმ წუთას ის გიყვარს ყველაზე უმწიკვლო და უანგარო სიყვარულით. რატომ არ გინდა დატკბე ამ სიყვარულით?!

დღედაღამ ქუჩებში მორბენალს, გეჩვენება, რომ ყველაფერი უწესრიგოა და მსოფლიო ქაოსში ცურავს. რატომ არ ცდილობ, ერთი წუთით მაინც გაჩერდე და შეხედო ჰარმონიულ სამყაროს, სადაც ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. სადაც არ არის შური, ღვარძლი, მტრობა და შიში. რატომ არ გინდა ამის დანახვა?!.

რა გინდა, ადამიანო? რას ეძებ ამ ქვეყანაზე მეტს?!

ჯორდანო ბრუნომ გაგაუბედურათ ყველანი. მან შეიტანა ეჭვი სამყაროს ჰარმონიაში და ბრიყვმა ინკვიზიტორებმა კოცონზე დაწვეს იგი.

ასი როკფელერის ცენტრიც რომ გქონდეს — სისულელეა. გავა რამდენიმე დღე და შენ დაინახავ, რომ არარაობისაკენ მიექანები.

ეს მოხდება მაშინ, თუკი არ შეიგრძნობ იმ ბედნიერებას, რომელიც შენს გვერდზე ძევს. აიღე ხელში და მაგრად გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი ფერთა ცვალებადობას, გაუფრთხილდი ფრინველის გაშლილ ფრთებს, გაუფრთხილდი სიყვარულის პირველ ნაზ ღიმილს და ხარბად ჩასუნთქულ წმინდა ჰაერს...

შენ თავისუფალი ხარ, რომ აირჩიო არარაობისაკენ სავალი გზა. იქ არც ცუდი არსებობს, არც კარგი, არც ტკივილი და არც სიხარული, არც სიამოვნება და არც წამება. იქ ყველაფერი ერთი ფერისაა. და ამ ნელთბილ ქვეყანაში შენ ვერ გრძნობ საკუთარ თავს და ვერც სხვებს აღიქვამ.

გამომიტყდი, რა არის შენი ყველაზე ძვირფასი ოცნება. უკვდავება, არა?! მაშინ გააკეთე არჩევანი. ის, რაც შენ გინდა...“

სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან დაბნეული ვარ დღეს. ალბათ, სიცხის ბრალია ყველაფერი.

„როი როჯერსის“ სასადილოში წავიხემსებ აქვე, და მერე გადავწყვეტ, ვიცხოვრო თუ თავი მოვიკლა...

მინაწერი: ეს ჩვენი დროის დაბნეული ადამიანის ფიქრებია, რომლებიც მთლიანად ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და რეალურ ფაქტებთან არავითარი შეხების წერტილი არ გააჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## თამრიკო ბოლქვაძე

●

ჩემი ოცნების სამანო,
ხუთფურცლა იასამანო,
რა მოლოდინით მავსებ,
რისას მიტოვებ იმედს.
ჩემი ფიქრების სანახო,
იქნება გზა დამანახო,
რომ გავცდე ამ მოდარაჯე
დღეებს მრუმეს და მძიმეს.
გულჩარაზულო სალაღო,
იქნებ კარიბჭე გააღო.
კარზე ხალისი მოგადგა,
ეჟვნებით, ზარით, ბუკით.
ჩემი ვნებების საკირე.
დარდის გამოწვას აპირებს.
და დღეებს ჩემს მოდარაჯეთ
სულის სიმრთელე უკვირთ.

●

სადღაც, სადღაც შორს,
სადღაც ისევ, ისევ,
სული ზეცას მთხოვს,
გვემას ითხოვს სივრცე.

ბრაზი ბზარავს გზას,
მწუხრი მიმწუხრს წუხს,
არსაით ჩანს გზა,
უსაშველოდ ქუხს.

ღამეს სევდა სჭირს.
ბნელი სტკივა ხრამს.
სულო, რა გიჭირს
ჩემზე მაღლა ხარ!

ღამე მოჰგავს ფიქრს,
ფერმიხდილს და მართალს.
ქარი მიმოქრის
ღიად რჩენილ ქართან.

სადღაც, სადღაც შორს,
სადღაც ისევ, ისევ,
სული ზეცას მთხოვს,
გვემას ითხოვს სივრცე.

●

ქვისმთლელივით ვაქუცმაცებ
ნაღველს გულში ჩარჩენილს.
სათითაოდ მიდის ყველა,
აღარც მე ვარ დამრჩენი.

ვინ რა იცის მიღმეთიდან
ვის მოგვიწევს ხელყოფა.
ნუ მაშინებ, თუ ღმერთი გწამს,
მე აქ ჩემიც მეყოფა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

უსაშველოდ გრძელი ფიქრი
თოვა, თოვა, თოვა,
ფიქრში გახვეულა ფიფქი
ახლა თრობის დროა.

სულისშემხუთავი სევდა
ქარი, ქარი, ქარი...
მერამდენე დღეა სვამ და
საშველი არ არი.

მონატრების მონატრება
ქალი, ქალი, ქალი...
და სახეზე მოგაწყდება
ლამე შენზე მწყრალი.

უმძიმესი ლოდი გულზე
ლამე, ლამე, ლამე...
ბოლმას როცა ვერ უძლებენ,
მხოლოდ მაშინ სვამენ.

## ძველეგვიპტური ხილვა

ოდესღაც ერთ დროს ეგვიპტელი ქალი ვიყავი.
არც ნეფერტიტი, არც კლეოპატრა,
ჩემმა გენმა სასწაულებრივ ჩაიმახსოვრა
ფერმინავლული ხატება მისი.
დიახ, შემტრფოდნენ თვით ფარაონნი!
ჰოი, რამდენი ჩემზე ოცნება ქცეულა ქვიშად!
ო, რამდენი ცხელი ქარისთვის შემიშვერია შუბლი მაღალი
და დღესაც, როცა ახსენებენ უდაბნოს მხურვალს,
ფეხის გულებით შეწოვილ ვნებას თვალებით ვამხელ.
ვინ უწყის, როგორ მენატრება ბერი უდაბნო...
მე მახსოვს მსხვერპლი, შეწირული მზის სადიდებლად.
და როცა მზე სისხლისფერია — მე თვალებს ვხუჭავ.
და უხსოვარში ჩემგან ჩადენილ ცოდვებს ვისიზმრებ,
რომ უკეთ მივხვდე, დღესა დღევანდელს,
ვის დაუტევო, ვის კიდევ არა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შოთა იათაშვილი

# მოთხრობები

## ტვინი

I

ფილოსოფოსი იყო თომა. დამუშავებული და გადალეჭილი ჰქონდა პლატონის, არისტოტელეს, ლაიბნიცის, კანტის, შოპენჰაუერის, ნიცშეს, ჰაიდეგერის და სხვათა და სხვათა ფილოსოფიური შრომები. ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი იყო თომა, მაგრამ ძალიან უჭირდა. არსად არ მუშაობდა. ვერ ეწყობოდა ვერანაირ სამსახურს. არადა, შინ ჯდომით, წიგნების კითხვით და ფილოსოფიური ტრაქტატების წერით, რომელთაც არავინ უქვეყნებდა, აბა, რა ხეირი დაადგებოდა? და ძალიან ხშირად მშიერი იყო თომა. მეტისმეტად რომ გაუჭირდებოდა, აიღებდა კირკეგორის ან სპინოზას ერთ-ერთ ტომს და ჩააბარებდა ბუკინისტურ მაღაზიაში. უმძიმდა, მაგრამ რა ექნა, წიგნების მეტი ხომ გასაყიდი სახლში არაფერი ჰქონდა... ასე გრძელდებოდა, სანამ უწიგნებოდ არ დარჩა, თუმცა თავს მაინც იმშვიდებდა, — ეს წიგნები იმდენჯერ მაქვს წაკითხული, თითქმის ზეპირად ვიცი. უბედურება კი ის იყო, რომ თომას ისევ მოშივდა. ითმინა, ითმინა, მაგრამ სადამდე მოითმენდა! არადა, წიგნებიც აღარ ჰქონდა, რომ გაეყიდა, არც სხვა არაფერი გააჩნდა. რა ექნა? იფიქრა თომამ, ბევრი იფიქრა და მოიფიქრა. არ იყო ეს ნაბიჯი იოლი გადასადგმელი, მაგრამ სხვა ხსნა არ ჩანდა. ჰოდა, ჯანდაბასო, თქვა, ამოიღო ტვინი თავიდან, გაახვია გაზეთში, ჩაიცვა და წავიდა ლომბარდში. იქ მელოტი, სათვალიანი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა და საქორწინო ბეჭედს ლუპით ყურადღებით ათვალიერებდა.

— გამარჯობათ... — მორიდებით უთხრა თომამ.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა მელოტმა ისე, რომ თავი არც აუწევია.

— მეგობარო... — კიდევ უფრო მორიდებით განაგრძო თომამ: — მინდოდა, თქვენთან ერთი ნივთი დამეგირავებინა...

— დიდი სიამოვნებით, — თქვა მელოტმა და თავი ასწია. — რა ნივთია?

თომა დაიბნა, შეიშმუშნა, ვერაფერი უპასუხა.

— ბეჭედი? საყურე? სამაჯური? საათი? — მიაყარა მელოტმა.

— არა... — უპასუხა ბოლოს თომამ. — მე მინდოდა, ტვინი დამეგირავებინა.

— რა ბრძანეთ? — მელოტმა წარბები აჭიმა, სათვალე ცხვირზე ჩამოიჩოჩა და ქვემოდან ახედა.

— მე მინდოდა ტვინი დამეგირავებინა... თუკი ეს შესაძლებელია... — სულ მთლად შემცბარმა გაიმეორა თომამ.

— თქვენი ტვინი? საკუთარი? — ჰკითხა მელოტმა და თავი მოიფხანა

— რასაკვირველია...

— მდაა... — თქვა მელოტმა, მერე დაჟინებით შეაცქერდა თომას. ეტყობოდა, რომ დაძაბული ფიქრობდა და, ცოტა არ იყოს, დაბნეულიც იყო. მაგრამ მას, როგორც უხუცესს და ლომბარდის ბევრისმნახველ თანამშრომელს, არ სჩვეოდა კლიენტთა წინაშე საკუთარი განცდებისა და ფიქრების გამომჟღავნება, ამიტომაც უცბად სძლია თავს და ჩვეული გულგრილი გამომეტყველება მიიღო.

— ნივთი თანა გაქვთ?

— დიახ.

— მაჩვენეთ!

თომა მაგიდას მიუახლოვდა, ტვინს გაზეთი შემოაცალა და მელოტს წინ დაუდო. მელოტმა სათვალე გაისწორა და დიდი ყურადღებით დააკვირდა თომას ტვინს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თითქმის ორმოცდაათწლიანი სამუშაო სტაჟისა, იგი მაინც პირველად ხედავდა ნამდვილ ტვინს [illegible] ახლოებით ასეთი წარმოედგინა ნახატებიდან, ფოტოებიდან, მაკეტებიდან, მაგრამ ნამდვილი მაინც სულ სხვა იყო. მელოტი ერთგვარმა მღელვარებამ შეიპყრო. ხელი წინ წაიღო და ძალიან ფრთხილად, თითქმის შიშით შეეხო ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს.

— თუ შეიძლება, ხელს ნუ ახლებთ, არ გაფუჭდეს! — უთხრა შეშინებულმა თომამ.

— ნუ გეშინიათ! ჩვენს ლომბარდში ნივთები არ ზიანდება! — ცოტა არ იყოს, განაწყენებით უპასუხა თავმოყვარეობაშელახულმა მელოტმა. მერე ლუპა აიღო და ტვინის ნაოჭებს დაუწყო თვალიერება. კარგა ხანს აკვირდებოდა. ბოლოს თქვა:

— ზედაპირული დაკვირვებით, ტვინი არ უნდა იყოს ურიგოდ შენახული...

თომას გაუხარდა.

— თუმცა... — მელოტმა შუბლი შეიჭმუხნა — აქ არის ერთი დამაბრკოლებელი გარემოება... რამდენადაც ვიცი, ტვინი არ არის იმ ნივთების კატალოგში, რომელთაც ჩვენ დასაგირავებლად ვიტოვებთ ხოლმე... — მელოტი გაჩერდა და თომას შეხედა. თომამ პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ მელოტმა აღარ დააცადა: ყოველ შემთხვევაში, სჯობია შევამოწმოთ... — ამ სიტყვებით იგი დაიხარა, მაგიდის ერთ-ერთი ქვედა უჯრა გამოსწია, იქიდან საკანცელარიო წიგნი გამოიღო და ფურცვლა დაიწყო.

— ა... დ... ზ... მ... ჟ... რ... ს... ტ... ტა... ტე... ტი... — მელოტმა ერთი ფურცელი ისევ უკან გადაშალა და დააკვირდა — ტე... ტვ... ტვ... ხომ გეუბნებოდით, სამწუხაროდ, ტვინი არ არის მისაღებად ნებადართული ნივთების სიაში... როგორც ხედავთ, არ შევმცდარვარ!

— აბა რა ვქნათ? — დაღონებით ჰკითხა თომამ და კიდევ უფრო მეტად აეწვა მშიერი კუჭი.

— ვერაფერს ვიზამთ, — ხელები გაშალა მელოტმა. — მე არა მაქვს უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ისეთი ნივთების დატოვებისა, რომლებიც კატალოგში არაა მოხსენიებული.

— იქნებ რამენაირად გამონაკლისი დაუშვათ... უმორჩილესად გთხოვთ... ძალიან მიჭირს... — ეს სიტყვები თომამ ისე საწყლად წარმოთქვა, რომ მელოტს მართლა შეუქანდა სიბრალულით გული.

— რა გიყოთ, ძალიან მსურს დაგეხმაროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. გამონაკლისის დაშვების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ლომბარდის დირექტორს აქვს.

— დირექტორს? მერე, იქნებ ვთხოვოთ დირექტორს, — იმედი მიეცა თომას. — სად შეიძლება მისი ნახვა?

— პირდაპირ და მერე მარჯვნივ, დერეფნის ბოლოში, — აჩვენა მელოტმა თითით.

II

დირექტორი, ღაბაბიანი, ჩამრგვალებული, შუახნის მამაკაცი დიდ, პრიალა მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. კარის გაღება არც გაუგია.

— შეიძლება? — მორიდებით იკითხა თომამ და ჩაახველა.

— მობრძანდით! — თავაუღებლივ თქვა დირექტორმა და წერა განაგრძო. — დაბრძანდით! — მიუთითა წინ, ცარიელ სკამზე.

თომა დაჯდა. დირექტორი კიდევ რამდენიმე წუთი წერდა. მხოლოდ შემდეგ ასწია თავი და თომა გამომცდელი მზერით შეათვალიერა.

— ბატონო ბიქტორ! — დაიწყო თომამ (დირექტორის სახელი მისაღებში, მდივანი გოგონასაგან გაიგო). მე ფილოსოფოსი თომა ფ. გახლავართ.

— დიდად სასიამოვნოა, — მიუგო დირექტორმა, წამოიწია და თავისი კოტიტა თითები გაუწოდა. თომამ აღელვებისაგან გაოფლიანებული ხელი სასწრაფოდ შეიმშრალა პიჯაკზე და დირექტორს ჩამოართვა.

— მე დიდად მიყვარს ფილოსოფია და, ასე ვთქვათ, დიდად დიდ პატივსა ვცემ ფილოსოფოსებს, — დაუმატა დირექტორმა და ხელით ანიშნა ფეხზე წამომდგარ თომას, დაჯექიო. — ამიტომ მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა და მეტად დაინტერესებული გეკითხებით, თუ რით შემიძლია გემსახუროთ...

თომა ასეთმა ყურადღებიანმა მოპყრობამ შეაგულიანა და დაწვრილებით აუხსნა დირექტორს საქმის ვითარება. როგორც კი თომა ლაპარაკს მორჩა, კაბინეტში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ბატონი ბიქტორი დაბნეული შეაცქერდა თომას, სათვალე მოიხსნა, მერე ისევ გაიკეთა, კალამი აიღო, ფურცელზე რაღაც ფიგურების ხატვას შეუდგა, მერე თავი მიანება, ჩაახველა, კეფა მოიქექა, დაისრუტუნა, ისევ თომას შეხედა, ისევ კალამი აიღო, ისევ გააგდო, ისევ ჩაახველა, სავარძელში გადაწვა, თვალები ჭერისაკენ აღაპყრო, დააცემინა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა, კვამლს თვალი გააყოლა, საფერფლეს მისწვდა, მიიწია, ჩაფერფლა, ისევ თომას სახეზე გადაიტანა მზერა, დაიქსუტუნა, ზურგი მოიფხანა, ერთხელაც ჩაახველა და თქვა:

— ჰოოო... ესე იგი, ტვინი არა? ჰოოო... დიდად საყურადღებოა... დიდად... და გნებავთ, ასე ვთქვათ, დაავიწრავოთ, არა?

— დიახ, ბატონო ბიქტორ... — ზრდილობიანად ჩაურთო თომამ.

— ჰოოო... — განაგრძო დირექტორმა. — ჰოოო... მე როგორც უკვე მოგახსენეთ, ანუ, ესე იგი, როგორც უკვე, ასე ვთქვათ, გითხარით, დიდად დიდ პატივსა ვცემ ფილოსოფიას და, აქედან გამომდინარე, თავისთავად და ყოველ მიზეზ გარეშე, ცხადია, თქვენც, ბატონო თომა, და ამიტომაც დიდად შევეცდები, რა თქმა უნდა, და რასაკვირველია, რომ ასე ვთქვათ, ყოველნაირად, ანუ რაც იგივეა, ყოველმხრივ დაგეხმაროთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ისეთი შემთხვევაა, რომ... დიახ, ისეთი შემთხვევაა, რომ, ასე ვთქვათ, ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად და ყოველმხრივ აწონ-დაწონა და, ანუ, ესე იგი, დიდად დიდი განსჯა სჭირდება და... ჰმ... ჰმ... და მაინც, ბატონო თომა, ნება მიბოძეთ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავკადნიერდე და გკითხოთ, ანუ, ესე იგი, სწორედ რომ ნამდვილად ტვინია, არა?

— დიახ, ტვინი, ბატონო ბიქტორ...

— და ჰმ... და რამდენად გნებავთ, ანუ, ესე იგი, რამდენად გსურთ, ასე ვთქვათ, დააგირავოთ იგი? ანუ სხვანაირად, ასე ვთქვათ... დიახ, რამდენ მანეთად გსურთ დააგირავოთ თქვენი... ტვინი?

— რამდენ მანეთად? — თომა გაჩერდა, დირექტორს შეაცქერდა, ერთხანს უყურა და ბოლოს თქვა: — იცით, ბატონო ბიქტორ, ჩემთვის ძნელია ამის განსაზღვრა... თქვენ რამდენსაც გაილებდით... როგორადაც შეაფასებდით, ბატონო ბიქტორ...

— არა, არა ბატონო თომა, არავითარ, ანუ არანაირ შემთხვევაში, ანუ, ესე იგი, ჯერ თქვენ ბრძანეთ, იმიტომ რომ, ასე ვთქვათ, ყოვლად ცხადია, რომ ნივთი თქვენია და მისი ფასი თქვენ უფრო იცით... თანაც ნივთი, ანუ უფრო სწორედ და უფრო ზუსტად, ეგრეთ წოდებული ნივთი, არ არის ჩვეულებრივი. ანუ ეს რომ იყოს, ასე ვთქვათ, მაგალითად, ტანსაცმელი, ან ბეჭედი, ან რადიოლა, ან რაიმე მსგავსი, ან ცოტათი მაინც მიახლოებით მსგავსი, მაშინ, რა თქმა უნდა, ამას წყალი არ გაუვიდოდა, ჩვენ შევძლებდით მის, ასე ვთქვათ, შეფასებას, რამეთუ, მე მგონია, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ დიდად დიდი გამოცდილება გაგვაჩნია, მაგრამ აი, ტვინისა კი რა მოგახსენოთ... რაც მართალია, მართალია და, ანუ, ასე ვთქვათ, უცილობლად სწორი და ჭეშმარიტია, რომ ტვინის დაგირავების შემთხვევა ჩვენთან, პირდაპირ მოგახსენებთ, რა დასამალია და, ჯერ არ ყოფილა, ასე რომ უმორჩილესად და, ასე ვთქვათ, დიდად გთხოვთ, ბატონო თომა, დაასახელოთ თქვენი ფასი, ანუ მე მინდოდა მეთქვა, ნუ მოგერიდებათ და დაასახელეთ თქვენი ფასი. ბატონო თომა, გთხოვთ, ანუ ესე იგი, დიდად გთხოვთ, ბატონო თომა..

თომა დაიბნა. როცა ლომბარდში მიდიოდა, მართლა არ უფიქრია, თუ რამდენად შეიძლებოდა დაეგირავებინა საკუთარი ტვინი. ორმოცდაათ მანეთად? ასად? ცოტაა. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა იყოს, ტვინია. ხუთასი უთხრას? იქნებ ათასი? თუმცა, ბევრი ხომ არ არის? უარი რომ სტკიცოს? იქნებ შვიდასი-რვაასი მანეთი სჯობდეს? თუ გარისკოს და ათასი მანეთი სთხოვოს? იქნებ დასთანხმდეს... თუ არადა, დაუკლებს, დაკლება ყოველთვის შეიძლება... ჰო, ალბათ, ასე აჯობებს... — და უთხრა:

— ათას მანეთად დავაგირავებდი, ბატონო ბიქტორ, — თქვა და პასუხის მოლოდინში დაძაბული გაიტრუნა.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა. დირექტორმა ამოიღო ცხვირსახოცი და შეუდგა სათვალის წმენდას. მერე ისევ გააბოლა, ისევ აიღო კალამი ხელში, ისევ გაავდო დააცემინა, ჩააზველა, დაიქსუტუნა, კეფა მოიქექა და ბოლოს დაიწყო:

— ჰოოო... ჰოოო... ასე ვთქვათ, თანხა საკმაოდ, ანუ, ესე იგი, ფრიად საკმაოდ სოლიდურია... თანაც, როგორც თავად მოგეხსენებათ, ანუ, როგორც თავად კარგად იცით, ანუ, მშვენივრად უწყით, მე მგონი, გასაგებია, რომ აუცილებლად გამონაკლისის, დიახ, გამონაკლისის დაშვება იქნება საჭირო... — დირექტორმა თვალები მოჭუტა და თომას დააკვირდა. — ათასი... ესე იგი, როგორც ბრძანეთ, ათასი მანეთი, ასე ვთქვათ, დიდი თანხაა... არა, არავითარ შემთხვევაში ამით მე არ მინდა ვთქვა, ანუ, არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ თქვენს დიახ, თქვენს ჰმ... ჰმ... ნივთს ღირებულება, ანუ, ასე ვთქვათ, ფასი არ გააჩნია, მაგრამ ათასი მანეთი, მაინც ათასი მანეთია... მე მინდა სწორად გამიგოთ, ბატონო თომა...

თომამ იგრძნო, რომ ამდენი ლაპარაკის, ნერვიულობისა და შიმშილისაგან უკვე გული მისდიოდა, მაგიდას დაეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდნო და გამშრალი ტუჩებით ძლივს-და ამოღერდა:

— ბატონო ბიქტორ, მე არ გევაჭრებით... თქვენ რამდენიც გნებავთ, რამდენსაც გამოიმეტებთ...

— აჰ, როგორ, ასე ვთქვათ, გეკადრებათ, ბატონო თომა! — შეიცხადა დირექტორმა: — ეგ რა სათქმელია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეგ რა საფიქრალია, ანუ, მე, ესე იგი, სულ არ მინდოდა, ასე ვთქვათ, ასე გეფიქრათ, ბატონო თომა... მე, ესე იგი, ნამდვილად და კიდევ ერთხელ და კიდევ ათასჯერ ნამდვილად ათას მანეთს კი არა, მეტსაც არ დავიშურებდი, ბატონო თომა, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, სწორედ რომ ახლა და მაინცდამაინც ახლა, მძიმე, ანუ, ასე ვთქვათ, უმძიმესად მძიმე და უფრო მეტიც, უმძიმესად დიდად მძიმე ფინანსური მდგომარეობა გვაქვს, ასე რომ... — დირექტორი გაჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. — ასე რომ... ჰო, ასე რომ, ბატონო თომა, მე მხოლოდ... ჰმ... როგორ გითხრათ, დიახ, ჰო, ეს იგი, მე მხოლოდ ასი მანეთი, სამწუხაროდ, მხოლოდ... დიახ, მხოლოდ ეს თანხა შემიძლია შემოგთავაზოთ...

— როგორც გენებოთ... — წაილუღლუღა თომამ და გონება დაკარგა.

III

თომას ტვინი აღარ გამოუსყიდია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც უკეთესად წაუვიდა შემდგომი ცხოვრება. მშენებლობაზე მოეწყო სამუშაოდ. თვეში ხუთასი მანეთი მაქვს ხელფასი. ცოლიც მოიყვანა და ბავშვიც ეყოლა. მალე ახალ, სამოთახიან ბინას მიიღებს. ფულს აგროვებს და ორიოდე წელიწადში მანქანასაც იყიდის აუცილებლად... მოკლედ, აღარაფერს უჩივის თომა. ცხოვრობს, შრომობს და ბედნიერად გრძნობს თავს. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ჭკვიანი კაცია, იცის, როდის როგორ მოიქცეს, რა თქვას, რა გააკეთოს... ნაცნობ-მეგობრებიც კმაყოფილნი არიან, სულ იმაზე ლაპარაკობენ, თუ როგორ შეიცვალა თომა, რა მხიარული, კეთილი, გულღია, გულუხვი და ყურადღებიანი გახდა, როგორ ზრუნავს ოჯახზე, რა მონდომებულია და ასე შემდეგ. რაც შეეხება ლომბარდის დირექტორს, მან ამ რამდენიმე წლის წინათ ფილოსოფიური ტრაქტატების წერა დაიწყო, მერე ლომბარდში მუშაობას თავი დაანება, ოჯახი მიატოვა, სადღაც, ქალაქის გარეუბანში ერთი ოთახი იქირავა და იქ დაიწყო ცხოვრება. თანდათან ჩამოხმა, თმა მთლად გასცვივდა, ისე შეიცვალა, ახლობლები, თუკი შემთხვევით სადმე ქუჩაში გადაეყრებოდნენ, ხშირად ვერც კი ცნობდნენ. ამ ცოტა ხნის წინ კი მეზობელმა იგი მკვდარი იპოვა. თავის ოთახში თავი ჩამოეხრჩო. საშინელი სანახავი იყო თურმე. მის საწერ მაგიდაზე უამრავი ნაწერი და ნაბეჭდი ფურცელი ნახეს. სამოწყალოდ ნათესავებმა დაასაფლავეს, ნაწერები კი ბინის პატრონმა სანაგვეში გადაუძახა.

## სასიკვდილო ამბორი

სიკვდილმისჯილი გილიოტინაზე იდგა. გარშემო ზღვა ხალხი შემოჯარულიყო. ერთმანეთს აწვებოდნენ, ძიძგილაობდნენ, კისრებს იგრძელებდნენ... ყველას უნდოდა, რაც შეიძლება უკეთესად დაენახა, თუ როგორ გაგორდებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ გასისხლიანებული თავი ფიცარნაგზე. ჯალათი მშვიდად მიმოდიოდა და უკანასკნელად ამოწმებდა მოწყობილობას. მეფის მოხელე მითითებებს იძლეოდა. სიკვდილმისჯილს თავი ჩაექინდრა და საკუთარ გულისცემას აყურადებდა. როგორ მძლავრად უგუგუნებდა გული... თითქოს კიდევ ერთი საუკუნე არ უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ, არა... სულ ცოტა ხანიც და... სიკვდილმისჯილმა თავი ასწია, ზეცას ახედა. „ასეთ დროს, ალბათ, ყველა სიკვდილმისჯილი ცაში იყურება", — გაიფიქრა თან. მერე ისევ დატრიალდა კომმარული სისწრაფით მისი ცხოვრების კალეიდოსკოპი სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ეზო, მამა, დედა, მეზობლები, ქალაქი, ღრეობები, ცხენები, ქროლა, დევნა, გაქცევა, ისევ ღრეობები, ისევ ცხენები, ქალები, გემი, სასახლე, სიმდიდრე, ისევ ქალები, გაგიჟება, გახელება, ანა, ვნება, სიყვარული, ამბორი...

— თქვენი უკანასკნელი სურვილი? — ჩაესმა უცებ. დაბნეულმა შეხედა მეფის მოხელეს.

— თქვენი უკანასკნელი სურვილი? — გაიმეორა მოხელემ კიდევ უფრო ხმამაღლა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სიკვდილმისჯილს უყურებდა და ელოდა, თუ რას იტყოდა იგი. მან კი არ იცოდა, რა ეთქვა, იდგა და ხალხით გაჭედილ მოედანს ათვალიერებდა. ამდენი ხალხი ერთად სულ რამდენჯერმე თუ ენახა სიცოცხლეში და უკვირდა, რომ ამჯერად მათი თავშეყრის მიზეზს თავად წარმოადგენდა... „უკანასკნელი სურვილი..." — გაიმეორა გუნებაში მან და გაუაზრებლად, თითქოს შეწყვეტილი ფიქრი განაგრძოო, წარმოთქვა:

— ამბორი...

— რა? — გაკვირვებით იკითხა მოხელემ.

— ამბორი... — სიზმარში მყოფივით გაიმეორა სიკვდილმისჯილმა. — მე მინდა სიკვდილის წინ ლამაზმა ქალმა მაკოცოს...

ხალხს უცებ გუგუნის ტალღამ გადაუარა. მოხელეს გაკვირვებისაგან სახე გამოუღენჩდა. ჯალათმა პირი დააღო. ბევრი სიკვდილმისჯილისათვის წაეგდებინებინა მას აქამდე თავი, ბევრჯერ მოუსმენია მათი უკანასკნელი სურვილისთვისაც, მაგრამ ასეთი რამ პირველად გაიგონა. პირველად ესმოდათ მსგავსი რამ მოედანზე შეკრებილთაც და ყველანი უცებ უეცარმა მღელვარებამ შეიპყრო. სიკვდილმისჯილმაც იგრძნო, რომ კიდევ უფრო მძლავრად აგუგუნდა მკერდქვეშ გული. „ახლა მოვა ჩემთან ქალი, მე მას ვაკოცებ, ეს იქნება უკანასკნელი სიამოვნება ჩემს ცხოვრებაში და ამის შემდეგ ორიოდ წამში თავს წამაგდებინებენ", — გაიფიქრა მან და ხალხს გადახედა. მაგრამ არავინ იძროდა. ყველაფერი ერთ მთლიან გარინდებაში ჩაძირულიყო. მისი გული ნახევარწამებს ითვლიდა. დრო გადიოდა. გადიოდა და არაფერი ხდებოდა. მისმა სიტყვებმა მთელი ეს ზღვა ხალხი ერთბაშად მოაჯადოვა. და თვით ისიც მოჯადოებულივით იდგა და ელოდა. აქამდეც უნდა მოსულიყო იგი, უნდა მოსულიყო სიკვდილი, მაგრამ აგვიანებდა. უნდა მოსულიყო, მაგრამ არ მოდიოდა... და მას უფლება ეძლეოდა, ერთხელ კიდევ, ზედმეტად ჩაესუნთქა ჰაერი, ერთხელ კიდევ, ზედმეტად შეეხედა ზეცისათვის, ერთხელ კიდევ, ზედმეტად გაეფიქრა თავისი ცხოვრების ყველაზე ნეტარ წამებზე... სიცოცხლე გრძელდებოდა! გრძელდებოდა! მაგრამ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა იგი და ამ საყოველთაო მონუსხულობიდან პირველი მეფის მოხელე გამოერკვა, ფიცარნაგზე აიჭრა და დაიყვირა:

— გამოდით რომელიმე, გამოდით და აკოცეთ! გამოდით! დაიყვირა დაიყვირა და გადაჭედილ მოედანს ისევ გადაუარა გუგუნის ტალღამ. გვერდზე მდგომმა ადამიანებმა ერთმანეთს გადახედეს, ქალები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ.

— გამოდით რომელიმე, გამოდით, რა მოგივიდათ! — იყვირა კიდევ ერთხელ მოხელემ, მაგრამ უშედეგოდ. არავინ დაძრულა ადგილიდან. მოხელემ გაცეცხლებით მოავლო თვალი მოედანზე მდგომ ხალხს, შემდეგ კი სიკვდილმისჯილს ჩააშტერდა. დიდხანს უყურებდნენ ისინი ერთმანეთს. მერე სიკვდილმისჯილს ოდნავშესამჩნევმა, ირონიულმა ღიმილმა გაუპო ტუჩის კუთხე. მოხელე ამაზე სულ გადაირია, აღელვებისაგან ერთიანად გაწითლდა, მოედნისაკენ მიბრუნდა და კიდევ ერთხელ და უფრო ხმამაღლა დააპირა იგივეს დაყვირება, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ არ უნდა დაეყვირა. მაინც არავინ გამოვიდოდა, მისი ყვირილის არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავის შეეშინდებოდა. რაღაც სხვა უნდა ეღონა. და უცებ მოიფიქრა. მოიფიქრა და კმაყოფილებისაგან ახლა მას გადაეფინა ტუჩზე მწარე ღიმილი. ერთი ნაბიჯი წადგა, ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და დაიძახა:

— ხუთი ფრანკი მას, ვინც გამოვა და აკოცებს სიკვდილმისჯილს!

ამის თქმაზე ჯიბეში ხელი ჩაიყო, მონეტა ამოიღო და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ხელში შეათამაშა.

— გესმით, ხუთი ფრანკი მას, ვინც სიკვდილმისჯილს აკოცებს, მთელი ხუთი ფრანკი! — დაიყვირა კიდევ ერთხელ, ხელი ზევით აღმართა და იმედით მოავლო ხალხს თვალი, მაგრამ წინააღმდეგ მისი ვარაუდისა, მაინც არავინ დაძრულა ადგილიდან. მოხელემ კიდევ ცოტა ხანი შეიცადა და, რომ დარწმუნდა, გამოსვლას არავინ აპირებდა, მცირე ყოყმანის შემდეგ შესძახა:

— ათი ფრანკი! ათი ფრანკი მას, ვინც სიკვდილმისჯილს აკოცებს, გესმით, ათი ფრანკი! — შესძახა, კვლავ ჩაიყო ჯიბეში ხელი და მეორე ისეთივე მონეტა ამოაძვრინა. ახლა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ათი ფრანკის ცდუნებას ვიღაცა ნამდვილად ვერ გაუძლებდა. სიჩუმე ჩამოწვა. მეფის მოხელე დაძაბული ადევნებდა დაძეძგილ მოედანს თვალს და თანდათან კარგავდა მოთმინებას. სიკვდილმისჯილი ცას აჰყურებდა და სახლზე, დედაზე, მამაზე, ღრეობებზე, სიმდიდრეზე, სასახლეზე, ცხენებზე, ზეცაზე, მზეზე, ქალებზე, მეგობრებზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე ფიქრობდა. ფიქრობდა! აქამდე უკვე მკვდარი უნდა ყოფილიყო, ის კი ჯერ კიდევ ფიქრობდა, ჯერ კიდევ სუნთქავდა, ჯერ კიდევ ძგერდა მისი გული...

— ოცი ფრანკი! ოცი ფრანკი! — იღრიალა მთელი ხმით მოხელემ და სიკვდილმისჯილს ფიქრი გააწყვეტინა. ისევ ჩამოვარდა მოედანზე სიჩუმე. ისევ მოიცვა ყოველივე გარინდებამ და უცებ... ფიცარნაგიდან მარჯვენა მხარეს ვიღაც ამოძრავდა. გასწი-გამოსწია ხალხი და გილიოტინისაკენ დაიძრა. „გამატარეთ, გამატარეთ!" — გაისმა ქალის ხმა სიჩუმეში. მეფის მოხელეს სახე გაებადრა. ხალხი აჩოჩქოლდა. ყველამ კისერი წაიგრძელა და შეეცადა დაენახა ქალი, რომელიც წინ მოიწევდა. ქალს კუპრივით შავი თმა ჰქონდა, აშოლტილ ტანზე გრძელი, მუქ ტონებში შეკერილი კაბა ეცვა, ძალიან ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ არც ულამაზო იყო. ალბათ, უფრო ეშხიანი. ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. თამამად მიაბიჯებდა. კიბე აიარა, მოხელეს მიუახლოვდა და მარცხენა ხელი გაუშვირა. სადღაც, სიცარიელეში იყურებოდა. მოხელემ მაშინვე დაუდო ხელისგულზე ფული. ქალს მისთვის არც შეუხედავს, ისე მომუშტა ხელი და სიკვდილმისჯილისაკენ წავიდა. ორი ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ახლადა მიაბრუნა თავი და პირდაპირ თვალებში შეხედა. ავად დაიკვესეს სიკვდილმისჯილის თვალებმა. მაგრამ ქალს არ მოუშორებია მზერა. დიდხანს იდგნენ. ერთმანეთს უყურებდნენ. ყველამ სული განაბა. თვით მოხელემაც კი ვერ შეძლო ხმის ამოღება... სიკვდილმისჯილი უყურებდა ქალს და სძულდა. სძულდა ისე, როგორც არაფერი ამქვეყნად. ეს ქალი მას სიცოცხლის უკანასკნელ წამებსაც ართმევდა! და რატომ? რა დაუშავა ასეთი? არაფერი... სრულიად არაფერი... საერთოდ, პირველად ხედავდა... და, მიუხედავად ამისა, იგი, ვიღაც უცნობი, ყველაზე ტკბილ, ყველაზე ძვირფას წამებს ართმევდა! ართმევდა რაღაც ოცი ფრანკის გამო. რა იაფი ღირებულა მისი სიცოცხლე... თუმცა... ამ დროს ქალმა გაიღიმა და სიკვდილმისჯილს უთხრა:

— მე შენს უკანასკნელ სურვილს ვასრულებ... შენ მე მადლობა უნდა მითხრა...

სიკვდილმისჯილი გაჰხედა. ქალი მართალს ამბობდა. ის მართლაც მის უკანასკნელ სურვილს ასრულებდა და მას მართლა უნდა ეთქვა ამის გამო ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისთვის მადლობა... უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ამით ეს ქალი მას სიკვდილთან აახლოებდა... ეს მისი ბრალი არ იყო... და თანაც... მართალია, სიკვდილი მოახლოვდა, მაგრამ სიკვდილამდე ხომ ჰქონდა კიდევ დარჩენილი წუთი, რომელიც ნეტარების წუთად უნდა ქცეულიყო... სიკვდილმისჯილს ტუჩები აუთრთოლდა და აკანკალებული ხმით თქვა:

— მადლობა... დიდი მადლობა...

ქალის თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა იელვა. მან ნაბიჯი წადგა, სიკვდილმისჯილს აეკრო, ხელები კისერზე შემოხვია და მის ტუჩებს თავისი ტუჩები შეაწება. მოედანს ყრუ გუგუნმა გადაუარა. ჯალათი სულელურად გაიღრიჭა, მოხელემ ოფლი მოიწმინდა. სიკვდილმისჯილმა იგრძნო, როგორ აევსო ნეტარებით მთელი სხეული. მან ისიც იგრძნო, თუ როგორ ცდილობდა ქალი, ამ კოცნაში მთელი თავისი მოხერხება და ჟინი ჩაექსოვა. არასდროს, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ასე ძალიან არ მოსდომებია ქალს, რომ მამაკაცისათვის სიამოვნება მიენიჭებინა და არც სიკვდილმისჯილს არ უგემნია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ასეთი მხურვალე ამბორი... და იდგნენ ისინი გილიოტინაზე, ზღვა ხალხის თვალწინ და გახელებულები კოცნიდნენ ერთმანეთს... სიკვდილმისჯილს აღარ სძულდა ქალი... პირიქით, ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარდა და ქალსაც ახლა, ამ წუთას ის უყვარდა ყველაზე მეტად... და მთელი საათი, მთელი დღე არ მოშორდებოდა ალბათ მის ტუჩებს, რომ არა ისევ მოხელე, რომელიც როგორც იქნა, გამოერკვა გარინდებიდან და უხეშად შესძახა:

— ჰო, კარგით, გეყოფათ, მალე, მალე!..

და ისე მოულოდნელად და მჭახედ იყვირა, რომ ორივენი შეკრთნენ, ცივად მოაშორეს ერთმანეთს ბაგეები. სიკვდილმისჯილს ისევ გაუარა მთელს სხეულში ელვასავით სიტყვამ: „სიკვდილი!" იგივე სიტყვა წამოტივტივდა ქალის გონებაშიც. მან კიდევ ერთხელ შეხედა სიკვდილმისჯილს. კაცი მას აღარ უყურებდა. სადღაც სიცარიელეში გაქცეოდა მზერა. ქალმა თმა მოუჩეჩა თბილად და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. სიკვდილმისჯილი შეკრთა, ისევ დაუარა სასიამოვნო ჟრუანტელმა ძარღვებში.

— მშვიდობით! — უთხრა ქალმა.

სიკვდილმისჯილმა თავი დაუქნია და შეხედა. ერთი წამით ისევ გაუყარეს ერთმანეთს თვალი თვალში, მაგრამ ქალი უცებ შებრუნდა და მოედნისაკენ წავიდა. მოხელემ თვალი უყო ჯალათს. ჯალათი მიეახლა სიკვდილმისჯილს, ჯაჭვში ხელი წაავლო, გილიოტინისაკენ მიაგდო და წააჩოქა. მოედანს ისევ გადაუარა ყრუ გუგუნმა. სიკვდილმისჯილი შეეცადა ზევით აეხედა და ერთხელაც დაენახა ზეცა, მაგრამ ჯალათმა ამის საშუალება არ მისცა, უჯიკავა და კუნძზე დაადებინა თავი. მაშინ მან თვალები დახუჭა და ტუჩები მოილოკა. ისევ შერჩენოდა მის ბაგეებს ქალის ტუჩების სითბო და გემო... ეს იყო მისი უკანასკნელი სასიამოვნო შეგრძნება... მზეზე აბრჭყვიალებული ალესილი დანა ელვის სისწრაფით დაეშვა ქვევით... „ახხ!" — აღმოხდა ხალხს... ფიცარნაგზე თავი გაგორდა... მოედანზე მყოფთაგან მხოლოდ ერთს არ გაუხედავს იქითკენ... თავდაღუნული იდგა და ტუჩებს იკვნეტდა...

## მგზავრობა

„ზაპოროჟეცში" თორმეტნი ვისხედით. მე, კეა, პუა, ტიო, დღრა, ჟა, ზვე, ე, უპუ, პუპუ, უპუპუ და ჯ. მივქროდით. საჭესთან უპუ, პუპუ და უპუპუ ისხდნენ.

— სად მივდივართ? — იკითხა დღრამ.

— ჰი! — გაიცინა ტიომ.

— კეა და პუა ერთმანეთს კოცნიდნენ, ჟას ეძინა, ზვე და ე ვალსს ცეკვავდნენ, ჯ წიგნს კითხულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად მივდივართ? — ისევ იკითხა დღრამ.

— ჰი! — ისევ გაიცინა ტიომ.

ჟამ გაიღვიძა; ზვე და ე ჩეჩოტკაზე გადავიდნენ. ჯ. წიგნს კითხულობდა. მანქანა ბოძს დაეჯახა. უპუ და ტიო გარდაიცვალნენ. ზვეს ფეხი მოსტყდა. ე-ს — ხელი. ჟას — კისერი. ჯ წიგნს კითხულობდა.

— სად მივდიოდით? — კიდევ ერთხელ იკითხა დღრამ და ტიოსკენ გაიხედა. ტიოს აღარ გაუცინია. მანქანას ახლა პუპუ და უპუპუ მართავდნენ. ჟამ ისევ დაიძინა. ზვე და ე მუსიკას უსმენდნენ. ჯ წიგნს კითხულობდა.

— სად მივდივართ? — თავიდან იკითხა დღრამ.

— უპუ და ტიო უნდა დავასაფლავოთ, — თქვეს პუპუმ და უპუპუმ. მანქანა ვიღაც კაცს დაეჯახა. კაცი მოკვდა. პოლიცია მოვიდა და გვითხრა, დაპატიმრებულები ხართო. მე ავტომატის ჯერი გავუშვი. ჯ წიგნს კითხულობდა. პოლიციამაც ისროლა. ჩვენგან პუპუ და ჟა დაიცხრილნენ. იმათგან ყველანი საჭესთან უპუპუ დარჩა. გზა განვაგრძეთ.

— სად მივდივართ? — ისევ იკითხა დღრამ.

— უპუ, პუპუ, ტიო და ჟა უნდა დავასაფლავოთ, — თქვა უპუპუმ. კეა და პუა პორნოჟურნალს ათვალიერებდნენ. ზვე და ე ბრეიკს ცეკვავდნენ. ჯ წიგნს კითხულობდა. მე იარაღს ვწმენდდი. მანქანა მოსრიალდა და გადაყირავდა. ზვე და ე გარდაიცვალნენ. მე თავი გავიტეხე. ცოცხლად დარჩენილები მანქანიდან გადმოვძვერით.

— უნდა გადმოვაბრუნოთ, — თქვა უპუპუმ.

გადმოვაბრუნეთ. ჩავსხედით. უპუპუმ ძრავა ჩართო. მანქანა არ იძროდა.

— არ მიდის, — თქვა უპუპუმ.

— უნდა წავიდეს! — ვთქვი მე.

— არ მიდის, — გაიმეორა უპუპუმ.

— ხომ იცი, ძალიან გვეჩქარება, აუცილებლად უნდა წავიდეს! — ჯიუტად ვთქვი მე. მანქანა წავიდა. ჯ წიგნს კითხულობდა.

— სად გვეჩქარება? — იკითხა დღრამ.

— უპუ, პუპუ, ტიო, ჟა, ზვე და ე უნდა დავასაფლავოთ, — თქვა უპუპუმ. წინ მიმავალ მანქანას დავეჯახეთ და ხრამში გადავიჩეხეთ. ჩვენგან კეა და პუა დაიღუპნენ.

— ესენი ასე ერთად, ჩახუტებულები დავასაფლავოთ, — თქვა უპუპუმ.

— კარგი, — დავეთანხმე მე.

— სად უნდა დავასაფლავოთ? — იკითხა დღრამ.

— იქ, სადაც შენ, — უპასუხა უპუპუმ. მანქანა ისევ ბოძს დაეჯახა და დღრაც გარდაიცვალა. ჯ-მ კითხვა შეწყვიტა, თავი აიღო, შემოგვხედა და გვკითხა:

— სად მივდივართ?

— უპუ, პუპუ, ტიო, ჟა, ზვე, ე, კეა, პუა და დღრა უნდა დავასაფლავოთ, — უთხრა უპუპუმ, მანქანა ხრამში გადაჩეხა და თავადაც გარდაიცვალა.

— მალე მივალთ? — ახლა მე მკითხა ჯ-მ.

— უკვე მოვედით, — ვუთხარი მე, იარაღი შუბლზე მივიდე და გავისროლე. ჯ-მ ყველანი დაგვასაფლავა და წიგნის კითხვა განაგრძო.

## კოსმონავტი

— შეიძლება?

ლუდის ბარში ერთ-ერთ მაგიდასთან განმარტოებით მდგარი მამაკაცი ფიქრებიდან გამოერკვა და მასთან მომდგარ ჩია, წვერგაუპარსავ კაცს შეხედა. კაცს ხელში კათხები, პური და თევზიანი თეფში ეჭირა და მის მაგიდაზე უთითებდა.

— რა თქმა უნდა...

წვერგაუპარსავი მაგიდასთან მოეწყო და ჭამას შეუდგა. თან ხშირხშირად ლუდს აყოლებდა. რამდენიმეჯერ გახედა მეზობელს. იგი ჩუმად სვამდა, სიგარეტს ეწეოდა და, ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

— გაგვიმარჯოს, — თქვა წვერგაუპარსავმა და კათხა მოიყუდა.

— გაგვიმარჯოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარში ხმაური მატულობდა. ზოგი სადღეგრძელოს ამბობდა, ზოგი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა, ზოგიც საკუთარ გაჭირვებაზე... ეს ორნი კი ჯიუტად დუმდნენ. ბოლოს წვერგაუპარსავმა ვეღარ მოითმინა:

— მეგობარო...

— დიახ?

— მომიტევეთ, მაგრამ რაღაც ძალიან მოწყენილი მეჩვენებით...

— მოწყენილი? შეიძლება...

— და თანაც თითქოს სულ ერთ რაღაცაზე ფიქრობთ...

— ჰოო...

ორივენი ისევ დადუმდნენ. წვერგაუპარსავმა თევზიდან ფხების გამორჩევას მიჰყო ხელი. მერე ორიოდე ლუკმა გადაყლაპა, ისევ კათხას დასწვდა, თანამოსაუბრეს მიუჭახუნა და თქვა:

— თქვენს საფიქრებელს გაუმარჯოს...

— ჰა? — მას წვერგაუპარსავის სიტყვები არც გაუგია. ახლაღა გამოერკვა და თანამეინახეს დაბინდული თვალებით შეხედა.

— თქვენს საფიქრებელს გაუმარჯოს-მეთქი — გაუმეორა წვერგაუპარსავმა.

— გაუმარჯოს...

დალიეს.

— კი მაგრამ, მაინც ასე რამ ჩაგაფიქრათ, შეიძლება გკითხოთ?

— . . .

— მაპატიეთ, თავი მოგაბეზრეთ.

— არა, სულაც არა, რას მეუბნებოდით?

— არაფერი, უბრალოდ გკითხეთ, რაზე ფიქრობთ-მეთქი, ვიფიქრე, შეიძლება...

— შეიძლება... შეგიძლიათ მკითხოთ...

— ...

— კოსმოსზე ვფიქრობ...

— კოსმოსზე?

— დიახ...

— ვაა!

— ...

— ისე, კარგია... კარგია კოსმოსზე ფიქრი... მეც ხშირად ვფიქრობ ხოლმე მასზე, როცა ნასვამი ვარ... ხანდახან ისიც კი მეჩვენება, რომ მიწას ვწყდები და უსასრულობაში მივფრინავ... ვარსკვლავებისკენ, პლანეტებისკენ, მზისკენ... ცხადია, ეს მაშინ, როცა ზედმეტი მომივა... ისე კი, ნეტა მართლა როგორია იქ, ალბათ, ძალიან კარგი უნდა იყოს...

— კი, კარგია... კარგია კოსმოსში...

— წარმომიდგენია... დაფრინავ ჩიტივით, სხეულსაც კი ვერა გრძნობ, ქვემოთ კი კენჭივით პატარა დედამიწაა... მე ხშირად ვხედავ საკუთარ თავს ასეთ მდგომარეობაში... თქვენ?

— მე ყოველდღე...

— ჩემნაირი ყოფილხართ, მეოცნებე... სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ცოტანი არიან... ვისაც უნდა დაელაპარაკო, კოსმოსი არავის აინტერესებს... მხოლოდ ქალები, ფული, დალევა... არა, დალევა მეც კი მიყვარს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მსუბუქად ვიფრინო... განა ასე არ არის?

— ასეა...

— ჰოდა, მოდი მაშინ, კოსმოსს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს...

დალიეს.

— იცი, ჩვენ შეიძლება კარგი მეგობრები ვიყოთ... თუმცა, ჯერ ხეირიანად არც კი ვიცნობთ ერთმანეთს... აი, მე კუზმა მქვია, მეწაღედ ვმუშაობ... შენ?

— მე? მე ანატოლი, კოსმონავტი ვარ...

კუზმამ თევზის ლეჭვას თავი დაანება და მოსაუბრეს გაკვირვებით შეხედა. მერე გაიცინა.

— კარგი ტიპი ხარ... ხუმარაც ყოფილხარ... არადა, ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა... დიახაც, ჩვენ ორივენი კოსმონავტები ვართ! — კუზმა გაჩერდა და ანატოლის შეაცქერდა. ერთხანს უყურა, მერე ამოიოხრა. — ეჰ, კოსმონავტები ვართ, კოსმონავტები... მაგრამ მართლა, სინამდვილეში ვინა ვართ?.. ჰა, ანატოლი, ვინ ხარ მართლა, სინამდვილეში?

ანატოლიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. აბა, რა ეთქვა, ის ხომ მართლა კოსმონავტი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმირ ნაბოკოვი

# ლოლიტა

12.

დღიური აქ მთავრდებოდა.

აშკარაა, რომ ეშმაკის მზაკვრობის მიუხედავად, მისი მოქმედების სქემა ყოველდღიურად მეორდებოდა: ჯერ მაცდუნებდა, შემდეგ მეურჩებოდა, ბოლოს კი, გამირბოდა, რის შემდეგაც მთელ ჩემს არსებას ძირისძირობამდე ყრუ ტკივილი ღრღნიდა. ზუსტად ვიცოდი, რა ჟნდა მომემოქმედა, როგორ უნდა გავფრთხილებოდი პატარა გოგონას უბიწოებას. ბოლოს და ბოლოს, ჩემს მანიასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ხომ დამიგროვდა. საზოგადოებრივ პარკებში თვალით არა ერთხელ დავუფლებივარ შუქჩრდილით აჭრელებულ ნიმფეტებს; ყოფილა ისეც, რომ ძლივძლივობით, ზნედაცემული ავხორცის სიფრთხილით, გამიღწევია ქალაქის ავტობუსის ძალზე თბილ, მეტისმეტად გაჭედილ ბოლოში, სადაც ღვედებზე მოსწავლე გოგონების მთელი ჯგრო ეკიდა. მაგრამ ახლა, თითქმის სამი კვირის განმავლობაში, ჩემს უბადრუკ სურვილებს ფრთები შეეკვეცა. დაბრკოლებებს, ჩვეულებრივ, ქალბატონი ჰეიზი წარმოქმნიდა (მას — ჩაინიშნეთ, მკითხველო, — ეშინოდა, ლოლიტას არ გაეხარა ჩემთან სიახლოვით და გაცილებით ნაკლებად ადარდებდა, რომ შეიძლებოდა, მე დავმტკბარიყავი ლოლიტათი). მხეცური ჟინი, რომელსაც ამ ნიმფეტის მიმართ ვგრძნობდი (ეს იყო პირველი ნიმფეტი, რომელთანაც მოუხეშავი, მტკივანი, გაუბედავი ჭანგებით მივბობღდი) კვლავ სანატორიუმში ამომაყოფინებდა თავს; საბედნიეროდ, ეშმაკმა იაზრა, რომ ცოტაოდენი სიამოვნება უნდა ებოძებინა ჩემთვის, რათა თამაშის გაგრძელების საშუალება მისცემოდა.

მკითხველს, ალბათ, შეუმჩნეველი არ დარჩა ტბის თავშესაქცევი მირაჟი. მისტერ მაკ-ფატუმის (ასე ვუწოდებ ჩემს ეშმაკს) მხრივ ლოგიკური იქნებოდა, მცირეოდენი საჩუქარი დაეხვედრებინა ჩემთვის იქ — აღთქმულ ნაპირზე, წინასწარ ნაგულისხმევ ფიჭვნარში. სინამდვილეში ქალბატონი ჰეიზის ჩანაფიქრი გარკვეულ ფანდს შეიცავდა: მან არ

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 7.

გამაფრთხილა, რომ პიკნიკზე როზა ჰამილტონი (კოპწია შავტუხა გოგონა) წამოვიდოდა, რომ ნიმფეტები ერთმანეთში იჩურჩულებდნენ, ერთმანეთთან ითამაშებდნენ და ჩვენგან სრულიად განცალკევებით იმხიარულებდნენ — ხოლო ცნობისმოყვარე თვალთაგან მოშორებით, ნახევრად შიშველი მისტრის ჰეიზი და მისი ლამაზი მდგმური დარბაისლურად იმასლაათებდნენ.

რა უცნაურია ცხოვრება! ჩვენს წინააღმდეგ ბედისწერის სწორედ იმ ძალებს ავამხედრებთ ხოლმე, რომელთა მომადლიერებასაც ვცდილობთ: ჩემი ჩამოსვლის წინ ჩემი დიასახლისი ერთი შინაბერას, გვარად ფალენის (დედამისი ოდესღაც მზარეულად მუშაობდა ქალბატონ ჰეიზის ოჯახში) მოხმობას აპირებდა, რათა ის ლოლიტასა და ჩემთან დასახლებულიყო. თვით დიასახლისის ბუნებას კანტორაში სამსახური შეესატყვისებოდა და დიდ ქალაქში სამუშაო უნდა ეპოვა. მან ყველაფერი ძალზე მკაფიოდ წარმოიდგინა: ჩამოდის წელში მოხრილი, სათვალიანი ჰერ ჰუმბერტი თავისი შუასაუკუნეობრივი სკივრებით; ის ძველისძველი წიგნების საფარქვეშ ნელ-ნელა ეფლობა მტვერში; უსახური გოგონა, რომელიც არავის უყვარს, მისს ფალენის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იქნება — ადრე, 1944 წელს, მან უკვე გადააფარა თავისი აბეზარი ფრთები ლოს (რომელიც იმ ზაფხულს ზიზღნარევი ძრწოლით იხსენებდა), ხოლო მისტრის ჰეიზი ელეგანტურ ფირმაში იმსახურებს. გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა საკმაოდ უბრალო შემთხვევამ: რამზდელში ჩემი ჩამოსვლის დღეს მისს ფალენმა სავანაში (ჯორჯია) ბარძაყის ძვალი გადაიმსხვრია.

13.

უკვე აღწერილ შაბათს ზუსტად ისეთი დარიანი კვირადღე მოჰყვა, როგორსაც მეტეოროლოგიური ბიურო გვპირდებოდა. კარს უკან დადგმულ სკამზე საუზმის ნარჩენებიანი სინი დავდგი (რომელიც ჩემს კეთილ დიასახლისს მისთვის ხელსაყრელ დროს უნდა წაეღო), გაქუცული ფლოსტებით (ეს ჩემი ერთადერთი გაქუცული ნივთია) კიბის ბაქნის მოაჯირთან ფეხაკრეფით მივედი, მივაყურადე და შემდეგი რამ გამოვარკვიე:

სახლში კვლავ უსიამოვნება სუფევდა. მისტრის ჰამილტონმა ტელეფონით გვაუწყა, რომ მის შვილს სიცხე ჰქონდა. მისტრის ჰეიზმა ქალიშვილს აუწყა, რომ პიკნიკის გადადება მოუწევდათ. ფიცხმა პატარა ჰეიზმა დიდ, ცივ ქალბატონ ჰეიზს მიახალა, რომ თუ ასეა, ეკლესიაში არ წაჰყვებოდა. დედამ — კეთილიო, — თქვა და მარტო გაემგზავრა წირვაზე.

როდესაც ოთახიდან გამოვედი, ის-ის იყო, პირის პარსვას მოვრჩი, ყურებზე საპნის ქაფი შემრჩენოდა და ზურგზე ღიღილოსფრად (არა იისფრად) მოხატული, თეთრი პიჟამა მეცვა. ქაფი სწრაფად მოვიწმინდე, თმასა და იღლიებში სუნამო ვიპკურე, იისფერი აბრეშუმის ხალათი ჩავიცვი, ნერვული ღიღინით კიბეზე დავეშვი და ლოლიტას საძებრად გავეშურე.

მინდა, ჩემმა განსწავლულმა მკითხველებმა მონაწილეობა მიიღონ იმ სცენაში, რომლის ხელახლა გათამაშებასაც ვაპირებ; მინდა, რომ ისინი დააკვირდნენ ყოველ დეტალს და თვითონვე დარწმუნდნენ, როგორი სიფრთხილითა და უმანკოებითაა გამსჭვალული მთელი ეს მუსკატურ-ტკბილი ეპიზოდი — თუკი მას „მიუკერძოებელი სიმპათიით" მოეკიდებით, როგორც კერძო საუბარში ბრძანა ჩემმა ადვოკატმა. დავიწყოთ. ჩემ წინაშე რთული ამოცანაა.

მთავარი მოქმედი პირი: ჰუმბერტ კრუტუნა. მოქმედების დრო: ივნისის დილა, კვირადღე. ადგილი: მზით გაცისკროვნებული სასტუმრო ოთახი. რეკვიზიტი: ძველი ზოლიანი ტახტი, ილუსტრირებული ჟურნალები, გრამოფონი, მექსიკური სამშვენისები (განსვენებულმა ჰაროლდ ე. ჰეიზმა — ღმერთმა აცხონოს ეს კეთილი კაცი! — ჩემი თვალისჩინი სიესტის დროს, ვერა კრუსში საქორწინო მოგზაურობისას, ცისფერკედლებიან

ოთახში ჩასახა. ამიტომ ახლა მთელ სახლში სუვენირები იყო მიმოფანტული, დოლორესის ჩათვლით). იმ დღეს მას იგივე წარმტაცი ვარდისფერი ჩითის კაბა ეცვა, მუქი-ვარდისფერი უჯრედებით რომ იყო მოხატული და მოკლე სახელოები, ფართო ქვედატანი და ვიწრო ლიფი ჰქონდა. ფერადოვანი კომპოზიციის დასაგვირგვინებლად ლოლიტას ტუჩები ხასხასა ფერის პომადით შეეღება და მუჭში საუცხოო, ბანალური, ედემურ-წითელი ვაშლი ეჭირა. მხოლოდ წინდები და ფლოსტები იყო საშინაო. მისი თეთრი საკვირაო ჩანთა მაგნიტოფონთან ეგდო.

გული გამალებით ამიძგერდა, როდესაც ის დივანზე ჩემ გვერდით დასკუპდა (კაბა ჰაეროვნად აფრიალდა, შემდეგ — დაეშვა) და პრიალა ნაყოფით თამაშს შეუდგა: ზევით, მზის მტვერში ისროდა მას, იჭერდა და მცვრევად, ცარიელ, მოციმციმე ხმას გამოსცემდა.

ჰუმბერტ ჰუმბერტმა ვაშლი წაართვა. „მომეცით!" — შემევედრა გოგონა და ხელისგულების ვარდისფერი მარმარილო მომიშვირა. დავუბრუნე „ოქროს თესლი". მან ხელი სტაცა, ჩაკბიჩა, და სიფრიფანა კანში გახვეული ჩემი გული თოვლივით გალღვა. ამერიკელმა ნიმფეტმა მაიმუნისებრი სიმკვირცხლით გამომტაცა ჟურნალი, რომელიც მექანიკურად გადავშალე (სამწუხაროდ, არავის შეეძლო, კინოფირზე აღებეჭდა ჩვენი ერთდროული ან ურთიერთშემხვედრი მოძრაობების ქარგა). ლოლიტას ცალ ხელში შელახული ნაყოფი ეჭირა, თან მოუსვენრად და სწრაფად ფურცლავდა ჟურნალს — უნდოდა, ერთი სურათი ეჩვენებინა ჰუმბერტისთვის. ბოლოს იპოვა. მოჩვენებითი ინტერესით თავი ისე ახლოს მივწიე, რომ მისი თმა საფეთქელზე მომელამუნა, შიშველი ხელი კი ლოყაზე ოდნავ შემეხო, როდესაც მან მაჯით ტუჩები მოიწმინდა თვალთ მიბნელდებოდა, ამიტომ ფოტოსურათის აღქმა დავაყოვნე და ლოლიტამ მუხლები მოუთმენლად მიუსვ-მოუსვა ერთმანეთს. ბინდბუნდში სურათი გამოიკვეთა: ცნობილი /სიურრეალისტი მხატვარი პლაჟზე, ქვიშაში გულაღმა იწვა, ხოლო მის გვერდით აგრეთვე გულაღმა იდო ქვიშაში ნახევრად ჩაფლული ვენერა მილოსელის თაბაშირისაგან გაკეთებული ასლი. სურათს ახლდა წარწერა: „ამ კვირის საუკეთესო ფოტოსურათი". ბილწი ჟურნალი ელვის სისწრაფით წავართვი. მომდევნო წამს მან თავი ისე მომაჩვენა, თითქოს ჟურნალის დაბრუნება სწადდა და მთელი სხეულით დამაწვა. გამხდარ მაჯაში ხელი წავავლე, ჟურნალი დამფრთხალი ქათამივით გადახტა იატაკზე. ლოლიტა ხელიდან გამისხლტა, განზე გაიწია და ჩემს მარჯვნივ, დივნის კუთხეში აღმოჩნდა. შემდეგ, თავხედმა ბავშვმა არხეინად გადამადო ფეხები მუხლებზე.

ამ დროისათვის ისე ვიყავი აგზნებული, რომ გაგიჟებას არაფერი მაკლდა; ამასთან, გიჟისთვის დამახასიათებელი ეშმაკობა გამოვიჩინე. წინანდებურად დივანზე ვიჯექი, მაგრამ ძალზე ფრთხილი მოძრაობების მთელი სერიის დახმარებით მოვახერხე, ჩემი შენიღბული ვნება მის მიმნდობ ფეხებთან მომეგროვებინა. ადვილი როდი იყო გოგონას ყურადღების გაფანტვა, სანამ შესაბამის მდგომარეობას მივიღებდი. სწრაფად, სულმოუთქმელად ვლაპარაკობდი, უეცრად ატკივებულ კბილს ვიმოწმებდი, რათა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლუღლუღის მიზეზი განმემარტა — თან მანიაკის შინაგანი თვალთახედვით განუწყვეტლივ ვაფიქსირებდი შორეულ ცეცხლოვან მიზანს და მალულად ვამძაფრებდი იმ ჯადოსნურ ხახუნს, რომელიც ფიზიკურად გადაულახავი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მეტად უმნიშვნელო დაბრკოლების (პიჟამის ქსოვილისა და ხალათის კალთის) დაძლევის ილუზიას მიქმნიდა. ეს ძგიდე ურთიერთისგან აშორებდა ჩემი სხეულის ქვედა ნაწილის გარდიგარდმო გაშოტილ ორ გარუჯულ ფეხსა და სათაკილო ჟინის ფარულ სიმსივნეს. ჩემს ლუღლუღში შემთხვევით გამოერია მექანიკურად ადვილად განმეორებადი სიტყვები: იმ წელიწადს მეტად პოპულარული, სულელური სიმღერის ოდნავ შეცვლილი ტექსტის დეკლამირება დავიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყე: — „ო კარმენ, კარმენსიტა, გაიხსენე ბარელამ... გიტარები, და ბარები, და ფარები, ტრა-ტატამ“,—ეს იყო ავტომატური აბდაუბდა, რომლის განმეორებისა და დამახინჯების მეშვეობით — ესე იგი, ენაბრგვილობის განსაკუთრებული გრძნებით — ჩემი კარმენი მოვნუსხე. მეტისმეტად მეშინოდა, რომ რაიმე სტიქიური უბედურება უეცრად ხელს შემიშლიდა და ჩემს ოქროს ტვირთს წამართმევდა. მთელი არსებით მივეცი შეგრძნებებს, მაგრამ ეს შიში მაიძულებდა, დასაწყისში ძალზე აჩქარებით მემოქმედა, რაც არ შეესაბამებოდა შეგნებული ტკბობის თანაბარზომიერებას. ლოლიტა აჰყვა ფანფარებსა და ფარებს, დომხალსა და ალს: წკრიალა ხმით ამღერდა და შეასწორა ჩემ მიერ გაყალბებული მოტივი. მას მუსიკის ნიჭი ჰქონდა და ვაშლის სიტკბოთი გაჟღენთილიყო. ოდნავ ატოკებდა ჩემს ცოცხალ წიაღზე გადადებულ ფეხებს, რომლებსაც მე ვეფერებოდი. ასე იწვა დივნის მარჯვენა კუთხეში — მოკლეწინდებიანი მოსწავლე გოგონა, რომელიც თავის ოდინდელ ვაშლს ნთქავდა და მისი წვენით პირგავსებული მღეროდა; თან ფეხიდან ფლოსტი ძვრებოდა, წინდაჩაწეულ ქუსლს ჩემ გვერდით, დივანის მარცხენა მხარეს დაყრილ ძველ ჟურნალებზე იფხანდა — მისი ყოველი მოძრაობა, თითოეული შერხევა და ფეხის ფრატუნი მეხმარებოდა, მიმეჩქმალა და გამეუმჯობესებინა ფარული შეხებითი ურთიერთობა მხეცსა და ამ უმწკივლო ჩითის კაბით შემოსილ მთრთოლვარე სხეულს შორის.

თითების სწრაფი მოძრაობით ველაციცებოდი მისი წვივების ოდნავ აძაგრულ ღინღლს. ვიძირებოდი მძაფრ, მაგრამ ჯანსაღ მხურვალებაში, რომელიც ზაფხულის ბუღივით გარს შემოხვეოდა პატარა დოლი ჰეიზს. აჰ, ნეტავ არ გაინძრეს, ნეტავ სამუდამოდ ასე დარჩეს... მაგრამ აი, წამოიწია, რათა ვაშლის ნარჩენი ბუხარში მოესროლა და მისი ნორჩი სიმძიმე, მისი ურცხვი, უმანკო ბარძაყები და მრგვალი პატარა გავა მიუახლოვდა ჩემს დაძაბულ, გათანგულ, შეუმჩნევლად მომუშავე წიაღს. ანაზდად გრძნობების იდუმალი ცვლილება განვიცადე. ყოფიერების იმ სიბრტყეში გადავინაცვლე, სადაც ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა, გარდა ბედნიერების იმ ნაყენისა, რომელიც ჩემს სხეულში ჩუხჩუხებდა. ის, რაც სიღრმისეული ფესვების საამური ზმორებით დაიწყო, მწვავე ქავილად გადაიქცა, რომელიც ახლა სრულიად საიმედო, მტკიცე და უხიფათო გახდა — სიცოცხლის სხვა სფეროებში ასეთი მდგომარეობა არ წარმოიშობა ხოლმე. ღრმა, მძაფრი ტკბობა უკვე უკანასკნელ კრუნჩხვას უახლოვდებოდა, ამიტომ შემეძლო, მოძრაობა შემენელებინა და ნეტარება გამეხანგრძლივებინა. ლოლიტას რეალურობა მშვიდად გავაუქმე. ნაგულისხმევი მზე ყალბ ალვის ხეებში ფეთქავდა. ისე მარტონი ვიყავით, როგორც თავბრუდამსხმელ გამონაგონში ხდება ხოლმე. ვუმზერდი ოქროსფერი მტვრით გარემოცულ გოგონას; ვგრძნობდი, რომ ის ჩემთვის შესაძლებელი ბედნიერების ნისლეულს მიღმა იმყოფებოდა, არაფერი იცოდა მის შესახებ და უცხოც იყო მისთვის. მზის სხივები ლივლივებდა მის ტუჩებზე, ჯერ კიდევ „ჯიბის კარმენის“ სიტყვებს რომ იმეორებდნენ — უკვე აღარაფერი მესმოდა. ახლა კი მზად ვიყავი. ტკბობისთვის განკუთვნილი ნერვები გაშიშვლდა. კრაუზის კორპუსკულებისთვის სიშმაგის ფაზა დადგა. ოდნავი დაწოლა საკმარისი იქნებოდა, რომ ნეტარების ქარიშხალი ამოვარდნილიყო. უკვე ჰუმბერტ ჰუმბერტი აღარ ვიყავი — აღარ ვიყავი თვალებსევდიანი მონადირე ძაღლი, რომელიც ჩექმას ჩახუტებოდა, თუმცა მისგან მალე კინწისკვრას მოელოდა. ყოველგვარ სასაცილო ფათერაკებზე ავმაღლდი და სასჯელისაც არ მეშინოდა. ჩემს თვითნაკეთ სერალში გალაღებული, გულადი თურქი ვიყავი და შეგნებულად, თამამად, თავისუფლების მკაფიო შეგნებით ვაჭიანურებდი იმ წამის დადგომას, როდესაც ყველაზე ნორჩი, ყველაზე ნაზი მხევლის მთლიანად დაუფლებას ვინებებდი. ავხორცობის უფსკრულზე დაკიდული (ეს ფიზიოლოგიური წონასწორობის მეტად მარჯვე მდგომარეობაა, რომელიც შეიძლება შე-

ბიბლიოთეკა

ვადაროთ ლიტერატურისა და მუსიკის ზოგიერთ ტექნიკურ ხერხს), ლოლიტას კვალდაკვალ ვიმეორებდი შემთხვევით, უაზრო სიტყვებს – „კარმენი, კარმინი, ამინ“, – თითქოს ძილში ვბუტბუტებდი და ვიცინოდი, ამავე დროს ჩემი ბედნიერი ხელი მისი მზიური ფეხის ზემოთ, წესიერების აჩრდილით მონიშნულ ზღვრისკენ მიცოცავდა. წინადღეს გოგონა სირბილისას შევარდა ვეებერთელა ყუთში, წინკარში რომ იდგა და ახლა, სულშეგუბებული, ვამბობდი: „შეხედე, შეხედე ერთი, რა გიქნია, აჰ, შეხედე!“ – რადგან, გეფიცებით, მოყვითალო ლიბრი აჩნდა მის წარმტაც ნიმფეტურ ბარძაყს, რომელსაც ჩემი ბანჯგვლიანი თათი სრესდა და ნელა ეკრობოდა – და რადგან ლოლიტას ჩანასახობრივი ზომის საცკალი ეცვა, ჩემი კუნთოვანი ცერისთვის თითქოს არაფერს უნდა შეეშალა ხელი, მისი საზარდულის ფოსომდე მიეღწია – ასე ულიტინებ და ეფერები აკისკისებულ ბალღს – ასე და მხოლოდ ასე, და პასუხად მან მოულოდნელად მწივანა ხმით წამოიძახა: „აჰ, ეს არაფერია!“, თან ფეხებს იქნევდა და იკლაკნებოდა, შემდეგ თავი უკან გადააგდო, სველ პრიალა ტუჩზე იკბინა და მიტრიალდა, და ჩემი მგმინავი ტუჩები, ბატონო მსაჯულებო, თითქმის შეეხო გოგონას შიშველ კისერს, სანამ მის მარცხენა თეძოზე ვასრესდი უკანასკნელ ჟრუანტელს ყველაზე ხანგრძლივი ალტაცებისა, რომელიც ოდესმე განუცდია ადამიანს თუ ეშმაკს.

ამის შემდეგ ლოლიტა მყისვე (თითქოს აქამდე ვეჭიდავებოდი, ახლა კი დავშვრი და ხელები გავუშვი) ჩამოგორდა ტახტიდან და ფეხზე წამოხტა, რათა ყურისწამღებად აწკრიალებული ტელეფონის ყურმილი აეღო – ის, ალბათ, უკვე დიდი ხნის განმავლობაში რეკავდა, მე კი არაფერი გამიგია. ლოლიტა გაშტერებული იდგა, ლოყები უვარვარებდა, კულულები გასწეწოდა და მზერა განურჩევლად გადმოჰქონდა ავეჯიდან ჩემზე, სანამ სხვის ლაპარაკს ისმენდა ან თვითონ პასუხობდა (დედა უბრძანებდა, მისულიყო ჩატფილდებთან, რომლებმაც ისინი საუზმეზე დაპატიჟეს – ამასთან, არც ლომ, არც ჰუმმა არ იცოდნენ, რა ჩაიფიქრა ამ აბეზარმა ქალმა); მას ჯერ კიდევ ფეხსაცმელი ეკავა და მაგიდას უკაკუნებდა. მადლობა ღმერთს, ვერაფერი შენიშნა.

ამოვიღე ფერადოვანი აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომელზეც მისი მზერა წამით შეჩერდა. შემდეგ ოფლით დაცვარული შუბლი შევიმშრალე და, ტანჯვის ულლისგან გათავისუფლებულმა, შვებით შევისწორე ჩემი სამეფო სამოსი. სანამ ის დედას ეჯიჯღინებოდა (პატარა კარმენსიტას სურდა, რომ დედას მანქანით წაეყვანა), ხმამაღალი სიმღერით სულმოუთქმელად ავირბინე კიბე და აბაზანა მჩქეფარე, ოხშივრიანი წყლით ავავსე.

აქ თავს ნებას მივცემ, მოვიყვანო ზემონახსენები მოდური სიმღერის ტექსტი ან, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც დამამახსოვრდა:

ო, კარმენ, კარმენ, გაიხსენე ის ჟამი, როცა
ძლიერ გვინდოდა შადრევანთან გულის მიტანა...
ღამის ბარები გაიხსენე, გიტარა, კოცნა,
ყველა ღალატი გაიხსენე შენი, ხიტანა!

ქალაქში ღამით ხეტიალი რომ ვეღარ გვღლიდა!
ბოლო კამათი გაიხსენე, როს ვგავდი შეშლილს!
შერე ის ტყვია გაიხსენე, მოგკალი რითაც!
მერე ის კოლტი, მე რომ ახლა მიჭირავს ხელში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ალბათ, მომცრო კოლტი ამოიღო და მჩეთუნახავს შუბლში ტყვია მიაჭედა).

ქალაქში ვისაუზმე — დიდი ხანია, ასე არ მომშივებია. როდესაც დავბრუნდი, სახლი ჯერ კიდევ ულოლიტო იყო. მთელი დღის განმავლობაში ვოცნებობდი და გეგმებს ვსახავდი, ნეტარებით ვითავისებდი დილანდელ განცდას.

ვამაყობდი: ორგაზმის ნექტარი ისე მოვიპარე, რომ მცირეწლოვანი ბავშვი არ შემიცდენია. არავითარი ზიანი არ მიმიყენებია. მეფოკუსემ ქალიშვილის ახალ თეთრ ჩანთაში რძე, ბადაგი, ქაფიანი შამპანური ჩაასხა — ერთი, ორი სამი —და ჩანთა უვნებლად გადარჩა. ამგვარად — მეტისმეტად დახვეწილად — აღვასრულე ჩემი სამარცხვინო, სანუკვარი ოცნება; და მაინც, ლოლიტა გადარჩა, მეც გადავრჩი. არსება, ვისითაც ასე გაშმაგებით დავტკბი, თავად კი არ იყო, არამედ ჩემ მიერ შექმნილი სხვა, წარმოსახული ლოლიტა (შესაძლოა, ნამდვილ ლოლიტაზე გაცილებით უფრო ჭეშმარიტი), რომელიც მას აღემატებოდა და მოიცავდა; ჩემსა და მას შორის ირწეოდა; ნებისა, თვითშეგნებისა — და, ალბათ ყოველგვარი საკუთარი არსებობისაგან გაძარცული იყო.

გოგონა ვერაფერს მიხვდა. მისთვის არაფერი დამიშავებია და შემეძლო, წინანდელი მოქმედება განმემეორებინა. ეს მას ისევე ნაკლებად შეეხებოდა, თითქოს ლოლიტა ეკრანზე მოკიაფე ფოტოგრაფიული გამოსახულება ყოფილიყოს, მე კი — უწყინარი ქონდრის კაცი, რომელიც მას უმზერდა და სიბნელეში ონანირებდა. მდუმარე და მწიფე დღე მდოვრედ მიედინებოდა. მაღალი წვენით გავსებული ხეები თითქოს მიმიხვდნენ საიდუმლოს.

მისი ალერსის წყურვილი ახლა უფრო მწვავედ მტანჯავდა, ვიდრე ადრე. „ნეტავ, მალე დაბრუნდეს-მეთქი", ვლოცულობდი და ნასესხებ ღმერთს მივმართავდი, „და ნეტავ, ტახტის სცენა კვლავ განმეორდეს, სანამ დედამისი სამზარეულოში იქნება! გევედრები! რა საშინლად ვეთაყვანები მას!"

არა, „საშინლად" შეუსაბამო სიტყვაა. აღტყინება, რომელსაც ახალი ნეტარების მოლოდინი აღმიძრავდა, საშინელი კი არა, — უბადრუკი იყო, უბადრუკი—რადგან დაუოკებლად აზავთებული ვნების მიუხედავად, სრულიად გულწრფელად მწადდა ამ თორმეტი წლის ბავშვის შეუბღალავი სიწმინდის დაცვა.

იცით, რა მერგო ჩემი წამების საფასურად? ლოლიტა დედამისს არ წამოჰყვა — ჩატფილდებთან ერთად კინოში წავიდა. სასადილო მაგიდა საგანგებო სიკეკლუცით იყო გაწყობილი ორი ადამიანისთვის: ზედ სანთლები კიაფობდა (შეხე ერთი!). ამ კეკლუცი აურით გარემოცული ქალბატონი ჰეიზი ოდნავ ათამაშებდა თეფშის ორივე მხარეს დაწყობილ ვერცხლის დანა-ჩანგალს, თითქოს კლავიშებს ეხებაო, თავის ცარიელ თეფშს ულიმღამოდ (დიეტას იცავდა), და მეკითხებოდა, მომეწონა თუ არა სალათი (რომელიც ქალთა ჟურნალში ამოკითხული რეცეპტის მიხედვით იყო მომზადებული). მას სურდა, გაეგო, გემრიელი იყო თუ არა ცივი ხორცი. ამბობდა, რომ დღე კარგად გაატარა. მისტრის ჩატფილდი მშვენიერი ადამიანია. ფილიდა (მისი ქალიშვილი) ხვალ გოგონათა საზაფხულო ბანაკში მიემგზავრება სამი კვირით. გადაწყდა, რომ ლოლიტაც იქ წავა უახლოეს ხუთშაბათს. იმის ნაცვლად, რომ ივლისამდე მოიცადოს, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. იქ ფილიდაზე მეტხანს დაჰყოფს — სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე. რა საუცხოო პერსპექტივაა, ჩემო ბედშავო გულო!

თავზარი დამეცა! ჩემს მიჯნურს სწორედ მაშინ მართმევდნენ, როდესაც მას ფარულად დავეუფლე. უგუნებობის მიზეზის ასახსნელად კვლავ კბილის ტკივილი მოვიმიზეზე, რისი სიმულირებაც დილით მომიხდა. ალბათ, უკანა კბილი იყო, უზარმაზარი, კომპოტის ალუბლისხელა ჩირქგროვით.

„ჩვენს ქალაქში, — წარმოთქვა ქალბატონმა ჰეიზმა, — მშვენიერი დანტისტია. სახელდობრ, ჩვენი მეზობელი, ექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმი კუილტი, ცნობილი დრამატურგის ნათესავი. გგონიათ, რომ გაგიჟლით? (როგორც გინდათ. შემოდგომაზე გოგონას წინა კბილებზე „რგოლს“ ჩამოაცვამენ, როგორც დედაჩემი იტყოდა ხოლმე). შეიძლება ამან მოარჯულოს ჩვენი პაწია ლოლიტა. ვშიშობ, რომ ძალზე შეგიშალათ ხელი ამ დღეებში და, ალბათ, ორისამი საკმაოდ ბობოქარი დღე მოგველის, სანამ გავამგზავრებდეთ. თავიდან მან გადაჭრით უარი თქვა წასვლაზე და ვაღიარებ, ჩატფილდებთან იმიტომ დავტოვე, რომ მასთან პირისპირ დარჩენისა მეშინია, სანამ ასეთ განწყობილებაზეა. შესაძლოა, კინომ დააშოშმინოს. ფილიდა შესანიშნავი გოგონაა და ლოლიტას არავითარი მიზეზი არა აქვს მის ასათვალწუნებლად. მერწმუნეთ, მოსიე, სულითა და გულით თანავუგრძნობ თქვენს კბილის ტკივილს. გაცილებით უფრო გონივრული იქნება, თუ ნებას მომცემთ, ხვალ დილით პირველ რიგში აივორ კუილტის დავუკავშირდე, თუ კიდევ გეტკინებათ. ვფიქრობ, საზაფხუსულო ბანაკი გაცილებით სასარგებლოა გოგონასათვის, გაცილებით აზრიანია, როგორც ყოველთვის ვამბობ, ვიდრე გარეუბნის გაზონზე უსაქმოდ გორაობა, დედის კოსმეტიკური ფანქრის ქურდობა და მორიდებული ჯენტლმენის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე — ყოველგვარი უმნიშვნელო მიზეზების გამო აურზაურის ატეხა".

„დარწმუნებული ბრძანდებით“,—ვთქვი ბოლოს (როდესაც უმნიშვნელო, ჩემდა სავალალოდ, სრულიად უმნიშვნელო საწინააღმდეგო მოსაზრება მოვიფიქრე),— რომ დოლი იქ უბედური არ იქნება?“

„ერთი გაბედოს და უბედური იყოს! თუმცა იქაური ცხოვრება მხოლოდ გართობისგან როდი შედგება. ბანაკს ხელმძღვანელობს შერლი ჰოლმსი, — ალბათ, გაგიგიათ მისი სახელი — მან დაწერა წიგნი, „მოსწავლე გოგონები კოცონთან“. ბანაკში ცხოვრება დაეხმარება დოლი ჰეიზს, მრავალმხრივ განვითარდეს — ჯანმრთელობის, ხასიათის, განათლების და, განსაკუთრებით, სხვების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნების მხრივ. თუ გინდათ, ეს სანთლები ავიღოთ და ვერანდაზე გავიდეთ. იქნებ ლოგინში ჩაწოლა და ტკივილგამაყუჩებელი წამლის მიღება გირჩევნიათ?“

წამლის მიღება...

15.

მეორე დღეს ისინი ქალაქს გაემგზავრნენ ბანაკისთვის საჭირო ნივთების საყიდლად. ყოველგვარი ახალი ტანსაცმელი ლოზე ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენდა. სადილობისას ის თითქოს ჩვეულ, დამცინავ ნორმას დაუბრუნდა. ისადილა თუ არა, თავის ოთახში წავიდა, რათა „კუდრაჭაში“, ანუ „კუ“-ში, როგორც შემოკლებით უწოდებდნენ ბანაკს, წვიმიანი დღეებისთვის შეძენილი კომიქსები დაეთვალიერებინა და ისე საფუძვლიანად გაეცნო მათ, რომ შემდეგ თან აღარ წაეღოა.

ჩემს ბუნაგს შევაფარე თავი და წერილის წერა დავიწყე. ზღვაზე გამგზავრებას ვაპირებდი, რათა შემდეგ, სასწავლო წლის დასაწყისში, კვლავ ჰეიზების სახლს დავბრუნებოდი. უკვე ვიცოდი, რომ ამ გოგონას გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო.

სამშაბათს ისინი კვლავ საყიდლებზე გაემგზავრნენ. დამავალეს, ტელეფონთან, მივსულიყავი, თუ მათი არყოფნისას ბანაკის უფროსი დარეკავდა. მან მართლაც დარეკა და რამდენიმე კვირის შემდეგ შემთხვევა მოგვეცა, გაგვეხსენებინა ჩვენი სასიამოვნო საუბარი. ამ სამშაბათს ლომ თავის ოთახში ისადილა. დედასთან ხელახალი ჩხუბის შემდეგ, მან ერთი საათის განმავლობაში იტირა და ახლა, როგორც ადრეც ყოფილა, არ მოისურვა, ნამტირალევი თვალებით დამნახვებოდა: სახის ფერის განსაკუთრებული სისათუთის გამო, ხანგრძლივი ტირილის შემდეგ, ნაკვთები უშუპდებოდა და უსივდებოდა — რაც ავადმყოფურ მიმზიდველობას ანიჭებდა. მისი მცდარი წარმოდგენა ჩემს ესთეტიკურ გემოვნებაზე ძალზე მტკენდა გულს, რადგან მართლაც რომ ვაღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებ ან ბოტიჩელისეულ სივარდისფრეს, ამ მკვეთრად დაჩნეულ არშიას ანთებული ტუჩების გარშემო, ამ სველ, შეწებებულ წამწამებს. გარდა ამისა, მისი მოკრძალებული ახირება ბევრ საშუალებას მართმევდა, რათა ყალბი ნუგეშისცემის სახით...

მაგრამ საქმის ვითარება არც ისე მარტივი გახლდათ. როდესაც საღამოს მადამ ჰეიზი და მე სიბნელეში ვერანდაზე ვისხედით (უტიფარმა ქარმა ჩააქრო მისი ალისფერი სანთლები), ქალმა დაღვრემილი ღიმილით მითხრა: „ვაღიარებ, — ლოლიტას განვუცხადე, რომ მისმა უსაყვარლესმა ჰუმბერტმა მთლიანად მოიწონა ბანაკთან დაკავშირებული გეგმა. მან გადაწყვიტა, ნამდვილი სკანდალი მოეწყო იმ საბაბით, თითქოს ჩვენ მისი თავიდან მოშორება გვსურდა. ჭეშმარიტი მიზეზი კი სხვაა: ვუთხარი: — მოდი, შენი ზოგიერთი, ძალზე გადაპრანჭული ღამის სამოსი (რომელიც იძულებით მაყიდინე) უფრო სადა ტანსაცმელზე გადავცვალოთ-მეთქი. ჩემს ჭირვეულ გოგონას თავი ეკრანის ვარსკვლავი ჰგონია, მე კი მასში ჯანმრთელ, მხნე, მაგრამ საოცრად ულამაზო მოზარდს ვხედავ. ვფიქრობ, სწორედ ესაა ჩვენი უსიამოვნების მიზეზი“.

ოთხშაბათს ლოლიტა რამდენიმე წამით მოვიხელთე: ეს მოხდა კიბის ბაქანზე, სადაც მაისურსა და თეთრ — უკან მწვანედ დასვრილ — ტრუსებში ჩაცმული გოგონა სკივრში იქექებოდა. რაღაც ძალზე მეგობრული და სასაცილო ვუთხარი, მაგრამ მან მხოლოდ გამქირდავად ჩაიფრუტუნა, ისე რომ არც კი მოუხედია. შეჩვენებული, მომაკვდავი ჰუმბერტი მორიდებით მიეფერა კუდუსუნზე, გოგუცუნამ კი ძალზე მტკივნეულად გაარტყა განსვენებული ბატონი ჰეიზის ერთ-ერთი ჩექმის კალაპოტი. „უნამუსო მოღალატევ“, თქვა მან და მე კიბეზე ჩავლასლასდი, თან ძალზე განაწყენებული გამომეტყველებით მხარს ვისრესდი. მან არ მოისურვა, ჰუმიკოსა და დედიკოსთან ერთად ესადილა: თავი დაიბანა და ლოგინში ჩაწვა თავისი სულელური წიგნებითურთ, ხოლო ხუთშაბათს გულგრილმა დედამ ლოლიტა ბანაკ „დუ“-ში წაიყვანა.

როგორც ჩემზე უკეთესი ავტორები წერენ: „მკითხველი ადვილად წარმოიდგენს...“ და ასე შემდეგ. შევეცდები, ეს ნაქები წარმოსახვა ჭიტლაყით გავაგდო წინ. ვიცოდი, რომ ლოლიტა სამუდამოდ შემიყვარდა; ამასთან, ისიც ვიცოდი, რომ გოგონა სამუდამოდ არ დარჩებოდა ლოლიტად: პირველ იანვარს ცამეტი წლისა გახდებოდა და გადაიქცეოდა „ქალიშვილად“, შემდეგ კი „კოლეჯ-გერლად“, ესე იგი „სტუდენტ ქალიშვილად“, ამაზე მეტი საზიზღრობა კი წარმოუდგენელია. სიტყვა „სამუდამოდ“ შეეხებოდა მხოლოდ ჩემს ვნებას, მხოლოდ იმ ლოლიტას, რომელიც ყოველთვის მიჩქროლებდა სისხლს. რაც შეეხება ლოლიტას, რომელიც მისაწვდომი იყო ჩემი შეხებისა და ყნოსვისათვის, ჩემი სმენისა და მხედველობისათვის; ლოლიტას — მწივანახმიანსა და ელვარეთმიანს (თმა შუბლზე სწორად ჰქონდა შეკრეჭილი, ყურებთან — ტალღისებურად, კეფაზე კი კულულებად ეფინებოდა), ლოლიტას, რომელსაც კისერი ეგზომ ცხელი და მწებვარე ჰქონდა და რომლის ლექსიკონი ჭარბი ვულგარულობით გამოირჩეოდა — ეს ლოლიტა, ჩემი ლოლიტა, მე (საბრალო კატულუსს) სამუდამოდ უნდა დამეკარგა.

მაშ როგორ გავძლო უმისოდ ორი თვის — ზაფხულის ორი უძილო თვის განმავლობაში? ნიმფეტობის ორი დარჩენილი წლიდან ამოგდებული მთელი ორი თვე! ვფიქრობდი, იქნებ გადავიცვა და კუშტ, ძველმოდურ, მოუხეშავ მადმუაზელ ჰუმბერტად ვიქცე-მეთქი. შეიძლებოდა, ბანაკ „კუ“-ს მახლობლად კარავიც გამეშალა იმ იმედით, რომ მისი მკვიდრი მზემოკიდებული ნიმფეტები ატიტინდებოდნენ, აჰ, მოდით ჩვენს საერთო საცხოვრებელში დავასახლოთ ეს მსუყეხმიანი ლტოლვილიო, და თავიანთი კოცონისკენ წაიყვანდნენ ნაღვლიან, მორცხვად მოღიმარ დიდფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებიან ბერტას. ღამით ბერტა დოლორეს ჰეიზს მიუწვებოდა.

მოცლილი კაცის უღიმღამო სიზმრები.., სილამაზისა და ალერსის ორი თვე სამუდამოდ უნდა განიავებულიყო და ამას არაფერი ეშველებოდა, სრულიად არაფერი.

ამ ხუთშაბათმა საუცხოო თაფლის ერთი წვეთი მაინც შემომინახა თავის რკოსგან გამოთლილ სასმისში. ქალბატონ ჰეიზს გოგონა ადრიანად უნდა წაეყვანა ბანაკში. როდესაც გამგზავრებასთან დაკავშირებული ხმაური მომესმა, საწოლიდან ჩამოვსრიალდი და ფანჯარაში გადავეყუდე. ავტომობილი უკვე რახრახებდა ქვემოთ, ალვის ხეებთან. ტროტუარზე მდგარი ლუიზა თვალებზე ხელს იჩრდილებდა, თითქოს დილის მზის დაბალი სხივებით გაცისკროვნებული პატარა მოგზაური უკვე გვშორდებოდა. „იჩქარე!" — დაიძახა საჭესთან მჯდარმა ქალბატონმა ჰეიზმა. ლოლიტამ, რომელიც ნახევრად უკვე შეძვრა ავტომობილში და აპირებდა, კარი მიეხურა, ხრახნიანი სახელურით ფანჯრის მინა ჩაეწია, ლუიზასა და ალვის ხეებისთვის (რომელთა ნახვა აღარ ეწერა) ხელი დაექნია, ბედის მდინარება შეაჩერა: ზემოთ ამოიხედა და ისევ სახლში შემოვარდა (დედამისი გააფთრებით უყვიროდა რაღაცას). ერთი წამის შემდეგ ჩემი მიჯნურის ნაბიჯების ხმა გავიგონე — კიბეზე ამორბოდა. გული მძლავრად ამებერა, თითქმის მთელ სამყაროს გადაეფარა. პიჟამის შარვალი გავისწორე და კარი გავაღე; იმავ წუთს ფეხების ბაკუნით ამოირბინა აქოშინებულმა, ძალზე თხელ კაბაში ჩაცმულმა ლოლიტამ და, აი, უკვე მკლავებში ჩამივარდა, და მისი უმანკო ბაგეები დაადნა მამაკაცის მუქ, მტაცებლურ ყბებს — ო, ჩემო მთრთოლვარე თვალისჩინო! მომდევნო წამს ის — ცოცხალი, უვნებლად გადარჩენილი, ბრაგაბრუგით ჩარბოდა ძირს. ბედის მდინარება განახლდა. ოქროსფერი წვივი თვალს მიეფარა, მანქანის კარი დაიკეტა — გაიღო და უფრო საიმედოდ დაიკეტა. მძღოლმა, საჭეს მკვეთრი მოძრაობებით რომ ატრიალებდა და თავის მძვინვარე ლაპარაკს წითელი, რეზინისმაგვარი ტუჩების მანჭვას ურთავდა, წაიყვანა ჩემი სიყვარული. მხოლოდ მე შევამჩნიე, რომ მისს ვიზავი (ავადმყოფი დედაბერი, რომელიც პირდაპირ ცხოვრობდა) ხელს სუსტად, მაგრამ რიტმულად აქნევდა ვაზის ფოთლებით დაჩრდილული ვერანდიდან.

ხელისგულის ფოსოს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ლოლიტას ბავშვურად შეზნექილი ზურგისა და თხელი კაბით შემოსილი, კლავიშებივით კრიალა კანის გლუვი შეგრძნება (სანამ გოგონას ვეხვეოდი, კაბას ვუჭმუჭნიდი და ზევითქვევით ვწევდი). მის აქოთებულ ოთახში შევვარდი, კარადის კარი გამოვაღე და ნახმარი საცვლების გროვაში ჩავყვინთე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი გაცვეთილი, დახეული, ვარდისფერი ქსოვილი, რომელსაც ნაწიბურთან რაღაცნაირი მძაფრი სუნი ასდიოდა. სწორედ მასში გავახვიე ჰუმბერტის ვეებერთელა, გათანგული გული. ცეცხლოვანმა ქაოსმა უკვე თითქმის მთლიანად მომიცვა — მაგრამ იძულებული გავხდი, ყოველივე შემეწყვიტა და თავი სწრაფად მომეწესრიგებინა, რადგან მოახლის ხავერდოვანი ხმა მომესმა — ის კიბიდან წყნარად მეძახდა. კეთილმა ლუიზამ ჩემს მექანიკურ „მადლობას" „არაფერსო" გულითადად დააყოლა და აკანკალებულ ხელში სუფთა, უმანკო წერილი შემაჩეჩა.

„ვაღიარებ: მიყვარხართ..."

ასე იწყებოდა წერილი და ერთი უკუღმართი წამის განმავლობაში ეს ისტერიული ხელწერა მოსწავლის ბატიფეხურ ნაჯღაბნად მივიჩნიე:

„ამას წინათ, კვირადღეს, წირვისას (სიტყვამ მოიტანა და უნდა დაგტუქსოთ, რომ ჩვენი ეკლესიის ახალი, საუცხოოდ მოხატული ფანჯრების დათვალიერება არ მოინდომეთ), დიახ, უკანასკნელ კვირადღეს, სულ ახლახან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს ვკითხე, რა მომემოქმედა; მეუწყა, რომ ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც ახლა ვიქცევი. სხვა გამოსავალი არ არსებობს. დანახვისთანავე, პირველივე წუთიდან შემიყვარდით. მარტოხელა და ვნებიანი ქალი ვარ, თქვენ კი ჩემი სიცოცხლის ერთადერთი სიყვარული ხართ.

ახლა კი, ჩემო ძვირფასო, ჩემო ყველაზე ძვირფასო, თქვენ უკვე წაიკითხეთ ეს, თქვენ ახლა ყოველივე იცით. გთხოვთ, გეთაყვა, **დაუყოვნებლივ** ჩაალაგოთ ბარგი და გაემგზავროთ. ამას გიბრძანებთ თქვენი დიასახლისი. გაემგზავრეთ! წადით! თუკი ორივე მიმართულებით საათში ოთხმოცი მილის სისწრაფით უხიფათოდ ვივლი (თუმცა, ვის რა ენაღვლება?), საღამო ხანს დავბრუნდები და არ მსურს, შინ დამხვდეთ. გევედრებით, გევედრებით, სწრაფად გაემგზავრეთ. **ახლავე**, ამ სასაცილო წერილსაც ნუ ჩაიკითხავთ ბოლომდე. გაემგზავრეთ. მშვიდობით!

საქმის ვითარება, ჩემო ძვირფასო, ძალზე მარტივია. რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენს თვალში არაფერს წარმოვადგენ, სრულიად არაფერს. ო, რა თქმა უნდა, გიყვართ ჩემთან მასლაათი (და კიდეც დამცინით ხოლმე მე, უბედურს); შეგიყვარდათ ჩვენი სტუმართმოყვარე სახლი, მოგწონთ ჩემი საყვარელი წიგნები, ჩემი შესანიშნავი ბაღი და თვით ჩემი ხმაურიანი ქალიშვილის ცელქობა; მაგრამ მე თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ. ასეა? დიახ, სრულად არაფერს. **მაგრამ** თუ ჩემი აღსარების წაკითხვის შემდეგ თქვენ (ევროპელი კაცი და პირქუში რომანტიკოსი) გადაწყვეტთ, რომ საკმარისად მიმზიდველი ვარ და საშუალება გეძლევათ, მსუბუქი ურთიერთობა გაბათ ჩემთან — იცოდეთ რომ ეს დანაშაული იქნება, — ისეთივე დანაშაული, როგორც მოტაცებულ ბავშვზე ძალის ხმარებაა. ხომ გესმით, ჩემო საყვარელო, რომ თუ დარჩენას გადაწყვეტთ, თუ შინ დამხვდებით (რაც, უეჭველია, არ მოხდება და ამიტომ შემიძლია, ამაზე ვიოცნებო), მაშინ თქვენი დარჩენის ფაქტი მხოლოდ ერთი მნიშვნელობით შეიძლება განიმარტოს: გსურთ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდეთ (რაც ჩემს სურვილს ემთხვევა) და მზადა ხართ, სამუდამოდ დაუკავშიროთ თქვენი ცხოვრება ჩემსას, ჩემს გოგონას კი მამობა გაუწიოთ.

ნება მიბოძეთ, ცოტათი კიდევ ვიბოდო და წარმოსახვაში ვიბორიალო, ჩემო ყველაზე ძვირფასო; კარგად ვიცი, რომ უკვე დახიეთ ეს წერილი და მისი ნაკუწები (გაურკვეველია) კლოზეტის მორევში. ჩემო ყველაზე ძვირფასო, რომ იცოდეთ, სიყვარულის რამხელა მთა აღემართე ამ ჯადოსნური ივნისის განმავლობაში! ვიცი, რომ თავშეკავება გჩვევიათ და ბრიტანელის თვისებები გახასიათებთ. შესაძლოა, თქვენი ძველებური გულჩახვეულობისა და წესიერების გამო გეხამუშოთ საბრალო ამერიკელი ქალის უშუალობა! ისე მალავთ ყველაზე მძაფრ გრძნობებს, რომ ურცხვ და სულელ არსებად უნდა მიმიჩნიოთ, რადგან ასე ფართოდ გადაგიხსენით ჩემი უბედური, დაკოდილი გული. წარსულში არა ერთხელ გამცრუებია იმედები. მისტერ ჰეიზი — შესანიშნავი, საიმედო, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანი, სამწუხაროდ, ოცი წლით უფროსი იყო ჩემზე , ასე რომ — მაგრამ სჯობს, არ ვიჭორაოთ წარსულზე. ჩემო საყვარელო, შენი ცნობისმოყვარეობა მთლიანად დაკმაყოფილდება, თუ ჩემს თხოვნას უკუაგდებ და წერილს მწარე დასასრულამდე ჩაიკითხავ. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! გაანადგურე ის და წადი. არ დაგავიწყდეს გასაღების დატოვება მაგიდაზე, რაიმე მისამართიც დატოვე, რომ შენ მიერ თვის ბოლომდე გადახდილი ქირა — თორმეტი დოლარი — დაგიბრუნო. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო. ილოცე ჩემთვის, თუ როდისმე ლოცულობ".

შ. ჰ.

ზემომოყვანილი ტექსტი წერილის ის ნაწილია, რომელიც დამამახსოვრდა, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც ზედმიწევნით ზუსტად დამამახსოვრდა. წერილი ორჯერ უფრო გრძელი მაინც იყო. გამოვტოვე ლირიკული ნაწყვეტი, რომელიც მაშინ მეტ-ნაკლებად სწრაფად გადავიკითხე — ლოლიტას ძმის შესახებ, რომელიც ორი წლისა გარდაცვლილიყო (ლოლიტა მაშინ ოთხი წლისა იყო): შარლოტა ვარაუდობდა, რომ ის ძალზე შეყვარებოდა. კიდევ რა იყო? ჰო. შესაძლოა, სიტყვები „კლოზეტის მორევში“ (სადაც წერილი მართლაც ჩავაგდე) — ჩემი საკუთარი პროზაული წვლილი იყოს. ის, ალბათ, მთხოვდა, რაიმე საგანგებო ცეცხლი დამენთო მისი უსტარის დასაწვავად.

ზიზღი — აი რა იყო ჩემი პირველი საპასუხო გრძნობა, რომელსაც დაემატა გაპარვის სურვილი, მაგრამ შემდგომ ვიგრძენი, თითქოს ჩემს მხარზე მეგობრის მშვიდი ხელი დაეშვა და შემომთავაზა, არ მეჩქარა. გავუგონე. გონს მოვეგე და დავინახე, რომ კვლავ ლოლიტას ოთახში ვიმყოფებოდი. მას პრიალა ჟურნალიდან ამოგლეჯილი რეკლამის მთელი გვერდი კედელზე სასთუმალთან მიეწებებინა, გულის ამაჩუყებელი სიმღერების შემსრულებლის დინგსა და კინომსახიობი ქალის გრძელ წამწამებს შორის. ამ ფერად სურათზე გამოსახული იყო შავგვრემანი ახალგაზრდა ქმარი. მის ირლანდიურ თვალებში მოთენთილობა გამოკრთოდა. ის რომელიღაც ფირმის ხალათს „წარადგენდა“ და თან სხვა ფირმის მიერ გამოშვებული ხიდისებური სინის ორივე კიდეს ჩასჭიდებოდა. წარწერა მღვდლის, ტომას მორელის საგალობლიდან იყო ნასესხები: „აი, მოდის გამარჯვებული გმირი“. ალბათ, უნდა გვევარაუდა, რომ საფუძვლიანად დამარცხებული პატარძალი (რომელიც სურათზე არ ჩანდა) ორადგილიანი საწოლის ბალიშებში იჯდა და მზად იყო, შეშველებოდა ქმარს. ამასთან, არ მესმოდა, როგორ მოახერხებდა მისი თანამეცხედრე ამ ხიდის ქვეშ უვნებლად გაძრომას. ლოლიტას ხუმრობით ისარი დაეხატა ლონემისდილ ახალგაზრდა კაცთან და დიდი ასოებით მიეწერა: „ჰ. ჰ.“. მართლაც, უმნიშვნელო ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ შორის განსაცვიფრებელი მსგავსება შეიმჩნეოდა. ამ სურათის ქვეშ სხვა ფერადი ფოტოსურათი იყო გაკრული. მასზე ცნობილი დრამატურგი თავდავიწყებით ქაჩავდა პაპიროს „დრომადერს“ (ის, თურმე, ყოველთვის „დრომებს“ ეწევა). დრამატურგი მხოლოდ ოდნავ წააგავდა ჰ. ჰ.-ს. ქვემოთ ლოლიტას ქალწულებრივი საწოლი იდგა, რომელზეც იაფფასიანი ჟურნალები იყო მიმოფანტული. სასთუმალთან რკინის შტანგების თეთრი ემალი აქა-იქ მრგვლად ატკეცოდა. როდესაც დავრწმუნდი, რომ ლუიზა შინ წავიდა, ლოლიტას საწოლში ჩავწექი და წერილი გადავიკითხე.

17.

ბატონო მსაჯულნო! ვერ დავიფიცებ, რომ ზოგიერთი მოქმედება, რომელიც — მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის — დღევანდელ კვერცხს ეხებოდა, ადრე არ მომსვლია თავში. თუმცა, გონებამ ისინი ლოგიკური ფორმით ვერ შემოინახა. ვიმეორებ, ვერ დავიფიცებ, რომ ამ წარმოდგენებს არ ვეალერსებოდი (თუ ნებას მომცემთ, ამგვარი გამოთქმა ვიხმარო) ზმანებათა ბურუსში, ცდუნების უკუნეთში. ისეც ხდებოდა — არ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო (კარგად ვიცნობ ჰუმბერტს) — რომ გაუცხოებული თვალსაზრისით განვიხილავდი ხოლმე ჩაბერებულ ქვრივზე (ვთქვათ, შარლოტა ჰეიზზე) ქორწინების იდეას. ეს უნდა ყოფილიყო ისეთი ქვრივი, რომელსაც არავითარი ნათესაობა არ ჰყავდა უსაზღვრო, ნაცრისფერ სამყაროში. ჩემი ერთადერთი მიზანი ამ შემთხვევაში იქნებოდა მისი პატარა ქალიშვილის (ლოს, ლოლას, ლოლიტას) ხელში ჩაგდება. მზად ვარ, ისიც კი ვუთხრა ჩემს ჯალათებს, რომ ზოგჯერ შემფასებლის გულგრილი მზერაც მიტყორცნია შარლოტას მარჯნისფერი ტუჩების, ბრინჯაოსფერი თმისა და ძალზე ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკოლტეს მიმართულებით — თითქოს ანგარიშმიუცემლად მივისწრაფოდი, დამაჯერებელი ოცნების ჩარჩოში ჩამეტია ქალი. ამას წამების ზეგავლენით ვაღიარებ: შესაძლოა, ეს წარმოსახული წამებაა, მაგრამ მით უფრო საშინელია. აქ უნდა შევჩერდე და დაწვრილებით მოგითხროთ ღამეული შიშის შესახებ, რომლის გამო გაუსაძლისად ვიტანჯებოდი და ვიტანჯები ხოლმე, როდესაც სიყმაწვილის დროს უწესრიგოდ წაკითხული წიგნებიდან შემორჩენილი შემთხვევითი ტერმინი გონებაში იჭედება — ასეთია, მაგალითად, „მძაფრი და მძიმე გვემა“ (ჯურღმულებში გამომწყვდეულმა რომელმა გენიოსმა მოიგონა ეს!) ან ამაზრზენი, იდუმალი, შემპარავი სიტყვები: „ტრავმა“, „ტრავმატული ფაქტი“ და „ფრამუგა“, თუმცა, ჩემი ნაამბობი გადახვევათა გარეშეც საკმაოდ გაუმართავია.

წერილი გავანადგურე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. გარკვეული ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, თანაც თავს ვიქექავდი, იისფერ ხალათში გამოწყობილი, ბოლთას ვცემდი, კრიჭაშეკრული, ვკვნესოდი — და უეცრად... უეცრად, ბატონო მსაჯულნო, მივხვდი, რომ ამ გრიმასაში, პირი რომ მომიღრიცა, შორეული და შემაძრწუნებელი რიჟრაჟივით გამოსჭვიოდა დოსტოევსკისეული ქირქილი. გაუმჯობესებული მხედველობის ახალ პირობებში იმ ალერსის წარმოდგენას შევუდექი, რომელსაც, სხვათა შორის, ლოლიტას უხვად უწილადებდა დედამისის ქმარი. შევძლებდი დღეში სამჯერ — ყოველდღე — გული მეჯერა მასთან ალერსით. ყველა ჩემი საზრუნავი გაქრებოდა. ჯანმრთელობას დავიბრუნებდი.

**მუხლზე დამიჯდე. ლაღად, ფრთხილად**
**შეგიმაგრო, შენს ნაზ ლოყაზე**
**მამობრივი კოცნა ალვბეჭდო...**

როგორც ინგლისელმა პოეტმა თქვა ოდესღაც. ო, განსწავლულო ჰუმბერტო!

შემდეგ ძალზე წინდახედულად, თითქოს ფეხაკრეფით, შარლოტა ჩემს მეუღლედ წარმოვიდგინე. ნუთუ თავს ვერ ვაიძულებდი, მისთვის ლოგინში მიმერთმია ეს ორ ულუფად მომჭირნედ გაყოფილი პომპლიმუსი, ეს უშაქრო ბრეკფასტი?

უმოწყალო სინათლის სხივებით განათებული, ოფლში გაღვრილი ჰუმბერტ ჰუმბერტი, რომელსაც ასევე ოფლში გახვითქული პოლიციელები უყვარიან და აპანღურებენ, ახლა მზადაა, რაღაც „აჩვენოს“ (რა გამოთქმაა!). მან სინდისი უკუღმა ამოატრიალა და ნელ-ნელა აძრობს ფარულ სარჩულს. შარლოტაზე დაქორწინებისას არ ვვარაუდობდი, რომ ცოლს რომელიმე უხამსი, უკადრისი და სახიფათო ხერხით მოვკლავდი (ასეთია, მაგალითად, სადილის წინ დასალევად განკუთვნილ ხერესის სირჩაში სულემის ხუთი აბის გაზავება ან სხვა რამ ამგვარი); მაგრამ ჩემს მოგუგუნე და დაბინდულ გონებაში დროდადრო მაინც ჩხაკუნებდა აზრი, რომელსაც ფაქიზი კავშირი ჰქონდა ფარმაცევტიკასთან. რატომ უნდა შევიზღუდო თავი იმ მორცხვად მიჩუმათებული ტკბობით, რაც ერთხელ ვიგემე? წარმომიდგებოდა ავხორცობის სხვა სახეებიც, რომლებიც ტანის რხევითა და ღიმილით გამოდიოდნენ სცენაზე. ვხედავდი, როგორ ვაძლევდი ძლიერმოქმედ საძინებელ წამალს ერთდროულად დედასაც და შვილსაც, რათა მთელი ღამის განმავლობაში ამ უკანასკნელის ალერსის შეუზღუდავი საშუალება მქონოდა. სახლში შარლოტას ხვრინვა გაისმოდა, ძილსმიცემული ლოლიტა ოდნავ შესამჩნევად სუნთქავდა და თავისი უძრაობით ზეთის საღებავებით დახატულ ყრმა გოგონას პორტრეტს წააგავდა. „დედა, გეფიცები, კენის ხელი არ უხლია ჩემთვის!“ „შენ ან ცრუობ, დოლორეს, ან ეს ღამის მაქცია იყო“. თუმცა, შევეცდებოდი, მუცელქმნისგან დამეცვა ჩემი პატარა გოგონა.

ასე ოცნებობდა და მისნობდა ჰუმბერტ უკუღმართი — და ნდომისა და შემართების (სწორედ ეს ორი საწყისია ცოცხალი სამყაროს არსებობის საფუძველი) ალისფერი მზე სულ უფრო მაღლა იწევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხოლო ურთიერთმონაცვლე აივნებზე ურთიერთმონაცვლე სიბარიტები გასული და მომავალი ღამეების სადღეგრძელოებს სვამდნენ; შემდეგ, მეტაფორულად რომ ვთქვათ, სასმისი ნამსხვრევებად ვაქციე და გაბედულად წარმოვიდგინე (რადგან იმ დროისთვის ზმანებებმა დამათრო და ჩემს ბუნებრივ თვინიერებას ვეღარ ვითვალისწინებდი), რომ თანდათანობით შანტაჟს მოვკიდებდი ხელს — ო, ეს იქნებოდა დანისლული პაწია შანტაჟი — და დიდ ქალბატონ ჰეიზს ვაიძულებდი, პატარასთან ურთიერთობის საშუალება მოეცა; ჩემს თაყვანისმცემელ საბრალო მანდილოსანს მიტოვებით დავემუქრებოდი, თუკი კანონიერ გერთან თამაშს ამიკრძალავდა. ერთი სიტყვით, ამ სენსაციური ოფერტის (როგორც კომერსანტები იტყვიან ხოლმე), აგრეთვე — ეგზომ ფართო და მრავალმხრივი პერსპექტივების წინაშე ისევე დამყოლი აღმოვჩნდი, როგორც ადამი — წინააზიური ამბის წინასწარი გასინჯვისას, რომელიც მირაჟის სახით იქნა ფირზე ასახული საყოველთაოდ ცნობილ ხეხილის ბაღში.

ახლა კი შემდეგი საგულისხმო შენიშვნა ჩაიწერეთ: ჩემმა მხატვრულმა მიდრეკილებებმა სძლია თანდაყოლილ წესიერებას. მით უფრო მეტი ძალისხმევა დამჭირდა, რათა ამ ჩანაწერებში ძველი დღიურის თავხედური კილო აღმედგინა. (მაშინ ქალბატონი ჰეიზი ჩემთვის მხოლოდ დაბრკოლებას წარმოადგენდა); დღიური უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ხელოვნების წინაშე ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მისი ინტონაციების შენარჩუნება, რაგინდ ყალბი და ბრუტალურიც უნდა მეგონოს ისინი ამჟამად. საბედნიეროდ, თხრობამ ახლა იმ პუნქტს მიაღწია, როდესაც რეტროსპექტული ჭეშმარიტების გადმოსაცემად საბრალო შარლოტას ლანძღვა უნდა შევწყვიტო.

მსურდა, დაკლაკნილ გზაზე მომავალი შარლოტასთვის ამეცილებინა ორი საათით გაჭიანურებული გულისფანცქალი (და, შესაძლოა, გადამერჩინა ავტოკატასტროფისგან, რომელიც ჩვენს ურთიერთსიყვაროვან ოცნებას დაამსხვრევდა). ამიტომ ძალზე წინდახედულად, მაგრამ წარუმატებლად შევეცადე, ტელეფონით დავკავშირებოდი. დავრეკე ბანაკში, მაგრამ ის უკვე ერთი საათის წასული აღმოჩნდა. მის ნაცვლად ლოლიტას წავაწყდი და აცახცახებულმა, ბედისწერაზე გამარჯვებით გაბედნიერებულმა, ვუთხარი, დედაშენზე ქორწინებას ვაპირებმეთქი. „რა კარგია, — წაილაპარაკა მან სიცილით. — ქორწილი როდისაა? ერთი წამით დაიცადეთ — აქ ლეკვია — ლეკვი ჩემს წინდას ჩააფრინდა. ალო"—მან დასძინა, რომ, ალბათ, ბევრი გასართობი ექნებოდა... ყურმილი დავკიდე და მივხვდი, რომ ბავშვთა ბანაკში გატარებულმა ორიოდ საათმა და ახალმა შთაბეჭდილებებმა პატარა ლოლიტას თავიდან სრულიად გამოდევნა თვალისმომჭრელი ბატონი ჰუმბერტის ხატება. თუმცა, ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მას ჯვრისწერის შემდეგ სათანადო ვადის გასვლისას დავიბრუნებ. „საფლავზე დადებული საქორწინო თაიგული ძლივს მოასწრებს დაჭკნობას", როგორც პოეტი იტყოდა. მაგრამ პოეტი როდი ვარ. მხოლოდ ძალზე კეთილსინდისიერი ისტორიოგრაფი გახლავართ.

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ შევათვალიერე სამზარეულოში მდგარი მაცივრის შიგთავსი. ის ძალზე ასკეტური მომეჩვენა. ამიტომ ქალაქში წავედი და ვიყიდე ყველაზე ცხარე და ცხიმიანი პროდუქტები. გარდა ამისა, ვიყიდე საუკეთესო სპირტიანი სასმელები და სხვადასხვაგვარი ვიტამინები. ეჭვი თითქმის არ მეპარებოდა, რომ ამ აღმგზნები საშუალებებისა და პირადი რესურსების წყალობით არ გავაწბილებდი შარლოტას. გრძნობის უკმარისობას ხელი არ უნდა შეეშალა, როდესაც მძლავრი და მოუთმენელი ცეცხლის გამოვლენის საჭიროება წარმოიქმნებოდა. გაქნილი ჰუმბერტი მამაკაცური წარმოსახვის ჭუჭრუტანაში კვლავ და კვლავ ცდილობდა შარლოტას დანახვას. სხეული ნამდვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლილი და მოხდენილი ჰქონდა და, ალბათ, შეიძლებოდა დავყრდნობოდი აზრს, რომ ის თითქოს ლოლიტას უფროსი და იყო — თუკი ზედმეტად რეალურად არ წარმომიდგებოდა მისი სრული თეძოები, მრგვალი მუხლები, ლამაზი მკერდი, კისრის ხორკლიანი ვარდისფერი კანი (ხორკლიანი — აბრეშუმთან და თაფლთან შედარებით) და იმ სავალალო და უსიამოვნო მოვლენის სხვა ნაკვთები, რომელსაც „ლამაზი ქალი" ეწოდება.

მზემ ჩვეულებისამებრ შემოუარა სახლს. დღე მომწიფდა და საღამოსკენ გადაიხარა. სპირტიანი სასმელით სავსე ჭიქა გადავკარი. კიდევ ერთი. კიდევ. ჩემი საყვარელი სასმელი, ჯინანასი — ჯინისა და ანანასის ნარევი — ყოველთვის მიორკეცებს ენერგიას. გადვწყვიტე, ჩვენი ბაღის გავერანებული ველობი გამეთიბა. მცირეოდენი ყურადღება გამომეჩინა. აქ ბაბუაწვერები იყო მოდებული და ვიღაცის ძაღლს — ვერ ვიტან ძაღლებს — გაესვარა ქვის ფილები, რომლებზეც ოდესღაც მზის საათი იდგა. თითქმის ყველა ბაბუაწვერა აღარ მზეობდა, — მთვარეობდა. ჩემს ძარღვებში ჯინი და ლოლიტა ანცობდნენ და კინაღამ წამოვედე დასაკეც სკამებს, რომელთა ალაგებაც მინდოდა. წითელზოლიანი ზებრები! არის ისეთი ბოყინი, რომელიც ოვაციად ჟღერს — ჩემი, ყოველ შემთხვევაში, ასე ჟღერდა. ბაღის უკანა მხარეს მიდგმული ძველისძველი ღობე ამ ბაღს მეზობელთა ნაყარნუყარისა და იასამნისგან მიჯნავდა, მაგრამ ჩვენი მდელოობის წინა ნაწილს (აქ ის დამრეცად ეშვებოდა სახლის ერთი კედლის გასწვრივ) არავითარი ღობე არ აცილებდა ქუჩისგან. ამიტომ შემეძლო, მედარაჯა (იმ ადამიანის ღიმილით, რომელიც სიკეთეს სჩადის) შარლოტას დაბრუნებისთვის: ეს კბილი უცებ უნდა ამომეძრო. ხელით სათიბი მანქანა წინ მიმათრევდა, ვბარბაცებდი — მოთიბული ბალახი ტოკავდა, თითქოს ჟღურტულებდა კიდეც და ჩამავალი მზის სხივებში ბრწყინავდა. გარეუბნის ქუჩის იმ ნაწილს, რომელიც მოჩანდა, თვალს არ ვაცილებდი, ის ვეება ჩრდილოვან ხეებქვეშ ჩვენკენ უხვევდა, შემდეგ სულ უფრო ციცაბოდ ეშვებოდა მოხუცი ვიზავის აგურის სახლისკენ (რომელსაც ვაზი შემოხვეოდა) და მისი დამრეცი, ჩვენსაზე გაცილებით უფრო ფაქიზად მოვლილი მდელოს გასწვრივ, რათა ბოლოს ჩვენს წინა პარმაღს მოფარებოდა. იმ ადგილიდან, სადაც მხიარულად ვაბოყინებდი და ვშრომობდი, პარმაღს ვერ ვხედავდი. ბაბუაწვერები დამარცხდნენ. ბალახის მსუყე სუნი ანანასისას ერწყმოდა. ორმა გოგონამ,— მარიონმა და მაბელმა, რომელთაც ზოგჯერ ანგარიშმიუცემლად ვაკვირდებოდი (მაგრამ ვინ შეედრებოდა ჩემს ლოლიტას?) პროსპექტისკენ (საიდანაც ჩვენი ლოუნ სტრიტი ეშვებოდა) აიღეს გეზი. ერთი მათგანი ველოსიპედს მიაგორებდა, მეორე კი ქაღალდის პარკიდან მიირთმევდა — და ორივე ხმამაღლა, მზისებრ წკრიალა ხმით ლაპარაკობდა. ათლეტური აღნაგობის სიმპათიურმა ზანგმა, რომელიც პირდაპირ მცხოვრებ დედაბერთან მებაღედ და მძღოლად მუშაობდა, გამიღიმა, დამიძახა, და ისევ დამიძახა (თან ხელის მოძრაობით კომენტარი დაურთო), დღეს ძალზე ენერგიული ხარო. ჩვენი მეზობლის, გამდიდრებული მეძონძის ბრიყვი ძაღლი ლურჯ ავტომობილს გაეკიდა (ეს შარლოტას მანქანა არ იყო). ერთ-ერთმა გოგონამ, რომელიც შედარებით უფრო ლამაზი იყო (მგონი, მაბელმა) ქუჩაზე გაირბინა. მოკლე შარვალსა და ძალზე ნაადრევად ჩაცმულ ბიუსტჰალტერში იყო გამოკვართული და ხასხასა ფერის თმა ჰქონდა (ნიმფეტია, პანს ვფიცავ); ხელით ქაღალდის ცარიელ პაკეტს ჭმუჭნიდა და ზემონახსენები მწვანე ვაცის მხედველობის არეს გასცდა — ბ-ნი და ქ-ნი ჰუმბერტების სახლის ფრონტონს მიეფარა. საოჯახო ტიპის ავტომობილი პროსპექტის ფოთლოვანი ჩრდილიდან გამოვარდა და მისი ერთი ნაწილი გაიყოლია, შემდეგ ეს მოხატულობა დაიმალა ავტომობილის სახურავზე, რომლის კიდეს მარცხენა ხელით ჩასჭიდებოდა ნახევრად შიშველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლი. მან იდიოტური ალურით გაირბინა, გვერდით კი ყოფილი მეძონძის ძაღლი მისდევდა. ამას ნაზი პაუზა მოჰყვა — შემდეგ მკერდში ჟრუანტელმა დამიარა, როდესაც ლურჯი „სედანის“ დაბრუნება ვიხილე. ის დაღმართზე ჩამოსრიალდა და სახლის კუთხესთან გაუჩინარდა. გავიფიქრე, სანამ შარლოტა მეორე სართულზე არ ავა, არ ეცოდინება, წავედი თუ არა-მეთქი. ერთი წუთის შემდეგ მან ძალზე გატანჯული გამომეტყველებით გადმომხედა ლოლიტას ოთახის ფანჯრიდან. კიბეზე სწრაფად ავირბინე და ოთახში მანამ შევასწარი, სანამ იქიდან გამოვიდოდა.

18.

როდესაც საცოლე და საქმრო ქვრივებია, როდესაც პატარძალმა „ჩვენს შესანიშნავ ქალაქში“ ორ წელზე ნაკლები დაჰყო, სასიძომ კი — ერთი თვე; როდესაც მოსიე სულმოუთქმელად მოელის, როდის დამთავრდება სულელური, გაჭიანურებული ცერემონიალი, მადამი კი მას შემწყნარებლური ღიმილით ემორჩილება, მაშინ ქორწილი, ჩვეულებრივ, სადაა. პატარძალს შეუძლია, უარი თქვას ფორთოხლის ყვავილებისგან დაწნულ გვირგვინსა (რომელზეც მოკლე ფატაა მიმაგრებული) და ლოცვანში ჩადებულ თეთრ ორქიდეაზე. პატარძლის ქალიშვილი, ალბათ, ცხოველმყოფელ მეწამულ ათინათს შეიტანდა ჰ-სა და ჰ-ს ქორწინების ცერემონიალში, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩიხში მომწყვდეული ლოლიტას მიმართ ჩემი მხრივ ზედმეტი გულთბილობის გამოჩენა საფრთხილო იქნებოდა. ამიტომ დავთანხმდი, რომ არ ღირდა გოგონას წამოყვანა მისი საყვარელი „კუ“-დან.

ჩემი ეგრეთ წოდებული „მარტოხელა და ვნებიანი“ შარლოტა პრაქტიკული და გულღია ქალი აღმოჩნდა. გარდა ამისა, დავადგინე, რომ თუმცა ვერ იკავებდა ვერც გულითად სწრაფვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერც კივილს — სიყვარულის სარეცელზე, მაინც პრინციპული არსება გახლდათ. როგორც კი მეტ-ნაკლებად ჩემი საყვარელი გახდა, (აღმგზნები საშუალებების მიღების მიუხედავად, მისმა ნერვულმა მოუთმენელმა მიჯნურმა — სიმართლე რომ ითქვას, გმირმა მიჯნურმა — დასაწყისში თავი ვერ აარიდა ზოგიერთ დაბრკოლებას, რისთვისაც სატრფოს სამაგიერო მიაგო ძველი ყაიდის ალერსის უჩვეულო ასორტიმენტით), ძვირფასმა შარლოტამ დამკითხა ღმერთთან ჩემი ურთიერთობის შესახებ. შემეძლო, მეპასუხა, რომ არავითარი აკვიატებული თვალსაზრისი არ გამაჩნდა; ამის ნაცვლად — საყოველთაოდ მიღებული, უხიფათო შეხედულების მიხედვით — ვუპასუხე, რომ მწამდა კოსმოსის გასულიერებისა. ქალი ხელის ფრჩხილებს ისინჯავდა. კვლავ მკითხა, შენს გვარეულობაში გარეშე მინარევი ხომ არ ყოფილაო. შემხვედრი კითხვით ვუპასუხე — მოინდომებდი თუ არა ჩემზე გათხოვებას, მამაჩემის დედის პაპა, ვთქვათ, არაბი რომ ყოფილიყო-მეთქი. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, მითხრა, მაგრამ თუ ოდესმე გავიგებ, რომ ჩვენი ქრისტიანული ღმერთი არა გწამს, თავს მოვიკლავო. მან ეს ისე საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მაშინ მივხვდი, რომ პრინციპები გააჩნდა.

ო, ძალზე ზრდილი მეშჩანი იყო! მაპატიეთო, ამბობდა ყოველთვის, როდესაც მის მწყობრ მეტყველებას ოდნავ შესამჩნევი ბოყინი წყვეტდა; ერთ-ერთი ინგლისური სიტყვის („კონვერტი“) პირველ მარცვალს ცხვირში წარმოთქვამდა, ფრანგულ ყაიდაზე, ნაცნობ მანდილოსნებთან საუბარში „მისტერ ჰუმბერტს“ მიწოდებდა. გავიფიქრე, რომ სიამოვნებას მივანიჭებდი, თუ ადგილობრივ საზოგადოებაში რომანტიკულ ჩრდილს შევიტანდი. ჩვენი ქორწინების დღეს „რამზდელის გაზეთის“ იმ რუბრიკაში, რომელიც მაღალი საზოგადოების ცხოვრებას ასახავდა, გამოქვეყნდა პატარა ინტერვიუ ჩემთან, აგრეთვე — შარლოტას ფოტოსურათი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზეც ჩემს ცოლს ცალი წარბი მაღლა აეჭიმა. გვარი შეცდომით დაებეჭდათ: ჰეიზერი. ამ უბედურების მიუხედავად, რეკლამამ მისი გულის ფაიფურის სარქველები გაათბო, ჩემი გველისეული ჩხრიალი კი დამცინავად ააჟღარუნა. შარლოტა მონაწილეობდა საეკლესიო-საქველმოქმედო წრეების მუშაობაში და გაიცნო ლოლიტას ამხანაგების ყველაზე ყოყლოჩინა დედები, რის მეშვეობითაც წელიწად-ნახევარში ადგილობრივი საზოგადოების თუ პირველხარისხოვანი არა, ყოველ შემთხვევაში, მისაღები წევრი მაინც გახდა. ამასთან, ის არასოდეს მოხვედრილა ამ შესანიშნავ რუბრიკაში და იქ აღმოჩნდა მწერლისა და მკვლევარის ბ-ნი ედგარ ჰ. ჰუმბერტის წყალობით. (ეს „ედგარა“ ტრაბახნარევი სიმარჯვით მივაწოდე გაზეთს). რეპორტიორმა, ჩემი მაკ-კუს ძმამ მკითხა, სახელდობრ, რა გაქვთ დაწერილიო. ჩემი პასუხი არ მახსოვს, მაგრამ გაზეთში ამოვიკითხე: „რამდენიმე ნაშრომი ვერლენის, რემბოდლერისა და სხვა პოეტების შესახებ“. ინტერვიუში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ მე და შარლოტა რამდენიმე წლის განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს და რომ მისი პირველი ქმრის შორეული ნათესავი ვიყავი. მივანიშნე, ცამეტი წლის წინ შარლოტასთან რომანი მქონდა-მეთქი, მაგრამ გაზეთში ეს არ დაბეჭდეს. ცოლს ავუხსენი, რომ მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი მიძღვნილ რუბრიკას მხოლოდ ამშვენებს შეცდომათა კილიტების ბრჭყვიალი.

გავაგრძელოთ ეს საინტერესო ამბავი. როდესაც მდგმურის ნაცვლად, თანამეცხედრედ გადავიქეცი, განა მხოლოდ სიმწარე და უხალისობა ვიგრძენი? არა. ჰუმბერტს შეეძლო, ეღიარებინა, რომ პატივმოყვარეობის ოდნავი ქავილი და ოდნავ საგრძნობი გულის აჩვილებაც განიცადა, ხოლო შეთქმულის სატევარზე, რომელიც მას ხელთ ეპყრა, დახვეწილი მონანიების მოხატულობაც კი აღიბეჭდა. საკმაოდ უცნაურ, თუმცა საკმაოდ კეთილსახიერ ქალბატონ ჰეიზს ბრმად სწამდა თავისი რელიგიის და წიგნის კლუბის სიბრძნისა, კეკლუცი დიქციით მეტყველებდა და ცივ, მკაცრ, დამცინავ დამოკიდებულებას იჩენდა თორმეტი წლის მომაჯადოებელი, შიშველმკლავებიანი, ფაფუკი გოგონას მიმართ. ამიტომ არასოდეს ვიფიქრებდი, რომ შარლოტა ესოდენ უმწეო არსებად იქცეოდა. ეს ლოლიტას ოთახის ზღურბლზე ვიხილე. მან უკან დაიხია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ალუღლუღდა: არა, არა, თუ შეიძლება, არა...

გარდასახვამ სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა მის გარეგნობაზე: რამდენადმე ხელოვნურ ღიმილში ახლა სრული, სათუთი და ცრემლიანი თაყვანისცემა კიაფობდა. განცვიფრებით აღმოვაჩინე, რომ მისი გამოხედვა ძალზე წააგავდა ლოლიტას მომხიბვლელ, უნდილ, დაბნეულ მზერას, როდესაც გოგონა რძის ბარში სიროპების ახალი ნაზავით ტკბებოდა ან მდუმარედ, სიამოვნებით ათვალიერებდა ჩემს ძვირადღირებულ, ყოველთვის კარგად გაუთოებულ ტანსაცმელს. მონუსხულივით თვალს ვერ ვაცილებდი შარლოტას, როდესაც ის თავის დედობრივ შეჭირვებას სხვა მანდილოსანს უზიარებდა. მის სახეზე ქალთა რეზიგნაციის გამომხატველი ამერიკული გრიმასა აღიბეჭდებოდა ხოლმე (რაც თვალების გადატრიალებასა და პირის ერთი კუთხის ჩამოწევაში მდგომარეობდა); ამ გამომეტყველების ბავშვური ვარიანტი არაერთხელ შემიმჩნევია ლოლიტას სახეზე. ძილის წინ ვისკის ან ჯინს ვსვამდით და ეს მეხმარებოდა, დედის ალერსისას შვილი წარმომედგინა. აი თეთრი მუცელი, სადაც ჩემი ნიმფეტი დახვეული თევზის სახით იწვა 1934 წელს. გულდასმით შეღებილ უსიცოცხლო თმას, რომელსაც ასევე უსიცოცხლო სურნელი ასდიოდა, ზოგჯერ (ლამპის შუქზე, ორადგილიან საწოლში, რომლის კუთხეებში ოთხი სვეტი იყო აღმართული) ლოლიტას კულულების ფერი დაჰკრავდა. როდესაც ახლად გამომცხვარ, ნატურალური სიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცოლს განვაგებდი, თავს ვარწმუნებდი, რომ ჩემთვის ხელმისაწვდომ არსებათა შორის ბიოლოგიური თვალსაზრისით შარლოტა მაქსიმალურად ახლოს იდგა ლოლიტასთან; რომ ლოლიტას ასაკში ლოტა არანაკლებ მომხიბვლელი მოსწავლე გოგონა იქნებოდა, ვიდრე მისი ქალიშვილი იყო, — და ვიდრე ოდესმე იქნებოდა თვით ლოლიტას ქალიშვილი. ცოლი ვაიძულე, ფეხსაცმელების ვეება კოლექციის ქვეშ (განსვენებულ ბ-ნ ჰეიზს, როგორც აღმოჩნდა, ფეხსაცმლისადმი პათოლოგიური ლტოლვა ახასიათებდა) შენახული ოცდაათი წლის წინანდელი ალბომი მოეძებნა, რათა მენახა, როგორ გამოიყურებოდა ლოტა ყმაწვილობისას; არასწორი განათებისა და ულაზათო ტანისამოსის მიუხედავად, მოვახერხე, მასში ლოლიტას ფეხების, ვიწრო თეძოებისა და აპრეხილი ცხვირის ბუნდოვანი მონახაზისთვის მიმეგნო. ლოტელიტა! ლოლიტჰენ!

ამგვარად, დროის მიერ აღმართულ ზღუდეებს მიღმა ურცხვი მზერით ვუთვალთვალებდი სხვისი სამყოფის დაბინდულ ფანჯრებს. ღამღამობით ეს ქალი, რომელსაც დედოფლური კერტები და სრული თეძოები ჰქონდა, უბადრუკი, უბადლო, გულუბრყვილო და ავხორცი ალერსის მეშვეობით მამზადებდა ჩემი მოვალეობის შესასრულებლად. ამ წუთებშიც კი ნიმფეტის სურნელოვანი ნაკვალევის აღმოჩენას ვცდილობდი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფით დავძრწოდი უღრანი ტყის მიდამოებში.

ვერ აგიწერთ, რაზომ თვინიერი და გულის ამაჩუყებელი იყო ჩემი საწყალი მეუღლე! ყოველ დილას ყავას ვსვამდით დამთრგუნველად მყუდრო სამზარეულოში, სადაც ქრომი ელვარებდა, კედელზე კი დიდი კალენდარი ეკიდა (ის ქვაბების მწარმოებელმა ფირმამ გამოგზავნა საჩუქრად). ადრიანი საუზმისთვის კოხტა კუთხე იყო განკუთვნილი, რომელიც იმ დახვეწილ კაფეს ჰგავდა, სადაც შარლოტა და ჰუმბერტი თითქოს-და ეელურტულებოდნენ ერთმანეთს სტუდენტობისას. მას წითელი კაპოტი ეცვა, მაგიდის პლასტმასის ზედაპირს ეყრდნობოდა, ლოყა მომუშტულ ხელზე ედო და აუტანელი სინაზით მიმზერდა, სანამ ერბო-კვერცხსა და ლორს მივირთმევდი. თუმცა ჰუმბერტს სახე ნევრალგიისგან უტოკავდა, ცოლის აზრით, ის მზის შუქსა და თეთრ რეფრიჟერატორზე მოლივლივე ფოთოლთა ჩრდილებზე უფრო მშვენიერი იყო. ქმრის მიუკარებლობა და უგუნებობა მას სიყვარულისთვის დამახასიათებელი დუმილი ეგონა. ჩემი მცირე შემოსავალი, თავის კიდევ უფრო უმნიშვნელო სახსრებთან ერთად, ბრწყინვალე ქონებად მიაჩნდა (არა იმიტომ, რომ ერთობლივი თანხა ახლა საშუალო-ბურჟუაზიულ შემოსავალს წარმოქმნიდა, არამედ იმიტომ, რომ თვით ჩემს ფულსაც ჩემი მამაკაცური ღირსებების ბრწყინვალე გამოვლინებად აღიქვამდა). ამის გამო შარლოტას ჩვენი საერთო მიმდინარე ანგარიში ერთ-ერთ ისეთ სამხრეთულ ბულვარად წარმოედგინა, რომლის ცალი მხარე მრუმე ჩრდილითაა დაფარული, მეორე კი მზის სხივებში ციაგებს და ასე გრძელდება პერსპექტივის ბოლომდე, სადაც ვარდისფერი მთებია აღმართული.

ჩვენი თანაცხოვრების ორმოცდაათდღიანი პერიოდი შარლოტამ მრავალი წლის სამყოფი მოღვაწეობით აავსო. საბრალო ქალმა ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეებს, რომლებიც წინათ არ აინტერესებდა და უკუაგდებდა ხოლმე. იმით, რომ (უნდა განვაგრძო პრუსტისეული ინტონაციების სერია) ჩემთვის ძვირფასი ბავშვის დედაზე ვიქორწინე, ცოლს თითქოს დავეხმარე, მინდობილობით უხვად ზიარებოდა სინორჩეს, „ახალგაზრდა დიასახლისის“ უხამსობითა და თავდავიწყებით ის „ოჯახური კერის სუბლიმირებას“ შეუდგა. კარგად ვიცნობდი ამ კერის ყოველ ბზარს — იმ დროიდან, როდესაც ჩემს მაგიდასთან მჯდარი, წარმოსახულ რუკაზე აღვნიშნავდი ხოლმე სახლში ლოლიტას მოძრაობის მარშრუტს. ამ ულამაზოსა და მოუვლელ შენობას კარგა ხნის წინ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთვისე და ახლა თითქმის ვგრძნობდი, როგორ იმუშნებოდა ეს ბედშავი ეკრიუმი, ჟანგმიწასა და თამბაქოსფერწითურ საგოზავში ამოვლების საშიშროების წინაშე, რასაც შარლოტა უმზადებდა. მადლობა ღმერთს, მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ სამაგიეროდ, ენერგიის უდიდესი რაოდენობა დახარჯა ფარდების გარეცხვის, ჟალუზის გასანთვლის, ახალი ფარდებისა და ახალი ჟალუზის შეძენის, შემდგომ — მაღაზიაში მათი დაბრუნების, გამოცვლისა და, ასე შემდეგ პროცესში, ავრეთვე —' სინათლისა და წყვდიადის, ღიმილისა და უგუნებობის, ეჭვისა და სინანულის განუწყვეტელი ურთიერთშენაცვლებისას. ის კრეტონსა და კოლენკორს აცოდვილებდა; დივანს სხვა ფერის შალითას აკრავდა — წმინდა დივანს, რომელზეც იმ დაუვიწყარ დილას სამოთხისეული ნეტარების ბუშტი შენელებული ტემპით გასკდა ჩემში. შარლოტა ავეჯსაც ალაგებდა. ძალიან გაუხარდა, როდესაც ოჯახური მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრაქტატიდან გაიგო, რომ „სავსებით დასაშვებია დივნის ორი კომოდისა და მათი ლამპების ცალ-ცალკე დადგმა"; მან წაიკითხა წიგნი — „შენი სახლი — ეს შენა ხარ" და მისი ავტორი ქალის კვალობაზე შეიძულა სათუთი პატარა სკამები და წვრილფეხებიანი მაგიდები; სჯეროდა, რომ ფართოფანჯრიანი ოთახები, რომლებშიც მრავლადაა საუცხოო გალაქული სიბრტყეები, მამაკაცური ტიპისაა, ოთახების ქალური ტიპი კი ხასიათდება ფანჯრების უფრო თხელი ჩარჩოებით და ხის ნატიფი მოსართავებით. რომანები, რომელთაც შარლოტა ადრე კითხულობდა, გამოდევნა ილუსტრირებულმა კატალოგებმა და საცხოვრებელი ადგილის მოწყობისთვის განკუთვნილმა სახელმძღვანელოებმა. ფილადელფიაში, რუზველტის ბულვარზე, 4640 ნომერ სახლში განლაგებულ ერთ ფირმას ჩვენი ორადგილიანი საწოლისთვის მან საგანგებოდ შეუკვეთა შტოფგადაკრული ზამბარიანი ლეიბი, 312-ე მოდელი, — თუმცა, ჩემი აზრით, ძველი ლეიბი საკმარისად დრეკადი და გამძლე იყო იმისთვის, რისი გაძლებაც უხდებოდა.

წარმომავლობით შარლოტა, თავისი პირველი ქმრის მსგავსად, ამერიკის შუა-დასავლეთი ნაწილიდან იყო. აღმოსავლეთის ერთ-ერთი შტატის მარგალიტში, გაპრანჭულ რამზდელში, მან ძალზე ცოტა ხანი დაჰყო და ვერ მოასწრო ყველა ღირსეულ მცხოვრებთან მჭიდროდ დამეგობრება. ის არცთუ ახლოს იცნობდა ჟოვიალურ დანტისტს, რომელიც ჩვენი ბაღის უკან, ნახევრად დანგრეული ხის ციხე-დარბაზის მსგავს შენობაში ცხოვრობდა. ეკლესიასთან არსებულ კლუბში ჩაის სმისას გაიცნო ყოფილი მეძონძის მედიდური მეუღლე — მათ ეკუთვნოდათ პროსპექტის კუთხეში აშენებული თეთრი, ამაზრზენი ვეება სახლი, რომელიც ეგრეთ წოდებულ „კოლონიურ სტილს" განეკუთვნებოდა. დროდადრო შარლოტა „ვიზიტით ეწვეოდა" ხოლმე მოხუც ვიზავის; ბაღში გამართულ წვეულებებზე ხვდებოდა, ან ესტუმრებოდა, ან კიდევ, ტელეფონით დიდხანს ესაუბრებოდა სხვა მანდილოსნებს — მაგრამ უფრო წარჩინებული, დახვეწილი ბანოვანები, მაგალითად, ქ-ნი შერიდანი, ქ-ნი მაკ-კრისტალი, ქ-ნი ნაიტი და სხვები, როგორღაც იშვიათად მოდიოდნენ მაღალი საზოგადოებისგან აბუჩად აგდებულ ჩემს შარლოტასთან. მან ნამდვილად მეგობრული, ფარული აზრებისა და პრაქტიკული ზრახვებისგან თავისუფალი ურთიერთობა გააბა მხოლოდ ერთ წყვილთან. მათი გვარი ფარლო იყო. ისინი სწორედ დროზე დაბრუნდნენ შორეულ ჩილეში საქმიანი მოგზაურობიდან, რათა ჩატფილდებთან, ცოლ-ქმარ მაკ-კუსა და ზოგიერთ სხვასთან (მაგრამ არა ქ-ნ მეძონძესთან და კიდევ უფრო მედიდურ ქ-ნ ტალბოტთან) ერთად დასწრებოდნენ ჩვენს ქორწინებას. ჯონ ფარლო ხნიერი, მშვიდი, მშვიდ-ათლეტური, მშვიდ-იღბლიანი ვაჭარი იყო. ის სპორტული საქონლით ვაჭრობდა და კანტორა პარკინგტონში ჰქონდა, ჩვენგან ორმოცი მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის დაშორებით; სწორედ მან აღმჭურვა სახელგანთქმული კოლტისთვის საჭირო ამუნიციით და ამ კოლტის ხმარებაც მასწავლა (ერთ კვირადღეს, ტბისპირა ტყეში სეირნობისას); ის „ნაწილობრივ ადვოკატიც" იყო (რასაც ღიმილით აღიარებდა) და თავის დროზე შარლოტას ზოგიერთი საქმე მოაწესრიგა. ჯოანა, მისი ახალგაზრდული გარეგნობის მქონე ცოლი, ჯონს ბიძაშვილად ერგებოდა. ეს იყო გრძელკიდურებიანი მანდილოსანი, რომელიც ირიბი ფორმის სათვალეს ატარებდა; ორი ჩალისფერი ბულდოგი ჰყავდა, ორი წვეტიანი ძუძუ და დიდი, წითელი პირი ჰქონდა. პეიზაჟებსა და პორტრეტებს ხატავდა— კარგად მახსოვს, რომ ერთხელ, როდესაც კოქტეილის სირჩა მეჭირა, შევაქე მისი პატარა დისწულის გრაციოზული, ვარდისფერი, გიერლსკაუტების ფორმაში გამოწყობილი როზალინა გრაცის პორტრეტი (მწვანე შალის ბერეტი, მწვანე ნაქსოვი ქამარი, წარმტაცი კულულები, მხრებამდე რომ სწვდებოდა). ჯონმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და თქვა: — რა დასანანია, რომ დოლი (ჩემი დოლიტა) და როზალინა ასე ქიშპობენ ურთიერთთან, თუმცა (გამოთქვა მან იმედი, ჩვენ კი კვერი დავუკარით), ისინი უკეთ მორიგდებიან, როდესაც სკოლაში დაბრუნდებიან თავიანთი საზაფხულო ბანაკებიდან. ვილაპარაკეთ სკოლის შესახებ. მას გარკვეული ნაკლოვანებები და ღირსებები გააჩნდა. „რა თქმა უნდა, ჩვენს ვაჭრებს შორის ბევრი იტალიელია, — თქვა კეთილგონიერმა ჯონმა. — მაგრამ სამაგიეროდ, აქამდე არ გვაწუხებდნენ..." ჯოანამ სწრაფად შეაწყვეტინა: „რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს გოგონებს ეს ზაფხული ერთად გაეტარებინათ!" უეცრად წარმოვიდგინე ბანაკიდან დაბრუნებული გარუჯული, თბილი, ძილმორეული, გაბრუებული ლოლიტა — და სიყვარულისა და მოუთმენლობისგან კინაღამ ავტირდი.

19.

მსურს, კიდევ რამდენიმე სიტყვა ვუძღვნა ქ-ნ ჰუმბერტს (მალე მძიმე კატასტროფა მომელის). ყოველთვის ნათლად ვგრძნობდი, რომ ძალაუფლება უყვარდა, მაგრამ სულაც არ მეგონა, რომ ჩვენ მძაფრად იეჭვიანებდა ყველაფრის გამო, რაც ჩემს ცხოვრებაში მას არ ეხებოდა. შარლოტას ჩემი წარსულისადმი მძვინვარე, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა გაეღვიძა. მოითხოვდა, გამეხსენებინა ყველა ქალი, რომელიც კი მყვარებია. შემდეგ მაიძულებდა, დამეცინა მათთვის, გამეთელა, ვერაგულად და საბოლოოდ უარი მეთქვა მათზე და ამით გამენადგურებინა ჩემი წარსული. მან გამომტყუა ჩემი და ვალერიას ქორწინების ამბავი, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალზე სასაცილო იყო; გარდა ამისა, მომიხდა სატრფოების გამოგონება ან უსინდისოდ შელამაზება, რათა შარლოტას მათი დაცინვის მეშვეობით გული მოეოხებინა. ქალების მთელი ილუსტრირებული კატალოგი წარვუდგინე, თითოეული მათგანი კი, ფაქიზი განმასხვავებელი ნიშნებით აღვჭურვე, ამერიკული განცხადებების ტრადიციათა თანახმად — ეს უკანასკნელნი თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ ხოლმე მოსწავლეთა ჯგუფს, რომელსაც დახვეწილი რასობრივი პროპორციების მიხედვით ანაწილებენ. კერძოდ, თეთრკანიან ბავშვებს შორის აუცილებლად ათავსებენ მხოლოდ ერთ — მაგრამ ძალზე მიმზიდველ — მრგვალთვალა, შოკოლადისფერ ბალღს, თანაც — მერხების პირველი რიგის თითქმის (მაგრამ არა ზუსტად) შუაგულში. როდესაც ჩემს ქალბატონებს წარვადგენდი, ვაიძულებდი, გაეღიმათ და ტანი შეერხიათ. ყველანი — ნაზი ქერათმიანი არსება, ტემპერამენტიანი ზანგი, წითური გარყვნილი ქალიშვილი. — თითქოს სარონკიპოს პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადზე იყვნენ ჩამწკრივებულნი. რაც უფრო ცხადსა და ვულგარულ სურათს ვხატავდი, მით უფრო მოსწონდა ქ-ნ ჰუმბერტს ჩემი ვოდევილი.

არასოდეს მომისმენია ამგენი აღსარება. მეც არასოდეს გამინდვია ამდენი გულისნადები. გულწრფელობა და ბუნებრიობა, რომლითაც ის მსჯელობდა თავისი სასიყვარულო ცხოვრების შესახებ, დაწყებული პირველი ხანგრძლივი კოცნით და დამთავრებული ცოლქმრული თავისუფალი ჭიდაობით, მორალური თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებოდა ჩემი ურცხვი სიცრუისგან, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ორივე სერია ერთგვაროვანი იყო, რადგან ორივეზე ერთი და იგივე მასალა მოქმედებდა (რადიომელოდრამები, ფსიქოანალიზი, იაფფასიანი რომანები, საიდანაც ჩემი მოქმედი პირები ვისესხე, მან კი — თავისი ენა და სტილი შეიმუშავა). შესანიშნავად გამართოო პატივცემული ჰაროლდ ჰეიზის ზოგიერთმა სქესობრივმა ახირებამ, რის შესახებაც შარლოტამ მომითხრო. მან ჩემი როხროხი უწესობად მიიჩნია; საერთოდ, შარლოტას გადაშლილი სული ისევე უინტერესო იყო, როგორც მისი სხეულის გაკვეთა იქნებოდა. დიეტური შიმშილობების მიუხედავად, უფრო ჯანმრთელი ქალი არასოდეს მინახავს.

ჩემს ლოლიტას იშვიათად ახსენდება — გაცილებით იშვიათად, ვიდრე მამრობითი სქესის ქერათმიან ბავშვს, რომლის ფოტოსურათიც (სახის გაურკვეველი ნაკვთებით) ჩვენი პირქუში საძინებელი ოთახის ერთადერთ სამკაულს წარმოადგენდა. უგემოვნო ოცნებებით გატაცებულმა შარლოტამ ინება, წინასწარ განეჭვრიტა, რომ გარდაცვლილი ჩვილის სული დედამიწაზე იმ ბავშვის სახით დაბრუნდებოდა, აწინდელ ქორწინებაში რომ უნდა ეშვა. და თუმცა განსაკუთრებულ მისწრაფებას არ განვიცდიდი, რომ ჰუმბერტის საგვარეულო ნუსხა ჰაროლდ ჰეიზის ნაყოფის ნატვიფრით შემევსო (ლოლიტას ჩემს ბავშვად ვთვლიდი, რასაც სისხლის აღრევის ტკბილი განცდა ახლდა), მაგრამ გავიფიქრე, რომ ხანგრძლივი მშობიარობა, საკეისრო გაკვეთა და სხვა გართულებები, მყუდრო სამშობიარო თავშესაფარში, ასე, მომავალ გაზაფხულზე, საშუალებას მომცემდა, ზედიზედ რამდენიმე კვირის განმავლობაში მარტოდმარტო მომეხელთებინა ჩემი ლოლიტა — და უილაჯო ნიმფეტი საფუძვლიანად გამომეკვება საძინებელი ფხვნილებით.

აჰ, როგორ სძულდა თავისი ქალიშვილი! განსაკუთრებულ ბოროტებად მომეჩვენა, რომ მან სრულიად ამაოდ, მაგრამ უდიდესი გულმოდგინებით უპასუხა ჩიკაგოში გამოცემული წიგნის — „შეიცანი საკუთარი შვილი" — უაზრო კითხვებს. ეს სისულელე რამდენიმე წლის განმავლობაში იყო გაჭიანურებული: დედას ევალებოდა, ბავშვის სიცოცხლის ყოველი წლის ინვენტარული აღწერის მსგავსი რამ შეედგინა. ლოლიტას დაბადების თორმეტი წლის თავზე შარლოტა ჰეიზმა, ქალიშვილობაში — ბეკერმა, ორმოცი ეპითეტიდან ქვეშოჩამოთვლილ ათს გაუსვა ხაზი (რუბრიკაში „ბავშვის ხასიათი"): აგრესიული, დაუდგრომელი, დუნე, ნეგატივისტური (ორჯერაა ხაზგასმული), უნდობელი, მოუთმენელი, მიზეზიანი, გაქნილი, ფიცხი, პირქუში. მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია დანარჩენ ოცდაათ ზედსართავს, რომელთა შორის იყო „მხიარული", „ხათრიანი", „ენერგიული" და სხვ. ეს პირდაპირ აუტანელი იყო. მშვიდ ნავარებით, რომელიც სხვა დროს არ შემიმჩნევია ჩემი მოყვარული ცოლის სათნო ხასიათში, ის ებრძოდა და უკუაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვევდა ხოლმე ლოლიტას ყოველგვარ პატარა ნივთებს, რომლებიც სახლის სხვადასხვა კუთხეებისკენ მიცოცავდნენ და იქ მონუსხული კურდღლებივით გახევდებოდნენ ხოლმე. ჩემს მეუღლეს არც კი დასიზმრებია, რომ ერთ კვირადღეს, როდესაც კუჭის აშლილობამ (ეს იმის შედეგი იყო, რომ მისი სოუსების გაუმჯობესება ვცადე) ხელი შემიშალა, ეკლესიაში წავყოლოდი, მას ლოლიტას, პაწაწინა თეთრ წინდასთან ვულალატე.

ჩემი შროშანა, ჩემი საყვარელი გოგონა ძალზე დაუდევრად ეკიდებოდა წერილების წერას!

„საყვარელო დედიკო და ჰუმიკო,

ვიმედოვნებ, ჯანმრთელად ხართ. კანფეტებისთვის დიდი მადლობა. მე (გადაჯღაბნილია და შემდეგ ხელახლაა დაწერილი) ახალი სვიტერი ტყეში დავკარგე. ბოლო დროს გრილი ამინდებია. მე აქ ძალიან.

თქვენი მოყვარული დოლი".

„აი უტვინო, — თქვა ქალბატონმა ჰუმბერტმა. — ძალიან"-ის შემდეგი სიტყვა გამოტოვა. ეს წმინდა შალის სვიტერი იყო. და კიდევ იცი, რა, სანამ კანფეტებს გაუგზავნიდე, რჩევა მკითხე ხოლმე".

თარგმნა **თამარ ლომიძემ**



თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ნახტომი ცისკენ

## ლექსის წერა ძალზე ძნელია

მწერალთა კავშირის სასახლის კარის წინ ვიდექი ტროტუარზე. რაიონში მცხოვრები ძალზე იშვიათად მოვაკითხავდი ხოლმე; თუ საქმე არ მქონდა, მის ჭერქვეშ ვერ ვჩერდებოდი, მერიდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ცოტა ვინმე თუ მიცნობდა აქ. ამჯერად კი „ლიტერატურული გაზეთის" რედაქტორის ნახვა მინდოდა. რედაქციაში მითხრეს მალე მოვაო, და ქუჩაში ვარჩიე დალოდება.

ჩემს გასწვრივ მსუბუქი ავტომობილი გაჩერდა, შოფრის გვერდით მჯდარი ვიცანი — გალაკტიონი იყო, ჩემი სათაყვანებელი პოეტი, რომელიც მე არ მიცნობდა. ვხედავ, შოფერს ფულს უწვდის. ვიფიქრე, ალბათ, მწერალთა კავშირის შენობაში შევა და ფეხებში არ გავებლანდო-მეთქი, და ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდა, რამდენიმე ნაბიჯით გავერიდე კარს.

გალაკტიონი მანქანიდან გადმოვიდა, სასახლის კართან მივიდა, მაგრამ მისი გაღება რატომღაც შეაყოვნა, ირგვლივ მიმოიხედა და ჩემკენ წამოვიდა. ნუთუ მართლა ჩემკენ მოდის? არა, ის ხომ არც მიცნობს... მივიხედ-მოვიხედე — ირგვლივ არავინ იყო. და უცებ მისი ხმაც ჩამესმა:

— შენ რა, ახალგაზრდავ, ლექსებს ხომ არ წერ?

ისევ მივიხედ-მოვიხედე, ვის ეკითხება-მეთქი. არა, ჩემს გარდა ნამდვილად არავინ იყო.

მორიდებული მზერა მივაპყარი. გალაკტიონს თვალები უცნაურად უკიაფებდა, იმ კიაფში ირონიის ნაპერწკალიც დახტოდა და ცნობისმოყვარეობის ეშმაკუნაც (მაშინვე მივხვდი — ნალვინევი იყო).

რა ვუთხრა? ჩემს პოეტობას როგორ გავუმჟღავნებ... ისიც მეტიჩრობა იქნება, რომ ვუთხრა, მე თქვენ გიცნობთ და გაღმერთებთ-მეთქი და ვუპასუხე:

— არა, ბატონო, მე ლექსებს არ ვწერ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ძამიკო, ჭკვიანი ყოფილხარ. აი, აქ, ჩვენთან ბევრი წერს ლექსებს და, წარმოიდგინე, ქართულიც კი არ იციან რიგიანად, — და მან რამდენიმე გვარი დამისახელა. მე მაგათ არ ვიცნობ-მეთქი, ამოვილუღლუღე.

გალაკტიონმა ღიმილი დაიბრუნა და მკითხა:

— ლექსებს თუ კითხულობ, ძამიკო? .

— ვერა-მეთქი.

გალაკტიონმა უკმაყოფილოდ შემომხედა, შებრუნდა, შესასვლელი კარი შეაღო და მის მიღმა გაუჩინარდა.

მე კი კვლავ განვაგრძე ქუჩაში დგომა და ლოდინი.

ათიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ გალაკტიონი გამოვიდა. მომიახლოვდა და ისე მკითხა:

— შენ რა, ძამიკო ლექსებს ხომ არ წერ?

არა ვწერ-მეთქი, ვუპასუხე.

— ყოჩაღ, ძამიკო, ჭკვიანი ყოფილხარ. ლექსის წერა ძნელია, ძალზე ძნელია, — მხარზე ხელი დამკრა და მაჩაბლის ქუჩას დაუყვა.

## შინიდან გასული გალაკტიონი

ბატონ გალაკტიონს ახლოს გავეცანი 1952 წლის მაისში, ცხინვალსა და სამაჩაბლოს სხვა რაიონებში ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფის რამდენიმედღიანი მოგზაურობის დროს.

ცხინვალში ჩასულები პირველ საღამოსვე საბანკეტო დარბაზში რომ შეგვიყვანეს, შევფიქრიანდი: ან მასპინძლებმა არ დაამალონ, ან თვითონ ბატონ გალაკტიონს არ წაუცდეს ხელი და ღვინოს არ დააბრიყვებინოს-მეთქი თავი.

მაგიდასთან მის გადასწვრივ დავჯექი. პურობას დასაწყისშივე გალაკტიონსაც შეუვსეს ჭიქა. და რაოდენ უსაზღვრო იყო ჩემი გაოცება — ის ჭიქა ექვსი თუ შვიდი საათის განმავლობაში არც დაცლილა, თუმცა გალაკტიონს ყოველ სადღეგრძელოზე იგი ბაგესთან მიჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან ერთად ჩვეულებრივად წარმოსთქვამდა სადღეგრძელოებს, ხაჭმელს შეექცეოდა, საუბრობდა, მხიარულობდა. იმ დღეებში გალაკტიონი ასეთი იყო ყველა სუფრაზე, — შეუბრალებელი და მოუგერიებელი სირჩების დროსაც კი.

მერე და მერე საბოლოოდ დავრწმუნდი: გალაკტიონი სპირტიანი სასმელის წვეთსაც არ იკარებდა, როცა რაიმე საზოგადოებრივ საქმეში ჩაებმებოდა ან თბილისიდან გავიდოდა.

ახლაც თვალწინ მიდგას საბჭოთა კავშირის მწერლების მეორე ყრილობის მონაწილე გალაკტიონი. ყრილობა თითქმის ათ დღეს გაგრძელდა. პოეტი ყოველ სხდომაზე დაუგვიანებლივ ცხადდებოდა, დარბაზის პირველ რიგებში ჯდებოდა, რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა. 1954 წლის იმ დეკემბერში წვეთი არ დაულევია, თუმცა მოსკოვში, განსაკუთრებით ზამთარში, ასე საოცრად გაგემრიელდება და გატკბება ხოლმე არაყი.

ასევე იყო 1958 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში ჩატარებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც გალაკტიონ ტაბიძე იყო. იგი თავის განუმეორებელ ეშხსა და სილამაზეს ჰმატებდა მოსკოვის სხვადასხვა კულტურის კერაში გამართულ საღამოებს, შეხვედრებს, ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. ყოველ ნაბიჯზე ავლენდა შინაგანი პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას. როგორც ადრე, იმჟამადაც სუფრასთანაც იჯდა, ღვინით სავსე ჭიქით სადღეგრძელოებსაც ამბობდა, მაგრამ არასოდეს ნებდებოდა ღვინის ცდუნებას. უთუოდ დიდი შინაგანი სიმტკიცისა და ნებისყოფის პატრონი იყო.

და ბოლოს, მინდა გავიხსენო 1955 წლის 14 აგვისტოს ჩარგალში ჩატარებული ვაჟაობა.

გალაკტიონს იმ ხანებში საკუთარი ტენტიანი ავტომანქანა „პობედა" ჰქონდა. ახლაც თვალწინ მიდგას: იმ ტენტგადახსნილმა მანქანამ რამდენჯერმე გაასწრო და ჩამორჩა ჩვენს ავტობუსს. გალაკტიონი შოფრის გვერდით იჯდა. ზაფხულის თბილი ნიავი უწეწავდა თმა-წვერს. სახეზე რაღაც ღვთიური ელფერი დაჰფენოდა. ასეთი გამომეტყველებით მხოლოდ ამაღლებულ ზეიმზე მიდიან ხოლმე. ჩარგალში ჩასულებს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ ფოტოები გადაგვიღო. ვაჟას გარდაცვალების მეორმოცე წლისთავს მიეძღვნა მიტინგი, რომლის შემდეგაც არაგვის პირზე, ვაჟას წყაროებთან, ჭალაში გაშლილ სუფრაზე მიგვიპატიჟეს. გვარიანად წაგრძელებული სუფრა პირდაპირ მწვანეზე იყო გაშლილი. ირგვლივ სკამების ნაცვლად ქვები ჰქონდა შემოწყობილი. სუფრის ერთ თავში გიორგი ლეონიძე დასვეს, მეორეში გალაკტიონ ტაბიძე დაჯდა.

აჩ ხანებში ვილაც-ვილაცები დაჩურჩულებდნენ გოგლა და გალაკტიონი დამდურებულები არიან და ერთმანეთს არ ელაპარაკებიანო. ამიტომაც იყო, რომ ბევრს გაუკვირდა კიდეც, ერთ სუფრასთან როგორ დასხდნენო. მათი უმზრახობის ამბავი მეც მქონდა გაგონილი, მაგრამ ვერც გალაკტიონს და ვერც გოგლას ვკითხე, მართლა ასეა თუ არა-მეთქი. ვიცი, ახეც რომ ყოფილიყო, ერთიც მიწყენდა ამ შეკითხვას და მეორეც.

თამადად გოგლა აირჩიეს. სუფრა პირველი სადღეგრძელოდანვე შევიდა ეშხში. გოგლამ ვაჟა-ფშაველას უკვდავების სადღეგრძელო დალია, ალავერდს გალაკტიონთან გადავიდა და მისკენ წავიდა. გალაკტიონიც მყისვე წამოდგა და მის შესახვედრად გაემართა. ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ძმურად, ალალად ჩამოართვეს ხელი. მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთიმეორე. ვახტანგ გურგენიძემ მოასწრო იმ ხელისჩამორთმევის ფირზე აღბეჭდვა.

იქნებ მართლაც იყვნენ უმზრახად...
იქნებ არც იყვნენ დამზრახებულები...

... სუფრა გვიანობამდე გაგრძელდა. გალაკტიონმა მარტო ის ერთი ჭიქა მოსვა.

## პოეტს პირველი მდივანი იბარებს

ეს ამბავი, როგორც მახსოვს, 1952 წელს მოხდა.

მწერალთა კლუბში მწერლები შეიკრიბნენ. ჟურნალ „მნათობის" რედაქტორის მოხსენების მოსასმენად (იმჟამად ჟურნალს ირაკლი აბაშიძე edგა სათავეში). მოხსენების მიზანი იყო დამსწრეთათვის მომდევნო წელს გამოსაქვეყნებელი მასალების გაცნობა. მოხსენების ბოლოს ორატორი შეეხო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგზე. თემატიკა ნამდვილად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. სხვათა შორის, ისიც თქვა, რომ გამოქვეყნდებოდა წერილები თემებზე: მაქსიმ გორკის გავლენა ქართული ბელეტრისტიკის განვითარებაზე, მაიაკოვსკი და ქართული პოეზია, გოგოლი და ქართული პროზა.

და უცებ პირველ რიგში, სალონიდან დარბაზში შემოსასვლელ კართან მჯდარმა გალაკტიონმა (მას რატომღაც ეს ადგილი ჰქონდა ამორჩეული) მთელი დარბაზის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— გოგოლები, მოგოლები, შჩოგოლები... რაშია საქმე, ძამიკო. სხვათა გავლენის გარეშე ვერ დავწერთ ლექსებსა და მოთხრობებს თუ რა...

გალაკტიონის უკან, ოდნავ გვერდით ვიჯექი და დავინახე, ნერვიულობისაგან ათრთოლებული თითებით, როგორ აწვალებდა იგი თავის ჭაღარა წვერს.

დარბაზი გაირინდა. სხდომის თავმჯდომარემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა ყურგარეთ გაუშვა, თუმცა ოდნავ შეყოვნდა. მაგრამ რამდენიმე წამის მერე, ვითომ არაფერი გაუგონიაო, მოხსენება განაგრძო.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გალაკტიონი დარბაზიდან გავიდა და აღარ შემობრუნებულა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩურჩულ-ჩურჩულ ჰყვებოდნენ:

გალაკტიონის რეპლიკის ამბავი მაშინვე მოუხსენებიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისთვის — აკაკი მგელაძისთვის, მას კი თავისთან დაუბარებია გალაკტიონ ტაბიძე.

გალაკტიონი შესულა პირველი მდივნის კაბინეტში. პირველ მდივანს უკითხავს, ნუთუ თქვენ მართლა უდიერად მოიხსენიეთ დიდი რუსი მწერლებიო. გალაკტიონი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხნია: უდიერება რა შუაშია, ბატონო, ჩვენში, საქართველოში ხომ ასეთი გამოთქმები ოდითგანვეა დამკვიდრებული. აი მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ხომ ბრძანებდა თავის ლექსში — აკაკიები-ბაკაკიებიო...

გაცოფებულა აკაკი მგელაძე, სასწრაფოდ გაიყვანეთ ეს კაცი ჩემი კაბინეტიდანო უბრძანებია მდივნისათვის.

გალაკტიონი ღიმილ-ღიმილით გამოსულა ცენტრალური კომიტეტის შენობიდან.

ნამდვილად მოხდა თუ ვინმემ მოიგონა ეს ამბავი, არ ვიცი. იმ დასაწყისისთვის კი, რომელსაც მე შევესწარი, ასეთი გაგრძელება ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

## პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარე

იმ ხანებში ჯერ კიდევ ნაღდი არჩევნებით ვირჩევდით სექციების ბიუროებსა თუ სხვა ორგანოებს. როცა საჭიროება მოითხოვდა, ვასახელებდით წევრთა დადგენილ რაოდენობაზე მეტ კანდიდატურას, ღია კენჭისყრის დროს დარბაზიდან უნდა გასულიყო ის, ვისთვისაც კენჭი უნდა გვეყარა და, ბოლოს, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებდა, ის ითვლებოდა არჩეულად. მერე და მერე ამ წესს აღარ ვიცავდით, წინასწარ შერჩეულ კანდიდატებს ვასახელებინებდით წინასწარვე შერჩეულ სანდო პირებს და თავმჯდომარეც მათ აძლევდა წინადადებების წამოყენების უფლებას. კანდიდატთა დასახელება წყდებოდა წევრობის დადგენილი რაოდენობის შევსებისთანავე.

ეს ამბავი კი იმ წინა პერიოდში მოხდა. პოეტების სექციის ბიუროს საანგარიშო მოხსენების განხილვის შემდეგ ბიუროს წევრობის კანდიდატების დასახელებაზე გადავედით. კრების ერთმა მონაწილემ, აღარ მახსოვს, ვინ, გალაკტიონ ტაბიძე დაასახელა. ის კი სალონიდან შემოსასვლელ კართან იჯდა და თითებით წვერს ივარცხნიდა. არც გალაკტიონი ელოდა ამ დასახელებას და არც კრების მონაწილეთა უმრავლესობა. მისი კანდიდატურისთვის კენჭისყრის დროს გალაკტიონი წამოდგა კარში გასასვლელად. ვთხოვეთ, არ გასულიყო, მაგრამ, წესი წესია და მე რად დავარღვიოო, თქვა და გავიდა. კრების მონაწილეებმა ერთხმად მისცეს ხმა. იმ კენჭისყრაში ორი თუ სამი კაცი გაშავდა და ბიუროს შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ ახლად არჩეული ბიურო თავმჯდომარის ასარჩევად შეიკრიბა, და აქაც მოხდა მოულოდნელი რამ — ხუტა ბერულავამ თავმჯდომარედ გალაკტიონ ტაბიძე დაასახელა. მოულოდნელი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არავის წარმოგვედგინა თუ გალაკტიონი გულს დაუდებდა მუშაობას. გალაკტიონი შეტოკდა. სახეზე შეეტყო, რომ დიდად ესიამოვნა. ბიუროს თავმჯდომარეობის სხვა კანდიდატურა აღარ დასახელებულა.

გალაკტიონმა მეორე დღიდანვე ისევე დაიწყო მწერალთა კავშირში სიარული, როგორც მისი შტატის მუშაკები დადიოდნენ. ერთი კვირის შემდეგ კი იმ ოთახს (სპარსული ოთახის მარჯვენა მხარეზე), რომელშიც მწერალთა კავშირის კონსულტანტები ალექსანდრე აბაშელი, შალვა აფხაიძე, მარიჯანი ისხდნენ და სადაც სექციების ბიუროების თავმჯდომარეებისთვისაც იდგა მაგიდები, ერთი საწიგნე კარადა შეემატა — გალაკტიონმა თავისი ბინიდან გადმოიტანა იგი და პოეტების სექციის ხელმძღვანელისთვის განკუთვნილი მაგიდის გვერდით კედელთან მიდგა.

იჯდა გალაკტიონი თავის მაგიდასთან, იღებდა ახალგაზრდა თუ ხნოვან ავტორებს, კითხულობდა და განიხილავდა მათ ნაწარმოებებს, ესაუბრებოდა და რჩევა-დარიგებებს აძლევდა. მისი მოტანილი კარადა თანდათან ივსებოდა საქაღალდეებით. საჭიროების შემთხვევაში იწვევდა ბიუროს სხდომებს, ეწყობოდა პოეტების ნაწარმოებთა კითხვა-განხილვები, ლიტერატურული საღამოები, რამდენჯერმე ჩავატარეთ ერთი ლექსის საღამო, რომლებზეც თვით გალაკტიონმაც წაიკითხა ახალი ლექსები. ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე გალაკტიონი სექციას ხელმძღვანელობდა.

იმ ხანებში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი გალაკტიონს (მაშინ, იქვე, მწერალთა კლუბში ვმუშაობდი). და მე დიდად მანცვიფრებდა მისი შესაშური ერთგულება დაკისრებული საქმისადმი, მისი პუნქტუალობა და ენერგია. და იმის შემდეგ, განსაკუთრებით მისი დაღუპვის მერე, ხშირად მიფიქრია: უთუოდ სხვანაირად წარიმართებოდა მისი ცხოვრების ბედი, მას რომ სადმე, სახელმწიფო დაწესებულებაში, თუ რომელიმე ორგანიზაციაში ემსახურა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გალაკტიონი ლექსს წერს რედაქციის თხოვნით

გალაკტიონს „ლიტერატურული გაზეთისთვის" ლექსი ვთხოვეთ რომელიღაც თარიღთან დაკავშირებით. დათქმული დროისთვის ლექსი უკვე რედაქციაში გვქონდა. წავიკითხეთ დიდი ოსტატის ხელით ნაჩქარევად და, ალბათ, გულსგარეთ დაწერილი ლექსი და ერთი სტრიქონი მასთან შეუთანხმებლად შევცვალეთ. შევცვალეთ, მაგრამ ის კი არ ვიცოდით, ჩვენს შესწორებას როგორ მიიღებდა და ვღელავდით.

გაზეთი დაიბეჭდა. გალაკტიონს არც მადლობა უთქვამს და არც საყვედური.

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ვთხოვეთ ლექსი. დაგვთანხმდა და დათქმული დროისთვის მოგვაწოდა კიდეც. და ახლა უკვე მის ორ სტრიქონს მისწვდა რედაქციის კალამი.

გაზეთის გამოსვლის მეორე დღეს ქუჩაში შევხვდი გალაკტიონს. ისე შევხვდი, თითქოს რაიმე დანაშაული მქონოდა, ისე მივესალმე, რომ თვალებში ვერ შევხედე.

— მადლობელი ვარ, ძამიკო, მადლობელი... კარგად, ძალიან კარგად დაგიბეჭდავთ ჩემი ლექსი. — ჩაიხითხითა და ჩემი ხელის მტევანი თავის ლონიერ ხელში მოიქცია.

მისმა გადმოკრულმა მათრახმა სული ამწივა.

## საღამო ოპერის თეატრში

1953 წელს ბატონმა გალაკტიონმა ოპერის თეატრის შენობაში თავისი შემოქმედებითი საღამოს გამართვა გადაწყვიტა. იმ საღამოთი აღინიშნა მისი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდამეხუთე წლისთავი.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ, როგორც მწერალთა კლუბის მუშაკს, დამავალა, გალაკტიონს მივხმარებოდი საღამოს მომზადებასა და ჩატარებაში. დავალებით კი დამავალეს, მაგრამ შემდეგ თითქმის აღარავინ დაინტერესებულა, რა კეთდებოდა და რა დახმარება გვჭირდებოდა. არც გალაკტიონს შეუწუხებია არავინ, დიდი გატაცებითა და მონდომებით ჩაეფლო პოეტი საღამოს სამზადისში. დილის ათერთმეტ საათზე ვხვდებოდით ერთმანეთს და მისივე მანქანით დავდიოდით საქმეებზე. მუზეუმებში ექსპონატებს მოიძიებდა, ხელოვნების მუშაკთა სახლში თავისი ცხოვრების და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას აწყობდა. მხატვრების სახელოსნოებში ამ გამოფენისთვის თავის პორტრეტებს არჩევდა და ოპერის თეატრის გაფორმებას გეგმავდა. ორგანიზაციას უკეთებდა საღამოს მხატვრულ ნაწილს, სტამბებში თავზე ედგა აფიშებისა და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვას. ოცნებობდა თავისი მუდმივი გამოფენის მოწყობაზე და ამ გამოფენისთვის შესაფერის შენობას ეძებდა. ერთსა და იმავე საკითხს მანამდე უბრუნდებოდა, ვიდრე ის საბოლოოდ ისე არ გადაწყდებოდა, როგორც მას უნდოდა.

დადგა დათქმული დღეც — თორმეტი ოქტომბერი. თეატრის მუშაკებთან ერთად კიდევ დავათვალიერეთ დარბაზი და სცენა. ყველაფერი თავის ადგილზე იყო და საზეიმოდ გამოიყურებოდა. სცენის კიდეებს ჭრელ ქობად შემოვლებოდა ყვავილებიანი ქოთნების მწკრივი.

გალაკტიონი ღელავდა, ძალიან ღელავდა, ხალხი თუ მოვაო. თურმე ამაოდ. დიდძალი ხალხი მოვიდა. და... მწერლები არ მოსულან. თითქმის არ მოსულან. იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისი მოსვლაც ამა თუ იმ მიზეზის გამო აუცილებელი იყო. შემძრა და ამაფორიაქა ამ ამბავმა. ვრწმუნდებოდი, რომ გალაკტიონი მარტო რჩებოდა, თანდათან ნაპირდებოდა თანამოკალმეთაგან... იქნებ შური მუშაობდა, ერთი პროფესიის ადამიანთა შორის გაზაფხულის წვიმებზე მოსული შამბივით რომ დაიძახებს ხოლმე... იქნებ თვით პოეტის რთული ხასიათი, განცალკევებისადმი ლტოლვა, მისთვის არცთუ იშვიათად ჩვეული ეკლიანი სიტყვა... რა თქმა უნდა, თავის საქმეს აკეთებდა ჩვენი საერთო თვისებაც — სიცოცხლეში ერთმანეთის არდაფასება, განა მარტო არდაფასება? — დაჩაგვრაცა და შევიწროებაც....

იმ წელიწადს გალაკტიონს თავისი საღამოების სერია ჰქონდა ჩაფიქრებული და დაგეგმილი, მაგრამ ამ ერთი საღამოს მეტი არ გამართულა.

## ექსპრომტი

ბატონი გალაკტიონი მწერალთა კავშირის შენობის შესასვლელში შემეფეთა. იღლიაში ხელი გამომდო და თან გამიყოლა. ბუღალტერიიდან ფული უნდა აეღო და დათვლაში შემეშველეო.

ოპერის თეატრში გამართული შემოქმედებითი საღამოს შემოსავალი თეატრის ადმინისტრაციას მწერალთა კავშირის მეშვეობით უნდა გადაეცა პოეტისათვის.

შევედით პირველ სართულზე ხუთიოდე კიბით ამაღლებულ პატარა ოთახში, სადაც მწერალთა კავშირის მთავარი ბუღალტერი სიმონ კახიანი და მოლარე ისხდნენ. მოლარე ჯერ არ მოსულიყო. ბატონმა სიმონმა, ჩამოჯექით, მოლარე მალე მოვაო, გვითხრა და თავი ისევ ქაღალდებში ჩარგო. ჩვენ ჩუმად ვისხედით. უცებ გალაკტიონმა ჯიბიდან ფანქარი და ქაღალდის ნახევი ამოიღო, რაღაც დაწერა და გადმომაწოდა.

თქვენს კეთილ ხელში, ბატონო სიმონ,
მთვარის სიმებმაც უნდა იხიმონ!

წავიკითხე. თავის გადაქნევით ვანიშნე, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონს წინ დაუდეო, სიმონმა ციფრებს თვალი მოსწყვიტა, წაიკითხა, სახე გაებადრა და... მოლარემაც შემოაღო ოთახის კარი.

## პოეტი ეფერება ბავშვს

— ვისია, ძამიკო, ეგ ლამაზი გოგონა? — მეკითხება მწერალთა კავშირის მეორე სართულის ვესტიბიულში შეხვედრილი გალაკტიონი. მაშინ ის პოეტების სექციას თავმჯდომარეობდა და თითქმის ყოველდღე დადიოდა კავშირში.

მზია ოთხი წლისა თუ იქნებოდა. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა — მისი დედა აუცილებელ საქმეზე წავიდოდა, ბავშვი ჩემს ანაბარა რჩებოდა და სამსახურში, მწერალთა კავშირში მიმყავდა ხოლმე.

— მაშ, შენი შვილია? — მონაღვლიანებული სახე გაებადრა გალაკტიონს, დაიხარა, ბავშვი ხელში აიტაცა, მკერდზე მიიხუტა და ბავშურად შეეტიტინა. მზიამ პირველად ნახა წვერებიანი ძია და მაშინვე ორივე ხელით წაეპოტინა გალაკტიონის შეთეთრებულ წვერს. გალაკტიონს სახე უფრო და უფრო ებადრებოდა, წვერში ჩამალულ ნიკაპს აქეთ-იქით აქანებდა, იცინოდა, ენას ბავშვურად უკიდებდა, ეფერებოდა, აუწერელი სიხარულით ესიყვარულებოდა. სულ სხვა გალაკტიონი იყო, ახლა პირველად ვხედავდი.

გული მეტკინა, უსაშველოდ მეტკინა: ამ კაცს არ ღირსებია თავისი შვილის მკერდზე მიხუტება.

მზიამ უცხოობა იცოდა, მაგრამ ამჯერად არ უუცხოვია — მაშინვე გაუშინაურდა, პაწია თითებით წვერს უვარცხნიდა და ეტიტინებოდა.

გალაკტიონმა, როგორც იქნა, ბავშვი დაბლა დასვა და თავზე აკოცა. კიდევ ხომ მოხვალთ, ჰკითხა გამომშვიდობებისას. მოვალო, უთხრა მზიამ.

ხელჩავლებული მზია გვერდით მომდევდა და კისერი უკან ელრიცებოდა, გალაკტიონს ვერ აშორებდა თვალს. გალაკტიონიც ვერ ახერხებდა შებრუნებას, იდგა და ხელებს უქნევდა.

იმ წუთებში გალაკტიონი, ალბათ, მე შემომნატროდა.

## საღამო ღია ცის ქვეშ

შუა ზაფხული იდგა. სიცხის ბული ტრიალებდა თბილისში.

— დღეს ხელოვნების მუშაკთა სახლში გალაკტიონის შეხვედრაა მკითხველებთან, გვთხოვა, მოდით და მონაწილეობა მიიღეთო, — მითხრა რედაქციაში სამუშაოზე მისულს გიორგი ნატროშვილმა. საღამოს ექვსი თუ შვიდი საათისთვის მივედით. გალაკტიონი იქ დაგვხვდა, ხალხიც უკვე შეკრებილიყო, დარბაზში ცხელა და ეზოში ტრიალებდა. აქ ნიავი მაინც ქაქანებდა.

— ჩვენი შეხვედრაც ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩავატაროთ, ძამიკო, — განაცხადა გალაკტიონმა.

— იქ სკამებს ვერ გავიტანთ, ხალხი დაიღლება ფეხზე დგომით, — ვუთხარით პასუხად.

— ჩვენც ნუ გავაგრძელებთ. ვილაპარაკოთ მთავარზე, — უკან არ დაიხია გალაკტიონმა. დავუყევით. გიორგი ნატროშვილი ვრცელი შესავალი სიტყვით გამოვიდა. იმ საღამოს პირველად ვნახე მაშინ არცთუ ფართოდ ცნობილი, ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი სერგი წულაძე, რომელმაც ლოცვასავით წარმოთქვა თავისი სიტყვა. პოეტის შემოქმედებაზე ილაპარაკეს მკითხველებმა. მე ჩემი მოკლე გამოსვლა იქვე ექსპრომტად შეთხზული ორიოდესტროფიანი ლექსით დავამთავრე.

გალაკტიონისთვის მირთმეული ყვავილებით აივსო წინ მდგარი პატარა მაგიდა.

და ბოლოს გალაკტიონი აღელდა და აბობოქრდა: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი...“

ვერც ერთი უდიდესი მსახიობი ამ ლექსს ისეთი მომხიბვლელობით და მღელვარებით ვერ წაიკითხავს, როგორც გალაკტიონი კითხულობდა...

გალაკტიონი ღელავდა, ბობოქრობდა: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი...“

და... ჯერ კიდევ დაუღამებელ ცაზე დიდი, სავსე მთვარე შემოდიოდა.

## გასეირნება რუსთაველის პროსპექტზე

გაზაფხულის მიწურულის მსუბუქი და მოალერსე საღამო იდგა. ვერეს დაღმართიდან რუსთაველის პროსპექტზე შევუხვიე თუ არა, ლამის პირდაპირ შევეჩეხე ბატონ გალაკტიონს, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ ეთერ შუშანიასთან ერთად მოსეირნობდა გალიმებული და სახეგაბადრული.

მოწიწებით მივესალმე და შევჩერდი. ისინიც შეჩერდნენ.

— საით გაგიწევია, ძამიკო თეი?

არცთუ გადაუდებელ საქმეზე მივდიოდი.

— აბა, მაშ, მეორე მხრიდან შენ ამოუდექი ჩვენს დედოფალს და ვისეირნოთ და ვისეირნოთ, გული გადავუხსნათ ერთმანეთს.

ეთერს მარჯვენა მხრიდან ამოვუდექი და ოპერის თეატრის მიმართულებით გავუყევით პროსპექტს.

ასეთი უზრუნველი, ასე შთაგონებულად მოუბარი და ალერსიანი გალაკტიონი მანამდე თითქმის არ მენახა.

ოპერის თეატრთან მისულები ისევ შემოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდით რუსთაველის მოედნისკენ. მე ვერც მოვახერხე აქტიურად ჩაბმა საუბარში, ნაირ-ნაირ [illegible] მიყვებოდა გალაკტიონი, იგონებდა გარდასულ დღეებს, საუბრობდა ლექსებზე და [illegible]ეტებზე.

— თითო ჭიქა შამპანური მაინც დავლიოთ, — შევთავაზე თანამოსაუბრეებს, როცა, აღარ ვიცი მერამდენედ, ქვანახშირების სახლში გახსნილ კაფეს გავუარეთ. დავლიოთო. მხარი აგვიბა გალაკტიონმა. კაფეში შევედით. ერთი ბოთლი შამპანური გავახსნევინეთ. ორ-ორჯერ მოვსვით მაღალფეხებიანი ჭიქებიდან. პირველ მოსმაზე ლექსი ვადღეგრძელეთ. მეორე სადღეგრძელოს თამადობაც გალაკტიონმა ითავა და ქალბატონ ეთერის სადღეგრძელო ვთქვით. მებუფეტეს მეორე ბოთლის გახსნა ვთხოვე. გალაკტიონმა სასტიკად იუარა:

— არა, თეი, არ გვინდა! პოეზიით დავთვრეთ, გაზაფხულით დავთვრეთ, სილამაზით დავთვრეთ ამ საოცრად ლამაზ თბილისში! — გალაკტიონი ეთერსა და ჩემს შორის ჩადგა, ხელი გაგვიყარა და კაფედან გამოგვიყვანა. კიდევ კარგა ხანს ავდევდით და ჩავდევდით შოთას პროსპექტს.

კიდევ „ერთი“ გალაკტიონი ვნახე იმ საღამოს — სიყვარულით გაბრუებული დიდი, უზრუნველი ბავშვი, რომელსაც ხელისგულზე ედო საკუთარი გული.

## გალაკტიონი ლექსს უწერს ვიკა მარიაშს

ძველ ქაღალდებში სტუდენტობისდროინდელ ჩანაწერებს წავაწყდი (ვაი, რომ მერხთან მიმჯდარი ჩემი სტუდენტობა სულ ერთ სასწავლო წელს გაგრძელდა!). ეს სტრიქონები გალაკტიონ ტაბიძეს ეხება და, ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველისთვის.

„16 ოქტომბერი, 1940 წელი. თბილისი. გუშინ უნივერსიტეტში გ. ტაბიძის საღამო იყო. საღამოს დამთავრების შემდეგ ახალბედა სტუდენტები გუნდ-გუნდად ავედევნეთ სახლში მიმავალ გალაკტიონს. ჩვენს წინ მიდიოდა. თაიგული მიჰქონდა. როგორ მინდოდა ის თაიგული მე წამელო გალაკტიონისთვის.

ტრამვაიში ასვლისას ყველას დავასწარი — გალაკტიონს მე ავუღე ბილეთი“

„17 ოქტომბერი. დღეს ჩვენი კურსის სტუდენტმა ქალიშვილმა ვიკა მარიაშმა თავისი ალბომი მოიტანა, შენი ლექსი ჩამიწერეო. ალბომი გადავათვალიერე და... გალაკტიონის ლექსს წავაწყდი. გაფაციცებით ამოვიწერე:

ჩემო კარგო ვიკა!
ჩემო ნორჩო ვიკა!
გალაკტიონს ლექსით
სურს შიგა და შიგა
გითხრას: ჭკუაჭ ვიკა,
კარგი, კარგი ვიკა!
რომ გიცქერდეს შურით
თვითონ „ერთა ლიგა“,
კარგი დედით, მამით,
აქ, და არა იქა,
მუდამ საყვარელო,
მუდამ კარგო ვიკა!

გალაკტიონს ეს ლექსი ვიკას ალბომში 1935 წლის 22 ოქტომბერს ჩაუწერია.

ვიკა მარიაში უნგრელია. ალბათ, ამიტომაც წერს პოეტი — „აქ და არა იქა“. თბილისში მცხოვრები მისი მამა მხატვარი ყოფილა. ვიკა შემპირდა, გალაკტიონის სხვა ლექსსაც გაჩვენებო. ის ლექსი პოეტს მისი მამისთვის მიუძღვნია...“

გალაკტიონის ეს ლექსი კი ვეღარ ვნახე. მალე ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორიდან (მარიაშიც ამ სექტორზე სწავლობდა) ქართულზე გადავედი. მერე კი ომმა წამომაგდო სტუდენტის მერხიდან და ვიკა მარიაში ვეღარსად ვნახე.

მე აღარ მახსოვს, რა ჩავწერე ვიკას ალბომში.

მ ი ნ ა წ ე რ ი: გალაკტიონის ზემოთ დაბეჭდილი ლექსი. 1967 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე ამ ჩანაწერთან ერთად, რამდენიმე დღის შემდეგ ტელეფონის ყურმილიდან ჩამესმა: ვიკა მარიაში გელაპარაკებით. ცოცხალი ვარ, თბილისში ვცხოვრობ, პედაგოგად ვმუშაობ, და ერთი ქართველი ბიჭის დედა ვარ.

## გალაქტიონს დელეგატად არ ირჩევენ

1958 წლის 29 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში გალაკტიონ ტაბიძე უკანასკნელად შეხვდა თავისი პოეზიის თაყვანისმცემლებს. ამ დიდი საღამოთი მისი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნა. სულ რაღაც სამიოდე კვირის შემდეგ, 1959 წლის 19 იანვარს მუშაობას შეუდგა საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობა. ყრილობის გახსნას „ლიტერატურული გაზეთის“ სპეციალური ნომერი მიეძღვნა. გაზეთის იმ ნომერში რუბრიკით „იუმორი“ გამოვაქვეყნე კაფიების რკალი „ჩვენ მივდივართ ყრილობაზე“, რომლის დასაწყისშივე გალაკტიონი ასე ავამეტყველე:

მერვე ტომით მოვიჩქარი,
არ დუმდება ჩემი ქნარი,
არც სიბერის ჰრილობა მდევს.
იუბილეც მოვასწარი
ყრილობიდან ყრილობამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ იმ ყრილობის წინახანებში, პირველი ტომის გამოსვლიდან ოცზე მეტი წლის შემდეგ, გამოვიდა გალაკტიონის თხზულებათა მერვე ტომი.

გალაკტიონი, როგორც მას მუდამ სჩვეოდა, აკურატულად ესწრებოდა სხდომებს, დაინტერესებით უსმენდა გამოსვლებს, თავისთვის რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა, ხან თვალებში შუქი უციაგებდა, ხან საავდროდ იღრუბლებოდა.

ყრილობის მუშაობის მეორე დღეს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობისა და სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის დელეგატების კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი სხდომის დაწყებამდე პარტიული ფრაქციის კრება ჩატარდა, რომელსაც იმ სხდომისთვის უნდა წარედგინა ასარჩევ პირთა დაზუსტებული სიები.

როგორც მახსოვს, ფრაქციის კრებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი წარმართავდა, ხოლო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დარბაზში, მარჯვენა კედლის გასწვრივ ჩაყოლებულ სკამებზე ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე სხვა თანამშრომელთან და მწერალთან ერთად იჯდა.

ჯერ იმ პირთა სია წაიკითხეს, რომლებიც გამგეობის შემადგენლობაში ასარჩევად უნდა შეეთავაზებინათ ყრილობისთვის, შემდეგ სარევიზიო კომისიაში ასარჩევთა სია და ბოლოს საკავშირო ყრილობის დელეგატთა კანდიდატების სიაზე გადავიდნენ. ამ სიაში გალაკტიონი არ აღმოჩნდა. ვის რა შენიშვნები და დამატებები გაქვთ, განაცხადა კრების წამყვანმა. შალვა დადიანი წამოდგა. ბოლო ხანებში ავადმყოფობა მომეძალა და, როგორც ვატყობ, ყრილობაზე წასვლას ვერ შევძლებ. გთხოვთ დელეგატობის სიიდან ამომიღოთ და ჩემს მაგიერ სხვა ღირსეული კაცი შეიტანოთო.

და, როგორც მე მომეჩვენა, ბატონმა შალვამ გალაკტიონ ტაბიძისკენ მოიხედა. იმ ადგილიდან, სადაც მე ვიჯექი, ორთავეს კარგად ვხედავდი. გალაკტიონი კი იჯდა ყალყზემდგარი, ეტყობოდა, ძალიან აღელდა: თვალები ნაკვერჩხლებივით გაუღვივდა, სახეზე ჯერ ჭარხლის ფერმა გამოჟონა, მერე კი გაფითრდა. თუ არ ვცდები, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ასეთ დიდ ფორუმზე გასაგზავნად მას არ ირჩევდნენ.

— რას ბრძანებთ, ბატონო შალვა! —მყისვე გაისმა საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის ხმა, — თქვენი ყრილობაზე წაუსვლელობა როგორ შეიძლება! მანამდე გამოჯანმრთელდებით.

— მე მაინც გთხოვთ, ჩემს თხოვნას ანგარიში გაუწიოთ, — თქვა შალვა დადიანმა და დაჯდა. მაგრამ მის სიტყვებს აღარავინ გამოხმაურებია. დელეგატებად დასახელებულ[illegible]ლების სია უცვლელად დარჩა.

ყრილობის სხდომამ პარტიული ფრაქციის მიერ შეთავაზებული სიის მიხედვით დაამტკიცა დეპუტატობის კანდიდატები და მერე ფარული კენჭისყრით აირჩია საკავშირო ყრილობის დელეგატები.

...ბატონი გალაკტიონი პარტიული ფრაქციის შემდეგ ყრილობის დარბაზში აღარ დამინახავს.

რამდენ მძიმე სულიერ ტკივილს გადაიტანდა იგი მთავრობის სახლში გამართული ყრილობის დარბაზიდან... ეგებ უკვე იცოდა კიდეც, რომ ის ყრილობა მისთვის უკანასკნელი იქნებოდა...

## სიკვდილის გზა არრა არის...

მწერალთა ყრილობის შემდეგ ორმა თვემ ისე გაიარა, რომ გალაკტიონი მწერალთა კავშირში აღარ შესულა, სადაც ჩემი სამსახურის გამო ყოველდღე ვიყავი ხოლმე, აღარც ქუჩაში მენახავს.

თხუთმეტ მარტს შალვა დადიანის გარდაცვალების ამბავმა აგვაფორიაქა, თუმცა მისი გარდაცვალება ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო — ვიცოდით, რომ მძიმედ იყო ავად და მისი გამოჯანმრთელების იმედი გადაწურული გვქონდა.

შალვას გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე ჩვენი რედაქცია სათათბიროდ შეიკრიბა, „ლიტერატურული გაზეთის" მორიგი ნომრისთვის გამზადებული მასალების ნაწილი უნდა გადაგვედო და შალვა დადიანისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები მოგვემზადებინა. შევარჩიეთ ავტორები, თემები და შევუდექით სამგლოვიარო ნომრის მომზადებას.

და უცებ, სულ რაღაც ერთი დღე-ღამის შემდეგ თავზარი დაგვცა და უსაშველოდ გაგვაოგნა ჩვიდმეტ მარტს მომხდარმა ტრაგედიამ. გალაკტიონ ტაბიძე საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან გადმოხტა და თავი მოიკლა.

რედაქცია კვლავ შეიკრიბა. გალაკტიონის გარდაცვალებაც გაზეთის იმავე ნომერში უნდა აღგვენიშნა. დილიდან საღამომდე დავრბოდით და ვამზადებდით მასალებს. გაზეთის ის ნომერი, რომელიც მთლიანად შალვა დადიანისა და გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას მიეძღვნა, იმ დროისთვის დადგენილ ტირაჟზე ათი ათასი ეგზემპლიარით მეტი დავბეჭდეთ. მთელი ტირაჟი საგაზეთო ჯიხურებში გასვლისთანავე გაქრა.

## დატირება

გალაკტიონის ცხედარი გათენებისას გადმოასვენეს მწერალთა კავშირის სასახლეში. ახალგაზრდების ერთი ნაწილი დავხვდით მწერალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კავშირის სასახლეში ამჯერად უკვე უკანასკნელად მობრძანებულ გალაკტიონს.

მწერალთა კლუბის დარბაზში დავასვენეთ. ირგვლივ გვირგვინები შემოვუწყეთ, რაც საჭირო იყო, გავაკეთეთ და დარბაზის კედლების გასწვრივ ჩამორიგებულ სკამებზე ჩამოვსხედით მდუმარედ, მწუხარედ.

ცხრა საათი ხდებოდა. სალონის კარიდან თითქმის ერთდროულად შემოვიდნენ გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი. მათ პირველებმა მოაკითხეს მწერალთა სასახლეში გადმოსვენებულ პოეტს. ის კი არ ვიცი, წინასწარ იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებულები თუ ანაზდეულად მოვიდნენ ერთად. შემოვიდნენ, წამიერად შეყოვნდნენ და გალაკტიონის ცხედრისკენ წამოსულებს ორივეს ერთად წასკდათ ტირილი, გულიდან წამოსული ტირილი; თითქოს წაქცევისა ეშინოდათო, ერთმანეთს მიეყრდნენ და ისე ტიროდნენ.

რამდენიმე წუთს იდგნენ ასე.

გულწრფელად ტიროდნენ, არა სხვის დასანახად.

საღამოს ორივენი მოვიდნენ პანაშვიდზე. ამჯერად ცხვირსახოცები არ ამოუღიათ ჯიბეებიდან. ცხედარს ჩაუარეს ღრმად დამწუხრებულებმა, ოღონდ უცრემლოდ, ჩვეულებრივად.

## მთაწმინდის ალმართი

ჯერ შალვა დადიანი აუყვა მთაწმინდის ალმართს.

ორი თუ სამი დღის შემდეგ მეორე პროცესია დაიძრა მაჩაბლის ქუჩიდან.

ესოდენ მრავალრიცხოვანი პროცესია მანამდე არც მენახა.

ადამიანთა მდინარის დინება რუსთაველზე მაშინაც კი არ ჩათავებულიყო, როცა მისი პირველი ტალღები მთაწმინდის სავანის ჭიშკარს შიგნით შეგუბდა.

რამდენს და როგორ არ ვეცადე, მაგრამ მდინარის შუა წელს მაინც ვერ გავაღწიე. დიდი სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე ვერ შევესწარი დაკრძალვის პროცესს.... იქნებ ასეც სჯობდა!

მთაწმინდაზე ამაღლდა პოეტი.

მთაწმინდის მთვარის გვირგვინი დაიდგა შიშველი ძარღვივით მფეთქავი და მგრძნობიარე სიტყვის რაინდმა.

ცხრაასორმოცდაცხრამეტი წლის მარტის იმ დღეს იგი შენობის მეოთხე სართულიდან არ გადმომხტარა. ის ცისკენ გაფრინდა...

მაგრამ ვაი, რომ ჯერ არავის დაუძლევია დედამიწის მიზიდულობის ძალა...

და მაინც,

გალაკტიონის მთელი სიცოცხლე ნახტომი იყო, „ნახტომი ცისკენ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნადირაძე



# ლევ ტროცკი სტალინის და საქართველოს შესახებ

სტალინის შესახებ დაწერილ წიგნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლევ ტროცკის (ლეიბა ბრონშტეინი) წიგნს „სტალინი", რომელიც რუსულ ენაზე ი. ფელტინშკის რედაქციით გამოიცა 1990 წელს 108.000-იანი ტირაჟით, ინგლისურ ენაზე კი ჯერ კიდევ 50 წლის წინათ დაისტამბა.

ავტორს გააჩნია მკაცრად განსაზღვრული პრეტენზია, აჩვენოს: „როგორ ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნება და რა საშუალებით მოიპოვა მან ესოდენ გამორჩეული როლი"[1].

როგორც ტროცკი განმარტავს, წიგნი მით უფრო საინტერესოა, რომ მისი დიდი ნაწილი ეხება სტალინის პოლიტიკური ცხოვრების იმ პერიოდს, როცა მას არავინ, ან თითქმის არავინ იცნობდა. ტროცკის, როგორც ავტორის, მიდგომა ასეთია: მას თითქოს სტალინის ბიოგრაფია კი არ აინტერესებს, აინტერესებს მოვლენა, როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს სტალინისდარი პოლიტიკური პიროვნება და, თუ სტალინის ცხოვრების შესახებ წვრილმან ფაქტებსაც დიდი ყურადღებით ეკიდება, ეს განპირობებულია სურვილით, წარმოაჩინოს სტალინისა და მის მსგავსთა პიროვნულ-პოლიტიკური ვინაობა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ლ. ტროცკის ნიჭიერებისა, ერუდიციის და „თავდაუზოგავი მცდელობისა", მისი მიზანი ნაწილობრივ შეუსრულებელი რჩება.

ეს, უმთავრესად, იმის გამო ხდება, რომ ტროცკის მიერ სტალინის ან „სტალინიზმის" რაობის შეფასებისას უარყოფილია ის მოტივი, რომლის გარეშე არ შეიძლება დადგინდეს არა მარტო სტალინის, არამედ არც ერთი ბოლშევიკის პოლიტიკური პროფილი. ტროცკის არ სურს, სტალინის პოლიტიკური ბიოგრაფია სოციალიზმის „მშენებელი" „ბელადის" პოლიტიკური ცხოვრების აუცილებლობით ახსნას.

თუ პირიქით მოიქცეოდა, მაშინ მას უნდა უარეყო და დაეგმო საკუთარი პარტიული მსოფლმხედველობა; ტროცკი ვერ შეელია თავის პოლიტიკურ იდეალებს და ლენინური თეორიის „ერთგული" დარჩა;

**«Каждый из нас должен быть вдвойне верным сыном революционной ленинской партии!»**[1] — განმარტავს ტროცკი თავის პარტიულ მრწამსს, რაც „უფლებით მოსავს", წაუყენოს სტალინს ბრალი, რომ მან დაამახინჯა ლენინის სრულყოფილი თეორია რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

ტროცკიმ ვერ, ან არ იტვირთა, სტალინიზმის რაობის მხილება რუსეთში სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის შესახებ დანაშაულებრივი თეორიის უარყოფით დაეწყო. მან ვერ შეძლო, ეღიარებინა, რომ სტალინიზმი, როგორც აზროვნებისა და მოქმედების ფორმა, ბოლშევიზმის ღირსეული მემკვიდრე იყო; რომ რუსეთის სოციალიზმი მონუმენტურ სიცრუეს წარმოადგენდა და რომ რუსეთის რევოლუციის თითოეული „ბელადი" უმომავლო საქმეს ემსახურებოდა.

ასეთი აღიარებით, მიუხედავად პოლიტიკური წარსულისა, ტროცკის გააჩნდა შანსი, ისტორიაში დარჩენილიყო, როგორც მოაზროვნე, და არა ის, რაც დღეს არის: რუსეთის უსაგნო რევოლუციის ერთ-ერთი შერცხვენილი ბელადი.

ლ. ტროცკის წიგნი „სტალინი" 50 წლის წინ დაიწერა და, ბუნებრივია, ამ თითქმის შვიდასგვერდიანი ორტომეულის ნაწილი დღეისათვის

[1] ჟურნ. „ცისკარი" №1, გვ 121, 1991 წ.

[1] Архив Троцкого, том. 4. стр. 13. 1990 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე აღარ იწვევს ინტერესს, მაგრამ დიდი ნაწილი აუცილებლად ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას მსოფლიოს უახლოესი ისტორიის შესასწავლადაც კი. ასეთ შემთხვევაში ნაკლებ ყურადღება ენიჭება ტროცკის თვალსაზრისის მართებულობას ან პირიქით. მთავარი ის არის, რომ ავტორი იძლევა მასალას, რომლის ჯეროვანმა მეცნიერულმა ანალიზმა სასურველ შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს.

ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ სტალინის შესახებ წერს მისი თანამედროვე, „თანასწორი", „თანამებრძოლი", თვითმხილველი ლ. ტროცკი, რომელსაც სტალინისადმი გაცილებით განსხვავებული პირადი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, ვიდრე შემდეგდროინდელ ბიოგრაფებს.

ჩემი აზრით, წიგნის „სტალინი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ავტორის არაგულწრფელობა; ტროცკიმ ვერ დაძლია საკუთარი ადამიანური სისუსტე. აქ მოულოდნელი არაფერია: ბიოგრაფები მაშინ არიან გულწრფელნი, როდესაც მხოლოდ სიმართლე აინტერესებთ, ტროცკის კი სტალინის ბიოგრაფიაში სიმართლე ნაწილობრივ აინტერესებდა. იგი თავისი დაუძინებელი მტრის პირადი და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ წერდა, რამაც განსაზღვრა ფაქტებისადმი დამოკიდებულება. ტროცკიმ, უეჭველია, იცოდა ბისმარკის აზრი: „გულახდილობა მუდამ იმსახურებს აღიარებას", მაგრამ მან, უკვე პრაქტიკული პოლიტიკის გარეთ მდგომმა, ვერ შესძლო გულწრფელი დარჩენილიყო. ტროცკი მოელის ასეთ ბრალდებას და თავის პოზიციას განმარტავს, მაგრამ აქაც არ არის გულწრფელი: „ცნობილ წრეებში ხშირად აღნიშნავენ თითქოსდა მე მძულდეს სტალინი, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მხრების აჩეჩვა შემიძლია. მე შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა; ის, რაც ჩვენში პირადული იყო, დიდი ხანია დაიფერფლა. ჩემს შემეცნებაში სტალინი არასოდეს ამაღლებულა იქამდე, რომ ჩემი სიძულვილი დაემსახურებინა"[1]. ასეთი ამპარტავნული განცხადება ყოველთვის ძალაგამოცლილია, როცა იგი დამარცხებულს ეკუთვნის.

ტროცკი კი სწორედ ასეთი იყო: სტალინისაგან დამარცხებული და სამშობლოდან განდევნილი. ტროცკი და სტალინი პოლიტიკური აზროვნების მეტ-ნაკლები შესაძლებლობებით ტყუპისცალები იყვნენ, უფრო ძლიერმა ბოლშევიკურმა ფსიქიკამ გაიმარჯვა გაცილებით სუსტ ასეთივე ფსიქიკაზე. სტალინმა დაამხო — გაანადგურა მტერი, ასევე მოიქცეოდა გამარჯვებული ტროცკი. განცხადება, რომ სტალინი ტროცკის შეგნებაში სიძულვილამდე „არ ამაღლებულა",

[1] „ცისკარი" № 1, გვ. 122, 1991 წელი.

არის ცნობილი ადამიანური უძლურებით გამოწვეული ფლონო შურისძიება.

ტროცკი რთული „მეისტორიეა", და მისი ნილაბი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არცთუ იშვიათად დღესაც არ არის სავსებით გამჭვირვალე. ზოგჯერ იგი ცდილობს, ინტელექტუალის ავტორიტეტით გაყიდოს ფონს, მაგრამ ეს ფაქტი იმიტომ კი არ აღვნიშნე, რომ ტროცკის განათლებულობაში ეჭვი შემეტანა. თუნდაც მხოლოდ წიგნი „სტალინი" ასეთი ეჭვის არავითარ საფუძველს არ იძლევა. მას, როგორც „ნაფიც" ინტელექტუალს, თავისი უპირატესობის გამოყენებით სურს დაამტკიცოს, რომ სწორედ ინტელექტუალური უძლურების გამო სტალინს არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა რუსეთის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში. სავსებით მისაღებად მიმაჩნია ტროცკის აზრი სტალინის შესახებ: „საერთო წესის მიხედვით პოლიტიკური პატიმრები ცდილობდნენ, შორს მდგარიყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეებისგან. კობას, პირიქით, ხშირად ნახავდით მკვლელების, შანტაჟისტების, მძარცველების, მაუზერისტების საზოგადოებაში, ის მათ შორის თავს თანასწორად გრძნობდა"[1]. მოცემულ ტექსტში მხოლოდ ერთი სიტყვა „თანასწორად" შეიძლება იწვევდეს „პროტესტს": იქნებ სტალინისთვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მანკი გაცილებით „მშობლიური" იყო, ვიდრე ნებისმიერი თავზეხელაღებული კრიმინალური პირისთვის.

როცა ტროცკი ამბობს, რომ „კობას უჭირდა მაღალი გონებრივი ინტერესებით გამორჩეულ ადამიანთა საზოგადოებაში ყოფნა", ესეც, ალბათ, სიმართლეა, მაგრამ თვითონ ტროცკი იქვე იმდენად არაგულწრფელია, რომ სტალინის შესახებ ნათქვამი სიმართლე ფერს კარგავს. ტროცკის მაღალი გონებრივი ინტერესებით გამორჩეული ადამიანების კრებულად წარმოუდგენია ბოლშევიკური პოლიტბიურო, რომლის სხდომაზე, როგორც ის გადმოგვცემს, თურმე სტალინი მუდამ მოღუშული და გაღიზიანებული იჯდა.

სტალინის და ბოლშევიკური პოლიტბიუროს დანარჩენი წევრების (შეიძლება, უმნიშვნელო გამონაკლისით), გონებრივი ინტერესები იმდენად იდენტური იყო, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ განათლებული პოლიტბიუროს წევრების „ფილოსოფიით" გაოგნებული სტალინი, უფრო მართებული იქნებოდა ტროცკის განცხადება: სტალინი, ისე როგორც მძარცველების, მაუზერისტების, შანტაჟისტების საზოგადოებაში, ბოლშევიკურ პოლიტბიუროს წევრებს შორისაც თავისუფლად და ლაღად გრძნობდა თავს.

ტროცკი ყოველგვარი საფუძვლიანი საბუთის გარეშე ემხრობა ჭორს იმის თაობაზე, რომ გერმანელი ემილ ლუდვიგის შეკითხვებით განაწ-

[1] „ცისკარი", №5, გვ. 94, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მები სტალინი დაბნეული და უმწეო იყო. ასეთი აზრის დასასაბუთებლად არსებობს მხოლოდ ერთადერთი მართებული საშუალება, ანალიზი ტექსტისა, რომლითაც სტალინი ინტერვიუერს პასუხობდა. ტროცკიმ, სავსებით გასაგები მიზეზის გამო, თავი აარიდა ასეთ სამუშაოს. სტალინის პასუხებში იგი ვერსად შეხვდებოდა დაბნეული და განაწამები კაცის აზროვნებას.

ტროცკი ყოველთვის მზად არის სტალინის ცხოვრების ნებისმიერი ეპიზოდის ახსნა, დაწყებული სასულიერო სკოლის მერხიდან, ბოლშევიკი დიდებულის სავარძლამდე, თავის განზრახვას დაუმორჩილოს. „სტალინის" ავტორის მიზანია, წიგნის დასაწყისშივე შექმნას საფუძველი იმის ნათელსაყოფად, რომ ჯუღაშვილი არაფრით გამოირჩეოდა თანატოლ ბავშვებს შორის და მუდამ აშკარა ორდინალურობით ადასტურებდა თავისი პიროვნების უფერულ საშუალოობას.

სიმართლე კი ასეთია: სტალინის უპირველესი თვისება სიყრმიდან სიკვდილამდე სწორედ არაჩვეულებრიობა იყო, მის ექსტრავაგანტურ ხასიათს საგანგებოდ ეხება სემინარიელი თანაკლასელი, სტალინის იდეური მტერი, იოსებ ირემაშვილი: „სოსოს პატივმოყვარეობას ისიც ალომავებდა, რომ სასწავლებელში ყველას გვჯობნიდა. არაბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ ახალგაზრდა მარქსისტული ჯგუფის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი სხვა ყოფილიყო... იცოდა, რომ მასავით ცხარე კამათი არც ერთ ჩვენთაგანს არ შეეძლო".[1]

ბუნებრივია, ირემაშვილს გაცილებით კარგად ეცოდინებოდა სტალინის სემინარიული ცხოვრების ავ-კარგი, ვიდრე ტროცკის, ასე რომ ჯუღაშვილი იძულებული იყო, სემინარია აკადემიური ჩამორჩენილობის გამო მიეტოვებინა. ტროცკის სურვილია; სურვილი, თორემ მან მშვენივრად იცის: „სოსო ჯუღაშვილი დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრების გამო სემინარიაში უფასოდ ჩარიცხეს, იგი უფასოდ იღებდა სამჯერად კვებას, თეთრეულს, ფეხსაცმელს და სასწავლო ნივთებს"[2]. სხვა ადგილას ირემაშვილი წერს: „სოსო ჯუღაშვილი საუკეთესო, მაგრამ ურჩი მოწაფედ ითვლებოდა"[3].

იგივე ავტორის ერთ განცხადებაში კი: დახასიათება, რომელიც სემინარიის ხელმძღვანელობამ სოსოს ბოლო მეექვსე კლასში გადასასვლელად მისცა, იმდენად ცუდი იყო, რომ მან სემინარიის მიტოვება გადაწყვიტა... ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ აუცილებელი იყო სემინარიის დამთავრება. 1899 წელს კობამ მიატოვა სემინარია"[4]. ყველაფერი გარკვეულია: სტალინმა პროტესტის ნიშნად მიატოვა სემინარია და არა მოუსწრებლობის გამო.

ტროცკი არ ცნობს სტალინის პროტესტანტულ მიდრეკილებას. ასეთი განწყობილების შემთხვევაში იგი მეამბოხე უნდა ყოფილიყო, რაც ახლოა რევოლუციონერის ფსიქოლოგიასთან. ტროცკის კი მიაჩნია, რომ სტალინი მოკლებული იყო ბუნების ასეთ „საჩუქარს" —იგი მეამბოხე არ ყოფილა.

„გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების წყალობით იოსები სემინარიაში სრულ კმაყოფაზე მიიღეს. მისცეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სახელმძღვანელოები. რაც, კიდევ ვიმეორებ, არ მოხდებოდა, ის რომ მეამბოხე ყოფილიყო"[1], ეს ტექსტი არ არის უბრალოდ მოვლენის რეტროსპექტული შეფასება.

ტროცკის ჯუღაშვილის ფრიადოსნობა ამჯერად მისი მეამბოხეობის უარსაყოფად ჭირდება, ამიტომაც იზიარებს აზრს „ფრიადოსნობის" შესახებ. სასულიერო სემინარიაში ჯუღაშვილის ჩამორჩენილ მოწაფედ წარმოდგენა მას ჭირდება სტალინის უნიჭობის დასამტკიცებლად და არ იზიარებს არავის აზრს სემინარიაში მისი აკადემიური წარჩინებულობის თაობაზე. ასეთი „პრინციპულობის" მიზანი განმარტებას არ მოითხოვს. მაგალითი კი, მოვიტანეთ, როგორც საბუთი ტროცკის თვითნებური დამოკიდებულებისა ფაქტებისადმი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში „სტალინი" გამოყენებულ წყაროთა უმრავლესობა მხოლოდ მაშინ არის აღიარებული სანდო მასალად, თუ იგი ადასტურებს ტროცკის მოსაზრებას. ერთი და იგივე წყაროდან ზოგი ადგილი მიჩნეულია სანდოდ, ზოგი კი არა.

ტროცკის საგანგებოდ მოჰყავს ყველა მოწმის ჩვენება, რითაც „იძენს" ობიექტური ოპონენტის ავტორიტეტს. შემდეგ კი ამტკიცებს, რომ არის საკმაო საფუძველი, არ ვენდოთ მოწმეებს, სინამდვილეში იგი ცდილობს გააყალბოს წარსული.

კაპანაძის აღიარებას, რომ 18 წლის მოწაფეობის და 35 წლის მასწავლებლობის განმავლობაში მას არ შეხვედრია ჯუღაშვილისდარი ნიჭიერი მოსწავლე, ტროცკი გადაჭრით უარყოფს იმ მოტივით, რომ „კაპანაძის მოგონებები განსაკუთრებული გულწრფელობით არ გამოირჩევა"[2].

გლურჯიძის აზრს, რომ სტალინი სწავლობდა ფრიადზე და ერთ-ერთი პირველი მოწაფე იყო —ძალზე გაუზარებია ტროცკი და საგანგებოდ მიუთითებს, რომ აქ ნათქვამია „ერთ-ერთი" და არა „ერთადერთი". იგი ეთანხმება ელისაბედაშვილის აზრსაც: „იოსები იყო ერთ-ერთი უღარიბესი და ერთ-ერთი ნიჭიერი"[3]. წიგნის ავ-

[1] ი. ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია, გაზ. ერი 12.06.91.
[2] ი. რამიშვილი, იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

[1] „ცისკარი", № 1. იქვე.
[2] „ცისკარი", იქვე, გვ. 130.
[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორმა იცის გოგოხიას აზრიც იმის შესახებ, რომ იოსები „მომზადებით“ და „განვითარებით“ „ბევრად მაღლა იდგა თავის ამხანაგებზე“. მაგრამ მიაჩნია, რომ გოგოხიას აზრი ბუნდოვანი და დაუზუსტებელია! „გოგოხია არ აზუსტებს, რა ადგილი ეკავა იოსებს კლასში“[1], უსაფუძვლოდ საყვედურობს ტროცკი. შემდეგ კი მოულოდნელად დაასკვნის: „უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა კლასში საქმე სხვადასხვანაირად იყო ანდა ზოგიერთ მოგონებათა ავტორი თავად იდგა მეცნიერებათა შესწავლის არიერგარდში და ვერ ამჩნევდა მოწინავე მოსწავლეებს“[2]. თუ ტროცკისათვის სტალინის მოწაფეობისდროინდელი ბიოგრაფებისადმი ნდობა-არნდობის კრიტერიუმი ის არის, რომელი ბიოგრაფი სად იდგა მოწაფეობის წლებში, მეცნიერების შესწავლის „ავანგარდში“ თუ „არიერგარდში“, თვითონ კი უძლურია მათი აზროვნების სამეცნიერო დონის შესახებ იცოდეს, მაშინ იგი კარგავს უფლებას, ენდოს გლურჯიძეს ან ელისაბედაშვილს და არ ენდოს გოგოხიას ან ირემაშვილს. ბოლოს და ბოლოს, განა ნათელი არ არის, რომ შეიძლება წარჩინებულსაც და ჩამორჩენილსაც კარგად ახსოვდეს, მისი თანაკლასელთაგან ვინ როგორ სწავლობდა. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე უკვე იოსებ სტალინს ეხებოდა და არა სოსო ჯუღაშვილს, წარსულის მოგონება ნამდვილად სახიფათო გახდა.

ტროცკის შეეძლო განევითარებინა აზრი, რომ სტალინის ყველა დასახელებული ბიოგრაფი პანეგირიკის ავტორია, რომ საბჭოეთში მცხოვრებ არც ერთ მათგანს გარდაუვალი სასჯელის შიშით სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ასეთი მოტივი გაცილებით დამაჯერებელი, საფუძვლიანი, მომგებიანი იქნებოდა.

რატომ არ გამოიყენა ჭკვიანმა ტროცკიმ ასეთი შესაძლებლობა? გამოიყენა, მაგრამ ნაწილობრივ, რითაც შესაძლებლობა დაიტოვა, თვალი აერიდებინა ჯუღაშვილის მოწაფეობისდროინდელი მოწმის იოსებ ირემაშვილის ჩვენებისათვის, რომელმაც სტალინის შესახებ მოგონებები გერმანიაში გამოაქვეყნა და არა საბჭოეთში. ირემაშვილმა ტროცკიზე ადრე და ერთ-ერთმა პირველმაც მსოფლიოს გასაგონად თქვა მართალი სიტყვა სტალინის შესახებ, როცა გერმანულ ენაზე ბერლინში გამოსცა წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, სადაც აღნიშნულია, რომ სტალინისა და ორჯონიკიძის „მამულიშვილური“ მცდელობის შედეგად 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა კვლავ დაიპყრეს და დიდი ხნით დაასამარეს საქართველოს თავისუფლების იდეა.

„29 თებერვალს მიხაილოვის საავადმყოფოს ეზო გვამებით აივსო, საავადმყოფოს ოთახები ველარ იტევდა დახოცილებს. ეზოს გარშემო მწუხარებისგან თავზარდაცემული ქალები და ბავშვები იდგნენ. სულიერად გატეხილი ჭირისუფლები ფეხზე ველარ იდგნენ და გული მისდიოდათ. ზოგი მიცვალებულის გვამზე დამხობილიყო, თითქოს მოთქმა-გოდებით მკვდრის გაცოცხლებას ცდილობდნენ... „შემზარავი იყო ;სისხლიანი, სამშობლოს მოღალატე სტალინის დანაშაული“[1]. ხომ არ შეიძლება ასეთი სტრიქონების ავტორს შეშინებოდა, ეთქვა, სტალინი რომ სკოლაში არავითარი ნიჭით არ გამოირჩეოდა. ამიტომ მიგვაჩნია სიმართლედ მისი ნათქვამი სოსო „სასწავლებელში ყველას გვჯობდა“.

ბუნებრივია, ტროცკის აქვს უფლება, არ ენდოს არც ერთ წყაროს, რომელიც ამტკიცებს, რომ სოსო ჯუღაშვილი სკოლაში ან სემინარიაში კარგად სწავლობდა, მაგრამ როცა საკუთარ აზრი მკითხველის სამსჯავროზე გააქვს, აუცილებელია მტკიცების სასარგებლოდ სერიოზული საბუთი გაგაჩნდეს. ტროცკის არ შეუძლია ასეთი საბუთის დამოწმება, რადგან იგი არ არსებობს და ცდილობს ჯუღაშვილის უნიჭობა ახსნას საერთოდ ქართველის გონებრივი განუვითარებლობით, ოღონდ ისე, რომ ასეთი აზრის ინიციატივა სხვისგან მოდიოდეს, თვითონ კი „იძულებით“ დაეთანხმოს.

არა მგონია, რომ ტროცკის გააჩნდა რაიმე საფუძველი ქართველი ხალხის სიძულვილისათვის, მაგრამ დაუძლეველ სურვილს — ნებისმიერი საშუალებით დაამციროს თავისი მარადიული მტერი, იგი მთელი ერის წინაშე დანაშაულამდე მიჰყავს. „ქართველებმა კავკასიის მთების წყალობით შედარებით წმინდათ შემოინახეს ეთნიკური სახე და ენა, რომელსაც ფილოლოგებმა, ვგონებ, დღემდე ვერ მოუნახეს კუთვნილი ადგილი. დამწერლობა საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნეში შეიქმნა, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევასთან ერთად, რაც ექვსასი წლით უსწრებს კიევის რუსეთის მოქცევას. X-XIII საუკუნეები საქართველოს სამხედრო ძლიერების, მისი ხელოვნების და ლიტერატურის გაფურჩქვნის ხანად ითვლება“[2]. ტროცკისაგან თქმული ასეთი სიმართლე სულაც არ არის ჭეშმარიტებისათვის გადახდილი ხარკი; ამით მას სურს, აიცილოს დანაშაული, რომელსაც ნამდვილად სჩადის ქართველი ხალხის წინაშე. საქართველოს ისტორიიდან ზემოთქმული სიმართლე, არის მსხვერპლი, რომელიც შურისმძიებელ ვნებებს ეწირება. ჩემი აზრის დასადასტურებლად განვაგრძობ ტროცკის „მონოლოგს“. „XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე რუსეთის მფარველობაში შევიდა... პეტერბურგის ბიუროკრატიამ ორი ასწლეულის განმავლობაში ვერ შესძლო ძველი

1 იქვე.
2 იქვე.

1 გაზ. ერი 31 ივლისი 1991 წ.
2 ლ. ტროცკი „სტალინი“ ჟურნ. „ცისკარი“ გვ. 123. 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიური ბარბაროსობის აღმოფხვრა ევროპული კულტურით"[1].

თუ ტროცკის დავუჯერებთ, თურმე რუსეთის იმპერია მთელი ორასი წლის მანძილზე იმის ცდაში ყოფილა, როგორმე საქართველოში ევროპული კულტურა დაენერგა. ალბათ, ასეთი სურვილის ასრულებას „ემსახურებოდა" გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც საქართველოს დიდებული ტაძრების უძვირფასესი ფერწერული ფასეულობანი ბათქაშის სქელი ფენით დაიფარა. ქართული უძველესი არქიტექტურის შედევრები, ეკლესიათა ულამაზესი ქონგურები მოინგრა, მათ ადგილას ხახვისთავა უსახური ლითონის გაბერილი მასა წამოსკუპდა. წმინდა სალოცავები წაიბილწა და ულამაზეს ხატთაგან განიძარცვა. ეროვნული სკოლები აიკრძალა. ქართულ ენას ოფიციალური არსებობის უფლება წაერთვა. გაუგონარი სისასტიკით ჩაიხშო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ყველა გამოსვლა.

სხვა ქვეყნის და ხალხის შეწევნისა და განათლების დიდი სურვილიც, რომ ჰქონოდა, თვითონ ღატაკსა და მიუსაფარ რუსეთის ცარიელ იმპერიას არა და არ შეეძლო არათუ სხვისა, საკუთარი ხალხის მონური მდგომარეობის ოდნავ შემსუბუქებაც კი.

იქნებ ტროცკი იმედოვნებდა, რომ მკითხველის გონებას დათრგუნავდა „დიდი" პეტერბურგის „მსოფლიო ავტორიტეტით", ამიტომ მიაკუთვნა პეტერბურგის ბიუროკრატიას განმანათლებლის მესიანური როლი. მაშინ ჩვენ შეგვიძლია, შევეკითხოთ განათლებულ და მიუკერძოებელ ევროპელებს, რას წარმოადგენდა პეტერბურგის ბიუროკრატია XIX საუკუნეში; ასეთ შემთხვევაში თუნდაც ფრანგი სწავლული, მწერალი, მოგზაური, თვითმხილველი გრაფი დ' კიუსტინიც საკმარისია, რომელსაც ეკუთვნის სამასგვერდიანი ტომი „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი".

„ეს წიგნი მოევლინა რუსეთის თვითმპყრობელობას, როგორც უსასტიკესი და უაპელაციო განაჩენი"[2]. წიგნმა დიდი, ძალიან დიდი ლაშქრობა გადაიტანა; ომი მეფის ტახტის ერთგულმა დამცველებმა გააჩაღეს, მათი იარაღი იყო ცილისწამება, ლანძღვა, დაცინვა, მუქარა, მაგრამ ავტორს წარბიც არ შეუხრია. „რუსული სახელმწიფოებრივი წესწყობილება, ეს სასტიკი სამხედრო დისციპლინაა ნაცვლად სამოქალაქო მმართველობისა, ეს — პერმანენტული სამხედრო მდგომარეობაა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს ნორმალურ მდგომარეობად".

ბიუროკრატია, ვისაც ტროცკი კოლონიებში ევროპული კულტურის დანერგვას „აბრალებს", ვინც მოვალე იყო, დაეცვა მეფისა და სახელმწიფოს ინტერესები ყველგან უზარმაზარ იმპერიაში, „გამსჭვალულია თავისი სიდიადის შემწეობით, პატივისცემით მომეპყარით, მე დიდი სახელმწიფოს მანქანის ნაწილი ვარ, ხოლო სახელმწიფოს მექანიზმის ეს ნაწილები, რომელიც ბრმად ასრულებენ სხვის ნებას, მხოლოდ საათის პატარა ბორბლებს მოგვაგონებენ, — რუსეთში კი მათ ადამიანებს უწოდებენ, როდესაც ამ ავტომატებს ვუყურებდი, მე ტანში ჟრუანტელი მივლიდა... რაოდენი არაბუნებრიობაა ადამიანში, რომელიც უსულო მანქანად არის გადაქცეული"[1], აღნიშნავს შეშინებული და გაკვირვებული გრაფი.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის შემოქმედებას ან რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას, მან არ შეიძლება არ დაინახოს, რომ კიუსტინის ცნობები „დედნების" სრულ „ასლებს" წარმოადგენენ. ვინ ვინ, მაგრამ ტროცკიმ შესანიშნავად უწყოდა ყველაფერი, რისთვისაც ფრანგი გრაფი შევაწუხეთ და მაინც... მეფის რუსეთის უსაფუძვლო ოფიციალური პროპაგანდის ინერციამ, „დაუსჯელობის" შეგნებამ, სტალინისადმი ანგარიშსწორების სურვილმა ჰკვიან ტროცკის დაავიწყა, რომ განსჯისას გონებამ უნდა იბატონოს და ასეთი სიყალბე თქვა: რუსეთის ბიუროკრატია საქართველოში ბარბაროსობას ევროპული კულტურით ებრძოდაო.

აუცილებლად მიმაჩნია, აქვე შევნიშნო ტროცკის წიგნიდან ზემოთ მოყვანილ ბოლო ციტატაში ერთი არასწორი ისტორიული ცნობის შესახებ: „XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველო მეფე რუსეთის მფარველობაში შევიდა". თუ ტროცკი გეორგიევსკის ტრაქტატს გულისხმობს, ეს ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო 1788 წელს, რაც XVIII საუკუნის დასასრულია და არა დასაწყისი. თუ რუსეთ-საქართველოს შეერთებას გულისხმობს, ეს მოხდა 1801 წელს, ე. ი. XIX საუკუნის და არა XVIII საუკუნის დასაწყისში. ჩანს, ტროცკის მართლა ჰგონია რომ საქართველო რუსეთის მფარველობაში XVIII საუკუნის დასაწყისში შევიდა; სხვანაირად XX საუკუნის 80-იან წლებში ვერ იტყოდა, რუსეთ-საქართველოს შეერთების შემდეგ 200 წელი გავიდაო. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტროცკის ასეთი დაუდევრობა საგანგებო ყურადღებას არ იმსახურებს. მე მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია, რამდენადაც აღნიშნული გაუგებრობა ერთია იმ მრავალთაგან, რითაც დასტურდება ტროცკის ზერელე დამოკიდებულება საქართველოს ისტორიისადმი.

ზოგჯერ ტროცკი ვრცელ პასაჟებს მიმართავს, რათა მრავალსიტყვაობაში „შეუმჩნევლად" ჩაა-

---

1 იქვე, გვ. 124

2 მარკიზ დ'კიუსტინი „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი" გვ. 31, 1935 წ.

1 იქვე, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეროს წინადადება, რომელიც მას აუცილებლად სჭირდება თავისი აზრის გამაგრებისათვის.

„ბუნებრივი სიმდიდრისა და კეთილი კლიმატის მიუხედავად, საქართველო მეტისმეტად ჩამორჩენილი, ღარიბი და ნახევრად ფეოდალური ქვეყანა იყო განუვითარებელი მატერიალური ბაზით. მას უფრო აზიური პატრიარქალიზმი ახასიათებდა, რაც აზიურ სისასტიკესაც არ გამორიცხავდა"[1].

ამ წინადადებაში მკითხველისათვის და ტროცკისთვისაც მთავარი და საინტერესოა სიტყვები „აზიელი" და „სასტიკი".

ტროცკის ლექსიკაში სიტყვა აზიელი ან აზიური იმდენად განსხვავებულ შინაარსს ატარებს, რომ იძულებული ვარ, საგანგებოდ განვმარტო ვინ ან რა მიაჩნია მას აზიელად ან აზიურად.

ტროცკისათვის სიტყვები „აზიელი" და ქართველი სინონიმებია, მაგრამ ზოგჯერ, როცა იგი „ბრალდებას" უყენებს ქართველს — ამჯობინებს გამოიყენოს მიმართვის ფორმა „აზიელი", ფიქრობს, რომ ასეთი მიმართვა აბუნდოვნებს ადრესატის ეროვნულ ვინაობას, რაც არბილებს შეურაცხყოფის სიმწვავეს. ტროცკის მიაჩნია, რომ ქართველებს, როცა მათ „აზიელობისა" და არა „ქართველობის" საფუძვლით ლანძღავენ, ეროვნული შეურაცხყოფის გამოაშფოთების საბაბი აღარ გააჩნიათ. ასეთი ფორიად „დელიკატური" დამოკიდებულება ფაქიზი ეროვნული გრძნობებისადმი საერთოდ დამახასიათებელი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის „განსწავლული" წევრებისათვის, მათი „ინტერნაციონალური" ბუნება ვერ „გუობდა" ეროვნულ საკითხთან დაუდევრად მისვლას.

„როგორც კი კავშირი გავწყვიტეთ სტალინთან, მაშინვე შევადგინე რაღაც „ანდერძის" მსგავსი, სადაც ვწერთ, რომ თუ ჩვენ შემთხვევით მოვკვდებით, ამაზე პასუხისმგებელი იქნება სტალინი. ეს დოკუმენტი საიდუმლო ადგილას ინახება, გირჩევთ, თქვენც იგივე გააკეთოთ, ამ აზიელისაგან ყველაფერს უნდა ველოდეთ."[1]. ეს სიტყვები ეკუთვნის კამენევს, რომელიც ერთ დროს ტროცკის თანამოაზრე და პარტიული ამხანაგი იყო.

კამენევის ეს თვისთავად საინტერესო „მონოლოგი" ამჟამად მოვიყვანე მხოლოდ ერთი სიტყვისათვის — „აზიელი", რაც, რა თქმა უნდა, ტექსტში ქართველს ნიშნავს. კამენევს პანიკური შიშის ჟამსაც არ სტოვებს დელიკატურობა, არ სურს ქართველებს „აწყენინოს".

ტროცკისთან ისე როგორც „აზიელს", „კავკასიელსაც" გარკვეული როლი აკისრია. მისთვის, და არამარტო მისთვის, სავსებით „ბუნებრივია" გამოთქმა კავკასიური ჩვეულება"; ასეთი გამოთქმის აზრი ყოველთვის გაუგებარია. არ არსებობს ერთიანი კავკასიური ჩვეულება, რომელიც საერთო იყოს ქართველის, სომხისა და აზერბაიჯანელისათვის. რა თქმა უნდა, ხალხების ჩვევები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ასეთი ჩვევები, უბრალოდ, ადამიანურია და არა კავკასიური. ერთი სიტყვით, კავკასიური ჩვევა, სისხლი, ხასიათი, სისასტიკე, სიყვარული და ა. შ. ყოვლად უმისამართო და გაუგებარი ცნებებია და, მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში, ზეპირმეტყველებაში, სამოსწავლო წიგნებში არსებობის უფლება გააჩნიათ, რაც არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია მართებულად.

ვაღიარებ, რომ გრძელი ექსკურსი გამომივიდა, მაგრამ იქნებ ღირდა გადახვევად. გადაუხვიეთ კი იქედან, სადაც ტროცკი საქართველოს ისტორიაში საგანგებოდ გამოყოფს „აზიურ" პატრიარქალიზმს და სისასტიკეს. დაუბრუნდებით ძირითად თემას. ჩვენ ვიცით, რომ ტროცკი საქართველოს ისტორიის მკვლევარი არ არის და წიგნი „სტალინი" ამ საკითხს არ ეძღვნება ავტორისათვის ისტორიის დამოწმება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დაეხმარება, აჩვენოს, როგორ, სად და რა გარემოში ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნება, რამ განაპირობა მისი ხასიათის სისასტიკე. სწორედ აქ ჭირდება ტროცკის, ქართულ „აზიური" სისასტიკე და „პატრიარქალიზმი" სასტიკი აზია ან საქართველო ბუნდოვანი ცნებაა. გაგება მხოლოდ ისე შეიძლება, როგორც ტროცკის სურს: „ქართველი კაცი სასტიკიაო".

ისე რომ სტალინის სისასტიკის საფუძველი ახსნილია მისი ქართველობით. მსგავსი თვალსაზრისის განვითარებისას ტროცკი „უპირატესობას" ყოველთვის „სხვის" აზრს ანიჭებს. მიუხედავად არაორიგინალურობისა ასეთი მეთოდი ეფექტურია. იგი მკვლევარს მიუკერძოებლის ავტორიტეტს უქმნის, მითუმეტეს, თუ საშუალება აქვს, ისტორიაც დაიმოწმოს. ტროცკი იცის, რომ ისტორიის მეხსიერებას შთამაგონებელი ძალა გააჩნია და გარკვეულად ხალხის ფსიქოლოგიასაც განსაზღვრავს.

X, XIII საუკუნეები საქართველოს სამხედრო ძლიერების, მისი ხელოვნების და ლიტერატურის გაფურჩქვნის ხანად ითვლება, შემდგომ მოდის უძრაობისა და დაცემის ასწლეულები, ჩინგიზხანისა და თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა თავისი კვალი დატოვა ქართულ ეპოსშიც"[1], აღნიშნავს ტროცკი ასეთი სიმართლის შემდეგ ბუნებრივი იქნებოდა მოსაზრება: ველურთა შემოსევებს და ბატონობას გარკვეული კვალი შეეძლო დაეტოვებინა დაპყრობილი ხალხის ხასიათში, მაგრამ ამ მხრივ პასიური ვერც „გაფურჩქვნილი" ხელოვნება და ლიტერატურა იქნებოდა. ტროცკის კარგად ესმის ასეთი ლოგიკა და თავს ითავისუფლებს „პასუხისმგებ-

[1] ლ. ტროცკი, „სტალინი", ჟურნალი „ცისკარი", № 1, გვ. 124, 1991 წ.

[1] ცისკარი №1 გვ. 123-124, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისაგან“. ამით აიხსნება ზემოთ მოტანილი აზრის არაბუნებრივი გაგრძელება: „თუ ბედკრულ ბუხარინს ვენდობით მათი კვალი თვით სტალინის ხასიათშიაც გამომჟღავნდა“[1]. ტროცკის მიზანი მიღწეულია, მან ბუხარინის „მოწმობით“ „დაამტკიცა“, რომ სტალინის ხასიათი მისი სამშობლოს ისტორიითაც არის განპირობებული. „თუ ბედკრულ ბუხარინს ვენდობით“ — ტროცკისთვის მოულოდნელი შემთხვევის დროს უკან დასახევი გზაა.

თუ დავწრილმანდებით“, ტროცკის ან ბუხარინის ლოღიკას მოვიშველიებთ, „ჩინგისელთა“ ბატონობის კვალი ბუხარინის ხასიათში — რო ჭარბად უნდა დარჩენილიყო, ვიდრე სტალინისაში. საქართველოში მონღოლები მხოლოდ ასი წელი ბატონობდნენ, რუსეთში 1227 წლიდან, ვიდრე 1480 წლამდე. ისტორიკოსის მოვალეობა მაიძულებს. ისიც აღვნიშნო რომ ზემოთ მოყვანილი ტროცკისეული ციტატის ერთი ადგილი აუცილებლად მოითხოვს მცირე კორექტივს.

ჩინგის ხანს არასოდეს ულაშქრია საქართველოში — მონღოლები აქ პირველად მოვიდნენ 1220 წელს, ლაშა გიორგის მეფობის დროს. ამჯერად მათ ვერ მოახერხეს საქართველოს დაპყრობა, თუმცა ასეთი განზრახვა არც ჰქონიათ. საქართველოს დაპყრობას მონღოლები 1235 წლიდან იწყებენ, ამდროისათვის ჩინგიზ ყაენი ცოცხალი აღარ იყო.

ტროცკი წიგნის „სტალინი“-ს წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავს „მე უყურადღებოდ არ დამიტოვებია არც ერთი ფაქტი, დოკუმენტი და ჩვენება, რომელიც ამ წიგნის გმირის სასარგებლოდ ილაპარაკებდა. თუ ფაქტების კეთილსინდისიერი შეკრება და გამოწვლილვითი შესწავლა, ისტორიული და ბიოგრაფიული ჟანრისათვის მიღებული წესით მოწმეთა ჩვენების განჩხრეკა და, ბოლოს, პირად ცხოვრებისეული ფაქტების გამოყენება ობიექტურობად არ ჩაითვლება, ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ — რაღაში მდგომარეობს იგი“?![2] ასეთი სიცრუის მსხვერპლი, უპირველეს ყოვლისა, მისი მთქმელია, რადგან ძნელია დააჯერო სხვა იმაში, რისიც შენ თვითონ არ გჯერა.

ტროცკი, ცამდე მართალია, როცა აღნიშნავს, რომ უყურადღებოდ არ დაუტოვებია სტალინის შესახებ არც ერთი ხელმისაწვდომი ცნობა, რომელიც მის „სასარგებლოდ ილაპარაკებდა“, მაგრამ თითქმის არც ერთი ასეთი აზრი არ გაიზიარა, რაც ყოველთვის ვერ აიხსნება საბუთის არადამაჯერებლობით. ჩემი ამ მოსაზრების დამადასტურებელი შემთხვევები უკვე ვნახეთ, როცა ჯუღაშვილის მოწაფეობის პერიოდს შევეხეთ.

აი, როგორ მსჯელობს „ობიექტური“ ტროცკი: „ქართველ თავადაზნაურთა ახალი თაობა უნივერსიტეტისაკენ ისწრაფვოდა, არღვევდა თავის წოდებრივ ტრადიციებს, რომელთაც რუსეთის ცენტრებში სერიოზულად არავინ უყურებდა და რუს სტუდენტთა რადიკალურ ჯგუფებს ეძლეოდა... ამის შემდეგ საქართველოში გაჩნდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია.[1]

როგორც ვხედავთ, ტროცკი ცდილობს იყოს ობიექტური, მაგრამ თვლის, რომ ცოტა ზედმეტი მოუვიდა. ფიქრობს, უხერხული იქნება უინტელექტო სტალინის სამშობლო „მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის“ ქვეყნად მიიჩნიონ და იქვე მოჰყავს „ობიექტური“ ტროცკის საწინააღმდეგო „სერიოზული მეცნიერული“ მოსაზრება: „გერმანელი მწერალი ბოდენშტედტი, რომელიც ცოტა ხნით თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი იყო, იმ დასკვნამდე მივიდა რომ, ქართველები არა მარტო ფეთხუმები და ფუქსავატები არიან, არამედ კავკასიის სხვა ერებთან შედარებით ნაკლებინტელიგენტებიც. ისინი ჩამორჩებიან თათრებს და სომხებს მეცნიერებათა ათვისებასა და უცხო ენების შეთვისებაში“[2].

ტროცკი „ცდილობს“, არ დაეთანხმოს ქართველებისათვის ასეთ შეურაცხმყოფელ აზრს, მას ერთობ ნაჩქარევ დასკვნას უწოდებს, მაგრამ შემდგომ მაინც ნებდება „მეცნიერულობის“ ყოვლისშემძლეობას და მთლიანად იზიარებს თავისი აზრის საწინააღმდეგო „სიმართლეს“. აი, რას ამბობს „ჭეშმარიტების“ წინაშე ხელაწეული ტროცკი: „ამ ერთობ ნაჩქარევ დასკვნას რომ განიხილავდა, ელიზე რეკლიუმ გამოთქვა ჭეშმარიტად მართებული მოსაზრება, რომ აღნიშნული განსხვავება უნდა აიხსნას არა ეროვნულობით, არამედ სოციალური მდგომარეობით“[3], თუ მოხმობილ აზრს ერთხელ კიდევ გულისყურით წავიკითხავთ და კარგად გავაცნობიერებთ, ქართველები იქნებ ტროცკის დიდად „კმაყოფილები“ დავრჩეთ იმის გამო, რომ მან „გულმოწყალედ“ დაუჭირა მხარი ვერსიას, რომლის ძალითაც ქართული „ფეთხუმობა“ და „ფუქსავატობა“ სოციალური მდგომარეობით უნდა აიხსნას და არა ეროვნულობით. აი, როგორ ახერხებს ტროცკი, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ყოველთვის დარჩეს „დემოკრატად“ და ხალხთა „ძმაგად“.

ტროცკი წიგნის შესავალში ამბობს: „ამ ნაშრომში ვერავინ იპოვის ფაქტებისადმი არასინდისიერ დამოკიდებულებას“. ვნახოთ, როგორ ასრულებს იგი დანაპირებს: „არაფრით არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქოს ქართველები მოკლებული არიან თავისუფალი მეტყველების უნარს (ტროცკი არ გვიმხელს, ვის აზრს აკრიტიკებს — გ. ნ.) ცარიზმის ბატონობის ჟამს ისინი, როგორც იმპერიის სხვა ხალხები, დუ-

[1] იქვე.
[2] ჟურნ. „ცისკარი“ № 1. გვ. 122.

[1] იქვე, გვ. 124.
[2] იქვე
[3] იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილისათვის იყვნენ განწირულნი, მაგრამ რუსეთის „ევროპეიზაციის“ პარალელურად ქართულმა ინტელიგენციამ წარმოშვა ჯერ სასამართლოს, შემდგომ კი საპარლამენტო ტრიბუნის, თუ პირველი კლასის არა, ყოველ შემთხვევაში, დიდად გამოჩენილი ორატორები“[1].

არ ვიცით, ვინ რა დამსახურებად ჩაუთვლის ტროცკის ქართველი ხალხის ნიჭიერების დამადასტურებელ ასეთ „ძვირფას“ საბუთიანობას, ის კი აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ ტროცკის მსჯელობა ქართველების ნიჭიერების თაობაზე ძალიან ჰგავს ოფიცრის უაზრო ქადაგებას, პეტერბურგიდან მომავალ ილია ჭავჭავაძეს ლარსის „სტანციაში“ რომ შეხვდა;

ტროცკის განცხადება, რომ წიგნში „სტალინი“ ვერავინ იპოვის „მიკერძოებულ დასკვნებს“, ოდნავადაც არ ჰგავს სიმართლეს. მას თვითონაც არ სწამს, რომ მკითხველი ენდობა და საგანგებოდ აღნიშნავს: „არავინ არის ვალდებული, ბოლომდე ენდოს ავტორს, რომელსაც პირადი ინტერესი გააჩნია და რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ კაცის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისი ბიოგრაფიის დაწერაც ღმერთმა არგუნა“[2].

სტალინისადმი სიძულვილი არის ის ძალა, რომელიც არცთუ იშვიათად წარმართავს ტროცკის აზროვნებას, და აიძულებს, ძალზე სწრაფად შეცვალოს საკუთარ მტკიცებათა და უარყოფათა სისტემა. ერთ ადგილას იგი წერს, რომ ქართველი თავადაზნაურობა გლეხებისაგან „მხოლოდ და მხოლოდ მყვირალა ტიტულებით და წოდებრივი პრეტენზიებით თუ განსხვავდებოდა“. ყველაფერი გასაგებია; უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკური მდგომარეობა. თუ ასეთ განმარტებას გაიზიარებ, მაშინ აუცილებლად უნდა უარყო, რომ შესანიშნავ ცხენებზე ამხედრებულ ქართველ თავადებს ნადირობის ჟამსაც ძვირფასი ჩექმები ეცვათ და ფრიად მოყირჭებულ ცხოვრებას ეწეოდნენ. „ზოგჯერ ხარაზის ქოხს მოადგებოდა გახვითქულ ცხენზე მჯდომი თავადი ამილახვარი და ნადირობისას გახეულ ძვირფას ჩექმებს აკერინებდა, ვიწრო შუბლზე გრუზა თმაჩამოშლილი მეჩექმის ვაჟი კი სიძულვილით უყურებდა თავქეიფა მებატონეს... ქართველ თავადთა მოყირჭებულ ცხოვრებას არ შეიძლება ყმაწვილის შემეცნებაში თავისი ღრმა ნაკვალევი არ დაეტოვებინა“[1]. ერთი და იგივე საკითხის შესახებ ერთი ავტორის მკვეთრად განსხვავებული აზრი ყოველთვის გაუგებრობას იწვევს. ასეა მოცემულ შემთხვევაშიც.

„იოსები მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, როცა ყვავილი შეეყარა. ამ ავადმყოფობის კვალი სამუდამოდ შემორჩა მის სახეს როგორც სტალინის პლებეური წარმომავლობისა“[1]. ტროცკის ამ სიტყვებს კომენტარის გარეშე ვტოვებ, რადგან აშკარად ადასტურებს იმ აზრს, რისთვისაც მოვიყვანეთ.

[1] იქვე, გვ. 124.
[2] იქვე, გვ. 123.
[3] იქვე, გვ. 129.

თურმე ყოფილა შემთხვევა, როცა ლენინს სტალინისათვის „შესანიშნავი ქართველი“ უწოდებია. აი, რა პირობებში მომხდარა ასეთი „უსახო“ განსაზღვრება. გორკის ლენინისათვის მიუმართავს „შოვინისტურის საწინააღმდეგო ქმედების აუცილებლობაზე“. ლენინის პასუხი: „ნაციონალიზმის საკითხს კი, მთლიანად გეთანხმებით, საჭიროა უფრო სერიოზულად მივხედოთ. ჩვენთან ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და უველა ავსტრიული და სხვა მასალების შეკრების შემდეგ „პროსვეშჩენიე“-სთვის დიდ სტატიას წერს. ჩვენც სწორედ მას დავეყრდნობით“[2].

„შესანიშნავი ქართველი“, — აი, რა არ უნდა თქმულიყო ლენინის მიერ, მაგრამ, რახან ითქვა, ტროცკი „ვალდებულია“, განმარტოს, რატომ ითქვა: „პარტიასთან დიდი ხნის წინ დაკავშირებული გორკი კარგად იცნობდა მის ხელმძღვანელ კადრებს, მაგრამ სტალინი, როგორც ჩანს, მისთვის სრულიად უცნობი იყო, რადგან ლენინი იძულებული შეიქნა ისეთი მოსაფერებელი, მაგრამ აბსოლუტურად უსახო განსაზღვრებისთავის მიემართა, როგორც არის „ერთი შესანიშნავი ქართველი“... მას მხედველობაში ჰყავდა არა მაინცდამაინც ქართველი, არამედ კავკასიელი. პირველყოფილობის ელემენტი, ეჭვგარეშეა. ხიბლავდა ლენინს, ტყუილად არ იყო, რომ ის ასეთი სინაზით ეპყრობოდა კამოს“[3]. ტროცკის გონება აქაც დაკავებულია საზრუნავით, რომ როგორმე დაამდაბლოს და დაამციროს სტალინის სამშობლო. თუ ეს, ჩემი ბრალდება ახირებაა, მაშინ რას ნიშნავს: „ლენინს მხედველობაში ჰყავდა არა მაინცდამაინც ქართველი, არამედ კავკასიელი“ ანდა როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა „პირველყოფილობის ელემენტი“, რომელიც თურმე ასე ხიბლავდა ლენინს. ერთი აშკარაა: „პირველყოფილებაში“ ტროცკი უეჭველად სიველურეს გულისხმობს, მაგრამ „შენდობა“ შეიძლება—მას ხომ სიტყვა ველური არ უხმარია. შემდეგ ყველაფერი უწყინარია. ცივილიზაციით და ურბანიზმით თავმობეზრებულ ინტელიგენტს სავსებით შესაძლებელია ხიბლავდეს მისთვის იშვიათი პირველყოფილება და სიველურე. ამიტომ ეპყრობოდა ლენინი განსაკუთრებული სინაზით კამოს. ამავე მოტივით არის თქმული „ერთი შესანიშნავი ქართველი“. ასეთია ტროცკის „უწყინარი“ აზრი, ასეთია მისი, „ცივილიზებული დიდებულის“, პირადი დამოკიდებულებაც კავკასიურ-ქართული პირველყოფილეობის „რომანტიკისადმი“.

[1] იქვე, გვ. 12.
[2] ჟურნ. „ცისკარი“, № 6, გვ. 91, 1991 წ.
[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სტალინს ჰქონდა „უძლური“ მარცხენა ხელი და ფეხზეც ორი შეზრდილი თითი. ეს ფაქტი მისთვის საფუძველია განაცხადოს: ეს იყო „მამის მხრიდან ალკოჰოლური მემკვიდრეობის უტყუარი ნიშანი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხარაზებმა, ყოველ შემთხვევაში ცენტრალურ რუსეთში, იმდენად გაითქვეს სახელი გამუდმებული ლოთობით, რომ საანეგდოტოდ იქცნენ“[1] გამოდის რომ ვისაც მარცხენა ხელი უძლური აქვს ან ფეხზე ორი შეზრდილი თითი, ყველას მამა ლოთია, და კიდევ გაუგებარია: რა საერთო უნდა ჰქონდეს ცენტრალური რუსეთის ლოთ ხარაზებს გორელ ხარაზ ბესო ჯულაშვილთან, ვითომ აუცილებელია ყველა ხარაზი ლოთი იყოს?

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ტროცკი დაუსაბუთებელ, ყოვლად მიუღებელ, უსაფუძვლო და უპასუხისმგებლო მოსაზრებებს გამოთქვამს: „XX საუკუნეში პატარა საქართველომ მოსკოვს თავს მოახვია საკუთარი მეფე“[2]. ამ განცხადების გამო ტროცკისათვის ვინმეს რომ სერიოზულად პასუხი მოეთხოვა, დამაკმაყოფილებელი მხოლოდ ასეთი განმარტება იქნებოდა: „ფრაზა მომეჩვენა ფრთიანი და საინტერესო აზრისათვის ყურადღება არ მიმიქცევია“ მაპატიონ ტროცკის წიგნის ქართულად მთარგმნელებმა (ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა), მეგონა, აზრი თარგმანში იყო დამახინჯებული; თარგმანი სავსებით იდენტური გამოდგა:

**«В начале XX века маленькая Грузия навязала Москве своего собственного царя»[3].**

ვკითხულობთ დედანში, საქართველოს ასეთი პოლიტიკური „აგრესიის“ უნარი იქნებ ქებადაც მიგვეღო, მაგრამ საფიქრებელია, ტროცკი ასეთი უაზრო ცილისწამებით ღვარძლს იქარვებდა ან იქნებ დანაშაულს იხსნიდა, რადგან სტალინის გახელმწიფებისათვის აუცილებლად დამნაშავეები არიან ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი უნიათობის, სილაჩრის და შიშის გამო, — რაც მოიპოვეს, ისიც არ დაეკარგათ — გზა ჯულაშვილს დაუთმეს.

გამოთქმის აზრი რომ ადვილად გასაგები გახდეს, მოვიყვანოთ ნოე ჟორდანიას თვალსაზრისი სტალინის ბოლშევიკად „დაბადების“ თაობაზე: „ის (სტალინი — გ. ნ.) ბოლშევიზმამდე იყო ბოლშევიკი, არა თეორიული მოსაზრებით, არამედ თავისი ბუნებით, ხასიათით და ამბიციებით; როგორც კი ახლა ლენინში ნახა ამ მისი მიდრეკილების თეორიული დასაბუთება“...[4] „ლენინის

[1] იქვე, გვ. 127.
[2] იქვე, გვ. 123.
[3] Л. Троцкий, «Сталин», том I, стр. 15. 1990.
[4] მე იოსებ სტალინი. გვ. 220, 1990 წ.

ახალი სახარება სავსებით უდგებოდა კობას ფსიქოლოგიას“[1].

სოციალისტური რევოლუციის შემდეგდროინდელ პოლიტიკურ გზაზე ტროცკი თვითონ იყო ერთ-ერთი გამორჩენილი მეგზური; მას არასოდეს უთამაშია საშუალო როლი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერაფრით შეძლო, წინ აღდგომოდა სტალინის წინსვლას, რითაც ხელი შეუწყო მის აღზევებას, შემდეგ მორცხვად „დამალა“ თავისი და თავისმსგავსთა დანაშაული, ყველაფერი „პატარა საქართველოს“ დააბრალა.

სტალინის ბიოგრაფიის წერისას ტროცკის ჰქონდა მიზანი: წინ წამოეწია ის ვერსიები, რომელიც ევროპაში უკვე ცნობილი იყო, მაგრამ ვერსია მოვლენის მხოლოდ ერთ-ერთი ახსნაა, იგი რომ ერთადერთად გადაიქცეს, აუცილებლად საჭიროებს ავტორიტეტის დასტურს. ასეთ ავტორიტეტად წარსდგა ტროცკი ევროპის წინაშე. ტროცკის პოლიტიკური ბიოგრაფია დამაჯერებლობას სძენდა მისი, როგორც თვითმხილველი ავტორის მონათხრობს. მან არ დააყოვნა და დიდი აზარტით შეუდგა ვერსიის განვითარებას, რომელსაც ევროპაში „შორიდან“ უკვე იცნობდნენ. ეს იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ რევოლუციის შემდეგ სოციალისტური რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოვიდა პატარა, ჩამორჩენილი, ველური ქვეყნის ველური შვილი, რომლის სისასტიკემ, დაუნდობლობამ და უგუნურობამ გააქარწყლა სოციალისტური რევოლუციის დიდი მონაპოვარი. ასეთი თეორია ხელს აძლევდა რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ყველა თამაშგარე დარჩენილ მესვეურს. მათ არც უფიქრიათ რევოლუციის შედეგებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრათ, იოლი გზა გამონახეს და ყველაფერი ქართველი სტალინის გაუგონარ სისასტიკეს და კაცთმოძულეობას დააბრალეს. თესლი ნამდვილად ნოყიერ ნიადაგში მოხვდა; სტალინი ჭეშმარიტად ის ადამიანი იყო, ვინც თავისი სისასტიკით ბოლშევიკი თანამოაზრეებისაგანაც კი გამოირჩეოდა. ეს ფაქტი „დამაჯერებლობას“ სძენს სტალინის პოლიტიკური ოპონენტების მტკიცებას, რაც გარკვეულად დღესაც აძნელებს რუსეთის „დიდი“ სოციალისტური რევოლუციის შედეგების ნამდვილი მიზეზების ახსნას, ახლაც არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ სტალინმა გააქარწყლა რევოლუციის დიდებული შედეგები. მან მიიტაცა გმირი რევოლუციონერების: ლენინის, კამენევის, ბუხარინის, რიკოვის და სხვათა დაფნები. გასაოცარია, რომ დღესაც არსებობის უფლება აქვს რასკოლნიკოვის ასეთ ბრალდებას:

**«В облагали и расстреляли многолетних соратников Ленина: Каменева и Зиновьева, Бухарина, Рикова... где герой Октябрьской революции? Где Бубнов?**

[1] იქვე.

ბიბლიოთეკა

Где Крценко? Где Антонов-Овсеенко? Где Дыбенко?.. Вы обокрали мертвых, убитых и опозоренных Вами людей и присвоили себе их подвиги»[1].

ამონაწერში ყველაფერი „წესრიგშია": სტალინმა ნამდვილად დახვრიტა თავისი თანამოაზრენი, თანამებრძოლნი, პარტიული ამხანაგები, მიითვისა მათი ნამოქმედარი. აქ მხოლოდ ერთი გაუგებარი ცილისწამებაა: სტალინს არ მიუთვისებია ლენინის არც ერთი თანამებრძოლის „გმირობა", „გამარჯვება" ან „დამსახურება". არც შეეძლო ასეთი რამ ჩაედინა, რადგან ბოლშევიკების თითოეული მეტ-ნაკლებად ცნობილი „დიდებულისათვის" უცხო იყო ჭეშმარიტი გმირობა, გამარჯვება, დამსახურება. ასეთი რამ ბოლშევიკების ისტორიაში არც არსებობდა და არც სტალინი საჭიროებდა მსგავს რამეს. იგი ნამდვილ და გამოგონილ მოვლენებს მუდამ თავისი „ავტორიტეტისათვის" საჭირო შინაარსს ანიჭებდა. ასე შეიქმნა ხალხთა დიდი ბელადის ახალი მდიდარი „შთამაგონებელი" ბიოგრაფია.

ტროცკი ხშირად ადასტურებდა სტალინის შესახებ არსებულ წარმოდგენებს; მან კარგად იცოდა, რომ მტკიცების დროს თვითხილვის ფაქტს ყოველთვის ახლავს მკითხველისათვის საინტერესო ინტიმი, ამიტომ იყო მომგებიანი სტალინით დაინტერესებული უდიდესი აუდიტორიისათვის ტროცკის მოთხრობები.

სტალინის დანაშაულთა ახსნაც მხოლოდ სტალინის ხასიათის ეროვნულ-გენეტიკური „წარმოშობით" მისი ყოფილი თანამებრძოლებისაგან გამოგონილი თეორიაა, რომელიც დღემდე დარჩა პოლიტიკურ მოდად. ამ თეორიის თავდაპირველი მიზანი იყო, დაეცვა სტალინის პარტიული „მეგობრები" იმ ბრალდებისაგან, რასაც მათ ისტორია წაუყენებდა იმ უდანაშაულოთა ზღვა სისხლის დაღვრისათვის, რომელიც მათი რევოლუციური მოღვაწეობის გარდაუვალი შედეგი იყო.

ტროცკის დაუოკებელი მცდელობა, საჯაროზე გამოიტანოს სტალინის უინტელექტობა, მხოლოდ პირადი მტრობის მიზეზი არ არის, მისი მიზანია, დაამტკიცოს, რომ სტალინის სავარძელში ინტელექტუალი ბელადი ჰუმანური მმართველი იქნებოდა. ასეთი მტკიცება პოლიტიკური „პანტომიმაა", რითაც მხოლოდ გართობა შეიძლება.

სინამდვილე ასეთია: რუსეთის რევოლუციის ბელადის ტახტი ინტელიგენტის ადგილი არ იყო. ზნეობრივი პრინციპების ცხოვრებაში გატარება, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა, გულწრფელობა, პრინციპულობა, პატიოსნება, დახვეწილი და ნატიფი ქცევა — ყოველივე ეს საყვებით მიუღებელია დიქტატორისათვის, მაშინ როცა დიქტატორი სავსებით მისაღები ყოფილა საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში: „საბჭოთა სოციალისტური ცენტრალიზმი სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთპიროვნულ დიქტატურას, კლასის ნება-სურვილს ზოგჯერ ახორციელებს დიქტატორი, რომელიც ერთპიროვნულად სხვებზე მეტს აკეთებს და რომელიც ხშირად ასე აუცილებელია"[1]. ასეთია „ვიზა", რომელსაც პირველი ბოლშევიკი ლენინი, ალბათ, უპირველეს ყოვლისა თავის თავს უმზადებდა. მაგრამ ბელადმა „ცოტა" რამ ვერ გაითვალისწინა და მისმა ოჯახმა „დამწყები" დიქტატორის, სტალინის პირველი მკაცრი შეტევა იგრძნო, რაც სერიოზულად დაემუქრა „პირველი" ბელადის ავტორიტეტს და, ალბათ, მის სიცოცხლესაც: ისინი შეშფოთდნენ. იქნებ ამით აიხსნება ლენინის მიერ პოლიტბიუროსათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი, რომელიც განგაშით არის სავსე; თორემ ლენინმა კარგად იცოდა, რომ პიროვნების დიქტატურა, რომლის მომხრეც ის იყო, აუცილებლად გულისხმობდა უსაზღვრო ძალაუფლებას. „სტალინმა, გენერალური მდივანი რომ გახდა, თავის ხელში აიღო უსაზღვრო ძალაუფლება და მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ფრთხილი იქნება ამ ძალაუფლების გამოყენებისას"[2].. ჩქარობდა ლენინი, მაგრამ უკვე გვიან იყო ამარ გამოდგა მისი სიფხიზლე.

ლენინის აღნიშნული წერილი დაიწერა მას შემდეგ, რაც სტალინმა, ლენინის ცოლი ნ კრუპსკაია «Самими последними словами изругал». წერილის პირველი ნაწილია, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სტალინმა გენერალური მდივნის თანამდებობაზე მოიპოვა განუსაზღვრელი ძალაუფლება და არ არსებობს გარანტია, რომ იგი ასეთ ხელისუფლებას ფრთხილად გამოიყენებს, დაწერილია 1922 წლის 25 დეკემბერს. ის ნაწილი, სადაც ლენინი მოითხოვს სტალინის თანამდებობიდან გადაყენებას და მის ადგილას სხვის დანიშვნას, 10 დღის შემდეგ. ამ გარემოებას ტროცკიც საგანგებოდ აღნიშნავს:

«Через десять дней эта сдержанная формула кажется Ленину недостаточной, и он делает приписку: «Я предлагаю товарищам обдумать вопрос о смещении Сталина с этого места и назначении на это место другого человека», который был бы... более лоялен, более вежлив и более внимателен к товарищам, меньше капризности и т. д.»[3]

ტროცკის განმარტება იმის თაობაზე თუ რამ გამოიწვია ათი დღით დაყოვნება სტალინის გა-

[1] Осмыслить культ Сталина, стр. 613–614. 1989 г.

[1] ვ. ლენინი, ტ. XXV, ვ. რუსული გამოცემა, გვ. 119.

[2] ვ. ლენინი, ტ. 45, მესამე გამოცემა გვ. 345.

[3] Осмыслить культ Сталина, стр. 640,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენების მოთხოვნის შესახებ, არ უნდა იყოს სწორი. ჩანს, ლენინი ელოდა, რომ სტალინი ბოდიშს მოიხდიდა დანაშაულისათვის, ყოველ შემთხვევაში, აუხსნიდა მაინც ლენინს თავისი უსაქციელობის მიზეზს. თუ სტალინი ახე მოიქცეოდა, ეს ნიშნავდა, რომ მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმარისი ძალა გადამწყვეტი აჯანყებისათვის და კვლავ ემორჩილებოდა ლენინის „კონტროლს“. სტალინმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა, რითაც „დამოუკიდებლობა“ და ბელადისადმი პარტიული თუ პირადი უპატივცემულობა გამოამჟღავნა. ლენინს შესანიშნავად ესმოდა, რომ სტალინთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება ძალზე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ცდილობდა სტალინის შეფასების საგანგებოდ შეერჩია „უწყინარი“ სიტყვები. ტროცკი იძულებულია აღიაროს ფაქტი: «Ленин стремился придать своей оценке Сталина как можно менее обидное выражение»[1].

ადრესატისადმი ასეთი „სინაზე“ ბელადის ხასიათის დელიკატურობით ვერ აიხსნება. ლენინმა, უბრალოდ, უწყოდა, რომ სტალინის წინააღმდეგ ომი შეიძლებოდა მისი ხელისუფლების დამხობით დამთავრებულიყო. და მაინც, თავისი ავტორიტეტის გადასარჩენად იძულებული გახდა გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყო, რაც დასტურდება ლენინის წერილის მეორე ნაწილით, რომელიც პირველს ათი დღის დაგვიანებით მოჰყვა. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ სტალინის შეჩერება ვერავინ და ვერაფერმა შეძლო. მისთვის გზის გადაღობვა სასიკვდილო საფრთხედ გადაიქცა. სულაც არ არის უსაფუძვლო იმის ვარაუდი, რომ ლენინი პატიმრობისაგან სიკვდილმა იხსნა. უკვე 1926 წელს ნ. კრუპსკაიას უთქვამს:

«Если б Володя был жив, он сидел бы сейчас в тюрьме»[2].

რუსეთის რევოლუციის ბელადს მიაჩნდა, რომ „სოციალიზმის მშენებლობის“ აუცილებლობა დიქტატორს მოითხოვდა. სტალინის პირადმა თვისებებმა სავსებით დააკმაყოფილა ისტორიის „მოთხოვნილება“. გასაზიარებელია ის აზრიც, რომ „სტალინი ლენინიზმის პრინციპებით მოქმედებდა“[3]. ვერ ვიტყვით, რომ ლენინი ზემოთ მოხმობილ კონფლიქტამდე არ იცნობდა სტალინის დიქტატორულ მიდრეკილებებს.

«Этот повар будет готовить только острые блюда». — უთქვამს ლენინს სტალინზე 1921 წელს. ეს სიტყვები ტროცკის შეშფოთებული კაცის გაფრთხილებად მიაჩნია, მაგრამ, როგორც ჩანს, ლენინს გარკვეულ დრომდე სულაც

[1] იქვე.

[2] იქვე გვ. 645.

[3] ა. ავტორხანოვი, „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“, გვ. 187, 1991 წ.

არ აწუხებდა სტალინის ხასიათის არც სიჯიუტე და არც ვერაგობა.

აკი თვად ტროცკი აღნიშნავს: ლენინი «Несомненно высоко ценил известные черты Сталина: твердость характера, упорство, даже беспощадность и хитрость»[1].

აქედან გამომდინარე, ლენინის წერილი, რომელიც მან პოლიტბიუროს მისწერა სტალინის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით, უფრო პირადი წყენით იყო განპირობებული, ვიდრე საერთოდ დემოკრატიის დაცვის სურვილით.

რაც შეეხება იმას, რომ სტალინი ლენინის წერილში გამოტანილი განაჩენის მოსმენისას შეშინებული, დაპატარავებული და საცოდავი იყო, არა გვგონია, ეს მტკიცება სიმართლეს შეიცავდეს. ტროცკი, რომლის ოცნებაა, წარმოადგინოს საცოდავი, ბეჩავი და დამფრთხალი სტალინი, უსიტყვოდ ეთანხმება ვინმე ბაჟანოვის აზრს, რომელიც თურმე სტალინს უთვალთვალებდა, როცა კამენევი XIII ყრილობის წინა პლენუმის სხდომაზე ლენინის წერილს კითხულობდა:

«Сталин, сидя на ступеньках трибуны президиума, чувствовал себя маленьким и жалким... Несмотря на его самообладание и мнимое спокойствие, ясно можно было различить, что дело идет о его судьбе»[2].

ბაჟანოვის დაჯერება ჭირს, რადგან იგი თვითონ ყოფილა ძალზე შეშფოთებული: «Тяжкое смущение парализовало всех присутствующих» — ამბობს იგი. მას, ალბათ, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი დაძაბული ვითარების დროს ყველაზე უფრო თავზარდაცემული ის არ იქნებოდა, ვისაც უშუალოდ ეხებოდა წერილის გამანადგურებელი შინაარსი. ამიტომ მოჩვენებია მას ყალბად სტალინის სიმშვიდე. და მაინც, რატომ შეიძლებოდა მშვიდად ყოფილიყო სტალინი, რა აძლევდა მას სიმშვიდის საფუძველს? მიმაჩნია, რომ მისთვის არაფერი მოულოდნელი არ ხდებოდა. ადრევე იცოდა წერილის შესახებ და დარწმუნებული იყო, რომ უვნებელი გადარჩებოდა. ეს არ იყო უბრალოდ გადარჩენა: იგი დიდ ბრძოლას იგებდა, რომელიც აუცილებლად შესძენდა დიქტატორისათვის საჭირო ავტორიტეტს. ჩანს, სტალინმა ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგი მანამდე გაითვალისწინა, ვიდრე კრუპსკაიას უშვერი სიტყვებით გალანძღავდა. ეს იყო ლენინის

[1] Осмыслить культ Сталина, стр. 637.

[2] იქვე, გვ. 640.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ შეგნებული, წინასწარმოფიქრებული აჯანყების დასაწყისი, რასაც იგი დიდხანს და მოთმინებით ელოდა; მას შეეძლო წლებით დალოდებოდა თავის მსხვერპლს და ზუსტად მაშინ დაეგესლა, როცა საჭიროება მოითხოვდა, — არც ადრე, არც გვიან. მის მიერ დანაღმულ ველზე თითქმის ყოველთვის გაივლიდა მსხვერპლი, ნაღმიც ყოველთვის დანიშნულ დროზე აფეთქდებოდა.

სტალინის ასეთ თვისებებში უნდა ვეძებოთ წარმატების საიდუმლო, რომელსაც იგი ყველა მოწინააღმდეგესთან აღწევდა. გამონაკლისი არც ლენინი გამოდგა; სტალინმა შეძლო დიდი, სახიფათო ბრძოლის მოგება; გამარჯვება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ამიერიდან სტალინის უახლოესი „მამაცი" პარტიული ამხანაგები თავზარდაცემული შესცქეროდნენ და მონუსხულები ელოდნენ ხასიკვდილო განაჩენს, რადგან იცოდნენ:

«Что он пожрет нас. И он это знает и только выбирает более удобный момент»[1].

ბუხარინის ეს რწმენა სავსებით გამართლდა.

ტროცკი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ სტალინის პიროვნება მხოლოდ ქართული გარემოს, ყოფის, ტრადიციის ნაყოფად გამოაცხადოს. იგი ქართველ ქალს მონად მიიჩნევს, რათა აქედან გამოიტანოს დასკვნა, რომ დედის მონური მდგომარეობა ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს შვილის ფსიქიკაზე და რომ ამ მხრივ ვერც სტალინი იქნებოდა გამონაკლისი:

«Рабское положение грузинской женщины в семье наложило на Иосифа отпечаток на всю жизнь»[2].

წერს ტროცკი ამ წინადადებას და არც ცდილობს, ახსნას რით გამოიხატება ქართველი ქალის მონური მდგომარეობა. სამაგიეროდ, სხვა წიგნში და სხვა კონტექსტში გვხვდება ქართველი ქალის მონური მდგომარეობის ტროცკისეული განმარტება:

„ირემაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ თავს სოციალ-დემოკრატად თვლიდა, ხელუხლებლად შემორჩა ტრადიციული შეხედულება ქართველი ქალის, ანუ არსებითად ოჯახის მონის შესახებ, იგი ასეთსავე ხატავს კობას ცოლს, როგორც დედამისს კეკეს: „ეს ჭეშმარიტად ქართველი ქალი მთელი გულით ზრუნავდა ქმარზე, ღამეებს მხურვალე ლოცვაში ატარებდა და ელოდა თავის სოსოს, როცა ის საიდუმლო კრებებზე მონაწილეობდა, ლოცულობდა, რათა სოსოს უარი ეთქვა ღვთის საწინააღმდეგო იდეებზე და მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას შესდგომოდა"[3].

როგორც ვხედავთ, ამ ამონაწერში არც ერთი სიტყვა არ არის, რომელიც ქალის მონურ მდგომარეობას დაადასტურებდა. აქ ჩანს არა ქმრის მოშიში, არამედ ქმრის მოყვარული, ერთგული, მის სიკეთეზე მლოცველი, მორწმუნე, მშვიდობის მოყვარე დარბაისელი ოჯახის დედა. ასეთი ქალი ყველა ქვეყანაში სანიმუშო ცოლად, დედად და ოჯახის დიასახლისად უნდა ითვლებოდეს: მაშ, რაშია საქმე, რატომ იძლევა ტროცკი, ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანისათვის გაუგებარ განმარტებას?

ასეთი გაუგებრობის ასახსნელად, უცილობელია დავუკვირდეთ ტროცკის ტექსტიდან მოყვანილ აზრს: ირემაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ თავს სოციალ-დემოკრატად თვლიდა, სოსოს ცოლის მდგომარეობა სანიმუშოდ მიაჩნდა. აზრი სავსებით გასაგებია: სოციალ-დემოკრატს უფლება არ ჰქონია ჯუღაშვილის ცოლის ზემოთ აღწერილი სათნო ხასიათი მონურ ფსიქოლოგიად არ მიეჩნია; აი, როგორი ტრადიციულისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობა უნდა ჰქონოდა „ახალ ადამიანს", რევოლუციონერს, „ინტელექტუალ" „ორთოდოქსს, სოციალ-დემოკრატს; ანდა იქნებ სულაც არ ჰქონდათ ასეთი შეხედულება, მაგრამ დემოკრატიის სახელით ხალხს ატყუებდნენ, რათა ყველაფერი ძველი, ტრადიციული დაეწვათ, დაენგრიათ, უარეყოთ. ერთი სიტყვით „განწმენდილიყვნენ", მომზადებულიყვნენ სოციალიზმში შესასვლელად.

სოციალ-დემოკრატები ზიზღით უარყოფენ წარსულს და აწყმოს, არ სცნობენ ეროვნულ კულტურას, აბუჩად იგდებენ მშობლიურ ენას, დასცინიან „კონსერვატორებს", ვისთვისაც უპირველესი საზრუნავია სამშობლოს ბედი.

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებას, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია"[1]. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა (საკითხი — გ. ნ.), როგორც ქართველ ხალხს"[2]. და თუ ასეთი კითხვა არსებობს, იგი „არახალხურია და საქართველოს წარსულთან ერთად დასაღუპავადაა განწირული"[3].

ჩვენ ვართ „ისეთი ქართველები, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც სამშობლოს და ქართული ენის ყვირილი... აწმყო ჩვენ გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ვიყურებით ბრწყინვალე მომავლისაკენ"[4].

ქართველი ქალის მონურ მდგომარეობას, რო-

---

[1] იქვე, გვ. 610.

[2] Осмыслить культ Сталина, стр. 626, 1989 г.

[3] „ცისკარი", № 4, გვ. 100, 1991 წ.

[1] ფ. მახარაძე, თხზ. IV, გვ. 55, 1926 წ.

[2] ნ. ჟორდანია, ქართველი ხალხი და ნაციონალისტური საკითხი, გვ. 3, 1908 წ.

[3] იქვე, გვ. 18.

[4] „კვალი", 1903 წ. №4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ვნახეთ, ტროცკი ამტკიცებს იმ ფაქტით, რომ თურმე ი. ჯუღაშვილის ცოლი (ლაპარაკია სტალინის პირველი ცოლის სვანიძის ქალის შესახებ — გ. ნ.) მთელი გულით ზრუნავდა მეუღლეზე და ღამეებს ლოცვაში ატარებდა, ღმერთს შესთხოვდა, რათა ქმარს უარი ეთქვა რევოლუციურ საქმიანობაზე, მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას შესდგომოდა. ამ წინადადებაში ყველაზე „დიდი“ ბრალდება ქართველი ქალის მონობის დასამტკიცებლად ის არის, რომ თურმე ცოლი „მთელი გულით ზრუნავდა ქმარზე და ღამეებს ლოცვაში ატარებდა“.

ტროცკის აზრით, ცოლის ასეთი ზრუნვა მონური მორჩილების, მონური მდგომარეობის შედეგია და სტალინიც მთელი თავისი ცხოვრება დაღდასმული იყო დედის, ცოლის და, საერთოდ, ქართველი ქალის მონური ყოფის ხსოვნით, რამაც ხელი შეუწყო ი. ჯუღაშვილის ვერაგი და სასტიკი ხასიათის ჩამოყალიბებას.

ერთი სიტყვით, ტროცკის აქ მოყვანილი „ფსიქოლოგიური ანალიზი“ არის ნაწილი მისი მიზნისა, რომ სტალინის ყველა მანკიერება ქართული წარმოშობით ახსნას. თუ ქართველი ქალის ტროცკის მიერ ზემოთ დამოწმებულმა „მონურმა“ მდგომარეობამ წარუშლელი კვალი დატოვა სტალინის დესპოტური ხასიათის ჩამოყალიბებაზე და შესაძლებელია ასეთი მტკიცება საკითხის მეცნიერულ ახსნად ჩაითვალოს, მაშინ შეგვიძლია სერიოზულად განვაცხადოთ, რომ რუსეთში საერთოდ შეუძლებელი ყოფილა ნორმალური ფსიქიკის ადამიანის აღზრდა.

აი, რას წერს გორკი, რომელიც, რუს ჟამთააღმწერელს იმოწმებს:

**«Летописец начала XVII века рассказывает, что в его время так мучили» «насыпали в рот пороху и зажигали его а иным набивали порох снизу, женщинам прорезывали грудь и, продев в раны веревки вешали на этих веревках».**

რუსი დედის, ქალის, დიასახლისის საშინელი მდგომარეობით გულშეძრული მაქსიმ გორკი სხვაგან წერს:

**«Думаю, что нигде не бьют женщин так безжалостно и страшно, как в русской деревне, и, вероятно, ни в одной стране нет таких вот пословиц-советов: Бей жену обухом, припади да паннухай — дышит? — молчит, еще хочит». «Жена дважды мила бывает: «Когда в дом ведут, да когда в могилу несут». «На бабу да на скотину суда нет». «Чем больше бабу бьешь, тем еще вкуснее»**[1]

[1] М. Горький. «О русском крестьянстве», Журн. Огонек, стр. 10, № 49, 1991 г.

აქ, ალბათ, შეიძლება შეგვედავონ, თითქოს გორკის მხოლოდ სოფლელი ქალის მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ერთიანი რუსეთის შესახებაც იქვეა თქმული:

**«Вообще в России очень любят бить, все равно кого. «Народная Мудрость» считает битого человека весьма ценным: За битого, двух небитых дают, да и то не берут». «Есть даже поговорки, которые считают драку необходимым условием полноты жизни». «Эх, жить весело: да — бить некого»**[1].

როგორც ხედავთ, გორკი სიმართლის დასადასტურებლად რუსულ ანდაზებს იმოწმებს. ანდაზები კი „ერის აზროვნების სარკეა“.

გოეთე ამბობდა: „ანდაზები ხალხებია“; თუ ეს ყველაფერი სწორია მაშინ ქართველები ქალისადმი დიდი მოკრძალებით გამორჩეული ხალხი ყოფილან; ქართველები, რომელთაც ცოდვად გამოუცხადებიათ არა მარტო ქალის ცემა და შეურაცხყოფა, არამედ მისთვის ავი სიტყვის კადრებაც კი („ქალს ძაღლიც არ დაჰყეფსო“ ან „ქალის პატივი ძაღლმაც იცისო“ და მრავალი სხვა).

რაც შეეხება ქალის როლს, კაცის, ოჯახის და ამდენად საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგისათვის, ქართული ანდაზა ამბობს: „ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო“. ოჯახში ქალისადმი კეთილი დამოკიდებულების შედეგი შესანიშნავად არის გაცხადებული ბრძნულ ქართულ ანდაზაში: „კარგმა კაცმა, კარგმა სახლმა, კარგად გამადედაკაცა, ცუდმა სახლმა, ცუდმა კაცმა ცუდად გამადედაკაცა“. თუ ვინმე დაიჩემებს, რომ ანდაზა მაინც სიტყვა არის და არა საქმე. შეგვიძლია ვუპასუხოთ: საქართველოში სასიკვდილოდ შებმული მტრებიც კი ჩერდებოდნენ, როცა ქალი მათ შორის მანდილს ჩააგდებდა. თუ ადამიანისადმი დელიკატური დამოკიდებულება ინტელიგენტობის კრიტერიუმია, მაშინ ქალისადმი ქართული, ტრადიციული განსაკუთრებული პატივისცემა აუცილებლად უნდა იყოს ქართველების ინტელიგენტობის ერთ-ერთი ძვირფასი საბუთი. ტროცკი კი სავსებით ეთანხმება აზრს: კავკასიის სხვა ერებთან შედარებით ქართველები ნაკლებინტელიგენტურებიც არიან“.

როცა ტროცკის მიზნის მისაღწევად ქართველი ერის შეურაცხყოფა სჭირდებოდა, იგი ერთგული იყო ანტისენტენციისა „საჭიროა არა ობიექტურობა, არამედ მიზანდასახულება“. ასეთი აზროვნება ყოველი დროის დიდი დანაშაულიც რომ არ იყოს, იგი აუცილებლად გამორიცხავს ჭეშმარიტ ინტელიგენტურობას, რის

[1] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენზიასაც მუდამ ხაზგასმით ამჟღავნებს. ტროცკი, სინამდვილე კი ასეთია:

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიული აზროვნება, რომელიც ყოველთვის შეიცავს დემაგოგიას, მუდამ თან ახლდა ტროცკის მსჯელობას. ბუნებრივია, ტროცკის სხვაზე კარგად თვითონ ესმოდა ეს სიმართლე და ყოველ ბრალდებას, გასაგები მიზეზის გამო, სოციალ-დემოკრატების პირველი ბელადის მაგალითით უარყოფდა.

ტროცკისთვის ძალზე „მშობლიურია“ სოციალ-დემოკრატიისათვის დამახასიათებელი მსჯელობის დემაგოგიური სტილი, რომელსაც იგი ხშირად იყენებს მიზნის მისაღწევად:

სემინარიაში „მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსულად, მშობლიური ენის გაკვეთილები კი კვირაში ერთხელ ტარდებოდა; ქართულს, როგორც დაბალი რასის ენას, გამუდმებით აბუჩად იგდებდნენ“[1]. ტროცკი თითქოს აკრიტიკებს მეფის რუსეთს იმის გამო, რომ მხოლოდ კვირაში ერთხელ ტარდებოდა მშობლიური ენის გაკვეთილები და ქართულ ენას აბუჩად იგდებდნენ, როგორც დაბალი რასის ენას. ასეთი ფაქტით აღშფოთება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიული პოზიციის გამოხატულებაა და სწორედ ეს არის დემაგოგია, რაც ნიღაბია დასკვნისათვის: „ქართული ენა დაბალი რასის ენაა“. ტროცკი რომ ამ აზრს არ იზიარებდეს, მაშინ ამ წინადადებაში: „ქართულს, როგორც დაბალი რასის ენას, გამუდმებით აბუჩად იგდებდნენ“, სათანადო ადგილას ჩასვამდა სიტყვას „თითქოსდა“, რაც მთლიანად შეცვლიდა ავტორის პოზიციას. ტროცკის „დაავიწყდა“ სიტყვა „თითქოსდა“, რადგან მისი გადაწყვეტილება კვლავ ურყევია: სტალინი აუცილებლად უნდა იყოს „დაბალი რასის შვილი“. მსჯელობის ასეთი სტილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორიის განუყრელი ნაწილია, თეორიისა, რომლის ერთ-ერთი ავტორი ტროცკიც არის.

სტალინის შესახებ დაწერილი თითქმის ყველა სერიოზული წიგნის ავტორი, როგორც წესი უარყოფითად აფასებს სტალინის როლს ისტორიაში, რაც სტალინის და „სტალინიზმისადმი“ სავსებით სამართლიანი მიდგომაა, მაგრამ, როცა კვეცავენ, ზოგჯერ კი სავსებით უარყოფენ სტალინის როლს რევოლუციის თეორიის შექმნის ან პრაქტიკული მოქმედების სფეროში, ამით სტალინს უნებლიედ ათავისუფლებენ სერიოზული ბრალდებისაგან. მსგავს შემთხვევაში ყოველთვის ვღებულობთ „ბელადის“ ისეთ სახეს, როგორიც ავტორს სურს და არა ისეთს, როგორიც ის ნამდვილად იყო:

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახლა ყველა გონიერი ადამიანისათვის საჩინოა თუ რას წარმოადგენდა თეორია სოციალისტური რევოლუციის შესახებ ან რა მოუტანა რევოლუციის გამარჯვებამ საზოგადოებას. რევოლუციის შედეგების გათვალისწინება უფლებას იძლევა ვაღიაროთ: ვინც ხელს უშლიდა რევოლუციის თეორიის განვითარებას და პრაქტიკულ განხორციელებას, მისი მოქმედება პროგრესულად უნდა ჩაითვალოს. რამდენადაც ტროცკი ბეჯითად ამტკიცებს, რომ სტალინს არავითარი სერიოზული წვლილი არ ეკუთვნის რუსეთის რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში, ეს ნიშნავს, რომ მას 1918 წლამდე საერთოდ არავითარი პოლიტიკური ბრალი არ მიუძღვის. ასეთი დასკვნა მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს სტალინის, როგორც ბოლშევიკის მკაფიოდ გამოკვეთილ პიროვნებას. ტროცკი ცდილობს თავისი განზრახვის სასარგებლოდ დაამძიმოს სტალინის „დანაშაულებანი“, მაგრამ საბუთები, რომელიც მას ამ მიზნით მოჰყავდა, დღეს უკვე ხელს უწყობს სტალინის „რეაბილიტაციას“.

წიგნში „სტალინი“, დაპირისპირებულია ლენინის და სტალინის შეხედულება, რევოლუციაში მასების მონაწილეობის შესახებ. სტალინი მასებისაგან მოითხოვს: „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი და დავირაზმოთ პარტიული კომიტეტების ირგვლივ, წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ პარტიულ კომიტეტებს ძალუძთ ღირსეულად გვიწინამძღვრონ“[1]. ლენინი მასებს მოძღვრავს: „მიეცით გზა მრისხანებას და სიძულვილს, რომელიც საუკუნეობრივი ექსპლოატაციის, ტანჯვა-წამების და მწუხარების შედეგად დაგროვდა თქვენს გულებში“[2]. „ამ ფრაზაში მთელი ლენინია მოქცეული“, აღფრთოვანებით განმარტავს ტროცკი და დაასკვნის: „შეუძლებელია, უფრო ლაპიდალურად წარმოვაჩინოთ კონტრასტი ამ ორ ნატურას შორის“[3], (სტალინსა და ლენინს შორის — გ. ნ.). სტალინის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა „მომაკვდინებელი“ „შეცდომა“ თურმე გამოწვეული იყო იმით, რომ მას „არ გააჩნდა არც თეორიული წარმოსახვა, არც ისტორიული ალღო და არც განჭვრეტის უნარი“[4].

განვიხილოთ სტალინისადმი წაყენებული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა „მძიმე“ ბრალდება დღევანდელობის თვალსაზრისით: თუ სტალინს ბოლშევიზმის „გაზრდაში“ წილი არ უდევს, ეს აშკარად პროგრესული მხარეა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სტალინის ვარაუდი, რომ სოციალისტური რევოლუცია შორეული მომავლის საქმეა, გაცილებით „რეალური“ აზროვნებაა, ვიდრე ლენინის მტკიცება, რომ რევოლუციის მოსახდენად უკვე მზად იყო როგორც სუბიექტური.

[1] ლ. ტროცკი, სტალინი, ჟურნ. „ცისკარი“ № 1, გვ. 130, 1991 წ.

[1] ჟურნალი „ცისკარი“, № 4, გვ. 97, 1191 წ.
[2] იქვე, გვ. 99.
[3] იქვე.
[4] ჟურნალი „ცისკარი“, № 3, გვ. 117, 1991 წ.

ისე ობიექტური სიტუაცია, რაც უკვე კარნახობდა რევოლუციის დაუყოვნებლივ დაწყებას.

თუ სტალინი იმ აზრს ადგა, რომ მასების ნება რაღაც ორგანიზებულ ძალას, ამ შემთხვევაში კომიტეტებს უნდა წარემართათ, ლენინი მასებს მოუწოდებდა სიძულვილით და მრისხანებით გაავებული „თვითშემოქმედებისაკენ“. ასეთი დაპირისპირებისას, როგორც ვხედავთ, სტალინი უფრო ზომიერია და უფრო „მისაღები“, ვიდრე ლენინი. გამოდის, რომ ტროცკის მცდელობას, დაამძიმოს სტალინის დანაშაულებანი, საწინააღმდეგო შედეგი ახლავს.

„ამ კაცმა ადრევე გაიგო ცივი თავდაჭერის, სიფრთხილის და განსაკუთრებით ეშმაკობის ფასი, რომელიც მის ხასიათში შეუმჩნევლად გადადიოდა ვერაგობაში. საჭირო იყო მხოლოდ შესაფერისი ისტორიული სიტუაცია, რათა ამ თავის ხასიათით მეორეხარისხოვან თვისებებს პირველხარისხოვნება მოეპოვებინათ“[1] სამართლიანად აღნიშნავს ტროცკი, მაგრამ მას „დაავიწყდა“, აეხსნა, რას ნიშნავდა კონკრეტულ შემთხვევაში „შესაფერისი ისტორიული სიტუაცია“, ტროცკიმ იცოდა, რომ ასეთი ანალიზის ბუნებრივი დასკვნა იქნებოდა: სტალინის ჭეშმარიტად კრიმინალური არსების მსოფლიო დამნაშავედ გადაქცევის ერთად-ერთი საფუძველი იყო ისტორიული სიტუაცია, რომელიც „დიდი“ ოქტომბრის წყალობით შეიქმნა.

რევოლუციის შედეგების ნაყოფი იყო ის აუცილებლობა, რამაც განაპირობა ადამიანისადმი არაადამიანური დამოკიდებულება — ზიზღი და სიძულვილი. „1918 წელს, 6 ივლისს ღამით ვ. ი. ლენინმა პირდაპირი მავთულით აცნობა ი. სტალინს, რომ „მემარცხენე“ ესერებმა მოსკოვში ამბოხება მოახდინეს. ვ. ი. ლენინის ბარათში, რომელიც ცარიცინში პირადად მიიღო ი. სტალინმა, ნათქვამი იყო: „საჭიროა ყველგან ულმობლად ჩავახშოთ ეს უბადრუკი და ისტერიული ავანტიურისტები...

ულმობელი იყავით მემარცხენე ესერების წინააღმდეგ და ცნობა მოგვაწოდეთ რაც შეიძლება ხშირად“[2]. თუ გავითვალისწინებთ სტალინის „საშემსრულებლო ოსტატობას“, ადვილი მისახვედრია, როგორი შედეგები მოჰყვებოდა ლენინის „მოკრძალებულ“ სურვილს. ადამიანების ბედისადმი დამოკიდებულებაში ავისმომასწავებელი ძლევამოსილება ლენინსაც და სტალინსაც რევოლუციის სახელით „ენიჭებოდა“. სწორედ ეს იყო ტროცკის მიერ ზემოთ ნახსენები შესაფერისი ისტორიული სიტუაცია, სტალინის ხასიათის „აყვავებას“ რომ შეუწყო ხელი.

როდესაც საუბარია ტროცკის და სტალინის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ, რომლის შედეგად ტროცკი იძულებული იყო დაეტოვებინა რუსეთი, მიზეზად მხოლოდ ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ძალა სამართალზე წინ დადის“. სტალინს ნამდვილად გააჩნდა საიმისო ძალა, რომ სამშობლოდან გაეძევებინა მტერი. ძალას კი მოპოვება უნდა.

ტროცკის სტალინისთვის ან სტალინს ტროცკისათვის ჯერ თეორიული ბრძოლა უნდა მოეგო. დავა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხს ეხებოდა; ვერ ვიტყვით, რომ ტროცკი ვერ გრძნობდა სტალინთან დამარცხების საშიშროებას; როცა ივან სმირნოვს სტალინის შესახებ უთქვამს:

«Он же посредственность, бесцветное ничтожество». ტროცკის უპასუხია: «Посредственность да; ничтожество нет». «Диалектика истории уже зацепила его и поднимает его. Он нужен им всем — уставшим радикалам, чиновникам непманам выскочкам пройдохам, всем, тем червям, которые виползли из вспаханной почвы, унавоженной революцией. Он знает, что им нужно, он говорит на их языке, и он знает, как руководить ими»[1].

ტროცკის არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ძალა იმას აქვს, ვის მხარეზეც არის უმრავლესობა, ასეთი კი მისივე მოწმობით სტალინი ყოფილა, მაშ, რისი იმედით იყო ტროცკი? მსოფლიო მოვლენების მისთვის სასურველი მიმართულებით განვითარებისა:

«Великие события в Европе, Азии и в нашей стране могут сыграть свою роль и нарушить все расчеты»[2].

ამაო გამოდგა ტროცკის მოლოდინი, მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა, მასის უმრავლესობა სტალინის მხარეს დარჩა.

ტროცკიმ ვერ შეძლო, თავისი თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების წინააღმდეგ არსებული სიტუაციის და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების „აზროვნებისათვის“ მიერგო. სტალინი „მატერიალისტი“ აღმოჩნდა, მან შეძლო გაცილებით „მომგებიანი“ სიცრუისათვის დაეჭირა მხარი, რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების დაუყოვნებლივ დაწყებას გულისხმობდა. ამით სტალინმა „მოაახლოვა“ აღთქმული ქვეყნის „ხილვის“ დრო. ერთი სიტყვით, ორი სიცრუიდან უფრო „მომხიბვლელმა“ გაიმარჯვა, რამაც დააჩქარა ტროცკისადმი მასების უნდობლობის პროცესის განვითარება და მოამზადა საფუძველი მისი პოლიტიკური გაუვნებლობისათვის“, რასაც შემდგომში რუსეთის რევოლუციის ცნობილი ლიდერის სამშობლოდან გაძევება მოჰყვა:

[1] იქვე, გვ. 119.

[2] ი. სტალინი, IV, გვ. 456, 1948 წ.

[1] Р. Такер, Сталин. Путь к власти, 1879—1929, стр. 353. 1990 г.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«Гордому революционеру Троцкому было конечно, чрезвычайно неприятно проигрывать тому, кого он считал человеком третьего сорта»[1].

ძნელი არ არის რობერტ ტაკერის ასეთ შენიშვნებში ირონიის აღმოჩენა.

სავსებით გასაზიარებლად მიმაჩნია რ. ტაკერის აზრი ტროცკის მიერ სტალინთან წაგებული პოლიტიკური საჭადრაკო პარტიის თაობაზე:

«Он не смог понять, что Сталин просто переиграл политической борьбе»[2].

როგორც ჩანს, ტროცკის „განთქმულმა" ერუდიციამ სტალინთან პოლიტიკურ ომში ვერ „იმუშავა". ტროცკიმ მოისურვა, გაემხილა ეს „საიდუმლო", სტალინის უნარის არად ჩაგდებამ და მისი პიროვნებისადმი ამპარტავნულმა დამოკიდებულებამ ტროცკის ძალზე ცუდი სამსახური გაუწია და, მიუხედავად ამისა, იგი მუდამ აჩემებული პრინციპის ერთგული დარჩა, რისთვისაც ბოლოს საკუთარი სიცოცხლით ზღო.

რაც შეეხება რევოლუციის ორი ლიდერის დავას სოციალიზმის აშენების თაობაზე, სტალინმა პრაქტიკული შემოქმედებით დაადასტურა არჩეული გზის უსუსურობა, ტროცკის მსგავს მოაზროვნეებს კი სოციალიზმის შესახებ სერიოზული მსჯელობის უფლება ისტორიამ წაართვა.

წიგნში „სტალინი" ტროცკი განსაკუთრებულ პროფესიულ თავმდაბლობას იჩენს. იგი არ ცდილობს, წარმოაჩინოს თავისი, როგორც „დიდი რევოლუციონერის", რენოშე; მოგვითხრობს სხვების, განსაკუთრებით ლენინის უდიდესი დამსახურების შესახებ. თვითონ კი ცდილობს, ჩრდილში დარჩეს, რადგან იცის, „დიდი ადამიანები ყველანი თავმდაბალნი არიან". მიუხედავად ასეთი „ნუგეშისა", ტროცკიმ ბოლომდე ვერ გაუძლო ჩრდილში მყოფის „აუტანელ" მდგომარეობას, ვერ შეძლო გულგრილი დარჩენილიყო ქების მიმართ და გადაწყვიტა, ვინმე ს. ვინდეკესათვის მიემართა, მისი სიტყვები საგანგებოდ მოეყვანა თავის წიგნში. ტროცკი არ ამხელს, სად ან როდის წარმოთქვა ვინდეკემ, სტალინი „მაშინ ცნობილი იყო მხოლოდ ვიწრო წრეში, მან წითელი დროშებით და მუსიკით არ შეხვედრია აღფრთოვანებული მასა ისე, როგორც ერთი თვის შემდეგ შეხვდნენ ლენინს. მის მისასალმებლად არ გამოსულა დეპარტაცია, ისე როგორც ეს მოხდა ორი თვის შემდეგ, როდესაც ამერიკიდან ჩამოსული ტროცკი მათ ხელში აყვანილი გამოიყვანეს"[3].

ამ „გაბედულ", შეუნიღბავ სვლაში, აშკარად ჩანს ტროცკის დაუძლეველი სურვილი, წარმოაჩინოს თავისი, როგორც რევოლუციონერის, დიდად მნიშვნელოვანი პერსონა, დადგეს ლენინის გვერდით და განსაზღვროს თავისი „სიმაღლე" სტალინთან შედარებით. თუ ასეთ აზრს გავიზიარებთ, ვფიქრობ, ტროცკის არა აქვს უფლება, განაცხადოს, რომ სტალინი, როგორც პირადი პოლიტიკური მეტოქე, სულაც არ აინტერესებს, რომ სტალინისადმი მისი პიროვნული დამოკიდებულება არ განსხვავდება ჰიტლერისადმი ან იაპონელი მიკადოსადმი დამოკიდებულებისაგან[1].

აუცილებლად ყურადღების ღირსია ის ფაქტი რომ სტალინის თითქმის ყველა თვითმხილველი ბიოგრაფი ან, უბრალოდ, ვინც კი მას შეხვედრია: მტერი თუ მოყვარე აშკარად თუ შეფარვით თავს იწონებს სტალინთან სიახლოვით, მისი შეფასებით და ყურადღებით. მოვიყვან ამ მხრივ პირველივე დამახასიათებელ მაგალითს, რომელიც გამახსენდა — ვლასოვი; სტალინის მოღალატე გენერალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეს გადავიდა, თურმე საგანგებოდ ინახავდა პატარა წიგნს, სადაც მის, როგორც სამხედრო ხელმძღვანელის შესახებ, სტალინის დადებითი აზრი იყო დასტამბული. ამით თურმე დიდად ამაყობდა სტალინის მტერი გენერალი[2].

ტროცკის სავსებით განსხვავებული ფსიქოლოგია გააჩნია. იგი არასოდეს ცდილობს ხაზი გაუსვას სტალინთან პირად ნაცნობობას და სიახლოვეს. პირიქით, თავი შორს და „დამოუკიდებლად" უჭირავს, რითაც ხაზს უსვამს თავის „ინტელექტუალურ" „უპირატესობას". გარეგნულად ასეთი განსხვავებული განწყობილებები ერთნაირ შინაარსს შეიცავენ. ერთნი თავს იწონებენ და კეკლუცობენ სტალინთან სიახლოვით, სხვები, და მათ შორის ტროცკი, კი „სიშორით". ისე რომ, ორივე განწყობილებას ერთი პიროვნება მართავს. ჩანს, ვერც პატივმოყვარე ტროცკიმ მოახერხა თავი დაეხსნა სტალინის გავლენისაგან.

ერთ ადგილას ტროცკი აღშფოთებული წერს, „კაცობრიობის ისტორიაში, არ მეგულება სიცრუის ისეთი გიგანტური ფაბრიკა, როგორიც კრემლმა შექმნა სტალინის მეთაურობით, ამ ფაბრიკის ძირითადი სამუშაო იყო სტალინის ახალი ბიოგრაფიის გამოგონება"[3]. ტროცკი სავსებით სწორია, მაგრამ აღშფოთების არავითარი უფლება არ გააჩნია, რადგან მასაც ეკუთვნის რუსეთის სოციალიზმის იდეა: მონუმენტური სიყალბე, რომლის მსახურთათვის ერთად-ერთი ყველაზე უტყუარი იარაღი სიცრუე უნდა ყოფილიყო.

ტროცკიმ ვერ ახსნა და, მით უფრო, ვერ წარმოაჩინა სტალინის აღზევების საფუძველი, წიგ-

---

1 იქვე.
2 იქვე.
3 ჟურნალი „ცისკარი", № 6, გვ. 104. 1991 წ.

---

1 Л. Морозова, Письмо в редакцию журнала «Дружба народов» № 2, 1988 г.
2 შ. მაღლაკელიძე, „მოგონებანი", ჟურნ., „განთიადი", გვ. 3. 1991 წ.
3 ჟურნალი „ცისკარი", № 1, გვ. 123, 1991 წ.

ნის „სტალინი“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია: ამ პოლიტიკური ბიოგრაფიის მიზანია, ვაჩვენოთ თუ როგორ ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნება და რა საშუალებით მოიპოვა მან ესოდენ გამორჩეული როლი“[1]. ტროცკიმ დაპირება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. მიზნის შესასრულებლად მას ყველაფერი გააჩნდა: ნიჭიც, ერუდიციაც, ანალიტიკური გონებაც, მაგრამ ვერ დასძლია სტალინისადმი აუტანელი ზიზღი და საკუთარი თავისადმი განსაკუთრებული სიყვარული.

სტალინმა ტროცკი თავისი განზრახვის სამსახურში ჩააყენა, რამაც „მტრებთან“ ბრძოლა „გაუადვილა“. მილიონობით ადამიანი ისჯებოდა „ტროცკისტობის“ ბრალდებით. „ტროცკიზმი“ საყოველთაო სახალხო განგაშის საფუძვლად გამოცხადდა. „გამარტივდა“ საბრალდებო საქმის წარმოება. სასიკვდილო განაჩენისათვის ერთადერთი სიტყვაც კმაროდა „ტროცკისტი“, ტროცკი კი ყოველთვის თვალს და ყურს არიდებდა „სტალინიზმს“. მას არ მოსწონდა ასეთი ტერმინი, რადგან ასე თუ ისე სტალინის „დამოუკიდებლობაზე“ მიუთითებდა, რაც ტროცკის ხელს არ აძლევდა. იგი ჯერ კიდევ სტალინის აღზევებამდე განმარტავდა: ის (სტალინი — გ. ნ.) შეიძლება იყოს მხოლოდ მარიონეტი დიქტატორი. თითქოს შეუთავსებელი ცნებებია, მაგრამ სხვაგვარად ვერ გამოიხატება პოლიტიკური სტატუსი, რომელსაც ტროცკი სტალინს უწინასწარმეტყველებდა. განმარტავდა რა რევოლუციის შემდეგდროინდელი პირველი წლების, კერძოდ, 1924 წლის რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს ტროცკის ასეთი დასკვნა გამოჰქონდა:“

**«Если все автоматически пойдет так, как идет сейчас, Сталин также автоматически станет диктатором»[2].**

ასეთმა განცხადებამ ამერიკელ მეცნიერს რ. ტაკერს სავსებით საფუძვლიანი დასკვნა უკარნახა:

**«Троцкий дает понять, что, даже будучи диктатором, Сталин останется инструментом и представителем той самой бюрократии, которая даст ему возможность возвыситься: и именно этой бюрократии, а не самому Сталину и будет принадлежать власть»[3].**

[1] „ცისკარი“, № 1, გვ. 121, 1991 წ.

[2] Р. Такер. Сталин. Путь к власти. 1879-1929. стр. 352.

[3] იქვე.

სტალინის მხოლოდ პოლიტიკური ჰაბიტუსიც კი არავითარ საფუძველს არ იძლეოდა ტროცკის ზემოთ მოყვანილი ვარაუდისათვის. ძნელია დაიჯერო, რომ ასეთი შეცდომა სტალინის პიროვნების შეუფასებლობიდან მოდიოდა.

ბატონკაცობის ყალბი უფლება არასოდეს სტოვებდა ტროცკის, ვერ ეგუებოდა აზრს, რომ „სტალინიზმი“ ასე თუ ისე მაინც პოლიტიკურ მიმდინარეობას „ჰგავდა“, რაც ხარისხს მიანიჭებდა სტალინის სახელს. მას არ სურდა, „ტროცკიზმის“ გვერდით „სტალინიზმი“ ეხილა; ეს იყო ძალზე დაგვიანებული, უშინაარსო შურისძიება; „სტალინიზმმა“ საქვეყნო დამთრგუნველი ჟღერადობა შეიძინა.

წიგნში „სტალინი“ ბუნდოვანია მთავარი გმირის პოლიტიკური თუ კერძო ცხოვრების წარსული და აწმყო, მაგრამ ავტორმა შესაშური მიხვედრილობით გამოიცნო სტალინის პიროვნების ისტორიული მომავალი“:

**«Месть Истории страшнее мести самого могущественного «генерального секретаря». «Я позволяю себе думать, что это утешительно»[1]**

შესანიშნავი წინასწარმეტყველებაა, მაგრამ არასრული. ისტორიამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა არა მხოლოდ სტალინს, არამედ რუსეთის „დიდი ოქტომბრის რევოლუციას“; მის პირმშოს „სტალინიზმს“; სოციალისტურ წყობილებას. რუსეთის რევოლუციის ყველა თეორეტიკოსს და ბელადს.

თავის წინასწარმეტყველებაში მეისტორიე ტროცკის რევოლუციონერი ტროცკი დაავიწყდა. ისტორიის შურისძიება მასზეც გავრცელდა;

რას მიაღწია ტროცკიმ თავისი წიგნებით? როგორც ისტორიკოსმა, დიდი მასალა დაუტოვა მომავლის მკვლევართ. ეს მისი დამსახურებაა. ბევრი რამ შეგნებულად გააბუნდოვანა; მას არ ეყო სიმამაცე და სიმართლის სიყვარული, ზურგიდან პარტიული ცხოვრების უგვანი ტვირთი ჩამოეხსნა.

როგორც ბიოგრაფი, ტროცკი ისეთივე პლუტარქე გამოდგა, როგორი მაკედონელიც სტალინი იყო.

[1] Осмыслить культ Сталина, стр. 647, 1989 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კორნელი დანელია

# უსაჩინოესი ძეგლი ქართული ისტორიოგრაფიისა

## („დავით აღმაშენებლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემის გამო)

ანონიმი ბრძენი მწიგნობრის მრავალმხრივ ღირსაცნობი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი XII საუკუნისა „ცხორებაჲ მეფეთ-მეფე-სა დავითისი“ იყო და არის ცხოველი ინტერესის საგანი ისტორიკოსთა, ლიტერატურისმცოდნეთა და ლინგვისტთა არა ერთი თაობისა; მომავალშიც ასე იქნება არა მარტო იმიტომ, რომ ის პირველ ყოვლისა წარმოგვიჩენს ქართველ მეფეთა შორის ყველაზე დიდი და ზეაღმატებული დავით აღმაშენებლის გადამწყვეტ როლს ქართველი ერის გაძლიერებისა და დაწინაურების საქმეში, არამედ იმიტომაც, რომ, ამასთანავე, ის არის ჟანრობრივად ორიგინალური სინთეზი ისტო-დამახასიათებელი ნიშანთვისებებისა, რომლებიც რიულ და ბელეტრისტულ თხზულებათათვის რეალიზებულია ასევე სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით.

ეს მეტად ღირებული ძეგლი, რომელიც დავით აღმაშენებლის დაუცხრომელი ცხოვრების თვით-მხილველის და მეფესთან დაახლოებული პირის მიერ არის შექმნილი, რაგინდ უცნაურადაც, მოგვეჩვენოს, ცალკე, დამოუკიდებელი სახით კი არ არის მოღწეული, არამედ როგორც გარკვეუ-ლად შეკვეცილი და ნარედაქციევი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“. ამიტომაა, რომ ის დღემდე როგორც ცალკე, თავისთავადი ძეგლი შესწავლილი და გამოქვეყნებული არ ყოფილა. ხოლო სხვადასხვა კრებულ-ქრესტომათიებში ცალკე შესული ეს ძეგლი პირდაპირ იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში წარმოდგე-ნილ ტექსტს. ამდენად, „დავითის ცხოვრების“ გამოცემა და კვლევა დღემდე არსებითად „ქართ-ლის ცხოვრების“ შემადგენელ კომპონენტთა ერთიან ფონზე წარმოებდა. ამ მხრივ უზარმაზა-რი შრომა აქვთ გაწეული „ქართლის ცხოვრების“ (ამდენად, „დავითის ცხოვრების“) ტექსტის გამო-ცემასა და ინტერპრეტაციაში ქართველოლოგიის პიონერს მარი ბროსეს, ე. თაყაიშვილს, ივ. ჯა-ვახიშვილს, ს. ყაუხჩიშვილს და სხვებს. არსებობს ამ ძეგლის, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრე-ბის“ სხვა ნაწილების როგორც ძველი თარგმა-ნები (მაგალითად, ძველი სომხური თარგმანი XII საუკუნისა), ასევე ახალი თარგმანები მ. ბრო-სესი ფრანგულ ენაზე (1849 წ.), მიხ. წერეთ-ლისა გერმანულ ენაზე (1975 წ.) გ. პეჩისა ასევე გერმანულ ენაზე (1985 წ.) და სხვა. ცნო-ბილია, რომ ს. ყაუხჩიშვილმა 60-იან წლებში განახორციელა „ქართლის ცხოვრების“ სრული მრავალტომიანი კრიტიკული გამოცემა ყველა ძირითადი (კერძოდ, თხუთმეტი) ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებით (I ტომი გამოვიდა 1955 წ. რომელშიც შესულია „დავითის ცხოვრე-ბაც“). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქარ-თლის ცხოვრების“ გამოცემებში შესული თხზუ-ლებები შექმნილია სხვადასხვა სტილისა და მსოფლმხედველობის ავტორის მიერ სხვადასხვა დროს, თანაც მოღწეული ხელნაწერები შექმნის დროსთან შიმართებით საგრძნობლად გვიანდელია და ბევრგან დამახინჯებულიც, უდავო გახდება ისიც, რომ აუცილებელია ამ უზარმაზარ კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულში შემავალი ცალკეული ნაწილების, ანუ თხზულებების ცალ-ცალკე შესწავლა და გამოცემაც (სხვათა შორის, ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კ. კეკელიძის მიერ 1941 წელს გამოქვეყნებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). ხოლო ახლახან, 1992 წელს, „მეცნიერების“ მიერ გამოცემული ტექსტი „დავითის ცხოვრებისა“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ზემოხსენებული დებულების სისწორეში. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზექალა შანიძემ.

ამ კრიტიკულ გამოცემას, რომელიც ეფუძნება ვახტანგ VI-ის წინადროინდელ ხუთ და ვახტანგისა და მის „სწავლულ კაცთა“ კომისიის სამ ხელნაწერს, აქვს როგორც თავისთავადი, კონკრეტული, ასევე ზოგადმეთოდოლოგიური მნიშვნელობაც, რადგან ის თვალნათლივ წარმოგვიდგენს, თუ ნარატიულ წყაროებში დასმული ისტორიის საკითხების კვლევის სწორად წარმართვისათვის რა დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ძეგლის ტექსტოლოგიურ, ფილოლოგიურ ანალიზს. გამოცემაში საკუთრივ ტექსტს 67 გვერდი უჭირავს, გამოკვლევას კი ორჯერ მეტი, 148 გვერდი; ახლავს მოკლე ლექსიკონი, საძიებლები და რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე. კრიტიკულად დადგენილ ტექსტს თავისი აპარატით და სოლიდურ გამოკვლევასაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად მკაცრი აკადემიურობის ბეჭედი აზის. ამ გამოცემით აშკარად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც, არსებითად, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ცალკეული თხზულების ფილოლოგიურ კვლევასთან არის დაკავშირებული. წარმოჩნდა აუცილებლობა თითოეული ნაწარმოების ენის, სტილის, ტექსტუალური სტრუქტურის, ასევე, ავტორის მსოფლმხედველობისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსის კვლევისა საკუთრივ ისტორიის საკითხების შესასწავლად.

მკვლევრის უპირველესი მიზანი იყო, დაედგინა „დავითის ცხოვრების“ ტექსტი, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საისტორიო ნაწარმოების „ტექსტის გამართვა და კრიტიკულად დადგენა აუცილებელია თხზულებაში მოთხრობილი რეალური ისტორიული მოვლენების სწორად გასაგებად და გასააზრებლად. მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემატიანის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა (მათ შორის, ავტორობისაც), ისე ამ ნაწარმოების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მკვლევრის განცხადებას, რომ მისი უპირველესი მიზანი იყო „დავითის ცხოვრების“ ტექსტის გამართვა-დადგენა. ამასვე ადასტურებს არა მარტო ვრცელი ფილოლოგიური გამოკვლევა, არამედ მეცნიერული აკრიბიით შედგენილი ტექსტუალური აპარატი: ვარიანტ-იკითხვისები და შენიშვნები. კრიტიკული ტექსტი მისი უკეთ შეცნობისა და მარჯვედ დამოწმების მიზნით გამომცემელს დაყოფილი აქვს 103 სექცია-პარაგრაფად. გამოცემისთვის გამოყენებულია ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი (სულ რვა), რომელთაგან ხუთი შედარებით ძველია და სამი — გვიანდელი. სამეცნიერო წრეში ეს ხელნაწერები ცნობილია და პირობითი სახელწოდებებიც აქვთ.

ძველი ხელნაწერებია: ჭალაშვილისეული (Q-207, ივ. ჯავახიშვილით, XVI-XVII სს. თავბოლო ნაკლული ნუსხა 1781 წელს შეუვსია ე. ჭალაშვილს), ანასეული (Q-795, XV-XVI სს), მარიამისეული (S-30, XVII ს.), მაჩაბლისეული (H-2135, XVIII ს.) და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის № 1219, რომელიც 1959 წელს იქნა მოპოვებული ა. კლიმიაშვილის მიერ და გადაწერილია 1697 წელს ნუსხური ხელით.

გვიანდელი ხელნაწერებია (ვახტანგ მეექვსის, უკეთ: ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის რედაქციისა: რუმიანცევისეული (H-2080, 1703 წ.); ჯანაშვილისეული (S-4730, XVIII ს.), „თეიმურაზისეული“ (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწ. M-24, ნუსხური, XVIII ს.) ყველა ნუსხაში ტექსტი მეტ-ნაკლებად შერყვნილია. აკლია სიტყვები, ფრაზები, მონაკვეთები, ზოგან ჩამატებულიცაა სიტყვა-ფრაზები. გამომცემელი ვარაუდობს, რომ ერთი რედაქციის ამ ხელნაწერთა არქეტიპი ნუსხურად უნდა ყოფილიყო დაწერილი და ბევრი სიტყვის დამახინჯება მხედრულ ხელნაწერებში ხშირად ნუსხური ასოების არასწორად ამოკითხვით უნდა იყოს წარმომდგარი. გარდა ამისა, პირვანდელი ტექსტის შერყვნის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქარაგმების არასწორი გახსნა, გადამწერთათვის ძნელად გასაგები ძველი ხმარების სიტყვის შეცვლა მსგავსი ჟღერადობის ახალი სიტყვა-ფორმით, რთული კონსტრუქციების გამარტივება, სინონიმური პარალელიზმის დარღვევა და სხვ. ასეთ შემთხვევაში გამომცემლის აქტიური, შეგნებული ჩარევა ტექსტში არა თუ გამართლებული, არამედ აუცილებელი, სავალდებულოცაა.

პროფ. მზ. შანიძე ტექსტის გამართვისას კომპლექსურად სწავლობს გასასწორებელ ადგილს: ითვალისწინებს არა მარტო ტექსტში გადმოცემულ ისტორიულ რეალიებს, ხელნაწერთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემათა განსხვავებულ იკითხვისებს, არამედ თვით ტექსტის პირველწყაროებსა და მისი ენის (გრამატიკული, ლექსიკური, მხატვრული სტრუქტურის) მონაცემებს. ამიტომ სკრუპულოზური შესწავლის შედეგად შემოთავაზებული გამომცემლისეული იკითხვისი თუ კონიექტურა ზოგჯერ შეიძლება ეჭვს იწვევდეს, მაგრამ მისი უარყოფა ძნელი, თითქმის შეუძლებელია.

მკვლევარი ფაქიზად არჩევს ვარიანტულ იკითხვისთაგან ისეთს, სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით რომ უნდა ყოფილიყო ავტორისეულ ტექსტში. ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებზე ვრცლად არის მსჯელობა ექვსი თავის შემცველ ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევაში, რომელსაც ზოგადად ჰქვია „დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი და მისი შესწავლის საკითხები“. აქ წარმოდგენილი ზოგიერთი ადგილის გასწორება, განსაკუთრებით ლექსიკური ხასიათისა, დამოუკიდებელი სამეცნიერო შრომის ტოლფასად წარმოგვიდგება. ასეთია მსჯელობა, მაგალითად, იკითხვისზე „მასლათა თუ მისეულითა?“ „დავითის ცხოვრების“ ტექსტში მოთხრობილია, რომ თურქთა დიდი ლაშქრის თრიალეთში შესვლისას დავითი ნაჰარმაგევს იყო და თადარიგის დასაჭერად ღამით „წარვიდა მასლათა კაცითა ათასხუთასითა“. ასეა ეს ადგილი ხელნაწერთა ჩვენებისებრ ყველა გამოცემაში და გაგებულია მეტწილად გეოგრაფიულ სახელად მ. ბროსეს, ს. ყაუხჩიშვილის, ჰ. პეჩის მიერ, ან „ჩუმად“, „იდუმალ“ შინაარსის სიტყვად (ივ. ჯავახიშვილი, მ. წერეთელი...), თუმცა ასეთი გეოგრაფიული სახელი, და, საერთოდ, სიტყვა არ არსებულა ქართულში. მზ. შანიძე თხრობითი პასაჟისა და ენობრივი ვითარების გათვალისწინებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ავტორისეულ ტექსტში უნდა ყოფილიყო „მისეულითა კაცითა ათასხუთასითა“.

ასევე მახვილგონივრულია მკვლევრის მიერ „გეჰენია“ სიტყვის აღდგენა ტექსტში. ეს სიტყვა მან ამოიცნო ზოგი ხელნაწერის იკითხვისებიდან („გაენიისანი“, „გაენისანი“...). არც ერთ გამოცემაში ეს სიტყვა არ იყო შეტანილი, რითაც დარღვეული იყო კონტრასტული პარალელიზმის სტრუქტურა, კერძოდ, სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ანუ გეჰენიის დაპირისპირება. გამოცემებში ეს ადგილი ასე იკითხება: „რასათჳს ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათჳს ჰეშმარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და ულირსთათჳს?“ მკვლევრის დასაბუთებით კი ასე უნდა იკითხებოდეს: რაჲსათჳს ქადებულან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების-მყოფელთათჳს, ხოლო საშინელებანი გეჰენიაჲსნი ურჩთა და ულირსთათჳს?“ ასეთი გამართვა, ვფიქრობთ, უთუოდ მისაღებია, ოღონდ ხელნაწერთა იკითხვისების ფონზე არა ჩანს აუცილებლობა მაინცდამაინც „გეჰენიაჲსნი“ ფორმის აღდგენისა, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა „გეენისანი“, რადგან ამ ძეგლის შექმნის დროისათვის „გეჰენია“ სიტყვის კვეცა და მასში ჰ-ს დაკარგვა აბსოლუტურად შესაძლებელია (შდრ. გაენიისანი M, გაენისნი Q, გაენისანიm).

ასევე უთუოდ არასწორია ხელნაწერებსა და გამოცემებში წარმოდგენილი ფორმები: „დაუზრავსა“, და „უზრავსა“, „დაჰუაზრავსა“..., რომელიც განიმარტებოდა, როგორც „გაუყინავი“ (ს. ყაუხჩიშვილი) ან როგორც „ჰაზრ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვა „წარმოუდგენელის“ მნიშვნელობით (მზ. შანიძე). მაგრამ მკვლევარი ბოლოს გვთავაზობს უფრო დამაჯერებელ გასწორებას სადავო იკითხვისას: მეფე დავით „მტკუარსა გაცურდა დაუჰამრავსა მას წყალსა“, ანუ ძალიან ადიდებული, მოზღვავებული წყალი გადასცურაო, საქმე ისაა, რომ XII საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში რეალიზებულია სპარსულიდან ნასესხები ჰამარი („რიცხვი“) და მისგან ნაწარმოები უჰამრავი („უამრავლი“) ფორმები, მაგრამ ძველ ხელნაწერთა საერთო არქეტიპის გადამწერისათვის იგი გაუგებარი დარჩენილა და „დაუჰაზრავ“ სიტყვად აღუქვამს.

ისტორიული რეალიებისა და ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით მკვლევარი სხვა არაერთ ლექსიკურ გასწორებას, უკეთ: კონიექტურას გვთავაზობს და ასეთ შემთხვევაში ენის ისტორიიდან საყურადღებო ცნობებსაც იძლევა. ასეთია, მაგალითად, ხელნაწერთა და გამოცემათა იკითხვისი, რომელიც ეხება საქართველოს მოხრებელი ორი თურქი ამირას სახელდებას: „ამირანი დიდნი, იასი ვინმე და ბუჟლუ ზ“ გამომცემელი სხვა უცხო თუ ქართული წყაროების მონაცემთა ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე აღადგენს სავარაუდო იკითხვისს: „ამირანი დიდნი ისაბარი და აბუ იაყუბ (ან: ბუიალუბ). ასევე საგულისხმოა იმ იკითხვისის კონიექტურა, რომელიც თურქმანთა მიერ გატაცებულ ალაფის აღწერისასაა რეალიზებული: „სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისაგანი, ბაგრატეულნი სახმურნი და სამწდეონი პატიოსანნი“. მკვლევარი ზოგი ხელნაწერის (შდრ, გარატეულნი, გარტეულნი) და XI-XII სს. ქართული წერილობით ძეგლების ჩვენებათა საფუძველზე ფიქრობს, რომ ტექსტში თავიდან უნდა ყოფილიყო კარასეული, ბერძნული წარმოშობის სიტყვა „კრასოვული“, რომელიც აღნიშნავს ღვინის და სხვა სითხის ჭურჭელს ან საწყაოს. ასეთი კონიექტურა შინაარსობლივ კარგად ესადაგება კონტექსტს, თუმცა ეჭვსაც აღძრავს ეს გასწორება, რადგან ნათლად არა ჩანს სავარაუდო „კარასეულ“-ის „ბაგრატეულ“-ად შეცვლის გრაფიკული და ფონეტიკური საფუძველი.

პროფ. მზ. შანიძის გამოკვლევაში სათანადო ადგილი ეთმობა ძეგლის ენის მორფოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური და სინტაქსური კატეგორიების გამოხატვის ნორმატიულ ფორმათა დადგენას, რომ ამის გათვალისწინებით ტექსტის კონკრეტული ადგილები იქნეს გამართული. მაგალითად, გამოსვლითის მნიშვნელობით თანიან მრავლობითში დასმულ სახელს თა-ით დაბოლოება მოუდის (აიყარა ველთაით-აიყარა, წავიდა ველებიდან). ამის გათვალისწინებით მკვლევარი ასწორებს ერთ აშკარა მცდარ იკითხვისს, რომელიც დავითის ერწუხში გამარჯვების ეპიზოდშია: „ერთი ათასთა არა თუ ხდევდა, არამედ კელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სანთლითა თვთ მათვე ტყქოათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი“. ხელნაწერებისა და გამოცემათა იკითხვისი „სანთლითა“ აშკარა შეუსაბამობაა და გამომცემელი თავდაპირველ ფორმად „სამალავთაით“-ს ვარაუდობს, წინადადებასაც ასეთი სახით წარმოგვიდგენს: „...არამედ სამალავთაით და თვთ მათითვე ტყეთა და მთხრებელთაით ტყუედ მოჰყვანდეს იგინი“.

მკვლევარი ძეგლის დერივაციულ საშუალებათა სპეციფიკის საფუძველზე ტექსტის ბევრ საყურადღებო შესწორებას გვთავაზობს. მას მიაჩნია, რომ, ვთქვათ, თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა „მწიგნობარნი“, არამედ „მეწიგნენი“ ანუ ბრძნ. „რეფერენდარიოს-“ის ფარდი „წერილის დამტარებლის“ „შუამავლის მნიშვნელობის სიტყვა, ან: „კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა“ უნდა გაიმართოს ასე: დღითი-დღედთა წარსაგებელთა“, ხოლო ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა“, ასე: „ვერვინ ძუელთა ანუ ახალთა მეფეთგანი ემსგავსა“, ან კიდევ: „ხედვიდა რა დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა“ ფრა. ზას ადრე ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: „ხედვიდა რაი დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისამიერთა წყალობათა“.

მზ. შანიძე საგანგებოდ განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა გვიანდელი გადამწერი ვერ ააზრიანებს ზმნის ძველ გრამატიკულ ფორმას და მას მცდარად „ასწორებს“. მკვლევრის სიტყვებით, ალრეულია პირის ფორმები, შეცვლილი და არასწორადაა მწკრივთა ფორმები, მცდარად არის ერთმანეთს შენაცვლებული სხვადასხვა გვარის ზმნები და სხვ. ასეთი ცვლილებების შედეგად ზოგჯერ ვიღებთ ქართულში საზოგადოდ არარსებულ ფორმებს. ამგვარი ვითარება მარტო ნუსხებში არ არის, დამახინჯებული იკითხვისები გამოცემებშიც გვხვდება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტის აზრსაც აბუნდოვანებს.

ძველი ტექსტის დადგენისას ხშირად დავას იწვევს (და ზოგჯერ არც თუ უსაფუძვლოდ) გამომცემლის ცდა დადგენილ ტექსტში ძეგლის შექმნისდროინდელი გრამატიკული ფორმების უნიფიცირებისა. ცხადია, ძნელია, მოიძებნოს საკმაო მოცულობის ისტორიული და ლიტერატურული ძეგლი, ასე ვთქვათ, პირწმინდად, ყოველგვარი „გადახრის“ გარეშე რომ იცავდეს გარკვეულ დროის გრამატიკულ ნორმებს. ამდენად, გვიანდელი ხელნაწერებით მოღწეული ძველი ტექსტის (მით უმეტეს პოეტურის) თავდაპირველი სახით აღდგენა მიახლოებითია. მაგრამ, როცა ძველი თხზულების გვიანდელი ხელნაწერები ნაირგვარ იკითხვისებს (ძველს, ახალს, სწორს, მცდარს, ოკაზიონურს...) გვაწვდიან, ისტორიულ და ლიტერატურულ რეალიებთან ერთად უთუოდ საჭიროა გათვალისწინება არა მარტო თვით თხზულების, არამედ მის შემცველ ხელნაწერთა შექმნისდროინდელი სამწერლობო ენის სტრუქტურული ვითარებისა. მხოლოდ ამის კვალობაზე უნდა მოხდეს კონტექსტისათვის ყველაზე შესაფერისი ვარიანტული ფორმის შერჩევა ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში.

დავითის ისტორიკოსის მატიანის გამომცემლის და მკვლევრის პროფ. მზ. შანიძის ტექსტოლოგიურ ძიებათა მასშტაბურობას, სიზუსტესა და სარწმუნოობას არსებითად სწორედ მისი მყარი ლინგვისტური პოზიცია აპირობებს (გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ზოგი ლიტერატურისმცოდნისა და ისტორიკოსის გამოცემულ ტექსტებში აშკარად იგრძნობა ენათმეცნიერული თვალთახედვის არქონა თუ უკმარისობა). ამიტომაც ძნელია შეედავო მკვლევარს „დავითის ცხოვრების“ დღემდე არსებულ გამოცემებში არსებულ იკითხვისთა ისეთ გრამატიკულ „შესწორებებში“ რომელთაც მხარს უჭერს ძეგლის შექმნისდროინდელი ენობრივი ვითარება და მოღწეულ ხელნაწერთა გარკვეული ჯგუფი, ვთქვათ: 1. გამოცემათა იკითხვისებში: რქუა, მიმართებდა, მართებდა, ნატრიდის, მხახურებდა... აღდგენილია III ირ. ობიექტური პირის ნიშანი (ჰრქუა, მიჰმართებდა, ჰმართებდა, ჰნატრიდის, ჰმსახურებდა...).

2. გამოცემათა ფორმა „ზრუნვიდეს“ შეცვლილია მხ. რიცხვის „ზრუნვიდა“-თი, რადგან ერთ ქვემდებარესთან შეწყობილი სხვა ყველა ზმნა -შემასმენელი მხ. რიცხვშია.

3. ზოგი ხელნაწერის ჩვენების საფუძველზე აღდგენილია ბრძანებითი მწკრივის ფორმები, რითაც ტექსტს სიცხადე უბრუნდება. წინადადებაში „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი პოვის...“; აშკარად შეუსაბამოა უწყვეტლის ფორმა „ცნობდა“ და იგი ზოგი ხელნაწერის ჩვენებისებრ შეცვლილია I ბრძანებითის „სცნობდ“ ფორმით. ასევე სწორადაა „ისმინეთ“ შეცვლილი „ისმინედ“ ფორმით, რადგან ბრძანება III პირს ეხება.

4. დამაჯერებელია ზოგან უწყვეტლის ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ფორმათა აღდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენა (მისცემდის, უწყოდის, ეტჳრთის, იყვის...)

5. უთუოდ მისაღებია მ ც ა ნაწილაკიან კონსტრუქციაში თხრობითი კილოს ფორმის აღდგენა (გამოცემების „სთქუამცა“ შეცვლილია „სთქუმცა“-თი).

6. ზოგჯერ გვარის ფორმების შეცვლა რეალურ შინაარსს უბრუნებს წინადადებას. მაგალითად, გამოცემებით, დიდგორის ომის ეპიზოდში ნათქვამია, რომ დავითმა „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა“. მკვლევარს შენიშნული აქვს, რომ „ივლტოდა“ აშკარად შეუსაბამო იკითხვისია, რადგან გამოდის რომ ბრძოლაში გამარჯვებული დავითი თვითონ გაიქცა, ამიტომ ზოგი ხელნაწერის ჩვენებათა გათვალისწინებით წინადადებას ასე კითხულობს: „პირველსავე ჰომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა (იგინი).

გამოკვლევაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ძეგლისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს, კერძოდ, განკერძოებული განსაზღვრებების, ერთგვარი წევრების შემცველთ, ტექსტის კრიტიკისა და დადგენისათვის. ამ კონსტრუქციათა გათვალისწინებით მკვლევარი მრავალ საყურადღებო თავდაპირველ ტექსტში სავარაუდო იკითხვისს წარმოგვიდგენს, რომელთაგან დავასახელებთ მხოლოდ ერთს: ყველა ხელნაწერსა და გამოცემაში ერწუხის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებაზე თხრობისას ნათქვამია: დავით მეფემ მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხა, „მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დაჰკოცნა სულტანისა იგი სპანი ურიცხუნი“. კონტექსტი რომ გაეაზრებინათ, იძულებული იყვნენ „განწირული“ გაეგოთ, როგორც „თავგამეტებით“, „თავგანწირვით“, თუმცა მას ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონია და ძველადაც „გამეტებულს“, „განწირულს“, „იმედწართმეულს“ აღნიშნავდა, ასეთ შემთხვევაში საეჭვო ხდება იკითხვისის ავტორისეულობა, გამარჯვებული ჯარი რატომ უნდა ყოფილიყო უიმედო, განწირული? მკვლევარი ყურადღებას მიაპყრობს პარალელიზმის წესით აგებულ კონსტრუქციას, სადაც „ლაშქარი“ და „ერი“ ერთგვარ უბრალო დამატებადაა გამოყენებული და ამდენად, მათი განსაზღვრებებიც „მცირედითა“ და „განწირულითა“ სიმეტრიის დაცვის შემთხვევაში სინონიმური მნიშვნელობისა უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში კი „მცირედითა“-ს, ასე ვთქვათ, გამაწონასწორებლად უფრო შესაფერისია „განწილულითა“ (ე. ი. დაცალკევებული, არასრული, ცოტა) და ასეც ფიქრობს მკვლევარი; ის აღადგენს ასეთ იკითხვისს: „მცირედითა ლაშქრითა და განწილულითა ერითა“.

პროფ. მზ. შანიძის გამოკვლევის მეორე თავი ეხება „დავითის ცხოვრების“ ლიტერატურულ წყაროებს. მკვლევარი გამოწვლილვით განიხილავს არა მარტო თხზულებაში ჭარბად გამოყენებულ ბიბლიურ თუ სხვა საეკლესიო (მათ შორის ეგზეგეტიკურ) ძეგლთა ციტატებს, არამედ ამ თხზულებათა გარკვეული ადგილების რემინისცენციებს. დამაჯერებლადაა დადგენილი, რომ დავითის ცხოვრების მემატიანე ხშირად გამოყენებულ წყაროთა ადგილებს საჭიროებისებრ ცვლის: აერთებს ციტატებს, აკლებს ან უმატებს მათ სიტყვებს, ენობრივად აახლებს, ამარტივებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და სხვ. მკვლევარი მეცნიერული სიფრთხილით განამტკიცებს ივ. ჯავახიშვილის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „დავითის ცხოვრების“ ავტორი საეკლესიო მოღვაწე უნდა ყოფილიყო, თანაც ამას განამტკიცებს საკმაოდ სილიდური საბუთიანობით: თხზულების ენა, ავტორის მცდელობა კლასიკური ძველი ქართულის მორფოლოგიური ნორმების დაცვისა, მწიგნობრული ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები, ნაწარმოებში გამოვლინებული განსწავლულობა, ბიბლიურ მხატვრულ სახეთა, ალუზიათა და რემინისცენციათა დიდი რაოდენობა (მათი რიცხვი ამ არც თუ დიდი მოცულობის თხზულებაში ასამდე აღწევს), სასულიერო მწერლობის ზედმიწევნით ცოდნაზე დაფუძნებული მხატვრული ტროპები და ლიტერატურული პარალელები დამატებით მასალას გვაძლევს იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ „ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“ დაწერილია მწიგნობრის — სასულიერო პირის მიერ.

ადგილის შეზღუდულობა რომ არა, კიდევ შეიძლებოდა პროფ. მზ. შანიძის გამოკვლევისა და მის მიერ კრიტიკულად გამოცემული ტექსტის ინფორმაციულ საჭიროებაზე საუბარი. მაგრამ, იქნებ სჯობდეს, სპეციალისტები და საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული სხვა მკითხველები თავად დარწმუნდნენ ამ ნაშრომის მრავალმხრივ მნიშვნელობაში. ალბათ, მკრეხელობა არ იქნება, თუ გავამჟღავნებ ერთ სურვილს, რომელიც ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აღმეძრა: ბრალია ამ გამოცემაში წარმოდგენილი „დავითის ცხოვრების“ გასწორებულ-გასპეტაკებული ტექსტი, ოღონდ მიზნობრივად შეკუმშული და ადაპტირებული, არ შედიოდეს ჩვენი საშუალო სკოლის რომელიმე ზედა კლასის სასწავლო ქრესტომათიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლანა კალანდია

# ბესიკ ხარანაულის პოეტური სამყარო

ჭეშმარიტი პოეზია იბადება იმ სივრცეში, სადაც ერთმანეთს გადაჰკვეთს ურთიერთსაწინააღმდეგო, ერთი შეხედვით ერთმანეთს დაუკავშირებელი მოვლენები. იგი რაციონალური და ირაციონალური, ლოგიკური და ალოგიკური, მატერიალური და მეტაფიზიკური აზროვნების ერთიანობაა. ამ პარადოქსული ერთიანობის აღქმა და განსაზოვნებაა ნამდვილი შემოქმედის არსიც და მიზანიც.

ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა შეხების საზღვარზე ჩნდება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელი აზრი, ფერი, განცდა... შემოქმედის ხედვა სწორედ აქ, ამ მისტიკურ სივრცეში აღიქვამს და შეიმეცნებს სამყაროს კანონზომიერებებს. ეს აღქმა არაერთმნიშვნელოვანი და არასწორხაზოვანია, რადგან ყოველი შემოქმედი სრულიად ახლებურად, განსხვავებულად ჰვრეტს სამყაროს და ყოველი ახალი პოეზია წარმოადგენს ნებისმიერი საგნის, მოვლენისა თუ გრძნობის ახალ ქმნადობას. ამით პოეტი თავისი არსით უზენაეს შემოქმედს ემსგავსება და მისკენ მიისწრაფვის.

პოეზია მუდმივი ძიებაა ახალი სახეების, ფერების, კავშირების. ამგვარი შემოქმედებითი ძიება სულის მარადიულ მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ეს მოძრაობა გარკვეულწილად ქაოსურია, მაგრამ ამ ქაოსში უკავშირდებიან ერთმანეთს მოვლენები და ქმნიან ერთიან პოეტურ სახეს. უმცირესი ლექსით, ერთი ფრაზით პოეტს შეუძლია ერთდროულად გამოხატოს ყველაფერი: სამყაროს მისეული ხედვა, ადამიანის სულის იდუმალება, პიროვნებისა და საგნის არსი. თავისი მნიშვნელობით პოეზია ებრძვის წარმავალობას. ცნობილია, რომ ადამიანის შეგნებაში, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მუდმივად ცოცხლობს მისი ამქვეყნიური არსებობის წამიერების დამთრგუნველი განცდა. სწორედ ამიტომ იგი განუწყვეტლივ ეძებს საყრდენს, რომელიც მარადიულობასთან იქნება წილნაყარი, ნაზიარები. ამგვარ სწრაფვას მარადიულობისაკენ მხოლოდ შემოქმედებით სამყაროში მივყავართ. ეს ღვთაებრივი გარემო წარმოადგენს ადამიანთა სულის ნავთსაყუდელს, რადგან პოეტური ხედვა თავისი არსით გულისხმობს დროისმიერის დაძლევას, წამის შეჩერებას. მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს ძალუძს დაუპირისპირდეს და აღემატოს ემპირიულ დროს. აქედან გამომდინარე, პოეზია, გარდა საყოველთაოდ და ერთმნიშვნელოვნად აღიარებული ესთეტიზმისა, ნუგეშის სიტყვა არის უპირველესად.

ნამდვილი პოეტის მოსვლა ყოველთვის შინაგანი აუცილებლობით არის გაპირობებული. ეს პროცესი ან ფარულად, ან აშკარად მზადდება ლიტერატურაში, საზოგადოებაში, მაგრამ ეს არ არის ლოკალური მოვლენა და მხოლოდ კონკრეტულ-ლიტერატურულ ვითარებას არ უკავშირდება. შემოქმედის დაბადება უფლის გალიმებას ჰგავს. გარკვეულ დროსა და სივრცეში მოდის პოეტი და განგება მას აკისრებს გარკვეულ სულიერ მისიას. პოეტური აზროვნება არასოდეს არ არის განყენებული, მოწყვეტილი მისი არსებობის ბუნებრივ, კანონზომიერ აუცილებლობას. საუკუნის დასაწყისში გალაკტიონმა ბრძანა: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. ამით მიანიშნა, რომ საჭირო იყო ახალი აზრის, სიტყვის, ფორმის ძიება. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი სწორედ ამგვარი ძიებებით ხასიათდება. ამ ფაქტის დასადასტურებლად ხაკმარისია გავიხსენოთ იმდროინდელ ლიტერატურულ დაჯგუფებათა მრავალფეროვნება. ეს დაუღალავი შემოქმედებითი ძიებები გარკვეულწილად გალაკტიონმა დაასრულა. თავისი განუსაზღვრელი შემოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი ენერგიით მან ამოწურა „სიმბოლისტური" პოეტური აზროვნების შესაძლებლობები.

სამოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულ თაობას უკავშირდება ქართული კლასიკური ლექსის თანდათანობითი რღვევის, მისი პირველი საფუძვლიანი „ზელყოფის" ტენდენცია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი მათ შემოქმედებაში არ დასრულებულა და საბოლოო სახე მხოლოდ მოგვიანებით მიიღო. ლიტერატურულ კრიტიკაში სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ: „ტრადიციული ლექსწყობის დარღვევის სერიოზული განზრახვა „ცისფერყანწელებსაც" ჰქონდათ. მათ პირველ მანიფესტში გარკვევით ეწერა, რომ ისინი ქართულ ლექსს „ხერხემლის გადამსხვრევას" უპირებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პოეტები ბოლოს და ბოლოს იმით ამაყობდნენ, რომ ჩვენი პოეზიის ისტორიაში პირველად დაწერეს სწორი სონეტი და ტრიოლეტი". („კრიტიკა", 1980 წ., № 2, ჯანსუღ ღვინჯილია „ბუნდოვანი პროფილის გამო" გვ. 110).

ოთხმოციან წლებში ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობდა „სამოცდაათიანელთა" შესახებ. უფრო მეტიც, საკამათო იყო საერთოდ მათი „არსებობა". ამ მხრივ არგუმენტირებული მოსაზრებები გამოთქვეს გურამ ასათიანმა და ჯანსუღ ღვინჯილიამ. „სამოცდაათიანელების" „ბუნდოვანი პროფილი" საბოლოოდ გამოიკვეთა და ხაზგასმული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს საკითხები საკამათო აღარ უნდა იყოს, აუცილებლად მიგვაჩნია ზოგადად მიმოვიხილოთ, რას ნიშნავს „ლიტერატურული თაობა" და ქართულ სინამდვილეში როგორი იყო „სამოცდაათიანელთა" სახე.

აღნიშნავდნენ, რომ „ლიტერატურულ თაობაში" იგულისხმება გარკვეული ასაკის შემოქმედთა ჯგუფი, რომელთაც თავისი განსაკუთრებული სათქმელი აქვთ და ეს სათქმელი შესაბამისი ფორმებით მიეწოდება მკითხველს. ბუნებრივია, რომ ყოველ სიახლეს საზოგადოებაშიც და ლიტერატურაშიც ჰყავს თავისი წინამორბედები და ნოვატორობა სრულიად არ გამორიცხავს ორგანულ კავშირს ტრადიციებთან.

ყოველ დროს თავისი სიახლე, სპეციფიკა ახასიათებს და ახალი თაობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა მის მიმართ. ეგევე ითქმის ლიტერატურულ თაობაზე. სამოცდაათიან წლებში ქართულ პოეტურ აზროვნებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები მხოლოდ ფორმალური არ იყო და მარტოოდენ ვერლიბრის გაბატონებასა და კანონიკური ლექსწყობის გარეგნულ რღვევაში არ გამოიხატებოდა. ამ პერიოდს უკავშირდება პოეტური აზროვნების სხვა ტიპი — ანალიტიკური, მედიტაციური, განსჯითი პოეზია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „სამოცდაათიანელები" ტრაგიკული თაობაა. ეს ტრაგიზმი ობიექტური რეალობით იყო ნასაზრდოები. მეცნიერული პროგრესის, საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრმა ცვლილებამ და სულიერ ფასეულობათა დევალვაციამ თავისი საბედისწერო დაღი დაასვა მათ სულსა და შემოქმედებას. ეს ადამიანები თითქოს პირველები აღმოჩნდნენ იმ გლობალური საშიშროების წინაშე, რომელიც შთანთქმით ემუქრება ინტელექტუალურ, ზნეობრივ საწყისებს ინდივიდში. დრომ თავად შემოაცალა სამოსი და გააშიშვლა ცხოვრება. ამ „პროზაული სიშიშვლის" პირისპირ შემკრთალი დადგა სამოცდაათიან წლებში მოსული თაობა. მათ სათქმელს უკვე აღარ სჭირდებოდა სამკაულები. ამ თვალსაზრისით, ლექსის რითმისაგან „გათავისუფლება" შინაგანი აუცილებლობით გამოწვეულ პროცესად წარმოგვიდგება და არა ნოვატორულ „ახირებად".

გურამ ასათიანი „სამოცდაათიანელებს" „ბესიკ ხარანაულის თაობას" უწოდებდა. ეს არ იყო შემთხვევითი. ბესიკ ხარანაულის სახელს უკავშირდება ყველაზე მეტად ამ თაობის სულისკვეთება. მის შემოქმედებაში ყველაზე სრულად გამოიკვეთა პოეტური ინდივიდუალიზმი. უფრო მეტიც, ამ სახელს უკავშირდება მთელი შემოქმედებითი პლეადის სახე. იგი შეგნებულად გაემიჯნა ტრადიციულ პოეტურ აზროვნებას, რადგან იმას, რასაც ბესიკ ხარანაული ამბობს, არ სჭირდება „გაწყობა". აქ ფორმისა და შინაარსის იდეალური ერთიანობის მოწმენი ვართ. „შენს ლექსს რითმა არ სჭირდება, რადგან ის არსად არ აპირებს გაფრენას. შენ თვითონ შეაჭერი მას ფრთები — შეგნებულად, სრულიად დაუნანებლად, რათა სიტყვებს შენს მიერ ირონიით გაკიცხულ იმ გულუბრყვილო ჩიტებივით არ დაეწყოთ ფრთხიალი, თავისი თავი ბედნიერების მახარობლად რომ წარმოიდგინეს" (გ. ასათიანი, „ვიდრე..." „ლიტ. საქ", 1978 წ., 24 VIII). პოეტის გამოჩენა ამბოხი იყო. მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლას წააგავს ბესიკ ხარანაულის სიტყვა. მისი პოეზია „შემზარავია თავისი გულწრფელობით" (გ. ასათიანი). ეს არის სურვილი ხელოვნური, შეკოწიწებული იდეალების რღვევისა, გამომზეურება გაფერადებული სამყაროს ბოროტებისა. ამ სულისკვეთებას საფუძვლად ღრმა რწმენა უდევს. ეს ის რწმენაა, რომელიც შექსპირს ათქმევინებს:

„ბოროტი საქმე ღლის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს".

დაფარულის გამოაშკარავება ზარავს, ალბათ, ასე ბესიკ ხარანაულის პოეზიის მკითხველს. არ არის გასაკვირი, რომ მისი განცდები უცხოა საზოგადოებისათვის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს: განხეთქილება მაშინ დაიწყო, როდესაც ადამიანები საკუთარ თავს გაუუცხოვდნენ.

ტრადიციული, „მისაღები" ფორმების უარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა ბესიკ ხარანაულის პოეზიაში თვითმიზანი არ არის. ეს არის სულიერი ტრაგედიის გაცხადების ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. ამ დრამაში თითქოს ჰამლეტის აჩრდილი დადის:

„ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის. მე როდი ვიცი, ჩენა რას ჰქვიან: ჩემი გულის-თქმას ვერ გამოაჩენს ვერც ეს მელნისფრად შეღებილი წამოსასხამი, ვერც მგლოვიარედ წესისამებრ ძაძებში ჯდომა, ვერც ქარიშხალებრ აღმოსული კვნესა გულისა, ვერცა თვალთაგან მომდინარე ცრემლთა წყარონი, ვერც პირი-სახე, მწუხარების გამომხატველი და სხვა ამგვარი წესი, რიგი, მართებულობა. ყველა ესე „სჩანს", ყველას ძალუძს მათ მითვისება! მაგრამ მე გულში მაქვს რაღაცა: გარწმუნებთ იგი არ საჭიროებს „მწუხარების მოკაზმულობას". ეს „მოუკაზმველი მწუხარება" ანიჭებს ბესიკ ხარანაულის პოეზიას განუმეორებლობას. შინაგანი დრამატიზმი, მძაფრი სულიერი კატაკლიზმები თავისთავად თხოულობდა გამოხატვის არაკანონიკურ ფორმას, რადგან „უ ო ვ ე ლ ს ა თ ქ მ ე ლ ს ჩ ა ს ა ხ ვ ი ს თ ა ნ ა ვ ე თ ა ნ დ ა მ ყ ვ ე ბ ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი პ ო ე ტ უ რ ი ფ ო რ მ ა" (ბ. ხარანაული). ამგვარი ფორმა ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი აღმოჩნდა.

„ჩამოაშორეთ ლექსს რითმა, რიტმი, ჟღრიალა სიტყვები, აზრიც კი ჩამოაშორეთ! გაფერთხეთ, გაანიავეთ და თუ კიდევ დარჩება მასში რაიმე, სწორედ ის იქნება პოეზია", — წერდა ლეონ ფელიპე.

ვერლიბრი დასავლეთ ევროპის პოეზიაში XIX ს-ის I ნახევრიდან იკიდებს ფეხს და ისეთი პოეტების სახელებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ: პოლ კლოდელი, უოლტ უიტმენი, ემილ ვერჰარნი, ბერტოლდ ბრეხტი და მრავალი სხვა. რუსულ პოეზიაში ვერლიბრი XIX ს-ის 60-იან წლებში გამოჩნდა. მოგვიანებით კი, XX საუკუნეში, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ი. ბუნინის, ვ. ხლებნიკოვის, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინისა და სხვა პოეტებისათვის ვერლიბრი ერთ-ერთი საყვარელი ფორმაა.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთი მოსაზრება გამოითქვა ვერლიბრის შესახებ, როგორც კრიტიკოსების, ასევე პოეტების მიერ. თავად ბესიკ ხარანაული ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ „ქართულ სინამდვილეში ვერლიბრი უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე ფორმისეული" (ბ. ხარანაული „დიალოგი ვერლიბრზე", „ახალგაზრდა კომუნისტი", 1982 წ., 16 მარტი).

ლიტერატურულ კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავისუფალი ლექსი ქართულ პოეტური აზროვნებისათვის არ არის უცხო მოვლენა. უფრო მეტიც, მას სასულიერო პოეზიისა და ხმით ნატირლების ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნევდნენ.

თავისუფალი ლექსისთვის არაერთხელ მიუმართავთ ქართულ პოეზიაში მაგრამ ლექსის ეს ფორმა საბოლოოდ მაინც ჩვენს თანამედროვე სინამდვილეში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა.

თავის ერთ-ერთ წერილში ჯანსუღ ღვინჯილია აღნიშნავდა, რომ ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის დამკვიდრება, უპირველეს ყოვლისა, ბესიკ ხარანაულის დამსახურებაა. ბესიკ ხარანაულმა სრულად გამოხატა ახალი ფორმის არსი, მასშტაბები და პერსპექტივები „მან თავისი მაღალმხატვრული ღირსებით აღბეჭდილი ლექსებითა და პოემებით კონკრეტულად დაადასტურა ახალი ფორმის ბუნებრიობა და აუცილებლობა ქართულ პოეზიაში"

ადამიანებო, მე ვიტყვი ერთ სიტყვას
და თქვენი თვალები ცრემლით აივსება,
თქვენ მოგაგონდებათ თქვენი ახალგაზრდობა
მოგონება გამოიწვევს სევდას...
მაშ ისმინეთ, ეს სიტყვაა სიყვარული,
ეს სიმღერაც სიყვარულზეა,
იგი დიდხანს იმღერებოდა მზეში,
ამიტომ სახე დამწვარი აქვს
და მაინც არის რაღაც მიმზიდველი
მის სილამაზეში.

ეს სტრიქონები „ხმამაღლა სათქმელი ლექსი"-დანაა. იგი 1960 წელს დაიბეჭდა. ამ პირველსავე პუბლიკაციაში გამოიკვეთა ახალგაზრდა პოეტის გამორჩეული მსოფლაღქმა. სათქმელის არატრადიციული ფორმის ძიება. პოეზია, „რომელიც დიდხანს იმღერებოდა მზეში", თავისთავად გულისხმობს მარადიული განახლების პროცესს. ამიტომ არის იგი უბერებელი და მიმზიდველი. „ხმამაღლა სათქმელი ლექსი" დამუხტულია ახალგაზრდული ენერგიით, ვნებით. მოულოდნელი სახეები და მოვლენათა შორის პარადოქსული კავშირები მძაფრად მოქმედებს მკითხველის ემოციურ სამყაროზე. მიუხედავად თამამი და „რისკიანი" მხატვრული აზროვნებისა, ამ ლექსში იგრძნობა ქართული ხალხური პოეზიის დინება, რაც განსაკუთრებით თბილ და მშობლიურ განწყობილებას ჰქმნის.

პოეტის ადრეულ ლექსებში შეიმჩნევა ფორმალისტური ძიებები, იგრძნობა რითმიანი, კონვენციური ლექსის გავლენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი სრულიად განსხვავებული პოეტური ბუნება ეჭვს არ იწვევს.

ბესიკ ხარანაული არ არის რომანტიკული პოეტი. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეზია სწორედ გროტესკული რეალიზმით ხასიათდება. „რომანტიზმი" ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მისი აზროვნებისათვის თითქოს უცხოა, მაგრამ შინაგანად, ძალიან ღრმად მუდამ იგრძნობა მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი რომანტიკული მიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სახეს;
ყვითელ ფოთოლზე დახატულს,
შენი ალერსი უნდა მარინე,
მიბრძანე რამე, ვეებერთელა
ლოდები მთაზე ამატანინე,
მარინე...

პოეტის მზერა ჰვრეტს, გარდაქმნის ყველაფერს. გარესამყარო შემოქმედის სულში თავისებურად პროეცირდება და შემდეგ ახლებურად სახექმნილი შემოქმედის სულიდან კვლავ სამყაროს უბრუნდება, უკვე „გასულიერებული“ და შინაგანი დრამატიზმით დამუხტული;

დავყურებ ქალაქს,
როგორც სახინკლე
ქვაბს, და უსახურად მდგარი სახლების
დრტვინვას შემკრთალი ლექვივით ვუმზერ.

შემოქმედის თვალს უყურადღებოდ არ რჩება ისეთი მოვლენები და სახეები, რომელთა არსებობაც ყოველდღიური ცხოვრებით დაღლილ ადამიანებს აღარც კი ახსოვთ. ივრის ჭალებში მოხეტიალე კოჭლ ცხენს ვერავინ ხედავს მგლის მეტი, მაგრამ არსებობს პოეტი, რომელიც ჰვრეტს სხვათათვის უხილავს:

ივრის ჭალებში დადის ცხენი,
კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ...
ამ ყინულეთში
ვერავინ ხედავს მას მგლის მეტი....

ფართოდ თვალგახელილი პოეტის სული ფერადი სიზმრების შემდეგ კვლავ პრაგმატულ ერთფეროვნებას უბრუნდება და ბუნებრივი, კანონზომიერი ეჭვით უკუშიაფენს თავის მზერას ზღაპრული ხილვების სამყაროს.

რისთვისღა ვსინჯავთ ამ ჯადოსნურ,
ღვთაებრივ სიზმრებს,
თუ თვალს გავახელთ
და ქვეყანა ისევ ის არის!

ბესიკ ხარანაული ფიქრის პოეტია. იგი განსჯის, აანალიზებს. მისი დასკვნები ყოველთვის მოულოდნელია. იქნებ იმიტომაც, რომ **«Слова, которые совершенно истинны кажутся парадоксальными) (Эрих Фром, «Искуство любви»).** „უცაბედი“, „ნაპერწკალივით გასხლეტილი სახეები“ მუდამ გაოცებს თავისი პარადოქსულობით, არაერთმნიშვნელოვნებით. ბესიკ ხარანაულის პოეზიის ღირსება, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოულოდნელობა არ არის, იგი მკითხველს ფიქრისკენ, საკუთარ სულში ჩაღრმავებისკენ უბიძგებს.

მუდამ, ყოველთვის, როცა ცხოვრებას
ნებისყოფიან მზერას მივაპყრობ
და დავაპირებ,
რომ ვაქციო სიღარიბე ჩემი —
სიმდიდრედ,
ხოლო სიმხდალე ვაჟკაცობად...
მაშინვე მოდის მოჩვენება
საწყალ, ავადმყოფ
და შემცივნულ გოგონასი და მეუბნება:
„მე უთვალავი წელი არის
რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვარ
და ყველა, ვინც კი
შენებრ საბრძოლველად შემართულა,
მე მადგამს ხოლმე ფეხს
თავის გზაზე!

ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირის ტრაგიზმის საფუძველი გაუცხოების, მიუსაფრობის შეგრძნებაა. „უსასრულო სივრცესა და უსასრულო დროში — წერდა შოპენჰაუერი, — ადამიანი თავის თავს აღიქვამს, როგორც სასრულსა და მაშასადამე, ამ ორ უსასრულობასთან შედარებით, მათშივე დანთქმულ-დაკარგულ, მსწრაფმავალ მოვლენას. და სწორედ მათი უსაზღვრობის გამო ადამიანს გააჩნია ამქვეყნიური არსებობის დროისა და სივრცის მიხედვით მხოლოდ რელატიური და არასოდეს აბსოლუტური შეგრძნება... საკუთარი არსებობა მისთვის მოცემულია აწმყოში, დაუოკებლად რომ ერთვის წარსულს — მხოლოდ სიკვდილში გადასვლასა და უწყვეტ კვდომაში. „მიწიერი სინამდვილის უსიერ ტევრში გზააბნეული პოეტის „ბრწყინვალე მარტოობა“ თავისი მისტიკური, მეტაფიზიკური არსით ყველაზე მეტად ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ სამყაროს ენათესავება. ეს არის იმ უწყვეტი, უფაქიზესი სიმების გაგრძელება, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში. მატერიალური ცხოვრების ჭაობში ჩაფლულ ადამიანებთან სულიერი მიუსაფრობის, მარტოკაცობის განცდა ისევე ორგანულია ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირისათვის, როგორც „სული ობოლის“ ტრაგიკული ავტორისათვის. თითქოს ყველაფერია ირგვლივ იმისათვის, რომ იყო მშვიდი, შერიგებული ყოფიერებას. ისეთი, როგორიც არის მილიონობით, მილიარდობით ადამიანი დედამიწაზე და მაინც:

უცხო — როგორც უსურიის ენოტი
საბადურის ტყეში,
როგორც ჩრდილოეთის თეთრი დათვი
წიფლნარის მწვანე პირიმზითებში, —
უცხო... უცხო...
უცხო კაცი დაიარება შენს ქუჩებში,
ჩემო ქალაქო“.

ბესიკ ხარანაული შინაგანი დიალოგის გზით მიდის შემეცნებისკენ. სამყარო, რომელშიც პო-

ეტი ცხოვრობს, შინაგან პროტესტს, დაუკმაყოფილებლობას იწვევს. მის ცნობიერებაში ყველაფერი იშლება, მოვლენები, საგნები კარგავენ ჩვეულ ადგილებს, აშბოხებული პოეტი, უზენაესის მსგავსად, თავიდან იწყებს მთელი გარესამყაროს შემოქმედებასა და სრულქმნას.

მე სულ სხვა ქვეყნებს მოგაყენებ კარს,
უგუნურო!

სხვა ტყეებიდან გამოგხედავ და
გამოგძახებ,
და გაგაბრაზებ,
სხვა მგლებთან და სხვა ირმებთან
გადახვეული.

„სხვა ქვეყნები! მისივე ფიქრისა და სულიერი ტკივილის ფასად არის შექმნილი. ამიტომაც არ ჩქარობს პოეტი, გაუშვას კბილი „წუხილის კალთას".

შეუცნობელი სამყაროს მარადიული ცვალებადობის ტრაგიკული აღქმა ახალი არ არის ქართული აზროვნებისათვის. სოფლის „ზნის" შემეცნებისკენ სწრაფვა ადამიანის არსებობის ღვთიურ არსში ძევს. ამქვეყნიური ცხოვრების უკულმართობისა და წამიერად გაელვებული ტანჯვისა თუ სიხარულის დრამატული განცდა თითქოს ჩვეულებრივი, ყველასთვის გასაგები ტკივილია და მაინც — გარინდებულ, დაყურსულ სივრცეში სამრეკლოს ჩამოკრული ზარივით ისმის პოეტის შეძახილი: „რა დაგიშავეთ ღმერთო, მითხარი!"

ბესიკ ხარანაულის პოეზიისთვის დამახასიათებელ ტრაგიზმს თითქოს დაძაბულობის განმუხტვის მიზნით მუდამ თან ახლავს ირონია, ერთგვარი ცინიზმიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინტონაციების საფუძველი ფშაურ პოეზიაში არსებობს კაფიების სახით. ფშაური სამყარო, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი წყობა ხასიათდება ღვთიირონიული, თვითკრიტიკული მიმართებით. ბუნებრივია, რომ ამ გარემოსთან სიახლოვე საფუძვლიან გავლენას მოახდენდა პოეტის შემოქმედებაზე. ამ თვალსაზრისით, ღრმა სულიერი განცდები და ადამიანური საზრუნავი, მოვლენათა მოულოდნელი კავშირები მკაცრი გროტესკულობითა და ირონიით ისეთ სახეს იღებს, რომ თავისი მნიშვნელობით „აბსურდის თეატრს" ემსგავსება.

ერთი შეხედე:
მზეს მიუტოვებია სნაიპერის შაშხანა,
წასულა სამზევეთში და ქლიავს ამწიფებს,
მუშები სახურავზე ასულან,
კაკ-კუკ — სახურავს შეაკეთებენ.
ერთი შეხედე:
შენი ცოლი და დედაშენი მტრედებივით
დამსხდარან
ერთმანეთის წითელ ფეხსაცმელებს
მისჩერებიან
ერთი შეხედე:
საგნებს შორისაც, რომლებთანაც შენ
ცხოვრობდი,
ჰარმონია დამყარებულა...
და ეს იმიტომ, რომ შენ წევხარ შუა
ოთახში —
მკვდარი!

შეცბუნება, რომელიც მკითხველს ეუფლება ლექსის წაკითხვის შემდეგ, ერთი მხრივ, გამოწვეულია მოვლენათა განვითარების მოულოდნელობით, ხოლო მეორეს მხრივ, ერთგვარი სინანულით. ეს სინანული გამოწვეულია იმით, რომ ადამიანი თავად არის სამყაროს ცენტრი, იგი ქმნის ალოგიკურობას, დისჰარმონიას თავისი წინააღმდეგობრივი ბუნებით სუბსტანციური გონებით მოწესრიგებულ სამყაროში და მისი გარდაცვალების შემდეგ თავის თავად მყარდება ჰარმონია და თანხმობა. ამ „ჰარმონიას" მსუბუქი ირონიაც ახლავს და ადამიანური სევდაც.

პროზაული შედარებებითა და ორიგინალური გააზრებით საინტერესოა ლექსი „მე დავიბადე შემოდგომაზე". კონტრასტული, „უხეში" მეტაფორები, ერთგვარი ანტიესთეტიზმი წინააღმდეგობრივ განწყობილებას ბადებს მკითხველში:

მზე არ მათბობდა, რადგან არ იყო
ის შემოსილი ოქროსფერ მატყლით
მზე — თავმომწონე კაცმა ატყორცნა
ფეხით კონცერვის თეთრი კოლოფი.
შეხედა კაცმა და გაუკვირდა,
რომ თავისქალა ბრუნავდა ცაზე
და საუბარი სპორტის შესახებ
შეცვალა ყოფნა-არყოფნის თემით.

მოვლენებისადმი ამგვარი მიმართება მოგვიანო პერიოდის პოეზიაში კვლავ ძირითადი თემა იქნება პოეტისთვის. მათი განსახოვნება უფრო სრულქმნილი და ოსტატურია, მაგრამ ნაკლებ ემოციური და გრძნობისმიერი.

ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაში ძირითადი მოტივი ბავშვობასთან, პირველსაწყისთან დაბრუნებაა. მასში თითქოს ორი „მე" არსებობს. ერთი — კონკრეტული, მკაცრი, ირონიული, ყოფიერების სცენაზე მორგებულ ნიღბებით, ხოლო მეორე — ღრმად მგრძნობიარე, მისტიკური ხილვებით, სულიერ სამშობლოს მონატრებული და მარადიულ გზაზე მისკენ მავალი. პოეტის სურვილი წარსულთან დაბრუნებისა გამოწვეულია, ერთი მხრივ, უხამსობასთან, ერთფეროვნებასთან გამიჯვნის სურვილით, ხოლო მეორეს მხრივ — სულიერი სიმშვიდის, ჰარმონიის თანაგრძნობის პოვნის იმედით. თიანეთი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა... ახოცირებულია პირველსაწყისთან, ღვთისმშობლის სახესთან. ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი იგრისპირებზე ისე დაეძებს სიმშვიდეს, როგორც დაკარგულ ნატვრისთვალს. პოეტის ხედვა ბრუნდება შორეული წარსულისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ გაზხენებას ელის, რათა აღმოცენდეს, ამომზეურდეს, როგორც დასაწყისი დიდი განთიადისა. პირველქმნილი ერთიანობისადმი გაუცხოება განსაზღვრავს ბესიკ ხარანაულის ტრაგიზმს.

„ნისლიანი სივრცეებით გაბეზრებული" ყვავები, სადღაც ძალიან შორს მიფრინავენ, დედამიწაზე კი მხოლოდ იმიტომ რჩება ორი ადამიანი, რომ არ დაიკარგოს ეს ჯადოსნური და, ამავე დროს, უაღრესად ინტიმური სიტყვა, რომელსაც პოეტი ჩურჩულით ამბობს — „შე ჩემთავმკვდარო". გულგრილობას, სიცივეს, არარაობას წამით თავდაღწეული პოეტი ისევ იქ მიდის, საიდანაც იწყება ათვლა ადამიანური ურთიერთობებისა; იქ, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება გაიქცე, სადაც შეგიძლია მოკვდე ვაჟკაცურად და ისე გამოეთხოვო ყველაფერს, როგორც „გუზუმბათზე დაჭრილი ტახი ეთხოვება წიფლის შიმელებს". რაინდული სიკვდილის ამგვარი გრაციოზული, დრამატული პეიზაჟი ძალიან ჰგავს კარლოს კასტანედას „მოგზაურობაში" აღწერილ სიკვდილს.

«Ты умрешь здесь, независимо от того, где ты будешь находиться. У каждого воина есть место для умирания, — место его предрасположения, которое пропитано незабываемыми воспоминаниями. Где могущественные события оставили свой след. Место, где он был свидетелем чудес. Где ему были открыты секреты. Место, где он хранил свою личную силу. Воин имеет обязательство возвращаться назад к месту своего предрасположения каждый раз, когда он коснется силы, для того, чтобы хранить ее здесь. Он идет туда или пешком, или при помощи сновидения. И, наконец, однажды, когда его время на земле окончится и он почувствует, что смерть хлопнула его по левому плечу, его дух, летит к месту его предрасположения, и там воин танцует для своей смерти».

ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ მოზრდილი ციტატის ამოწერა, რადგან თავისი სიმძაფრითა და „სიღრმით სადღაც ეხმიანება პოეტის სიტყვებს:

გამიშალე, გამიშალე, ჩქარა, ლოგინი
მე მინდა მოვკვდე ჩემს ადგილზე,
როგორც მებრძოლი.
და ისე, როგორც გუზუმბათზე დაჭრილი ტახი
ეთხოვება წიფლის შიმელებს,
მე მინდა, მინდა ყველა საკრავს შევახო
ხელი.
გამიშალე, გამიშალე, ჩქარა, ლოგინი!

პოეტის ცნობიერებაში მუდმივად არსებობს „ჩემი მხარე", „ჩემი ქვეყანა" — ის პატარა მიკროსამყარო, რომელიც ღვთიური იდილიის, სულიერი სამშობლოს სახე და ხატია. „ჭრელ ფარდაგზე" მიხატული მამალი მოულოდნელობითა და ღრმა შინაგანი ემოციით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე:

მე ვარ მამალი,
შენ რომ მიმხატე ჭრელ ფარდაგზე,
მომწყინდა და ძირს ჩამოვფრინდი.

მამული, თიანეთი, დედა — ამ თემებზე შექმნილი ლექსები თითქოს ერთი ღრმა ამოსუნთქვით არის დაწერილი. პოეტის ემოციები იმდენად ღრმაა, განსჯის, ფიქრის საშუალებას არ აძლევს მკითხველს, როგორღაც თავადაც ღალატობს მისთვის ჩვეულ ანალიტიკას. გრძნობათა სიმძაფრეს, სტრიქონების საოცარი რიტმი, შეთანხმებული მუსიკალური ტაქტის მსგავსად, ერთ მთლიანობაში ალიქმება და თავისი ბუნებრიობითა და უშუალობით ხალხური პოეზიის სუნთქვას გვაზიარებს.

მოძალებული, ყოვლისწამლეკავი ურბანიზმის გარემოცვაში თიანეთი თითქოს სასწაულებრივად „გადარჩენილ" კუნძულს ჰგავს, მაგრამ შემოქმედის უკუფენილი მზერა მკაც ხედავს უკვე „გაზრდილი სოფლის" ერთფეროვნებას. „ტკბილი ბალღობის" ნაფეხურები „მორქვეშ მოყოლილი გომბეშოებივით" წაშლილი და ახლა ნისლივით მძიმედ ჩამოწოლილი სევდა იბუდებს პოეტის გულში.

გაზრდილა სოფელი,
კარგად კი გაზრდილა,
მაგრამ სად ჩამოვსხდეთ,
ჰიჰი!
ყველგან სახლები და სახლებია,
ყველგან სახლებია,
ჰიჰი, —
სადაც ჩვენ დავრბოდით
ჩვენს ტკბილ ბალღობაში
სადაც გვიხაროდა,
ჰიჰი!..
მხოლოდ თეთრახევის
ყელთან დარჩენილა,
კიდევ ხაწირის მთის იქით:

დედასთან სიახლოვის, განუყოფლობის სურვილით ბესიკ ხარანაულის არაერთი პოეტური ნაწარმოებია შთაგონებული. მათი ლირსება მხო-

ლოდ მაღალმხატვრული განსაზღვრება და ყოველგვარი ყალბი სენტიმენტალურობისა და ფამილარულობისაგან განრიდება არ არის. პოეტის „დედა“ სრულიად განსხვავებულია, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი გააზრებით, მისი არსებობის მნიშვნელობით, აუცილებლობით. დედის კონკრეტული სახე საბოლოოდ მაინც ზოგად მნიშვნელობას იძენს და დედა-ღვთისმშობლობის პარადიგმასთან ასოცირდება.

დედი,
იის ძირში სცხოვრობ,
სახლი გიდგას სვეტებით,
სახლს კარიც აქვს,
მაგრამ, ვაი,
მე ვერ შემოვეტევი...
დედი, რაა,
ამ ბოლო დროს
სულ საფლავზე გხედავენ,
ბებოჩემი, პაპაჩემი
შენს თავს შემომედავენ!..
და თუ მართლა წაგიყვანეს,
თუ გაუწყრათ გამჩენი,
კიბეს მეც ხომ ამომაწვდი,
როგორც ხეზე დარჩენილს...
ჩამოვყვები კიბეს, დედი,
სისხლიანი ფეხებით
დედი, როგორ გავიხარებთ,
როგორ გადავეხვევით!

განსაკუთრებით ფაქიზი და ინტიმურია ბუნების პოეტისეული აღქმა. მისი დამოკიდებულება ბუნებისადმი სიფრთხილითა და მოკრძალებით გამოირჩევა. ბესიკ ხარანაულისათვის დამახასიათებელი მძაფრი, დაძაბული ფერები აქ თითქოს რბილდება და ორგანულად ერწყმის ბუნების ნატიფ მრავალფეროვნებას. პოეტი, თითქმის ყოველთვის, ბუნებას ადამიანთან მიმართებაში აღიქვამს. იგი ერთგვარი ფონია პიროვნების „დაშაშრული სულის“ დასახატავად. გავიხსენოთ „გაზაფხულის ძახილზე“, ცხენზე უხერხულად შემჯდარი ობოლ-ბერდია, ამოვარდნილია ბუნების ჰარმონიიდან; მისი გაუცხოება პიროვნული ტრაგიზმით არის გამოწვეული. თითქოს ძალით შეაგდეს „საცეკვაო წრეში“, იგი უადგილოდ დარჩენილივით გრძნობს თავს ამ „წესრიგში“. მასაც სჭირდება ის ყოვლისშემძლე სუბსტანცია, რომელიც დაამშვიდებს, სიხალისესა და სიმტკიცეს მოჰგვრის:

აი, ასეთი ხელი უნდა ობოლ ბერდიას,
ასეთი მწვანე ხელი უნდა
მის დაშაშრულ სულს
და გამხმარ ქოჩორს.

ცხადია, რომ ბუნება და ადამიანი ერთ სივრცეში მოიაზრება. გაუცხოება კი გამოწვეულია არა ადამიანისა და ბუნების წინააღმდეგობრივი მიმართებით, არამედ პიროვნების სულში გაჩენილი დისჰარმონიით, რომელიც ბუნებაში დამყარებული ღვთაებრივი ერთსულოვნების ფონზე უფრო კონტრასტულად და დრამატულად წარმოჩნდება.

ქალაქის მტვერში ჩაძირული ადამიანები ვერ გრძნობენ ასფალტის გასწვრივ მოფუსფუსე ჭიანჭველებსა და კუტკალიებს. მხოლოდ მას, ვინც დიდი ხანია არაფერს უშინდება, რადგან „სიზმარი ცხადში არევია“, შეუძლია ჩამოჯდეს შუა ქალაქში, მიიწყოს ფეხსაცმელები გვერდით, დაწვეს პირქვე, არ იფიქროს იმაზე — რას იტყვის ხალხი.

მე ვენაცვალე გზის პირზე ნათიბს,
შუა ქალაქში
ასფალტის გასწვრივ.
დავწვები პირქვე,
ფეხსაცმელებს გვერდით მოვიწყობ
გამვლელს რაც უნდა
ის გაიფიქროს...

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში არ არის მაღალფარდოვანი პათეტიკურობა. საქართველოს წარსული მოულოდნელი, „შემთხვევითი“ სახეებით ისეთი კუთხით არის დანახული, რომ თავის თავში მოიცავს დიდ ისტორიას. პოეტის ხილვები სიზუსტისა და სახიერების გამო კონკრეტულიდან ზოგად მნიშვნელობას იძენს.

გამოქარულ ქუჩებში
ყვავის წვივებივით,
ძერის ქარდებივით გაშავებულ ტოტებში
თითქოს ჩაიარა
ხევისბერის ჭრელ-ჭრელმა დროშამ,
დახუნძლულმა მხიარული,
მოქივქივე ზანზალაკებით.

ან:

როგორც ვიოლინოს სიმი,
მიდიოდა სხივი ხნულზე
და ნიავის შეხებაზე
მამულის ხმას გადმოსცემდა.
გლეხის მუჭში თრთოდა წყარო,
როგორც ძუძუ თებრონესი
შორს კი ლურჯი ზეცის გასწვრივ
ენთო ხორბლის გორაკები.

„პოეზია უფრო ემოციაა, ვიდრე შემეცნება“ —წერდა ერთ-ერთ თავის ესსეში ერეკლე ტატიშვილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **«Мир является чувствованием»** (კარლოს კასტანედა), პოეზია სამყაროს კანონზომიერებათა „ემოციალურ შემეცნებად“ წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიდგება. შემოქმედის ენერგია, ნიჭიერება, შესაძლებლობები გამომჟღავნდება იმაში თუ რამდენად შესწევს ძალა ადამიანთათვის ბუნებრივი გულმავიწყობისა თუ მათივე გულგრილობის წიაღში ღრმად დამარხული ხატები გააცოცხლოს და დაუვიწყარი გახადოს. ბესიკ ხარანაული ხშირად უბრუნდება „მეხსიერების ქვეყანას“, „წარსულის ტაბლას“. ტყუილ-მართალის გაჩხრეკვის, გადასინჯვის დროს ხშირად ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივდება დავიწყების ფსკერზე დალექილი სახეები.

ჭრელი ხბო, როგორ პატარ ნიში
მახსოვრობაში თუ დალლილ ტვინში,
განათდება და ისევ გაქრება.

შინაგანი დრამატიზმი ხშირად სულ რამდენიმე სტრიქონით არის გაცხადებული. ბესიკ ხარანაულის პოეზია მკაცრი ლაკონიზმით გამოირჩევა. სიტყვა ყოველთვის დატვირთულია აზრით და ადეკვატურად გამოხატავს პოეტის განწყობილებას.

მეჩვენე,
თითქოს ხრიოკ ზეგანზე
შეფენილიყვნენ
ბლომად ქვისმთლელნი
და ჩემს დარდს
დინჯად აქუცმაცებდნენ.

ლექსის შენელებული რიტმი, ერთგვარი არადინამიურობა, სიზუსტე სრულად გამოხატავს განცდის სიმძაფრეს, ერთიანი პიროვნების სულიერი დაშლის, დაქუცმაცების ტრაგიზმს. ცალკე საუბრის თემაა ბ. ხარანაულის პოემა „ზეიბარი თოჯინა“, რომელსაც მომდევნო წერილში შევეხებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერაბ კალანდაძე



# წიგნი-მანიფესტი

(ფერნან ბროდელი)

ფერნან ბროდელი „ანალების სკოლის“ ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია; იგი არის ამ ისტორიოგრაფიული მიმართულების მეორე თაობის აღიარებული ლიდერი, „ანალების“ დამაარსებლების მარკ ბლოკის და ლუსიენ ფევრის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. შემთხვევითი არ იყო, რომ 1956 წელს ლუსიენ ფევრის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ის ჩაუდგა სათავეში „ანალებს“.

ფერნან ბროდელის (1902-1985) ორი ძირითადი ნაშრომია „ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო ფილიპე II ეპოქაში“ და „მატერიალური ცივილიზაცია, ეკონომიკა და კაპიტალიზმი XV-XVIII საუკუნეებში“. დიდი ხნის განმავლობაში ფერნან ბროდელის შრომები თარგმნილი არ იყო და ისტორიკოსთა ფართო წრეებისთვის ხელმიუწვდომელი გახლდათ. ამიტომ მისასალმებლად მოგვაჩნია მისი წიგნის „მატერიალური ცივილიზაცია, ეკონომიკა და კაპიტალიზმი XV-XVIII საუკუნეებში“ რუსულ ენაზე გამოცემა. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა გამოიცეს ბროდელის პირველი წიგნი „ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო ფილიპე II ეპოქაში“. ამით ისტორიით დაინტერესებული მკითხველი მხოლოდ და მხოლოდ მოიგებდა.

თავისი ბიოგრაფიის შესახებ ეს შესანიშნავი მეცნიერი მოგვითხრობს ავტობიოგრაფიაში „ისტორიკოსის მოწმობა“, რომელიც დაიბეჭდა „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკში“. ფერნან ბროდელი დაიბადა 1902 წლის 24 აგვისტოს. მან სწავლა-განათლება პარიზში მიიღო. ჯერ დაამთავრა ვოლტერის ლიცეუმი, ხოლო შემდეგ სორბონის უნივერსიტეტი, მისი სადიპლომო ნაშრომი ეხებოდა საფრანგეთის რევოლუციას. ეს იყო ლოკალური თემა „ბარ-ლე დიუკი რევოლუციის პირველ სამ წელს“. ბროდელი იგონებს: „როგორც ყველა სტუდენტს იმ წლებში, მე ყველაზე მეტად მიტაცებდა და მიზიდავდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია“. შემდგომში ამ თემისადმი ენთუზიაზმმა, როგორც ჩანს, იკლო და მას ბროდელის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი არ უჭირავს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ანალების“ დამაარსებლები დიდ ინტერესს არ იჩენდნენ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციისადმი, რაც, ალბათ, იმით თუ აიხსნება, რომ ისინი გატაცებული იყვნენ „გლობალური ისტორიით“ და არა კონკრეტული ისტორიული მოვლენებით, თუნდაც ძალიან დიდმნიშვნელოვანით.

ინგლისელი ისტორიკოსი რობერტ ფლინკი წერდა „ისტორიკოსის“ ევოლუცია წარმოგვიდგება, როგორც თანდათანობითი წინსვლა ისტორიის შესახებ მარტივი მოსაზრებებიდან იმ პირობებისა და პროცესების ფილოსოფიურ გაგებამდე, რომელზეც დამოკიდებულია ისტორიული მეცნიერების განვითარება“. ამ თვალსაზრისით, ბროდელის განვლილი გზა ნიშანდობლივი ჩანს. მისი ევოლუცია ასე წარიმართა: ლოკალური პრობლემიდან რეგიონალური და გლობალური საკითხებისაკენ. თუ სადიპლომო ნაშრომი ლოკალური ხასიათის საკითხს იკვლევდა, ბროდელის პირველი დიდი გამოკვლევის ყურადღების ცენტრში უკვე მთელი რეგიონის ისტორია დგას — „ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო ფილიპე II ეპოქაში“.

ეს ფუნდამენტური გამოკვლევა მას უკვე 1939 წელს ჰქონდა გამზადებული გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ომმა შეუშალა ხელი. 1940 წელს დიდი მეცნიერი ნაცისტებმა ჩაიგდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვედ და მთელი ომი საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა, ჯერ მაინცში, ხოლო 1942 წლიდან ლიუბეკში: როგორც თავად იგონებს, იგი არც აქ მჯდარა გულხელდაკრეფილი და, მართალია, ხელთ არ ჰქონდა სათანადო მასალა, მაგრამ არაჩვეულებრივი მახსოვრობის წყალობით დაუღალავად შრომობდა და სასკოლო რვეულს რვეულზე ავსებდა, რომელთაც მალულად უგზავნიდა ლუსიენ ფევრს. არსებითად, ეს იყო მისი დიდი გამოკვლევის პირველი ვარიანტი, რომელიც 1160 გვერდს შეიცავდა. მის თავდაუზოგავ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია და 1947 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო ფილიპე II ეპოქაში", რომელიც 1949 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. ეს იყო ოცი წლის დაუღალავი შრომის შედეგი. ამ წიგნის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეცნიერის ბიოგრაფიაში. უდაოა, რომ საფრანგეთში გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი ისტორიკოსი, რომელსაც სავსებით სამართლიანად მიუჩინეს ადგილი მარკ ბლოკის და ლუსიენ ფევრის გვერდით. ფერნან ბროდელის წიგნი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ღრმა ერუდიციით, პროფესიონალიზმით. სავსებით სწორი იყო ამერიკელი ისტორიკოსი ჰექსტერი, როდესაც ამბობდა: „მისი ისტორიული ერუდიცია მაიძულებს გავწითლდე ჩემი ვიწრო თვალთახედვის და შეზღუდული ცოდნის გამო" ფ. ბროდელი წერდა: „ამ წიგნში განხორციელებულია ყველაფერი, რასაც 20 წლის განმავლობაში ვცდილობდით ჩვენ, — მარკ ბლოკი, ანრი პირენი, ჟორჟ ესპინასი ანდა ანდრე საიუ, ალბერ დემანჟონი, ანრი ოზე ან ჟიულ სიონი, — მე ვასახელებ მხოლოდ გარდაცვლილებს — ჩვენ ვისწრაფოდით, შეგვექმნა უფრო ცოცხალი, უფრო მოფიქრებული, უფრო მოქმედი, ჩვენი ეპოქის პრობლემებთან დაახლოებული ისტორია". შეკითხვაზე, თუ რას კითხულობს ყველაზე მეტად, ბროდელი პასუხობდა; „არქივებს" მე დაუოკებელი წყურვილი მაქვს დოკუმენტების კითხვის, რომელიც ჯერ არავინ იცის, ფურცლებისადმი, რომელიც ჯერ არავის გადაუშლია. მე დაბეჭდილ დოკუმენტებთან შედარებით აშკარა უპირატესობას ვანიჭებ ხელნაწერებს". რუსი ისტორიკოსის ალექსანდრე სავინის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ბროდელმა მშვენივრად იცოდა „არქივის მტვრის" არომატიც და ფასიც, მან თავის წიგნზე მუშაობისას გამოიყენა: საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, ვატიკანის და დუბროვნიკის არქივები. აი, რას წერდა ფ. ბროდელის წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით ფრანგი ისტორიკოსი კლოდ ლეფორი: „ეს არის ბრწყინვალე ნაშრომი. ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური წამოწყება სოციალურ მეცნიერებაში". ინგლისელ ისტორიკოსის ა. პლამბის აზრით, ბროდელის წიგნი არის „ერთ-ერთი ბრწყინვალე ისტორიული ნაშრომი, რომელიც ჩვენს საუკუნეში გამოსულა". ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ლუსიენ ფევრმა თავის რეცენზიას პირდაპირ ასე უწოდა: „წიგნი, რომელიც აგვამაღლებს". მისი აზრით, „ბროდელის წიგნი იყო მანიფესტი.... ერუდიციის სასწაული". ინგლისელი ისტორიკოსი ჰუგო ტრევორ-როპერი მართებულად შენიშნავდა, რომ ფრანგი ისტორიკოსის წიგნში აღებულია „ის ეპოქა, როდესაც იწყება ხმელთაშუა ზღვის დაცემა და ევროპა გადადის ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ეკონომიკაზე", თუმცა თვით ბროდელის ასეთი აზრი სწორად არ მიაჩნდა და თვლიდა, რომ დაცემის სიმპტომებმა თავი იჩინეს მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს, კონკრეტულად, 1580 წელს. იგი ფიქრობდა, რომ ეს პროცესი შემდგომ XVII და XVIII საუკუნეებში კიდევ უფრო ღრმავდება.

ნაშრომის პირველი განყოფილება ეძღვნება გეოგრაფიულ გარემოს. ბროდელის მსოფლმხედველობაზე ფრანგული გეოგრაფიული სკოლის, განსაკუთრებით კი ვიდალ დე ლაბლაშის გავლენა, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ გვერდზე იგრძნობა, რომ ბროდელი გატკეპნილი გზით არ მიდის. ფრანგი ისტორიკოსი ძალზე ხშირად იშველიებს გეოგრაფიულ ცნებებს და ტერმინებს და მათ ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული მოვლენების და პროცესების ახსნისას. „გეოგრაფიული დეტერმინიზმი" ბროდელის ნაშრომის პირველი განყოფილების აქილევსის ქუსლია. ნაშრომის მეორე განყოფილებაში დაწვრილებით არის განხილული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ეკონომიკური ისტორიის პრობლემები. ავტორს სამართლიანად საყვედურობდნენ, რომ მისი ყურადღება ძირითადად კონცენტრირებული იყო ვაჭრობაზე და სავაჭრო გზებზე, ხოლო წარმოება კი ჩრდილში რჩებოდა და, სხვათა შორის, ამ შეუსაბამობას თვით ბროდელიც კარგად გრძნობდა და მის გათვალისწინებას ურჩევდა თავის მიმდევრებს, კერძოდ კი პიერ შონიუს. გეოგრაფიული ფაქტორის პრიმატი იგრძნობა ნაშრომის მეორე განყოფილებაშიც. სავაჭრო-კაპიტალისტური ცენტრების მეტოქეობა მას გეოგრაფიულ ცნებებამდე — ორი სატრანზიტო გზის, ხმელთაშუა ზღვის და საოკეანოს ბრძოლამდე დაჰყავს. მისი აზრით, „ეს ბრძოლა გრძელდებოდა საუკუნეზე მეტხანს, მისთვის დამახასიათებელი წარმატებებით და წარუმატებლობით". ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა ამ საკითხზე XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ლუსიენ ფევრი, რომელიც ასევე გეოგრაფიული სკოლის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და თავის მხრივ დიდი გავლენა იქონია ფერნან ბროდელზე.

ბროდელის წიგნი თავდება XVI საუკუნის

პოლიტიკისადმი მიძღვნილი თავით. ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიუარმა კარგად შენიშნა: „ხმელთაშუა ზღვაში ბროდელი შემოიფარგლა ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიით გეოგრაფიის ფონზე“.

მისი მეორე დიდი ნაშრომი „მატერიალური ცივილიზაცია, ეკონომიკა და კაპიტალიზმი XV-XVIII საუკუნეებში“ 1967 წელს გამოვიდა და მისი პირველი წიგნის თავისებური გაგრძელებაა. ოღონდ ახლა ავტორის ყურადღების ცენტრში ერთი რომელიმე რეგიონი კი არ დგას, არამედ მთელი სამყარო. ფერნან ბროდელმა, ანრი ბერის, მარკ ბლოკის და ლუსიენ ფევრის კვალდაკვალ, სცადა, მოეცა თავისი ისტორიული სინთეზი.

ამ ნაშრომის თარგმნით, უსათუოდ, კარგი საქმე გაკეთდა, ვინაიდან ნაშრომში თავმოყრილი უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა ჩვენი მკითხველისთვის არსებითად უცნობია. აქ ბროდელის „საოცარი ერუდიცია“ კიდევ უფრო მეტი ძალით წარმოჩინდება. ფ. ბროდელის ამ ნაშრომს დიდ ინტერესით გაეცნობიან როგორც მედიევისტები და ახალი ისტორიის სპეციალისტები, ისე ეთნოგრაფები.

პირველ თავს ეწოდება „რიცხობრიობის ტვირთი“ და ავტორის ყურადღების ცენტრშია დემოგრაფიის პრობლემები. ადამიანის შეტაკება ბიოლოგიურ გარემოსთან. „მიმოქცევას არასოდეს არ მიაქვს იმდენი, რამდენიც მოაქვს მოქცევას. ეს არის ძნელი და დიდებული აღმართი, ეს არის თვისობრიობის ტრიუმფი“, — წერს ბროდელი და იძლევა პირველი თავის დასათაურების გასაღებს. წიგნის მეორე თავია „პური არსობისათვის“. მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ XV-XVIII საუკუნეში ადამიანები ძირითადად იკვებებოდნენ მცენარეულობით. რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, როგორ იკვებებოდნენ ამ ეპოქაში ადამიანები და ამ პრობლემის გამოკვლევა, ბუნებრივია, იოლი საქმე როდია. მესამე თავი ეხება საჭმელს და სასმელს, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეეძლო ცხოვრება. ბროდელი მართებულად შენიშნავს, რომ მთელი ეპოქაა ევროპაში სანელებლების გამოჩენა, კიდევ ერთი ახალი ეპოქაა: „შაქარი იპყრობს სამყაროს“. რას სვამდნენ ადამიანები? ტრადიციულ სასმელს — წყალს, ღუდს, ღვინოს XVI საუკუნიდან დაემატა ჩაი და ყავა. გაჩნდა კიდევ ერთი ძლიერი სტიმულიატორი — თამბაქო. მეოთხე თავი მოგვითხრობს ადამიანთა საცხოვრებელზე, ტანსაცმელზე, მოდაზე. მეხუთე და მეექვსე თავში ავტორის ყურადღების ცენტრში დგას ტექნიკის განვითარება. იგი აქ მსჯელობს პლანეტის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების თაობაზე; სამართლიანად უსვამს ხაზს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც გააჩნდა ქარისა და წყლის გამოყენებას. ამას მოყვა მთელი რიგი თვისობრივი სიახლეები: იალქნიანი გემით ზღვაში გასვლა, არტილერიის გამოგონება, წიგნის ბეჭდვა. ყველაფერი ეს იყო „უდიდესი რევოლუცია“. მეშვიდე თავში ავტორი ეხება ფულის პრობლემას, რომლის ხვედრითი წონა ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა და, ბოლოს, მერვე თავი ეხება ქალაქებს. აქ ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. საქმე ეხება იმას, რომ ბროდელისთვის სავსებით უცხოა სოფლისა და ქალაქის დაპირისპირება, რასაც გარკვეულწილად თავი ვერ დააღწიეს მისმა დიდმა წინამორბედებმა ანრი პირენმა და მარკ ბლოკმა. პირველის ყურადღების ცენტრში იდგა ქალაქი და ვაჭრობის განვითარება, ხოლო მეორისა — სოფელი და აგრარული ურთიერთობები. „ქალაქი — აღნიშნავს ბროდელი, — დაიბადა სოფლისგან“. ამრიგად, ფერნან ბროდელმა გამოიკვლია ისტორიული მეცნიერების თითქმის ხელუხლებელი პლასტი — ადამიანი თავისი ყოველდღიური ცხოვრების წინ. ასეთი გამოკვლევის შექმნა არ წარმოადგენდა წარსულში იოლ გასეირნებას და არქივებში მრავალი წლის ოფლის ღვრის და კვლევა-ძიების შედეგია. ამიტომ ბროდელის წიგნში გვხვდება ორიგინალური მოსაზრებების და დაკვირვებების მთელი ფეიერვერკი.

როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ მეცნიერები, გლობალური ისტორიის თეორიულ საფუძვლად ბროდელი აღიარებს „სხვადასხვა სისწრაფის სოციალური დროის“ თეორიას. ფრანგი ისტორიკოსი პოლ ვილარი, ეხება რა ბროდელის შრომის ერთ მნიშვნელოვან სიახლეს — დროისა და სივრცის პრობლემის დამუშავებას, უაღრესად რაციონალურად მიიჩნევს ბროდელის მიერ თვით ამ პრობლემის დასმას. ბროდელს მიუღებლად მიაჩნია საზოგადოებრივეკონომიკურ ფორმაციათა პროგრესული ცვლის თეორია, რაც მარქსისტ ისტორიკოსთა სერიოზულ უკმაყოფილებას და კრიტიკულ მოსაზრებებს იწვევს. ფორმაციული პრინციპებიდან ბროდელის თეორიის კრიტიკა კორექტივების შეტანას საჭიროებს და მართებულად არ მიგვაჩნია (ი. აფანასიევი, ვ. დალინი, მ. სოკოლოვა). ბროდელი გვთავაზობს მთელი კაცობრიობის პანორამას, სადაც იშლება ცივილიზაციების თამაში. პრობლემებისადმი ამგვარი მიდგომა გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე ფორმატული. ფორმაციული პრინციპებისადმი ბროდელის ამგვარი დამოკიდებულება საყურადღებოა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ არც „ანალები“ და არც ბროდელი არასოდეს ყოფილან „დავალებულნი მარქსიზმით“, როგორც ამას ამტკიცებდა ზოგიერთი კრიტიკოსი დასავლეთში (გერმარდ რიტერი). შეიძლება დავეთანხმოთ მარინა სოკოლოვას, რომ მარქსიზმი ბროდელისთვის ამოსავალი წერტილია, საიდანაც იმიტომ გამოდის, რომ დაამუშაოს თავისი, მარქსიზმისგან განსხვავებული ისტორიის თეორია“. რა თქმა უნდა.

ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნას არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლია. ამ თვალსაზრისით საკმაოდ აქტუალურად მიგვაჩნია ბროდელის შემდეგი სიტყვები: „მარქსიზმის სრული უგულებელყოფა... ბავშვობაა“. მარქსის კონცეფცია იმდენად გლობალური იყო, რომ XX საუკუნის ისტორიოგრაფიამ და, მათ შორის, ცხადია, ბროდელმაც ან გარკვეულად შეავსო იგი, ან კორექტივები შეიტანა მასში. ამიტომ ბროდელის კონცეფციის განხილვა მარქსისტულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებაში, ჩვენი აზრით, ძალიან წამგებიანი და ცალმხრივია.

ისტორიული პროცესის ახსნისას ბროდელი თავისი მასწავლებლების, ბლოკისა და ფევრის კვალდაკვალ, პლურალისტია და არ იზიარებს ისტორიის მონისტურ თეორიას, რომელიც გ. პლეხანოვმა ჩამოაყალიბა. აი, რას წერდა ბროდელი: „მე არ მწამს ისტორიის ახსნა ერთი დომინირებული ფაქტორის მეშვეობით“. მას ისტორიიდან ერთ-ერთი რომელიმე ფაქტორის გამოყოფა შეცდომად მიაჩნია. ბროდელის კონცეფციის მონისტური პოზიციებიდან კრიტიკა, რაც ფრიად მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მართებული არ უნდა იყოს.

თავის მეორე დიდ გამოკვლევაში, როგორც ერთხმად აღნიშნავდნენ ისტორიკოსები, ბროდელმა კვლევა წარმართა სამი მიმართულებით: 1. მატერიალური, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, 2. ეკონომიკური ცხოვრება, 3. კაპიტალიზმის ფუნქციონირება. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ XII-XIII საუკუნეებში კაპიტალიზმზე საუბარი ცოტა ნაადრევად გვეჩვენება. ვ. პორშნევის აზრით, ქალაქების განვითარება და ფულადი რენტის უპირატესობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაპიტალიზმს და ახასიათებს განვითარებულ ფეოდალიზმს, რაც არის სოფლის მეურნეობისგან ხელოსნობის გამოყოფის ლოგიკური შედეგი.

ამრიგად, მიუხედავად ცალკეული სადავო საკითხებისა, ფერნან ბროდელის წიგნი სავსებით სამართლიანად განეკუთვნება XX საუკუნის ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდს, ხოლო მისი ავტორი ორიგინალურად მოაზროვნე დიდი ისტორიკოსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რემონ დიუგე

# მოსკოვი და წამებული საქართველო

## თავი X

### ბოლშევიკების დანაშაულებანი და მათ მიერ მოსახლეობის საშინელი დევნა სულ უფრო და უფრო მზარდ მღელვარებას იწვევს

მახობრივმა „ლიკვიდაციამ" დაპატიმრებამ, ვანუ- კითხავმა დახვრეტებმა, სასტიკმა წამებებმა, რასაც ბოლშევიკები სჩადიოდნენ წითელ ციხეებში ჩაყრილი პოლიტიკური პატიმრების მიმართ, ხალხი ფეხზე დააყენა, როგორც უკვე ვთქვი, კახეთი პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მეთაურობით აღდგა დამპყრობლების წინააღმდეგ. შეებრძოლა და დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი ბოლშევიკთა რაზმები. ეს ვაჟკაცური ბრძოლა ხვანების მაგალითის გაგრძელება იყო.

ამას მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა რაიონ[ებ]ში ადგილობრივი პარტიზანული გამოსვლები.

1923 წელს აჯანყებამ მოიცვა გურია. იქ წითლებმა დამსჯელი რაზმი გაგზავნეს. რაზმს მეთაურობდა ყოფილი კატორღელი, ჩეკისტი [ო]ბოლაძე. მან ააწიოკა სოფლები, ცეცხლს მისცა გლეხების სახლ-კარი, უწყალოდ გაჟლიტა მოსახლეობა. უბედურ მოსახლეობას მოთმინების ფიალა აევსო: ქალაქ ოზურგეთის მახლობლად ობოლაძე ყუმბარებით დაგლიჯეს, მართალია, ოზურგეთს 150 წითელი რუსი იცავდა, მაგრამ ამან ობოლაძეს ვერ უშველა.

ბოლშევიკების შურისძიებამ არ დააყოვნა. ჩვეული სიმხდალით (ეს ხაზგასასმელია), წითლებმა თბილისში დახვრიტეს 92 უდანაშაულო პატიმარი. მათ არც გურიის აჯანყებასთან, არც ობოლაძის მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. ისინი ციხეში დიდი ხანია იხხდნენ. წელიწადზე მეტი იყო გასული, რაც ზოგიერთი მათგანი საპყრობილეში იჯდა.

დარწმუნებულნი, რომ არავითარ პასუხს არ აგებენ, ისე შეუძლიათ ძარცვონ, დაანგრიონ, დაიჭირონ, გაჟლიტონ, დახვრიტონ, ბოლშევიკები იმუქრებიან: ობოლაძის მოკვლის დღიდან ყველა პატიმარი მძევლად[1] ჩაითვლება. თუ თავდასხმა კვლავ განმეორდება, პატიმრები უმოწყალოდ დაიხვრიტებიან. ეს ამბავი ხდება 1928 წლის მარტში.

ზოგიერთი დეტალი ბოლშევიკებს აფიქრებინებს: წინააღმდეგობის ცენტრი თბილისშია. მას ხელმძღვანელობს გენერალი კოტე აფხაზი. თავადს ბრალად ედება ამბოხების მზადება. მაშინვე იჭერენ. მის ბედს ჩქარა ჩეკა სწყვეტს. სასამართლო არ ჩატარებულა, ისე გამოიტანეს განაჩენი. 1928 წლის 20 მაისს გენერალი კოტე აფხაზი დახვრიტეს[1]. ასეთივე ბედი ეწია საქართველოს ყოფილი არმიის ბევრ საუკეთესო, რჩეულ ოფიცერს. მართალია, არავითარი საბუთის ნასახიც არ მოიძებნა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად, მაგრამ ჩეკას რად სჭირდება ან საბუთი, ან სასამართლო?

წითლებმა დევნის ახალი ფორმაც გამოძებნეს: ამჯერად იერიში რელიგიაზე მიიტანეს, ბოლშევიკებისავე თქმით, ცას შეუტიეს. მომდევნო თვეებში ბრძოლის ძირითადი მიმართულება რელიგია იყო. დაიწყეს ეკლესიების დახურვა და ძვირფასი რელიგიური განძის დატაცება. კეთილშობილ ღმთისმსახურებს გადასახლებად აგზავნიან.

სასულიერო პირებს ეკრძალებათ ატარონ წვერი[2], ჩაიცვან საერო სამოსელისგან განსხვავებული ტრადიციული ტანსაცმელი. ბოლშევიკებს ესეც არ აკმაყოფილებთ: იწყებენ სამღვდელოების დევნასა და დაპატიმრებას, უმოძღვროდ დარჩენილ მოსახლეობას ისღა დარჩენია, ხან აქ, ხან იქ ფარულად შეიკრიბოს, ილოცოს, ჩაატაროს რელიგიური დღესასწაული. ყველაფერი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3.

[1] თერთმეტი სამხედრო გვარი და სამოქალაქო პირის.

[2] ეს შეურაცხმყოფელი ზომა ნელ-ნელა დამკვიდრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ხდება, როგორც პირველქრისტიანულ ხანაში.

ამავე დროს თბილისში მიმდინარეობს ურცხვი და აღმაშფოთებელი სასამართლოს პაროდია.

ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ გარეუბანში, საგანგებოდ შერჩეულ და წარმოდგენებისათვის განკუთვნილ, მოუწყობელ და უვარგის დარბაზში ატარებენ პატრიარქ ამბროსის სასამართლო პროცესს. მასთან ერთად ასამართლებენ მღვდლებს, რომელთაც გაბედეს ამბიონიდან ვაჟკაცურად დაეცვათ რელიგიაც და სამშობლოც.

ეს პროცესი დახურული არ არის. გამოცხადებულია, რომ შესვლა „თავისუფალია", ნამდვილად კი უმკაცრესი კონტროლია დაწესებული. არ უშვებენ დარბაზში ინტელიგენტებს და ქრისტიანებს. მიპატიჟებულნი არიან მხოლოდ დაქირავებული ხალხი, ჩეკისტები, ახალგაზრდა კომუნისტები და მათი მსგავსნი.

აი, ასეთი ნაძირალების წინაშე წარდგნენ ქართული ეკლესიის წარმომადგენლები. მათ ბრალად ედებათ წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისადმი და, ეკლესიების დახურვისა და ძარცვის დროს, ძვირფასი ნივთების გადამალვა. პატრიარქ ამბროსის „დანაშაული" უფრო დიდია: მან დახმარებისათვის დასავლეთს მიმართა და სთხოვა გენუის კონფერენციის წარმომადგენელთა ჩარევა საქართველოს საქმეებში.

მოქალაქეობრივი გამბედაობის მშვენიერი მაგალითი აჩვენა ქართველ ვექილთა ერთმა ნაწილმა. წითელი რეჟიმის დამყარების შემდეგ ქართველი ადვოკატები აღარ მონაწილეობდნენ სასამართლო პროცესებში, ახლა კი მათ იკისრეს სასულიერო პირთა დაცვა. ვექილებმა, ბრალდებულებთან ერთად, გაიზიარეს ქუჩური ლანძღვა-გინება, ღრიანცელი, ფიზიკური შეურაცხყოფა — ქვების სროლა, ცემა და ა. შ. ამას სჩადიოდა საგანგებოდ იქ თავშეყრილი შემზარავი, უხეში, უგნური ბრბო. ეს გაუგონარი საშინელება მარტო სასამართლო დარბაზში არ ხდებოდა. ეს იყო მთელი გზის მანძილზე, რომელიც ბრალდებულებს უნდა გაევლოთ სატუსაღოდან სასამართლომდე და უკან.

როგორც ბრალდებულებისათვის, ისე ვექილებისათვის ათდღიანი გრძელი და ძნელი წამების შემდეგ, პატრიარქს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (მერე 8 წლის პატიმრობით შეუცვალეს, მოგვიანებით კი შეიწყალეს და გამოუშვეს). ეკლესიის სხვა მსახურებს პატიმრობის სხვადასხვა ვადა მიესაჯათ. გაამართლეს მხოლოდ ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი, მას ვერაფერი უპოვეს. მაგრამ 1924 წლის ჯანყის დროს, ბოლშევიკებმა იგი დაიჭირეს და დახვრიტეს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რელიგიის დევნა სპეციალურად და მეთოდურად იყო მოწყობილი მოსკოვის მიერ. ალბათ, აჯობებს მოვიშველიოთ ნაწყვეტები თავად შალვა ამირეჯიბის ნაწერებიდან. იგი მოწმე იყო ყველა იმ ფაქტისა, რომელსაც გვიამბობს. თავისი თვალით უნახავს ამაზრზენი მხვლელობა, მომხდარი წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს საფლავების აოხრების შემდეგ.

„ბოლშევიკები ყველანაირი რელიგიის მტრები არიან. მათ ეს დაამტკიცეს საქართველოში, როცა 1923 წლიდან სრულიად გაუგონარი სიძულვილი გამოიჩინეს რელიგიური იდეის მიმართ: დახურეს ეკლესიები, დააპატიმრეს სამღვდელოების წარმომადგენლები, გაყიდეს წმინდა ნივთები. ამას აკეთებდნენ იმ საბაბით, თითქოს ხალხის სურვილს ასრულებდნენ.

საქართველოს ისტორიის სრულ უცოდინარობას ნიშნავს იმის ფიქრი, რომ ქართველი ხალხი რელიგიის მოწინააღმდეგეა. 15 საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ქართველობა ისლამს ქრისტიანობის დასაცავად. რასაც წითლები უწოდებენ „ანტირელიგიურ ხალხს", ეს მხოლოდ კომკავშირია — ახალგაზრდა კომუნისტების კავშირი.

კომკავშირი შედგება უმუშევარი ახალგაზრდებისაგან. მათ პოლიცია ეძებდა ქურდობის, ლოთობის, უზნეობისათვის. ზოგიერთი გარკვეული ვადით დასჯილიც იყო. მათ შორის ახალგაზრდა ქალებიც არიან. აი, საფუძველი ამ საბჭოთა ორგანიზაციისა. აი, რა ადამიანებს უწოდებენ თანამედროვე საქართველოს ნამდვილ მოქალაქეებს.

კომკავშირელ გარეწრებს იმედი აქვთ, რომ წითელი მთავრობის სამსახურისათვის ბოლშევიკები მათ კარგ და ადვილ მომავალს მიართმევენ. კომკავშირი , ბოლშევიკების მსახურია ყველგან და ყველაფერში. იგია მათი მედროშე და ქუჩებში ინტერნაციონალის სიმღერით მიუძღვის მანიფესტაციებს (თუმცა ინტერნაციონალი მათი საყვარელი სიმღერა არ არის). კომკავშირი მტერია ყოველგვარი ტრადიციის, მორალის. იგი ემუქრება „მსოფლიო ბურჟუაზიას". იგი ლანძღავს ევროპის ერებს. კომკავშირელები მზად არიან, მოსპონ ყოველი ადამიანი, ვინც მათებრ არ ფიქრობს. მათ არაფერი სცხიათ რევოლუციის გულუბრყვილო მსხვერპლის" — მომხიბლავი გავროშისა. კომკავშირელებს ჯამაგირს წითელი მთავრობა უხდის. ისინი უპრინციპო, ზნედაცემული, ზიზღისმომგვრელი, ყველაფრისმკადრებელი დამნაშავე ახალგაზრდები არიან. ისინი უარყოფენ წინაპრების კულტს და ღვთისმშობლის ხატს როზა ლუქსემბურგის სურათით ცვლიან.

ახალი კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად კომუნისტები ამ გახრწნილ ახალგაზრდებს ეყრდნობიან. ძალიან ეშლებათ: ახალი

საზოგადოება არ იქმნება ძველი საზოგადოების ნაძირალებით.

წითლებმა კომკავშირი ძალიან მნიშვნელოვან ორგანიზაციად აქციეს. იგი მოსახლეობის ტერორს წარმოადგენს. კომკავშირის „ყოველი წევრი დარწმუნებულია — ისინი იქნებიან ამჟამინდელი საბჭოების შემცვლელნი.

სწორედ ამ ნაძირალებს მიანდო ბოლშევიკურმა მთავრობამ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ დაიწყეს ეკლესიების ნგრევა, სამრეკლოებიდან ჯვრების ჩამოხსნა, ტაძრების ძარცვა, ძვირფასი და სათაყვანო ნივთების პარვა. სულ მოკლე დროში 15000 ეკლესია დაარბიეს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღშფოთებულმა მოსახლეობამ ამ საზარელი ქმედების არა ერთი და ორი ინიციატორი გამოასალმა სიცოცხლეს.

სამღვდელოების დიდი ნაწილი ან გადაასახლეს, ან ციხეებში ჩაამწყვდიეს. ეკლესიების დიდი ნაწილი ბოლშევიკების თეატრებად, კლუბებად, კოოპერატივებად აქციეს.

პატრიარქ ამბროსის ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს მერე ციხეში იჯდა. მისი სასახლე და ეკლესია წითლების შესაკრები ადგილი გახდა.

თბილისში სამხედრო ეკლესია კომკავშირის მთავარ კლუბად გადააკეთეს. ზარები ჩამოხსნეს და წმინდა ჯვრები ელექტრონით განათებული ვარსკლავებით შეცვალეს.

ზოგიერთი გაპარტახებული ეკლესია კერძო ბინებად გამოიყენეს, სადაც კომკავშირული ორგიები იმართებოდა.

1923 წელს, შობადღისთვის, კომუნისტურ პარტიას „ორიგინალური“ აზრები დაებადა: ედღესასწაულათ არა ქრისტეს ხორციელად მოვლინება, არამედ ახალგაზრდა კომუნისტის გაიოზ დევდარიანის კომკავშირის ხელმძღვანელად დანიშვნა.

თბილისში, ერთ პატარა ეკლესიასთან, ლენინის თაბაშირის ქანდაკება დადგეს. ტროცკიმ ქალაქში სეირნობისას ამ ეკლესიის წინ გაიარა, ზარები რეკდნენ. ტროცკიმ უბრალოდ თქვა: „ან ეს ძეგლი უნდა დარჩეს, ან ეს ეკლესია“. თქვა და გზა გააგრძელა. რამდენიმე საათში ეკლესია დახურეს, რამდენიმე დღის მერე დაანგრიეს.

ქუთაისში, ქალაქის შუაგულში, დიდ მოედანზე, უძველესი და მშვენიერი ტაძარი იდგა. წითლებმა მიტინგისათვის მოისურვეს მოედნის გამოყენება. ტაძარი მაშინვე დაანგრიეს.

ასე სცემდნენ პატივს ეს ბარბაროსები წარსული საუკუნეების ხელოვნების შედევრებს და მათ შემქმნელებს. წითლების ვანდალიზმის რომელი ერთი მაგალითი ჩამოვთვალოთ!

ქუთაისმა აწიოკების საშინელი დღეები განიცადა.

საქართველოს ამ ძველი დედაქალაქიდან ოთხ კილომეტრზე მდებარეობს მეშვიდე საუკუნის მონასტერი, ცნობილი თავისი რელიქვიებით. მონასტერი აგებულია მდინარე წყალწითელას ნაპირზე (მდინარეს ეს სახელი მიწის ფერის გამო ეწოდა). მონასტერი ყოველი მხრიდან მწვანე მთებით არის გარშემორტყმული. ამ მონასტერში ორი ძმის, არგვეთის მთავრების, წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს საფლავებია. მე-7 საუკუნეში ძმები არაბთა წინააღმდეგ აჯანყებას მეთაურობდნენ. მუსულმანებმა ისინი ტყვედ ჩაიგდეს. აწამეს. მოკლეს. მათი გვამები წყალწითელაში ჩაყარეს. არაბები რომ საქართველოდან განდევნეს, ორი წმინდანის სხეული ხელუხლებელი აღმოაჩინეს ძვირფასი თვლებით შემკულ კუბოებში. მონასტერს მოწამეთას მონასტერი ეწოდა, აქ განისვენებდნენ ისინი საუკუნეთა განმავლობაში. ქართველი ხალხი თაყვანს სცემდა მათ. ყოველ წელს მიემართებოდა სალოცავად ამ ორი მწინდა მოწამის საფლავზე. ისინი ხომ ქრისტესა და სამშობლოსათვის დაიღუპნენ!

ლეგენდა გვიამბობს: ამ ორი ნეტარი წმინდანის სხეულები ხელუხლებელი იყო. 1928 წლის მაისში კომუნისტებმა გადაწყვიტეს: დაემტკიცებინათ მოსახლეობისთვის, რომ ცხედრები ფერფლად იყო ქცეული.

ჩეკა და კომკავშირი შეიკრიბნენ. საგანგებოდ მოიწვიეს ექიმები. მონასტრისაკენ მიმავალ ყველა გზას წითელი არმიის რაზმები დარაჯობდნენ. მონასტერი დაკეტილი აღმოჩნდა, ბერებმა იგი დატოვეს. მათ არ უნდოდათ დასწრებოდნენ წმინდა ადგილის შეურაცხყოფასა და მკრეხელობას. კომუნისტებმა კარები შეამტვრიეს და მონასტერში შეიჭრნენ. დაიწყეს მკრეხელობის ყოვლად უმსგავსო და საზარელი სცენა. გახსნეს ორი წმინდანის კუბო. ექიმებს წერილობით დაადასტურებინეს, რომ წმინდანთა სხეულები აღარ არსებობდა. მერე თითოეულმა კომუნისტმა ხელში აიღო წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს ჩონჩხების ნაწილები, დაირაზმნენ და ეს თავზარდამცემი კორტეჟი ქუთაისისაკენ დაიძრა. წინ საბჭოების დროშებს მიაფრიალებდნენ.

თურმე ეს მოსახლეობის აღზრდისა და განათლების მიზნით ჩაატარეს.

ამ გაუგონარი მკრეხელობის მონაწილენი ჰგავდნენ ანტროპოფაგების ბანდას, რომელთაც ნამდვილად მიჰქონდათ ძვლები იმ უბედურთა, ვინც ეს-ეს არის შეჭამეს.

ამ საზარელი კორტეჟის შუაში ერთ-ერთი ბოლშევიკი მანქანაში იჯდა. ხელში ორივე წამებულის თავის ქალა ეჭირა. ერთმანეთს ურახუნებდა და გაჰყიოდა — თუ წმინდანები არიან, აბა დამსაჯონ!... ხალხში აღშფოთებული შეძახილები ისმოდა — შენ უკვე დასჯილი ხარ... შეშლილი ხარ, რადგან ამ საშინელებას სჩადიხარ... ხალხიდან რამდენიმე მაშინვე დაიჭირეს.

ძვლები გამოაფინეს იმის დასამტკიცებლად, რომ გვამები აღარ არსებობდა. მოსახლეობას კი უბრძანეს, ძვლების წინ ჩაევლო. ხალხმა დიდი მოწიწებით ჩაიარა. არავის სჯეროდა, რომ ძვლები წმინდანებისა იყო. ხმები დაირხა: ნამდვილი ცხედრები ბერებმა საიმედო ადგილას გადამალესო. ხალხმა ეს ირწმუნა. ამ ცნობას ერთმანეთს გადასცემდნენ.

საზარელმა მკრეხელობამ ვერ დააჯერა ხალხი. პირიქით.

რელიგიის დაუნდობელი დევნა მთელ საქართველოში გრძელდებოდა[1].

ცხოვრება აუტანელი ხდება. მეტადრე პატრიოტებისათვის. ჩქარა აჯანყება მოხდება.

ინტელექტუალური ცხოვრება სრულიად მოისპო. ლიტერატურაში, პრესაში, ხელოვნების ყველა დარგში იძულებულნი არიან მისდიონ ბოლშევიკების ვიწრო და უაზრო დირექტივებს. ყველაფრის ბატონ-პატრონი სახელმწიფოა. თუ რაიმეს გამოქვეყნება გინდა, წითლების ნებართვაა საჭირო. მას უნდა სთხოვო ქაღალდი; მათ უნდა წარუდგინო დასაბეჭდი ტექსტი— წარმოსადგენია, რა მკაცრი იქნებოდა წითელი ცენზურა!

ყველა სათეატრო დარბაზი გამოცხადებულია ბოლშევიკების საკუთრებად. წითელი ხელისუფლება თავად არჩევს სათამაშო პიესებს. ნებას აძლევს აჩვენონ ესა თუ ის სპექტაკლი. რეპერტუარში მხოლოდ ის პიესებია, რომელნიც წითლების მიზნებს ემსახურება. ცხადია, ყველაფერი დაგმობილია, რასაც ოდნავ მაინც პატრიოტული გრძნობა დაჰკრავს.

წითლებისათვის ხელოვნების მხოლოდ ერთადერთი ჟანრია მისაღები —ქანდაკება.

მართლაც, ყოველი სკულპტორი, ვინც ლენინს ან რომელიმე სხვა ცნობილ ბოლშევიკს, სულერთია, ცოცხალსა თუ მკვდარს გამოაქანდაკებს, მაშინვე ფავორში აღმოჩნდება. მას უხვად უხდიან ჰონორარს, დიდ ანგარიშს უწევენ და ხოტბითავსებენ.

ბოლშევიკებს ქვის ავადმყოფობა სჭირთ. დარწმუნებულნი არიან: რაც უფრო ხშირად გამოძერწავენ ამა თუ იმ კომუნისტს, მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ მოსახლეობაზე.

გამომძიებლები და მოსამართლეები გაძევებულნი არიან. მუშაობენ მხოლოდ ტრიბუნალები. სტუდენტების სულსა და გონებას სწამლავენ. ცდილობენ, ბზარი შეიტანონ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილებაში. სასწავლო პროგრამაში შეაქვთ მარქსიზმი და საბჭოთა სამართალი (ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან კავშირში ძალიან უცნაურად ჟღერს). მაგრამ ამ საგნებში ლექციები ვერ ჩაატარეს. არც ერთმა ქართველმა პროფესორმა ამ კურსის წაკითხვა არ ისურვა, წითლებს კი არ ჰყავთ საკუთარი განათლებული პიროვნება, ვინც შეძლებდა ამ საინტერესო საგნების სწავლებას.

მრეწველობა გაქრა. ყველაფერი, რაც დასავლეთიდან შემოდიოდა, ან აღარ შემოდის, ან ძალიან მცირე რაოდენობით შემოაქვთ, ისიც მხოლოდ მაღალი რანგის კომუნისტებისათვის.

თუ შიმშილით არ გინდა მოკვდე, ქალაქებში აუცილებელია საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციონერი გახდე. უნდა მას მხახურად დაუდგე. მაშინ მინიმალურ ხელფასს მაინც მიიღებ: მართალია, ცხოვრებისათვის სრულიად არასაკმარისს, მაგრამ ლუკმა-პურს იშოვნი, პირველი საჭიროების საგნებს შეიძენ. თითოეული მოქალაქე ცდილობს ნელ-ნელა გაყიდოს ნივთები, ტანისამოსი, ერთი სიტყვით, რაც აქვს, რომ როგორმე თავი შეინახოს, შიმშილით სული არ ამოძვრეს. მყიდველი ცოტაა. ცოტა ფული რომ გქონდეს, არა მარტო კვაჟი უნდა იყო, არამედ კომუნისტი, ანდა ბოლშევიკების მეგობარი.

ყოველი ქალაქი, ყოველი სოფელი ბაზრად არის გადაქცეული, სადაც საცოდაობისა და სილატაკის სურათს უყურებს ადამიანი.

დაუმატეთ ყოველივე ამას მრავალრიცხოვანი და დიდი გადასახადები და მიხვდებით, რომ ეს ქვეყანა ნელ-ნელა გალატაკებული წითელი ტირანიის მიერ, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღდგეს მჩაგვრელების წინაღმდეგ.

## თავი XI

## 1924 წლის აჯანყება

1924 წლის აგვისტოში საქართველოში აჯანყებამ იფეთქა. იგი ჭიათურაში დაიწყო 28 აგვისტოს. რამდენიმე დღეში კი მთელ საქართველოს მოედო.

გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, სვანეთში, ერწოში მაშინათვე მოახერხეს ბოლშევიკური უღლის გადაგდება. დაიჭირეს ან გააძევეს ხარბაროსები. აჯანყებულები თბილისის გარშემოც მოქმედებდნენ. მათ პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობდა.

თბილისის გახარებული მოსახლეობა იმედით მოელის გამარჯვებული პატრიოტების დედაქალაქში შესვლას. წითლებისათვის ვითარება კრიტიკულია.

ძალიან ძნელია ამ აჯანყების ზუსტი სურათის აღწერა (ისტორიას ჯერ არაფერი უთქვამს მასზე, ისევე როგორც წინა ბრძოლებზე წითელი არმიის წინააღმდეგ). მე მაინც მოვახერხე შემეგროვებინა ამ აჯანყების მონაწილე ქართველ პატრიოტთა ნაამბობი. ამ დეტალებს მოგახსენებთ.

ამბოხების დაწყებისთანავე ბევრი ქალაქი—დუშეთი, მანგლისი, სენაკი და სხვა —ქართველმა აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში. ისიც

[1] „The Patriot" du 6 août 1925 et l „Echo Rochelais" du 13 hiars 1926.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ წითლების წინააღმდეგობა არ იყო მედგარი. მანგლისში, მაგალითად, წითელმა ჯარისკაცებმა იარაღი მყისვე დაყარეს და თავშესაფრად ტყეს მიაშურეს. ბრძოლა წითლებმა მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როცა თბილისიდან დიდი რაოდენობით მოვიდა დამხმარე ძალა და თან ზუსტი დირექტივები მოიტანა.

როგორც წესი, ბოლშევიკების ჯარი აჯანყებულებს კი არ ებრძვის, არამედ მოსახლეობას. რუსეთიდან მოსული და ძირითადად რუსებისაგან შედგენილი რაზმები მშვიდ და უწყინარ მოსახლეობას ხჯიან. არ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს მოსახლეობა თავისთვის არის და ამბოხებაში არ მონაწილეობს.

სადაც წითლების ბატონობა არ შერყეულა, იქ იწყება სისხლიანი რეპრესიები— აწიოკება, დაწვა, დაჭერა, ხოცვა-ჟლეტა, დახვრეტა...

ყოველ რაიონსა და უბანში, ქალაქსა და სოფელში, წითელ ჯარისკაცებთან ერთად, ჩეკას სპეციალური განყოფილებები იქმნება. განყოფილება სამი ბოლშევიკისაგან შედგება. მას განუსაზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული.

ეს პატარა ჩეკა-ები განუკითხავად მოქმედებენ. როცა მეამბოხეები იძულებულნი არიან უკან დაიხიონ და ტყეს შეაფარონ თავი, ჩეკა იწყებს მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტას. დასახვრეტთა სია წინასწარ არის შედგენილი. ამ სიებში მხოლოდ რიცხვია აღნიშნული; რამდენი უნდა დაიხვრიტოს თითოეულ დასახლებულ პუნქტში. გვარსა და სახელს, წლოვანებასა და სქესს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია რაოდენობა. სოფელ ბანძაში, მაგალითად, ჩეკისტებმა 25 კაცით განსაზღვრეს დასახვრეტთა რაოდენობა. მაგრამ სოფელი პატარაა და მხოლოდ 10 კაცის დაჭერა მოახერხეს. 15 დააკლდათ. რადაც უნდა დაუჯდეთ, ეს 15 კაცი მოსაძებნია. ახეც მოიქცნენ: ახლო სოფელში მოაგროვეს ის 15 კაცი და ყველას ერთად მოუსპეს სიცოცხლე. ჭიათურაში 150 კაცი დაიჭირეს. ძირითადად გლეხები, მუშები, სტუდენტები. ზესტაფონში წაიყვანეს. შეყარეს საბარგო ვაგონებში და ტყვიამფრქვევით ამოწყვიტეს ერთნაირად.

ძალიან ბევრი ადამიანი დახვრიტეს ქუთაისში, მათ შორის 10 მღვდელი და მიტროპოლიტი ნაზარი, 70 წლის მოხუცი. გვიამბობენ: როცა ეს წმინდა მოხუცი უნდა მოეკლათ, წითელმა ჯარისკაცებმა ჰაერში ისროლეს. მაშინ გაცოფებული ჩეკისტი ქალი თავად მივარდა ნაზარის და თავისი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს უდანაშაულო მოძღვარი. მიტროპოლიტის უდანაშაულობა არავის ეეჭვებოდა.

სენაკში 300 ადამიანი დაიჭირეს და დახვრიტეს.

ყველგან მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებანი. ძირითადად ატუსაღებენ თავადებს, აზნაურებს, ინტელიგენტებს, ქართული არმიის ყოფილ ოფიცრებს, გლეხებს, მეამბოხეთა ახლობელ და შორეულ ნათესავებს. ამ ბედშავი ადამიანებისაგან კოლონებს ქმნიან. გაჰყავთ დასახლებული პუნქტების მიდამოებში და ხოცავენ.

წითლების სისასტიკე ხანდახან ადამიანისათვის წარმოუდგენელ ბარბაროსობას აღწევს.

თელავში ხანდაზმული თავადი ჯორჯაძე დააპატიმრეს. 16 სხვა კაცთან ერთად. ცხადია, სიკვდილი მიუსაჯეს. მისი ვაჟი კომკავშირელი იყო. მან ჩეკისტების უფროსთან ბოლშევიკ ჯაფარიძესთან მიირბინა. შეეხვეწა მოხუცი მამის შეწყალებას. თავად ჯორჯაძე სრულიად უდანაშაულო იყო. თან მისი ვაჟი კომუნისტებს ემსახურებოდა.

— მე ხომ თქვენიანი ვარ, — მიმართა ახალგაზრდამ ჩეკისტ ჯაფარიძეს.

—შვილიც დასახვრეტია, რაკი ასეთი მამა ჰყავს, — უპასუხა ჩეკისტმა!

გამძვინვარებულმა ყმაწვილმა რევოლვერი იძრო და ჯაფარიძეს ესროლა. მაგრამ ვერ მოკლა. მხოლოდ დაჭრა.

ჯაფარიძის ჩეკისტებმა თვალისდახამხამების უმალ შეიპყრეს ჭაბუკი ჯორჯაძე. იმ ოთახში, სადაც ეს სცენა მიმდინარეობდა, 17 მსხვერპლი შემოათრიეს. ჭაბუკის წინ დახვრიტეს ყველა, მოხუცი მამაც. ბოლოს ახალგაზრდაც მიაყოლეს.

სამართალმა მაინც თავისი გაიტანა; რამდენიმე დღის შემდეგ მიღებული ჭრილობებისაგან ჩეკისტი ჯაფარიძე მოკვდა.

ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ველური რეპრესიების შედეგად 7000 ადამიანი დაიღუპაო.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დახვრეტები თბილისში მოხდა. მსხვერპლი ძირითადად თბილისის მაცხოვრებლები იყვნენ. ზოგიერთ შემთხვევაში სხვა რაიონებიდან ჩამოყვანილებიც. ხოცვა-ჟლეტამ ისეთი მასშტაბს მიაღწია, რომ დახვრეტების ხელმძღვანელი ჩეკისტებიც კი შეშინდნენ: მათ მოითხოვეს: მომავალში დასჯას დასწრებოდა თბილისის წითელი მთავრობის ერთ-ერთი წევრი, პასუხისმგებლობა მარტო ჩეკისტებს რომ არ დაკისრებოდა თხოვნა დააკმაყოფილეს. იმ დღიდან დახვრეტებს მთავრობის რომელიმე წევრი ესწრებოდა.

მოსკოველი ბარბაროსების მიერ დახვრეტილ-განადგურებულთა შორის უნდა დავასახელო რამდენიმე:

ყოფილი ქართული მთავრობის მინისტრი ხომერიკი.

თბილისის ყოფილი ქალაქისთავი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი ჩხიკვიშვილი

ყოფილი ქართული ეროვნული გვარდიის სარდალი ჯუღელი.

გენერლები ყარალაშვილი და ფურცელაძე: პოლკოვნიკი გვრდაფხაძე, თავადი ვაჩნაძე...

გაწყვიტეს დიდგვაროვანთა (ზოგჯერ მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ოჯახები, ბავშვების ჩათვლით), ოფიცერთა, დამფუძნებელი კრების დეპუტატთა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა, სამღვდელოების დიდი რაოდენობა, ბევრი ექიმი, მასწავლებელი, გლეხი და მუშა.

აი, როგორი შეუბრალებელი რეპრესიებით ჩააქრეს წითლებმა ქართველთა აჯანყება. ამაში ბოლშევიკებს რუსეთი ეხმარებოდა. ბრძანება იყო გაცემული: საჭიროებისამებრ სულ ახალი და ახალი დამსჯელი რაზმები გამოეგზავნათ საქართველოში.

წითელმა დიქტატურამ წესრიგი ჯერ რკინიგზის მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში დაამყარა. შემდეგ თანდათან მთიან რაიონებშიც მომაგრდნენ. ისე კი სწორედ მთებში წააწყდნენ ბოლშევიკები ყველაზე შეუპოვარ წინააღმდეგობას. ასე იყო აჯანყების წინა ხანებში, ამბოხების დროსაც და მისი ჩახშობის შემდეგაც. მამაცმა და ღირსეულმა ხელმძღვანელობამ დარაზმა, შეაიარაღა და გაწვრთნა მთიელთა რაზმები. ისინი გამუდმებით ეწეოდნენ პარტიზანულ ბრძოლებს და საფრთხეს უქმნიდნენ ბოლშევიკებს.

იმ მეთაურთა შორის, რომელთაც წითლებს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს, ყველაზე სახელოვანი უდავოდ თავადი ჩოლოყაშვილია. მისი სახელი ყოველი ქართველისათვის საამაყოა. ალბათ, პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში იქცევა სიმამაცის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სინონიმად.

თავადმა ჩოლოყაშვილმა უკვე 1914-18 წლებში, დიდი მსოფლიო ომის დროს გამოიჩინა თავი. იგი რუსული არმიის ლეიტენანტი იყო. ამიერკავკასიის ფრონტზე მეთაურობდა რაზმებს, რომელთაც თურქების წინსვლის შეჩერება და სამხრეთისაკენ განდევნა ევალებოდათ. თურქებისათვის სავალალოდ დამთავრებულ სარაყამიშის ბრძოლაში (დახლოებით 20000 თურქი დაიღუპა და გაიყინა ამ მაღალმთიან რეგიონში) ჩოლოყაშვილი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია და ის სტრატეგიული პუნქტიც აიღო, რომლის ფლობა განსაზღვრავდა სამხედრო ოპერაციების შემდგომ ბედს. დაჭრილ ჩოლოყაშვილს ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. თუმცა უბრძანეს, ჭრილობის შესახვევად საველე ჰოსპიტალში წასულიყო, მეორედ დაჭრილი სარაყამიშში გამოიძახეს. ლაზარეთში დაწოლა უბრძანეს. მეთაურს კი უპასუხა „მოვდივარ“, მაგრამ ისევ რაზმთან დარჩა. მესამედ დაჭრილს გული შეუწუხდა. მაშინ კი იძულებული გახდა სამედიცინო დახმარებისათვის მიემართა.

ცხადია, ასეთი ვაჟკაცი გულხელდაკრეფილი ვერ დარჩებოდა, როცა მის სამშობლოში წითლების ბატონობა დამყარდა.

როგორც უკვე ვთქვი, 1922 წლიდან იგი მთიანეთში გაიხიზნა, იქიდან დაიწყო პარტიზანული ომი. ეს ბრძოლა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეწყდა.

ჩოლოყაშვილი მაგალითს იძლეოდა. ვაჟკაცობას აფრქვევდა. მისი ბრმად სჯეროდათ და თაყვანსაც სცემდნენ. ერთ დღეს მან ცოტა ხნით მთები დატოვა და მალულად თბილისში ჩავიდა. ბოლშევიკების დაუძინებელი მტერი შეიძლება ეცნოთ, მაგრამ საქმე ითხოვდა ჩოლოყაშვილის თბილისში ჩასვლას და მას არ უყოყმანია, ქალაქში მარტო წავიდა.

ამ ყაიდის ოფიცერს სრული უფლება აქვს ყველაფერი მოსთხოვოს თავის გაწვრთნილ, დისციპლინირებულ რაზმს, ერთგულ შეფიცულებს, ამიტომ არ არის გასაკვირი ის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც მან ბოლშევიკებს გაუმართა თავის რაზმთან ერთად. ეს იყო არაჩვეულებრივი, საგრობა, წმინდა წყლის გმირული ეპოპეა.

ჩოლოყაშვილის ვაჟკაცური ამბების თხრობას, ალბათ, მთელი წიგნი დასჭირდება, ბოდიშს ვიხდი, რომ მხოლოდ სამ ეპიზოდს მოგიყვებით.

სოფელ სიმონიანთკარში განლაგებული იყო წითელი რაზმი, დაახლოებით 250-300 კაცი და „ჩონის“ ნაწილი. „ჩონ“-ი[1] კომუნისტური ჟანდარმერიის მსგავსი ორგანიზაციაა. ბოლშევიკები მუდამ მას იყენებენ, განსაკუთრებით ხალხის მღელვარების დროს. ეს რაზმები სურსათ-სანოვაგითაც კარგად იყვნენ მომარაგებულნი.

პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილს შეატყობინეს ეს ამბავი. მან სასწრაფოდ დაარჩია 80 საუკეთესო შეფიცული. მათთან ერთად, დაღამებისას, სოფელში ჩავიდა. ისარგებლა სიბნელით და სოფლის შესასვლელთან გაჩერდა. იქიდან უნდოდა შეტევის დაწყება. მაგრამ წითლები ფხიზლად დარაჯობდნენ სოფელს. მეთაურმა შეტევის გეგმა შეცვალა.

„სხვა გზით უნდა ჩავიგდო ხელში ისინი“— გადაწყვიტა პოლკოვნიკმა. დაუყოვნებლივ მოიფიქრა იერიშის ახალი გეგმა. იქ, სადაც ბოლშევიკებმა შეფიცულთა მოახლოება შეამჩნიეს, რამდენიმე რაზმელი დატოვა. ამით მტრის ყურადღება მათზე გადაიტანა. თავად კი სოფელს უჩუმრად შემოუარა. განთიადისას პოლკოვნიკი სრულიად სხვა მხრიდან დაესხა თავს ბოლშევიკებს. მოულოდნელი დარტყმით სოფელი დაიკავა. გაოგნებული და დაბნეული მტერი გაიქცა. დატოვა ცხენები, აღჭურვილობა, ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც აჯანყებულებს გამოადგებოდათ. ბოლშევიკებმა დატოვეს წითელი კოოპერატივის (სახელმწიფო საკუთრება) საწყობის საქონელიც. პოლკოვნიკის ბრძანებით, საქონელი სოფლის მოსახლეობას დაურიგდა.

60-70 კაცის თანხლებით ჩოლოყაშვილი

[1] „ჩონ“-ი — „ЧОН“ Части особого назначения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშავიდან კახეთში მიდიოდა. დაბა დუშეთი უნდა გაევლო. დუშეთში სამანქანო (სამხედრო) გზა გადის. იგი თბილისიდან 40 კილომეტრზეა. დაბაში წითლებს რამდენიმე ახეული ქართველი ჰყავდათ დაპატიმრებული, მძევლებიც ჰყავთ აყვანილი.

ჩოლოყაშვილის რაზმმა მოულოდნელად წიიატანა იერიში. გააქცია დუშეთის გარნიზონი, გაანთავისუფლა მძევლები. ნადავლად დარჩათ სანოვაგე, ალჭურვილობა, ცხენები, ტანისამოსი, ფული...

ერთხელ შეფიცულების უფროსი კახეთიდან სხვა პროვინციაში აპირებდა წასვლას. იქ მისი ყოფნა აუცილებელი იყო. მას უნდა გაევლო ტერიტორია, რომელიც ბოლშევიკთა რაზმებს ეჭირა. ჩოლოყაშვილს 100 შეფიცული ახლდა.

როცა იგი ერთ პატარა სოფელს (მისი სახელი არ ვიცი. იგი მდებარეობს ახმეტასა და დუშეთს შორის) მიუახლოვდა, გაჩერდა, ტყიდან არ გამოსულა. იქიდან სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. პოლკოვნიკმა სოფლებს რაზმისათვის პური სთხოვა.

მოსახლეობა, გახარებული იმით, რომ შეუძლია დააპუროს ბელადი და მისი შეფიცულები, საჩქაროდ ახურებს თონეებს და აცხობს პურებს.

სოფლის მახლობლად მდგარმა წითელმა რაზმმა ცისკენ მიმავალი ბოლი შეამჩნია. ჩვეულებრივ ამ დროს სოფელში პურს არ აცხობენ. რა ხდება? რაზმის გამოცდილი უფროსი მიხვდა: პური ამბოხებულებისათვის ცხვება. მან სოფლის დასაზვერად პატრული გაგზავნა. მზვერავებმა მიიტანეს ამბავი: სოფელში სიმშვიდეა, მაგრამ ტყეში კი რაღაც უნდა ხდებოდესო. წითელი რაზმი ორად გაიყო. სხვადასხვა მხრიდან სურთ ტყის გარემოცვა. ამით გზას გადაუჭრიან აჯანყებულებს, ალყაში მოაქცევენ და დაატყვევებენ.

როგორც ვთქვი, ტყიდან სოფელი და მისი გარშემო აბიბინებული ყანები კარგად ჩანს. მართალია, შეფიცულები ისვენებენ, გუშაგები ფხიზლობენ. ერთ-ერთმა მათგანმა შეამჩნია საფრთხე. ატეხა განგაში. ჩოლოყაშვილის რაზმელებმა იარაღს დაავლეს ხელი; გაიცა მოკლე და სხარტი ბრძანება. გამოჩნდა პირველი წითელი რაზმიც. იმისათვის, ვინც მიუჩვეველია მთაში და ტყეში ბრძოლას, ეს დამარცხებაა. მაგრამ შეფიცულებისათვის, რომელნიც რამდენიმე წელია ასეთ პირობებში ომობენ, ეს გამარჯვებაა.

ჩოლოყაშვილის ორი ჯგუფი ფეხაკრეფით გაემართა წითლებისაკენ. მათ ტყე ფარავდა. ერთი ჯგუფი მარცხნიდან უახლოვდებოდა წითლებს, მეორე მარჯვნიდან. წითლების ავანგარდი ამ ორ ჯგუფის გირაკში მოექცა. შეფიცულებმა ორივე მხრიდან ერთდროულად დააყარეს ტყვიები. გაოცებული ბოლშევიკები დაფრთხნენ. მოეჩვენათ აჯანყებულებმა ალყაში გამოგვიმწყვდიესო. სწრაფად დაიხიეს უკან და მოკურცხლეს.

წითლების მეორე რაზმი მარცხნიდან მოდიოდა. მოულოდნელად შეფიცულთა ერთი ნაწილი ახალმოსულ წითლებსა და გაქცეულ წითლებს შორის აღმოჩნდა. მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ. დაბნეულმა ბოლშევიკებმა ტყვიები ერთმანეთს დაუშინეს. ამის შემყურე ჩოლოყაშვილის ბიჭები გაიტრუნენ. ბრძოლას განერიდნენ და მაყურებლის როლი იკმარეს. მშვიდად უმზერდნენ, როგორ ხოცავდნენ ერთმანეთს თავგზააბნეული ბარბაროსები. ვინც გადარჩა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

აჯანყებულებმა ყველაზე დიდხანს ხევსურეთში იბრძოლეს. მაგრამ 1924 წლის ოქტომბერში წინააღმდეგობა შეწყვიტეს. რა ექნათ? ყოველმხრივ იყვნენ შევიწროებულნი. რუსეთის სულ ახალი და ახალი ჯარი გადმოდიოდა კავკასიის მთებით. მტერი ბევრად მრავალრიცხოვანი იყო. მაგრამ ქართველი პატრიოტები იმედს არ ჰკარგავენ. არც დაკარგავენ. ახლაც არიან ისინი ტყეში გახიზნული. აქა-იქ ისევ გრძელდება სამშობლოს ჯალათების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა. იგი მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა საქართველო განთავისუფლდება.

თარგმნეს
მზია და აკაკი ბაქრაძეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თედო ბექიშვილი

## დილიდან დაღამებამდის

დილიდან დაღამებამდის,
დაღამებიდან — დილამდის,
ძილიდან გაღვიძებამდის,
გაღვიძებიდან — ძილამდის
გავიდა მთელი ცხოვრება —
მზეშიც მნატრელი სინათლის!..

●

ტკივილიანი ჟამი გაგვიბატონდა. საქართველოს თავისუფლების შინდისფერი დროშა მწუხარების ბურუსშია. დრო აღარ მოგვეცა, სამშობლოს განთავისუფლებით გამოწვეული სიხარული გვეგრძნო. ჩვენს თვალწინ დაღუპვის ზღვარს მიადგა ჩვენი ლამაზი ქვეყანა. ყოველ ახალ დღეს ახალი გულისტკივილი მოაქვს. ვაგლახ, რომ წერამწერალი იმკის თავის უხვ მოსავალს, უკეთესნი და გამორჩეულნი გვაკლდებიან.

წავიდა ჩვენგან 70-იანელთა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, პოეტთა, საძმოს ღირსეული წევრი, ბუნებრივი ნიჭით ცხებული კაცი, კაცი, რომელსაც თავზე ქუდი ეხურა, მეგობართა მოსიყვარულე მეგობარი იყო, წყნარი და ჩუმი მუშაკი უფლის ნაკარნახევი საქმისა, თავმდაბალი და სინდისიერი... წავიდა და დაგვიტოვა თავისი პოეტური კრებულები, ხნული, რომელშიც სიკეთის თესლია ჩაბნეული და დრო, ალბათ, უკეთ წარმოაჩენს მისი კეთილშობილი სულის მშვენიერ ნაყოფს.

გარდაიცვალა თედო ბექიშვილი!

მან სულ ახლახან მოილია ნახევარი საუკუნე. რა მოკლეა ეს დრო და რა დიდ შინაარსს იტევს. დიდი და სისხლიანი ომის დროს დაბადებულთა თაობამ მძიმე ჯვარი ზიდა. ყველა ის გაჭირვება და უბედურება, რაც ქვეყანას გადახდა, თაობის ხვედრი იყო, მაგრამ სხვაზე მძიმე ტანჯვა, ალბათ, პოეტს შეხვდა, რაკი მისი სულის სათუთი სიმი უფრო ადვილად ათრთოლდება. სხვაზე მეტად შეიგრძნობს იგი ობლობის გაუსაძლის ტკივილს, სიდუხჭირეს, ადამიანთა გაუტანლობას, თავისი დატყვევებული სამშობლოს ჭირ-ვარამს... ეკლიანი გზებით მოაღწია პოეტმა თავისუფლების კარიბჭემდე და ღონე არ ეყო, რათა ცოტა ხანს კიდევ შერჩენოდა წუთისოფელს, განეცადა ნანატრი წამი სამშობლოს თავისუფლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ერთ-ერთი კრებულის წინათქმაში თედოს უწერია: პოეზიის არცთუ გულუხვი ღვთაება ყველას ზვარაკს არ შეიწირავსო. ამ სიტყვებში ნიჭიერი და გემოვნებიანი კაცის ეჭვებია გამხელილი. ჭეშმარიტი შემოქმედი, ჩინებული მოქალაქე დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ. თედო ბექიშვილი ხომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით უანგაროდ, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ხალხს, ქვეყანას. ქართველ მწერალთა ოჯახის ამ უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა შეურცხვენლად, ამაყად და პირნათლად ატარა ქართველი მწერლის მძიმე, მაგრამ წმინდა სახელი. ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ტკივილი და საზრუნავია გამხელილი თედო ბექიშვილის პოეტურ კრებულებში: „მთაო გადმიშვი", „დღის გაგრძელება", „ზაფხულის მიჯნა", „რა აძლებინებს ზამთარში ხეებს", „ხეობა", „დღიურის ფურცლები", „ორი მდინარე", „რაც წლები გადის", „რასა სწერთ, მთვარის სხივებო?" „დილიდან დაღამებამდის..." ბოლო კრებული სულ ახლახან დასტამბა. უკვე მძიმედ იყო ავად, როცა ქართველმა მკითხველმა მიიღო მისი ღრმა ორიგინალობით აღბეჭდილი, გულწრფელობით, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით შექმნილი ლექსები. მათში მთელი სისავსით გამოვლინდა პოეტის ნიჭიერება და ტალანტი, რომელიც დღითიდღე ივსებოდა და მდიდრდებოდა. თედო ბექიშვილის შემოქმედება — ესაა ჭეშმარიტი მამულიშვილის, მირონცხებული პოეტის ღრმა დაფიქრება სამშობლოს წარსულსა და დღევანდელობაზე, მის მომავალზე. პოეტის დღემდე დასტამბულ კრებულებში წარმოდგენილი ლექსები თვითონ მეტყველებენ თავის თავზე. ისინი სივრცეში არსებობენ და თავიანთ მკითხველს პოულობენ, რადგან საქართველოში ჯერაც არ დალეულა ლექსის წამკითხველი და დამფასებელი.

თედო ბექიშვილი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში" რედაქტორის მოადგილედ. კეთილმოსურნე ადამიანი, შრომისმოყვარე, ყურადღებიანი ავტორისა და თანამოკალმის დამფასებელი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, — ასეთად იცნობდა მას ყველა. სარედაქციო მუშაობის არცთუ იოლ და ნაკლებ დაფასებულ ტვირთს უდრტვინველად ეზიდებოდა და, თუ სასიკეთო რამ მომხდარა ბოლო წლების „ცისკრის" ფურცლებზე, ეს ჩვენი თედოს დამსახურებაცაა.

*„შენგან დარჩა მხოლოდ ღიმილი,*
*სუფთა, ნათელი, მიმტევებელი,*
*მაგ ღიმილისთვის ღირდა, ძმაო,*
*ამქვეყნად მოსვლა..." —*

ასე მიმართავს პოეტი თავის ერთ ადრე წასულ მეგობარს და ახლა ეს სტრიქონები ჩვენ, მის მეგობრებსა და თანამშრომლებს, თვით ავტორის დაკარგვით გამოწვეულ სევდას გვიმძაფრებს.

წაიქცა პოეტი-კაცი, მაგრამ ამ უსამართლო საწუთროში სიკვდილი მაინც მუდამჟამს სიცოცხლით გრძელდება. და, აი, ფეხი აიდგა პატარა თედომ, დიდი პაპის შვილიშვილმა, მომავალი, თავისუფალი საქართველოს მოქალაქემ და ამ ფაქტში არის რაღაც ღვთაებრივი ნება!

**ზაურ კალანდია, ირაკლი ბაზაძე, ბადათერ არაბული, ჯემალ ქირია, ვაჟა ჩორდელი, ლევან მალაზონია, ელზა მეტრეველი, მიხო მოსულიშვილი, ნანა ჯაფარიძე, ზურაბ ნარმანია, ეთერ თვარაძე, ზიული სირაძე, ნანა ჯარიაშვილი, ნანა ჭულუხაძე, გრიგოლ რუხაია, ეთერ ბალიაშვილი, ლენა ღონღაძე, მაყვალა თვარაძე, ხათუნა ალხაზიშვილი, რობერტ ფიცხელაური, სოსო ბაჯელიძე.**

ნაციონალური ბიბლიოთეკა

### თედო ბექიშვილს

დასრულდა შენი მწარე სპექტაკლი,
სად ნაღვარევის ჩანან სერები
კაცი მართალი,
კაცი სპეტაკი
ცივ სამარეში ჩაესვენები...

გზად მიგაცილებს ქვითინი დედის,
(რა ქნას, საწყალმა, რომ არ იტიროს!)
ვინ დაგაბედა ასეთი ბედი?
ვინ გაგიმეტა ჯერ სასიკვდილოდ?..

გადაყვავილდა სოფლის ძირს ველი,
მთის ფერდობებზე ჩაქრნენ ფერებიც;
არ გამომცხვარა ჯერ ობლის კვერი,
არც ჟამი მდგარა ბედნიერების...

დასრულდა შენი მწარე ცხოვრება,
მწარე სიზმარი დასრულდა თითქოს;
ჩვენ კი ყოველთვის გვემახსოვრება
შენი ლექსების შუქი და სითბო....

**ბადათერ არაბული**

# მოკრძალებული ამაყი

დასრულდა თედო ბექიშვილის ამქვეყნიური სიცოცხლე...

მის სხეულს მისივე სურვილით მიიბარებს მშობლიური სოფელი ნაღვარევი. ეს არ იყო მხოლოდ ანდერძი, არც რაიმე კაპრიზი, ეს იყო საკუთარ წიაღში შებრუნების მისეული მრწამსი.

ასე სწამდა.

არა აქვს მნიშვნელობა, სად დაასაფლავებენ პოეტს, მნიშვნელობა აქვს, როგორ „დაესაკუთრება" იგი სხვათა ხსოვნას, როგორ გააღიზიანებს მისი გარდასვლა ცნობიერებას სხვისას.

თედო, როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტი, გამორიცხავს ყოველგვარ პრაგმატულს. ის ყოველთვის აღიარებდა ჭეშმარიტს; მისთვის არ არსებობდა სასარგებლო და ეფექტური თემები, იცოდა ერთი — უნდა ეწერა ლექსები ანთებული სულის კარნახით. იგი ღარიბი მდიდარი იყო და მოკრძალებული ამაყი. იგი მრავალთა შორის ერთი გამონაკლისია, რომელმაც სიცოცხლეშივე გასცა ავანსად გარდასვლის მერე...სიცოცხლე.

ამის განცხადების უფლებას მისი პოეზია იძლევა.

ამას არა მარტო მე, ბევრი გრძნობდნენ — ირგვლივ მყოფნი.

მაგრამ იყო კი ვინმე ამის მთქმელი?.. იქნებ ეს ტკივილიც ჩაიყოლა სამარეში? ვინ იცის...

არადა, როგორ ვარიდებთ თავს ერთმანეთის მოფერებას, არადა, რა ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყოფნის ბედნიერებისთვის! მაგრამ ჩვენი თედო ამითაც გამოირჩეოდა — ყოველთვის მზად იყო მოფერებისთვის, სიყვარულისთვის. მერე როგორი მოფერება იცოდა, როგორი გულჩატანებული!

უხვად გასცემდა იმას, რასაც თვითონ აკლებდნენ. ამაშიც სუფთა იყო თავისი ლექსივით. მახსოვს, ჩემი კრებული ვაჩუქე ამ ერთი წლის წინათ, შემპირდა 3-4 დღეში აზრის გაზიარებას და ასეც მოხდა: მოვიდა რედაქციაში, შემოიხედა ჩემს ოთახში, მომესალმა და თავისთან გამიხმო. როგორც წესი, ჩართო ელექტრო ჩაიდანი, მოუკიდა სიგარეტს და თვალგაბრწყინებული სიყვარულით მელაპარაკა კრებულზე, მერე მაშინდელ რედაქტორთან, ჩვენს საერთო ძმასთან იორამ ქემერტელიძესთან მაქო, მერე ამასაც არ დაჯერდა და ერთ ცნობილ კრიტიკოსს კრებულზე წერილის დაწერაც სთხოვა.

ასეთი იყო ჩვენი თედო.

მას არ შეეძლო სხვად ქცევა — ის იყო ის, ვინც იყო.

ერთხელ (რა სამწუხაროა მასზე წარსულ დროში ლაპარაკი) მასთან შევედი, პალტომოხურული რაღაცას კითხულობდა, მაგიდაზე განუყრელად ჩაის ფინჯანი ედგა. უცებ კითხვა შეწყვიტა, თავი ასწია და თითქოს რაღაცას იხსენებსო, მითხრა: მომენატრა ზღვა და თევზაობაო და ღიმილით გაიხსენა, როგორ მოვპარე თევზი ორ „გამოუსწორებელ“ მეთევზეს (საკუთარ თავს და იურა ბაქანიძეს გულისხმობდა), როცა გაგრაში (ჩვენ მაშინ გაგრაში ვისვენებდით) ბიჭვინთიდან ერთი საპატივცემულო პოეტი გვეწვია, მერე დეტალებში აღიდგინა ისიც, იმ დღეს როგორ ვიქეიფეთ გაგრის პარკში და... ფიქრს გაჰყვა. ბოლოს, უკანასკნელად რომ ვინახულე, აფხაზეთზე მკითხა, როცა გაიგო, რომ ჩემი შვილი იქ იბრძოდა, თვალები აემღვრა, ლოგინზე წამოიწია და მითხრა: ამ ავადმყოფობას რა ვუთხრა, თორემ იქ, ჩემო ირაკლი, შვილები კი არა, ჩვენ, მამები უნდა ვიბრძოდეთ.

მას ყოველთვის ჰქონდა გაუნელებელი ჟინი უსამართლობასთან ბრძოლისა.

ახლა, ალბათ, ლამაზ სულს უწუხებს ამ ორი დღის წინ მის საყვარელ გაგრაში დატრიალებული ტრაგედია.

არ იქნება ახალი ამერიკის აღმოჩენა, თუ ერთხელ კიდევ გავიმეორებ იმის შესახებ, რომ პოეტი ჰგავს თავის ლექსებს. თედოსთან ეს მსგავსება განსაკუთრებით იდენტურია. — არაგვის ჭალები, მისი ულამაზესი ხედები, შემოდგომის ფერებით ჩაჭილმათებული მთები...

ყველაფერი ამის მატარებელი იყო სულით და ამ სახედიდან სჭვრეტდა მთელ საქართველოს, მთელ სამყაროს!

მეამაყება, მისი თანამედროვე რომ ვარ.

მეამაყება ამ მაღალი ნიჭის პოეტთან ახლობლობა, რაც ყოველთვის მომცემდა იმის საშუალებას, ვისაუბრო მის სულთან, რომელიც ქართულ ცას შეერია თბილი ცრემლივით:

მშვიდობით, ჩემო გაწვალებულო ძმაო, თედო, მშვიდობით!

**ირაკლი ბაზამე**

# თუ...

დღეს უკვე აღარც თედო ბექიშვილია ცოცხალი.

აღარ არის ის ერთი, ის ერთადერთი თედო ბექიშვილი, ერთი რომ იყო.

დღეს მისი ახლობლების მოგონებაში უკვე ბევრი თედო ბექიშვილია, მაგრამ არც ერთი აღარაა ნამდვილი, ცოცხალი.

იტყვიან ხოლმე „იგი დიდხანს იცოცხლებს...“ და ა. შ. და ეს გამოთქმა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმეს მიმართ არის სამართლიანი და უტყუარი, ალბათ შემოქმედის, პოეტის, მხატვრის მიმართ.

თედო ბექიშვილის ალალ, დედის თითებივით თბილ და სადა სტრიქონებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი და დამფასებელი, მაგრამ ვერც ყველა მისი ლექსის წაკითხვით და ვერც ყველა იმ მოგონების შეკრება-შეჯერებით, რომელიც მისი თვით ყველაზე ახლობელი ადამიანების, დედის, შვილების და მეუღლის ხსოვნაში არსებობს, თედო ბექიშვილის ცოცხალ სახეს ვეღარასოდეს დავინახავთ, ვეღარც მის თბილ ხმას გავიგონებთ... იგი აღარ განმეორდება.

მაშ ნახვამდის ბატონო თედო! ნახვამდის თუ სულთა სამყოფი არსებობს სადმე.

და მშვიდობით! მშვიდობით, თუ სულეთი არსად არაა.

ჩვენ, ამ ქვეყნად დარჩენილებს (მე პირადად) ეს პატარა „თუ"-ც გვეყოფა სიკვდილამდე საწამებლად, რადგან არავინ ვიცით დაბეჯითებით შევხვდებით თუ არა კვლავ ჩვენს ახლობლებს: შევხვდები თუ არა თამაზს, ან ზურას, ან თენგიზს, ან თედოს ან... საკუთარ თავს თუ კვლავ შევხვდები,.. ნახვამდის... მშვიდობით...

**ომარ თურმანაული**

# გამოსათხოვარი

არიან ადამიანები — მათი რიცხვი, სამწუხაროდ, ძალზე მცირეა — რომელთა რაინდულ სულიერ წყობაზე ხანგრძლივი საუბარი, თანაც ლამაზი და უმწეო ეპითეტების მოშველიებით, უთუოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდებს კაცს. მართლაც, რაინდზე ზედმეტია დამატებით ითქვას „პატრიოტი", „ვაჟკაცი" ან „კულტურული" — ხომ ისედაც ცხადზე უცხადესია, რომ პატრიოტიზმიც, ადამიანური ვაჟკაცობაც და საერთო კულტურაც ასეთი პიროვნების ბუნებრივი თანმდევი თვისებებია. ხოლო თუ მაინც და მაინც, და მწარე აუცილებლობა სხვა გამოსავალს არ გიტოვებს, ვიდრე სათანადო ეპითეტის მოძებნისა — ისევ სიტყვები „კეთილშობილი" და „კეთილმოსურნე" მოგაგონდება იმ უკანასკნელი ვალის მოხდისას, რომელიც შენი დახაფრული გრძნობის სიტყვიერ გამოხატვას გულისხმობს.

ბატონი თედოც ასეთი იყო — ნამდვილი პოეტი, შემოქმედი და რაინდი და ჟამთა ულმობელი სვლა კიდევ და კიდევ გამოაჩენს მისი რაინდული ბუნების პოეტურ და შემოქმედებით მხარეს. მაგრამ გარდა ამისა ისიც მინდა გავიხსენო, რომ ის იყო რედაქტორი, ანუ პროფესიონალი, რომლის ტაქტზე, მომთხოვნელობაზე და გამოცნობის უნარზე დიდად არის დამოკიდებული მწერალი კაცის, განსაკუთრებით დამწყები მწერლის და ამასთან, გნებავთ, ლიტერატურის განვითარების ბედი. ამიტომაა, რომ ზოგჯერ მაინც, რაინდი ადამიანის უეცარი წასვლით გამოწვეული ტკივილის მილმა, იმასაც კი გავიფიქრებ, თუ რაოდენ საწყენია და უსამართლო ეს დანაკარგი. ქართველ მწერალთა ამქარს კიდევ ერთი ჭეშმარიტი პოეტი, ლიტერატურის ერთგული, ქართული სიტყვის მშვენებისთვის თავდადებული მეომარი გამოაკლდა — და ამ დანაკარგის შევსება შეუძლებელია. მოვა, გამოჩნდება სხვა, უკეთესი ან უარესი, მაგრამ უკვე სხვანაირი და, რაც მთავარია, ისეთი, რომელიც ვერასდროს შეცვლის ბატონ თედოს მისი ახლობლების, მეგობრების და მის ხელში გამოვლილი ავტორების მეხსიერებაში.

ხსოვნა იყოს, ამინ...

**გიორგი ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი სული კელაპტარს ჰგავდა

თედო ბექიშვილის უდროო სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ქართული მწერლობისათვის და ამ დანაკარგის შეგრძნება, სენტიმენტალურ ემოციებზე უწინარეს, მისი პოეტური ღვაწლის გაცნობიერებისაკენ მიბიძგებს.

თუ გონების თვალით წარმოვისახავთ თანამედროვე სალიტერატურო პროცესის მამოძრავებელ ძალებს, თედო ბექიშვილი უსათუოდ იმათ შორის აღმოჩნდება, ვის მხრებზეც ეყრდნობა ჩვენი სალიტერატურო ცხოვრება.

თედო ბექიშვილი თავისი თაობის სულისკვეთებით ცხოვრობდა და ამ თაობის ბედს იზიარებდა — განებივრებული არ ყოფილა ყურადღებით და დაფასებით, არც თავად უცდია ოდესმე პოპულისტური მეთოდებით სახელის მოხვეჭა. მაგრამ ის, ვინც თანამედროვე ქართულ პოეზიას იცნობს, ისიც, რომ თედო ბექიშვილი ჭეშმარიტი პოეტი და მამულიშვილი იყო, ხოლო მისი შემოქმედება ქართული მწერლობის ღირსეული შენაძენია.

ლიტერატურაში თედო ბექიშვილის მოსვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა 60-იანი წლების ლიტერატურული თაობის მიერ დაწყებულმა ძიებებმა და იდეოლოგიური სტერეოტიპებისაგან განთავისუფლების პროცესმა ახალი სასიცოცხლო სივრცეები გადაუშალა ქართულ პოეზიას. 70-იანი წლების ლიტერატურულმა თაობამ, რომლის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი იყო თედო ბექიშვილი, თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნა ქართულ პოეზიაში, როგორც აზროვნების, ასევე ვერსიფიკაციული მიღწევების თვალსაზრისით. კლასიკური სალექსო ფორმების გვერდით მკვიდრდება თავისუფალი ლექსი, მხატვრული აზროვნება თავისუფლდება იდეოლოგიური დანაშრევებისაგან, მგონსნურ პოპულიზმს, ჰეროიკულ და პათეტიკურ ინტონაციებს ცვლის ფილოსოფიური განსჯა და ტკივილიანი ფიქრი თანამედროვე საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ყოფაზე, თვალსაჩინოდ ყალიბდება 70-იანი წლების ლიტერატურული თაობის სახე — უკომპრომისო, მოუსყიდავი, ჯანყითა და პროტესტით დამუხტული, რომელიც უკვე საჯაროდ გამოთქვამს უკმაყოფილობას და რომლისთვისაც აშკარად მიუღებელია ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დამკვიდრებული სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების წესი.

ბუნებრივია, რომ ეს განწყობილებები თანაგრძნობას ვერ ჰპოვებდა მაშინდელ ოფიციალურ წრეებში, საიდანაც ლიტერატურაზე ტოტალური თვალთვალი ხორციელდებოდა და ამის გამო, 70-იანი და შემდგომი თაობის მიღწევები განგებ მიჩქმალული და ნიველირებული აღმოჩნდა.

ღრმად ეროვნული და სოციალური ტკივილების განცდით იწერებოდა თედო ბექიშვილის ლექსები და პოემები, რომელთაც ახასიათებს მაღალი პროფესიონალიზმი, აზროვნების სიღრმე და ფორმისმიერი მრავალფეროვნება. თედო ბექიშვილის შემოქმედება მშვენიერი ნიმუშია კლასიკური სალექსო ფორმებისა და ქართული ლექსის ტრადიციებიდან აღმოცენებული თავისუფალი ლექსის ნაირსახეობათა შერწყმისა.

ჩვენდა სამწუხაროდ, თანამედროვე სალიტერატურო პროცესები ჯერ თითქმის გამოუკვლეველია, ვერც თედო ბექიშვილი მოესწრო თავისი შემოქმედების ღირსეულ დაფასებას და აღიარებას, ყოველივე ამას დრო და უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე სჭირდება. ეს დროც დადგება და ყოველი ჭეშმარიტი ლიტერატურული ღირებული თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული მწერლობის საგანძურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი მაღალზნეობრივი, სიკეთით აღსავსე პიროვნება იყო, და მიუხედავად არაადამიანური ტანჯვისა, მხურვალე ინტერესით ადევნებდა თვალს თავისი სათაყვანო სამშობლოს მშფოთვარებას, ეს ინტერესი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ განელებია და იმ ჯანსაღი ეროვნული ძალების გულშემატკივარი იყო, რომელთაც გონიერი ქართველობა იმედის თვალით შეჰყურებს.

თედო ბექიშვილის ლექსები და პოემები, მისი ფიქრები და ტკივილიანი განცდები მომავალი თაობების კუთვნილებად, მათი ინტერესების საგნად იქცევა.

თედოს გარდაცვალებით რაღაც დიდი და აუნაზღაურებელი დავკარგეთ არა მარტო ჩვენ, მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა, არამედ მთელმა ქართულმა მწერლობამ, ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ, ჩაქრა ნათელი კელაპტარი და დარჩა მისი წარუხოცელი ხსოვნა.

ნათელში იყოს თედოს სპეტაკი სული.

**დავით მჭედლური**

# მხედარი

**პოეზია** ფუფუნების „საგანიაო", ამბობენ; მაგრამ ქართველ პოეტს ამგვარი დალხინებისა და თავდავიწყების ჟამი არასოდეს დაუდგება, ფუფუნების „საგნების" შექმნასა და მოპირკეთებას რომ შესწიროს თავისი გული და სისხლი.

ის ვერასოდეს გამოვა ბრძოლის ველიდან: იქაა მისი ბოლო წამი, ბოლო სიტყვა, ბოლო ამოსუნთქვა.

როგორც მეომრის მახვილს, მის სიტყვასაც მოსვენება არ ექნება, ჟანგი არ მოედება.

თედო ბექიშვილიც მთელი ცხოვრება ამ ომში იდგა: მამულისა და ქართული სულის გადარჩენისათვის ატეხილ ომში.

მის სიტყვას აჩნია ოთხივ კუთხით მტრიანი საქართველოს წყლულები, ჭრილობები, სისხლის შხეფები.

მისი ცხოვრება ვერმოსვენება იყო: მუდმივი ბრძოლა უზნეობის, უკეთურობის წინააღმდეგ.

სწორედ ამ ბრძოლაში დაეცა ის: მოუღლელი მხედარი, რჩეული მეხმლე...

„ვისაც ვერ ამჩნევენ და ამ ამბავს ვინც ტანჯვად და შეურაცხყოფად არ მიიღებს, ის არის კაი ყმა", — ამბობს კუნძი: დიდი ჩინელი.

და რამდენჯერ დარჩენილა შეუმჩნეველი მისი კეთილი საქმე, მისი კარგი წიგნი თუ ლექსი და, ამის გამო, მას კრინტიც არ დაუძრავს, რადგან სჯეროდა: ღვთიური შუქი არ ადგას იმ საქმეს, რაც მხოლოდ სახელის დაგდების წყურვილსა და ანგარებას ემყარება...

თედო ბექიშვილი შეემატა რჩეული ქართველების იდუმალ საკრებულოს, მიიქცა საქართველოზე მლოცველი წინაპრების მარადიულ ქვეყანაში, ხოლო ჩვენ დაგვიტოვა რწმენა, ლექსად თქმული; დაგვიტოვა იმედი, რომ კვლავ ჩვენთვის, ამქვეყნიური საქართველოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ჟღერს მისი ხმა, მისი ლოცვა ცისიქითური.

მან დასტოვა შემოსეული მტრის ურდოებთან მეომარი მამული, დაღარული, გათიშული, იავარქმნილი...

ის წავიდა დიდი ომიდან: გამოაკლდა მამულის ლაშქარს. თითქოს კიდეც იგრძნო შორეული გამარჯვების კეთილი შუქი, მაგრამ არ ერგო სიხარული საბოლოო გამარჯვებისა...

ვაჟა-ფშაველას სიტყვებით ვემშვიდობებით: „მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა, ცრემლად დამდნარის გულითა, დაღლილი მტრისა ჯავრითა...“

**ჯარჯი ფხოველი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 21.07.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.10.92 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 1327. ტირაჟი 8.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

# თედო ბექიშვილი.

●

როგორ თოვს, ჩემო თეთრო დედილა,
როგორი თეთრი ფიფქები გფარავს!
როგორი მძიმე და ჩახერგილი
ზამთარი მალე მოგადგა კარად.

თარეშობს ქარი და ქარბორბალა.
ზიხარ მოწყენით. ცოტაა საქმე.
გადაუყარე ჩიტებს ხორბალი
და ერეკები საბძელში ქათმებს.

დღეს მზესაც თეთრი სიცივე ფარავს,
თოვამ ჩაკეტა სამზერი არე.
ამაოდ გასცქერ დათოვლილ შარას,
არ შემოაღებს არავინ კარებს...

შინ შეხვალ, შენი სამოსის მსგავსი
შემოდის ბინდი და ბინას ავსებს...
მაგრამ სურათი მაღალი კაცის
კვლავ ზეცასავით გახურავს თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 5 მან.
ინდექსი 76286
ხელმომწერთათვის 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ს 76/4

# ანონსი

## პოეზია

მიხეილ ქვლივიძე
გივი ალხაზიშვილი
ჯანსულ კორძაია
დალი ცაავა
შაბურა არაბული
მანანა ჩხარტიშვილი
ბადრი თევზაძე

## პროზა

გიორგი ჭანტურია. (რომანი, გაგრძელება)
რევაზ მიშველაძე. ნოველები
მერაბ მაჭარაშვილი
გია ხუბუა
დალი ლოლაძე
აკაკი დაუშვილი

## ახალი თარგმანები

ვლადიმირ ნაბოკოვი. (ლოლიტა, გაგრძელება)

## ინტერვიუ

ჯანსუღ ჩარკვიანი

## წერილები

დავით თევზაძე
ემზარ კვიტაიშვილი
გიორგი გაბუნია
დალი სინჯარაძე
თათია ქემერტელიძე
მიხეილ ლანიშაშვილი